

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
კავკასიოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

ელვირა ასლანოვი

აზერბაიჯანული ენის ყაზახური დიალექტი საქართველოში

ფილოლოგიის დოქტორის (PhD) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი დისერტაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

ცირა ბარამიძე

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,

პროფესორი

თბილისი

2026

აბსტრაქტი

წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომი წარმოადგენს აზერბაიჯანული ენის დასავლური ჯგუფის ყაზახური დიალექტის ფონემატური სისტემა-სტრუქტურის კომპლექსურ კვლევას. თემის აქტუალობას განაპირობებს ის ფაქტი, რომ საქართველოში გავრცელებული აღნიშნული დიალექტის ფონემატური სისტემა-სტრუქტურის მეცნიერული შესწავლა არამონათესავე ქართულ ენასთან ინტენსიური ლინგვისტური კონტაქტების პირობებში აქამდე არ განხორციელებულა.

კვლევის მიზანია ყაზახური დიალექტის ფონემატური სისტემა-სტრუქტურის შესწავლა, მისი თავისებურებების გამოკვეთა სალიტერატურო აზერბაიჯანულ ენასთან, სხვა დიალექტებსა და თურქულ ენებთან მიმართებაში. ნაშრომი მიზნად ისახავს დიალექტის სტაბილურობისა და მისი დამოუკიდებელი ლინგვისტური სტატუსის განსაზღვრას.

კვლევის მეთოდოლოგია ეყრდნობა აღწერით და შედარებით-ტიპოლოგიურ ანალიზს, ასევე ემპირიულ-ინდუქციურ პრინციპს. ნაშრომის ერთ-ერთ უმთავრეს სიახლეს წარმოადგენს ფონეტიკური ემპირიული მასალის ექსპერიმენტულ კვლევას; პროგრამა Praat-ის გამოყენებით განხორციელდა სპეციფიკური ფონემების აკუსტიკური ანალიზი (სპექტროგრამები და ოსცილოგრამები), რაც პირველი შემთხვევაა აზერბაიჯანული ენის ყაზახური დიალექტის შესწავლის ისტორიაში.

სადისერტაციო ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ხმოვანთა და თანხმოვანთა სისტემას, მათ ალოფონურ ვარიაციებს, პოზიციურ თავისებურებებსა და აკუსტიკურ მახასიათებლებს. დეტალურად არის გაანალიზებული ისეთი ბგერები და ფონეტიკური პროცესები, რომლებიც საქართველოში გავრცელებულ აზერბაიჯანულ ენაში ინარჩუნებს არქაულ, ან დიალექტურ ნიშნებს. პარალელურად განხილულია ენობრივი კონტაქტები ქართულ ენასთან. აზერბაიჯანულ-ქართული ენობრივი კონტაქტები აისახება როგორც ფონეტიკურ და ფონოლოგიურ, ისე მორფონოლოგიის იერარქიულ დონეზე, ასევე ლექსიკაში. ნაჩვენებია, რომ ხანგრძლივი თანაცხოვრებისა და ორენოვანი გარემოს პირობებში ჩამოყალიბებული ენობრივი პროცესები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საქართველოში გავრცელებული აზერბაიჯანული

ენის ყაზახური დიალექტის სტრუქტურაზე. პარალელურად განხილულია დიალექტური დიფერენციაციის საკითხები საქართველოს რეგიონების მიხედვით.

კვლევა აგებულია ადწერით, შედარებით და ექსპერიმენტულ მეთოდებზე, რაც საშუალებას იძლევა მიღებული შედეგები განვიხილოთ როგორც დიალექტოლოგიური, ისე ტიპოლოგიური თვალსაზრისით. დისერტაციის დასკვნები მნიშვნელოვნად ავსებს აზერბაიჯანული დიალექტოლოგიის კვლევით ბაზას, იძლევა ქართველურ-თურქულენოვანი კონტაქტების შესწავლის შესაძლებლობას და ქმნის მყარ საფუძველს შემდგომი ფონოტაქტიკური, მორფოლოგიის, მორფოსინტაქსისა და სოციოლინგვისტური შედარებითი კვლევებისათვის.

Abstract

The present dissertation offers a comprehensive investigation of the phonemic system and structural organization of the Qazakh dialect, a variety within the Western group of the Azerbaijani language. The relevance of the topic is determined by the fact that, to date, no scholarly study has examined the phonemic system and structure of this dialect as spoken in Georgia under conditions of sustained and intensive linguistic contact with the non-related Georgian language.

The aim of the research is to analyze the phonemic system and structure of the Qazakh dialect and to identify its distinctive features in relation to Standard (literary) Azerbaijani, other Azerbaijani dialects, and Turkic languages more broadly. The study further seeks to assess the dialect's stability and to clarify its status as an autonomous linguistic variety.

Methodologically, the dissertation is grounded in descriptive and comparative-typological analysis, complemented by an empirical–inductive approach. One of the principal innovations of the work is the experimental examination of phonetic empirical material: using the Praat software, the study conducts acoustic analyses of specific phonemes (via spectrograms and oscillograms). This represents the first such application in the history of research on the Qazakh dialect of Azerbaijani.

Special attention is devoted to the vowel and consonant systems, including allophonic variation, positional (distributional) properties, and acoustic characteristics. The dissertation provides detailed analyses of those sounds and phonetic processes that preserve archaic or dialectal features in the Azerbaijani spoken in Georgia. In parallel, it examines linguistic contacts with Georgian. Azerbaijani–Georgian language contact is shown to manifest not only at the phonetic and phonological levels, but also within the hierarchical domain of morphonology, as well as in the lexicon. The study demonstrates that language processes shaped by long-term cohabitation and a bilingual environment exert a significant influence on the structure of the Qazakh dialect as used in Georgia.

Issues of dialectal differentiation across regions of Georgia are also addressed. By integrating descriptive, comparative, and experimental methods, the research enables the obtained results to be interpreted from both dialectological and typological perspectives. The dissertation's conclusions substantially enrich the empirical and analytical foundation of Azerbaijani dialectology, contribute to the study of Kartvelian–Turkic language contact, and provide a solid basis for further comparative research in phonotactics, morphonology, morphosyntax, and sociolinguistics.

შინაარსი

შესავალი	1
I თავი	12
აზერბაიჯანული ენის ყაზახური დიალექტის ფონემატური	12
სისტემა-სტრუქტურის შესწავლის ისტორია და თანამედროვე ვითარება	12
I. 1. საკითხის შესწავლის ისტორიისათვის	12
I. 2. აზერბაიჯანული ენის ყაზახური დიალექტის ადგილი აზერბაიჯანული ენის დიალექტებს შორის.....	20
I. 3. აზერბაიჯანული ენის ყაზახური დიალექტის ფონემატური სტრუქტურა	32
II თავი.....	34
ხმოვნები აზერბაიჯანულ ენაში	34
II. 1. ხმოვანთა სისტემა სალიტერატურო აზერბაიჯანულ ენაში.....	34
II. 2. ხმოვნები აზერბაიჯანული ენის ყაზახურ დიალექტში	47
II. 2.1. გრძელი ხმოვნები	47
II. 2.2. მოკლე ხმოვნები აზერბაიჯანული ენის ყაზახურ დიალექტში	60
II. 2.3. ვიწრო ხმოვნების სიმოკლე და მეზობლობა ყრუ თანხმოვნებთან აზერბაიჯანული ენის ყაზახურ დიალექტში.....	65
II. 2.4. ნაზალიზებული ხმოვნები აზერბაიჯანული ენის ყაზახურ დიალექტში	66
II. 2.5. აზერბაიჯანული ენის დასავლური ჯგუფის ყაზახური დიალექტის ხმოვანთა ცხრილი.....	68
II. 2.6. დიფთონგები აზერბაიჯანულ ენის ყაზახურ დიალექტში	68
II. 2.6.1. დაღმავალი დიფთონგები	70
II.2.5.2. აღმავალი დიფთონგები	72
III თავი	76
III. 1. თანხმოვნები აზერბაიჯანულ ენაში	76
III.2. გემინატები	90
III. 3. ჯ, x', η, k', c, ჯ თანხმოვნების შესახებ აზერბაიჯანული ენის ყაზახურ დიალექტში	93
IV თავი	113
ფონეტიკური პროცესები	113
IV. 1. ასიმილაცია.....	114
IV. 1.1. თანხმოვნების ასიმილაცია.....	114
IV. 1.1.1. კონტაქტური პროგრესული სრული ასიმილაცია	115
IV. 1.1.2. კონტაქტური პროგრესული ნაწილობრივი ასიმილაცია.....	117

IV. 1.1.3. დისტანციური რეგრესული სრული ასიმილაცია.....	119
IV. 1.1.4. კონტაქტური რეგრესული სრული ასიმილაცია	120
IV. 1.1.5. კონტაქტური რეგრესული ნაწილობრივი ასიმილაცია	122
IV. 1.2. ხმოვნების ასიმილაცია.....	123
IV. 1.2.1. ხმოვნების პროგრესული სრული ასიმილაცია.....	123
IV. 1.2.2. ხმოვნების რეგრესული სრული ასიმილაცია	124
IV. 1.2.3. ხმოვნების პროგრესული ნაწილობრივი ასიმილაცია	126
IV. 1.2.4. ხმოვნების რეგრესული ნაწილობრივი ასიმილაცია	127
IV. 2. დისიმილაცია	128
IV. 2.1.1. ხმოვნების პროგრესული დისიმილაცი	129
IV. 2.2. თანხმოვანთა დისიმილაცია	131
IV. 2.2.1. თანხმოვნების პროგრესული დისტანციური დისიმილაცია.....	132
IV. 2.2.2. თანხმოვნების რეგრესული კონტაქტური დისიმილაცია	132
IV. 2.2.3. თანხმოვნების რეგრესული დისტანციური დისიმილაცია	134
IV. 3. ზგერის ჩართვა.....	136
IV. 3.1. პროთეზა	136
IV. 3.1.1. ხმოვნის პროთეზა	137
IV. 3.1.2. თანხმოვნების პროთეზა	138
IV. 3.2. ეპენტეზა	140
IV. 3.2.1. ხმოვნის ეპენტეზა	141
IV. 3.2.2. თანხმოვნის ეპენტეზა	142
IV. 3.3. ეპიტეზა.....	143
IV. 3.3.2. თანხმოვნის ეპიტეზა.....	144
IV. 4. ზგერის დაკარგვა.....	147
რედუქცია	147
IV. 4.1. ხმოვნის რედუქცია	148
IV. 4.1.1. ხმოვნების რაოდენობრივი ანუ ნაწილობრივი რედუქცია	148
IV. 4.1.2. ხმოვნების სრული რედუქცია.....	150
IV. 4.2. თანხმოვნის რედუქცია	155
IV. 4.2.1. თანხმოვნების ნაწილობრივი რედუქცია.....	155
IV. 4.2.2. თანხმოვნის სრული რედუქცია.....	155
IV. 4.2.2.1. თანხმოვნების სრული რედუქცია ანლაუტში	156
IV. 4.2.2.2. თანხმოვნების სრული რედუქცია ინლაუტში.....	159

IV. 4.2.2.3. თანხმომცემის სრული რედუქცია აუსლაუტში	166
IV. 4.2.3. მარცვლის რედუქცია.....	169
IV. 4.2.3.2. მარცვლის სრული რედუქცია ინლაუტში.....	169
IV. 4.2.3.3. მარცვლის სრული რედუქცია აუსლაუტში	170
IV. 5. მეტათეზისი.....	170
IV. 5.1. კონტაქტური მეტათეზისი	171
IV. 5.1.1. თანხმომცემების კონტაქტური მეტათეზისი	171
IV. 5.1.2. ხმოვნისა და თანხმომცემის კონტაქტური მეტათეზისი	172
IV. 5.2. დისტანციური მეტათეზისი.....	173
IV. 5.2.1. ხმოვნების დისტანციური მეტათეზისი.....	173
IV. 5.2.2. თანხმომცემების დისტანციური მეტათეზისი.....	174
IV. 6. ბგერათმანაცვლება	174
IV. 6.1. ხმოვნების ჩანაცვლება	175
IV. 6.2. სუბსტიტუცია	194
IV. 7. დაყრუება.....	204
IV.8. აფრიკატიზაცია.....	210
IV.9. პალატალიზაცია	213
IV. 10. გასისინებისა და გაშიშინების პროცესები	218
IV.11. დეზაფრიკატიზაცია.....	221
IV.12. გამჟღერება	223
IV.13. სინჰარმონიზმის კანონი.....	226
IV.13.1. სინჰარმონიზმი აზერბაიჯანული ენის ყაზახურ დიალექტში	227
IV.14. მახვილი	235
და ს კ ვ ნ ა.....	237
გ ა მ ო ყ ე ნ ე ბ უ ლ ი ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა.....	240
დანართი 1	249
დანართი 2	250
დანართი 3.....	262
დანართი 4.....	264
დანართი 5.....	266
დანართი 6.....	275

შესავალი

საქართველოში გავრცელებული აზერბაიჯანული ენის დასავლური ჯგუფის ყაზახური დიალექტის კომპლექსური სამეცნიერო შესწავლა დღემდე კვლევის საგანი არ ყოფილა. აღნიშნული დიალექტი ჩამოყალიბდა საქართველოს ტერიტორიაზე ქართულ ენასთან ურთიერთობის საფუძველზე. კვლევა ეფუძნება ლინგვისტური კონტაქტების შემსწავლელ მეთოდოლოგიას.

ტერიტორიული დიალექტების შესწავლას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს შედარებითი ენათმეცნიერებისათვის. აზერბაიჯანული ენის დიალექტოლოგიის წინაშე მდგარ პრობლემათა გადაწყვეტა მჭიდროდ უკავშირდება აღნიშნული ენის ისტორიას, რომელიც აუცილებელია აზერბაიჯანულ ენაში უკვე რეალიზებული და მიმდინარე ენობრივი პროცესების ახსნისათვის. ამიტომ, აუცილებელია აზერბაიჯანული ენის დიალექტების ღრმა და ყოვლისმომცველი შესწავლა. საქართველოში გავრცელებული აზერბაიჯანული ენის ყაზახური დიალექტის შესწავლა წინამდებარე ნაშრომის ფარგლებში ხორციელდება აზერბაიჯანული ენის დანარჩენ დიალექტებთან შედარებით.

აზერბაიჯანული ენის დიალექტებისა და თქმების შესწავლის საკითხი დღესაც აქტუალურია. აზერბაიჯანული ენის ყაზახური დიალექტის შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს აზერბაიჯანული ხალხის მატერიალური და სულიერი კულტურის სრულყოფილად შესასწავლად, რადგან ისტორიული განვითარების გზა, რომელიც აზერბაიჯანელმა ხალხმა გაიარა, ზედმიწევნით აისახება დიალექტებსა და თქმებში და შენარჩუნებულია თანამედროვე ეპოქაში იმ ტერიტორიაზე, სადაც კომპაქტურად არის წარმოდგენილი აზერბაიჯანული ენის ყაზახური დიალექტი. მართებულად აღინიშნება, რომ დიალექტებისა და თქმების შესწავლა სწორედ ენის შესწავლაა. დიალექტური ფაქტორი დიდ როლს ასრულებს როგორც წერილობითი, ასევე ზეპირი წყაროების ენის შესწავლაში.

თანამედროვე აზერბაიჯანული ენა ინარჩუნებს დიალექტურ მრავალფეროვნებას. აზერბაიჯანული ენის ყაზახური დიალექტი ფართოდ გამოიყენება ყოველდღიურ, ყოფით კომუნიკაციაში. საქართველოში ისწავლება აზერბაიჯანული სტანდარტული (ლიტერატული აზერბაიჯანული) ენა, არსებობს და, როგორც აღვნიშნეთ, ყოფაში ფუნქციონირებს აზერბაიჯანული ენის ყაზახური

დიალექტი. იმის მიუხედავად, რომ საქართველოში საშუალო და უმაღლესი განათლების საფეხურებზე ისწავლება სალიტერატურო ნორმირებული აზერბაიჯანული ენა, აზერბაიჯანული ენის ყაზახური დიალექტი განაგრძობს არსებობას და გავლენას ახდენს აზერბაიჯანული ენის ენობრივ იერარქიულ დონეებზე, საერთო ლექსიკაზე, გრამატიკასა და პროსოდიაზე. შედეგად, აზერბაიჯანული ენის ყაზახური დიალექტის გამოყენება კომუნიკაციაში აქტიური რჩება და თანამედროვე საზოგადოებაში ენის პრაქტიკის მნიშვნელოვანი ასპექტია. აზერბაიჯანული ენის დიალექტების შენარჩუნებასა და გამოყენებაში განსაკუთრებულ როლს თამაშობს სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრები აზერბაიჯანელები, მათ შორის საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელები, რომელთა გამოხატვისა და კომუნიკაციის ლინგვისტური ფორმა არის მშობლიური, დიალექტი, კერძოდ, ისინი ეყრდნობიან აზერბაიჯანული ენის ყაზახურ დიალექტს. საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანული საზოგადოება ინარჩუნებს თავის ენობრივ ტრადიციებს და მისი წარმომადგენლები ერთმანეთთან კომუნიკაციისას იყენებენ აზერბაიჯანული ენის დასავლური ჯგუფის ყაზახური დიალექტის სხვადასხვა თქმებს, ესენია:

1. აზერბაიჯანული ენის დასავლური ჯგუფის ყაზახური დიალექტის **დმანისის** თქმა,
2. აზერბაიჯანული ენის დასავლური ჯგუფის ყაზახური დიალექტის **ბოლნისის** თქმა,
3. აზერბაიჯანული ენის დასავლური ჯგუფის ყაზახური დიალექტის **კახეთის** თქმა,
4. აზერბაიჯანული ენის დასავლური ჯგუფის ყაზახური დიალექტის **მცხეთის** თქმა,
5. აზერბაიჯანული ენის დასავლური ჯგუფის ყაზახური დიალექტის **გორის** თქმა.

აზერბაიჯანული ენის ყაზახური დიალექტის კვლევა საქართველოს ტერიტორიაზე მოიცავს აზერბაიჯანული ენის დიალექტებისა და თქმების, ასევე ქცევათა (მაგ., კახეთის თქმის იურმუდანლოს, კაბალის, თელავის, ლაგოდეხის ქცევათა; მცხეთის თქმის აღაიანის, ციხისძირის, კასპის... ქცევათა; ასევე დმანისისა და მარნეულის თქმებისა და ქცევათა) კომპლექსურ შესწავლას.

წანამდებარე ნაშრომის ფარგლებში შესწავლილია აზერბაიჯანული ენის ყაზახური დიალექტის თქმა თა და ქცევათა მრავალფეროვანი სისტემა-სტრუქტურა ფონემატური სისტემა-სტრუქტურის თვალსაზრისით. ზოგადი დაკვირვებითაც ცხადი ხდება, რომ, განსხვავდებით მორფოლოგიური, სინტაქსური და ლექსიკური

სისტემებისაგან, აზერბაიჯანული ენის ყაზახური დიალექტის თქმები ფონემატური სისტემა-სტრუქტურის თვალსაზრისით აჩვენებს სისტემის შედარებით მდგრადობასა და ერთიანობას; შესაბამისად, აზერბაიჯანული ენის ყაზახური დიალექტის ყველა ზემოაღნიშნულ თქმასა და ქცევას შევისწავლით კომპლექსურად და ერთიანად და ვუწოდებთ აზერბაიჯანული ენის ყაზახურ დიალექტს. მხოლოდ იმ შემთხვევებს განვიხილავთ ქცევისა და თქმის დონეზე, სადაც კვლევის შედეგად გამოვლინდა სხვაობა აზერბაიჯანული ენის ყაზახური დიალექტის დანარჩენ თქმებსა და ქცევებთან; ასევე, შესაძლებელია, რომ ეს სხვაობა ვლინდებოდეს სალიტერატურო აზერბაიჯანულ ენასთან და ამავე ენის დანარჩენ დიალექტებთან.

აზერბაიჯანული ენის ყაზახური დიალექტის ფონემატური სისტემა-სტრუქტურის შესწავლისათვის ვიყენებთ ფონემატური სისტემა-სტრუქტურის შესწავლის შესახებ არსებულ ლინგვისტურ თეორიებს, რაც შესაძლებლობას გვაძლევს, განვსაზღვროთ აზერბაიჯანული ენის ყაზახური დიალექტის ფონემატური სისტემა-სტრუქტურის თავისებურებანი სალიტერატურო აზერბაიჯანული ენასთან და აზერბაიჯანული ენის დანარჩენ დიალექტებთან მიმართებაში და ასევე აზერბაიჯანული ენის ყაზახურ დიალექტთან კონტაქტში მყოფ სალიტერატურო ქართულ ენასა და ქართული ენის ქართლურსა და კახურ დიალექტებთან მიმართებაში.

თანამედროვე ენათმეცნიერებაში მრავალი დიალექტოლოგიური კვლევა ტარდება, იქმნება დიალექტური ლექსიკონები და ატლასები, თუმცა ტერმინებს *დიალექტი* და *თქმა* ჯერ კიდევ არა აქვთ ზუსტი და ცალსახა განმარტება. ამის მიუხედავად, წინამდებარე ნაშრომში მკვეთრად არის გამიჯნული „დიალექტი“, „თქმა“ და „ქცევა“ განსაზღვრული ლინგვისტური პარამეტრებით.

როგორც აღვნიშნეთ, საქართველოში აზერბაიჯანული ენა გავრცელებულია ამავე ენის ყაზახური დიალექტის სახით. აზერბაიჯანული ენის ფუნქციონირების სფეროები განსაზღვრულია საქართველოში აზერბაიჯანული ენის სტატუსით. ვინაიდან საქართველოში აზერბაიჯანული ენის ფუნქციონირების ძირითადი სფეროა ოჯახი, სკოლა და მიკრო სოციუმები, ჭარბობს მეტყველების ზეპირი ფორმები, მცირდება აზერბაიჯანულ ენასა და ამავე ენის ყაზახურ დიალექტს შორის განსხვავებები, ფუნქციური კრიტერიუმში ხდება შეუსაბამო ან მისი აქტუალობა

მნიშვნელოვნად მცირდება. საქართველოში აზერბაიჯანელ სოციალურ ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური კრიტერიუმები განსვავებულად არის სტრუქტურირებული.

თემის აქტუალობა: აზერბაიჯანული ენის ყაზახური დიალექტის ფონემატური სისტემა-სტრუქტურის შესწავლა დღემდე არ განხორციელებულა. ამ თვალსაზრისით საკვლევი თემა არის აქტუალური. წინამდებარე ნაშრომში პირველად იქნება ფართოდ და სისტემატურად შესწავლილი არამონათესავე ენობრივ გარემოში, საქართველოში, მოქცეული აზერბაიჯანული ენის ერთ-ერთი დიალექტი (ყაზახური), რომლის თქმები და კილოები ქცევებითურთ ზოგიერთ შემთხვევაში წარმოდგენილია ტერიტორიულად საქართველოს სხვადასხვა რაიონში და, ამავდროულად, ამ სხვადასხვა ტერიტორიაზე აზერბაიჯანული ენის ყაზახური დიალექტის თქმები და ქცევები კომპაქტურადაა წარმოდგენილი, რაც ხელს უწყობს ამ ლინგვისტური ერთეულების სიცოცხლისუნარიანობას, მიუხედავად აზერბაიჯანული ენის ფუნქციური სფეროების სივიწროვისა, რაც შეპირობებულია აზერბაიჯანული ენის სტატუსით საქართველოში.

სამეცნიერო ლიტერატურაში აზერბაიჯანული ენის ყაზახური დიალექტი ხასიათდება, როგორც აზერბაიჯანული ენის ერთ-ერთი დიალექტი, რომელმაც შემოინახა აზერბაიჯანული ენის სისტემა-სტრუქტურის მრავალი საინტერესო ენობრივი მოვლენა სხვადასხვა იერარქიულ დონეზე. ნაშრომში პირველად არის წარმოდგენილი აზერბაიჯანული ენის ყაზახური დიალექტის ფონეტიკური მახასიათებლების შესახებ მეცნიერული კვლევა.

საქართველოში მცხოვრებ აზერბაიჯანელთა მეტყველების თავისებურებათა შესწავლის ერთ-ერთი გზა ამ დიალექტის ემპირიულ მასალაზე დაკვირვებაა. კერძოდ, საინტერესოა, რა ცვლილებებს განიცდის აზერბაიჯანული ენის ყაზახური დიალექტი და რამდენად ინარჩუნებს ამ ენისათვის დამახასიათებელ თავისებურებებს.

მიუხედავად იმისა, რომ აზერბაიჯანული და ქართული ენები ფუნქციონირებდა და ვითარდებოდა მე-20 საუკუნეში რუსული ენის გავლენის კონტექსტში, აზერბაიჯანულმა ენამ (საუბარია საქართველოში გავრცელებულ აზერბაიჯანულ ენაზე), ისევე, როგორც ქართულმა, შეინარჩუნა ფონეტიკური თავისებურებები, გრამატიკული სტრუქტურა და ლექსიკა. ენობრივი კონტაქტები იყო იმდენად ინტენსიური, ბევრი ნასესხები სიტყვა იმდენად მყარად დამკვიდრდა ადგილობრივ

აზერბაიჯანელთა ლექსიკურ ფონდში, რომ მათ აზერბაიჯანულენოვანი მოსახლეობა მას აღიქვამს აზერბაიჯანულად, ვიდრე ნასესხებად.

აზერბაიჯანული ენის ყაზახური დიალექტის ენობრივი თავისებურებების შედარება სალიტერატურო აზერბაიჯანული ენის თავისებურებებთან შესაძლებლობას გვაძლევს, განვსაზღვროთ აზერბაიჯანული ენის ყაზახური დიალექტის ადგილი, დავადგინოთ ფუნქციური და სემანტიკური მნიშვნელობა აზერბაიჯანული ენის დიალექტებისა და თქმების ფონემატურ სისტემაში ზოგადად.

ნაშრომში დასმულია რიგი საკითხებისა და მოცემულია ამ საკითხთა მეცნიერული გადაჭრის გზები; ესენია:

1. აზერბაიჯანული ენის დასავლური ჯგუფის ყაზახური დიალექტის ფონეტიკური თავისებურებების სისტემური და სინქრონული აღწერა სალიტერატურო აზერბაიჯანულ ენასთან მიმართებით, ზოგიერთ შემთხვევაში აზერბაიჯანული ენის სხვა დიალექტებთან შედარება-შეპირისპირების გზითაც.

2. აღნიშნული დიალექტის ზოგიერთი მახასიათებელი შედარებულია ასევე სხვა თურქულ ენებთან.

3. საქართველოში აზერბაიჯანული მეტყველების სპეციფიკური ფონეტიკური მახასიათებლების აღწერა და ამ ფონემათა ექსპერიმენტული შესწავლა.

4. ფონეტიკური პროცესები აზერბაიჯანული ენის ყაზახურ დიალექტში.

ნაშრომის **სიახლეს წარმოადგენს:**

სადისერტაციო ნაშრომი სამეცნიერო ლიტერატურაში პირველად წარმოგვიდგენს აზერბაიჯანული ენის ყაზახური დიალექტის ფონემატური სისტემა-სტრუქტურის აღწერას, იძლევა ფონეტიკური მოვლენების შესაძლო კვალიფიკაციას. განიხილება მეტყველების თავისებურებანი, სპეციფიკური მეტყველების დამახასიათებელი ბგერები და სრულად არის აღწერილი ხმოვანთა და თანხმოვანთა სისტემა, რომელიც შედარებულია თანამედროვე აზერბაიჯანული სალიტერატურო ენის ფონემატურ სისტემასთან.

კვლევის მიზანია შესწავლილ იქნეს აზერბაიჯანული ენის დასავლური ჯგუფის ყაზახური დიალექტის ფონემატური სისტემა-სტრუქტურა; აზერბაიჯანული ენის სხვა დიალექტების, ასევე სხვა თურქული ენების ფონემატური სისტემების აზერბაიჯანული ენის ყაზახურ დიალექტთან შედარების საფუძველზე გამოიკვეთოს

აზერბაიჯანული ენის ყაზახური დიალექტის ფონემატური სისტემა-სტრუქტურის თავისებურებანი; ამ სისტემის „ჩამოყალიბების“ ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური ფაქტორების გათვალისწინებით განისაზღვროს აზერბაიჯანული ენის ყაზახური დიალექტის ფონემატური სისტემა-სტრუქტურის შემდგომი განვითარების გზები.

კვლევის ერთ-ერთი მიზანია აზერბაიჯანული ენის ყაზახური დიალექტის ემპირიული მასალის ექსპერემენტული შესწავლა, რაც დღემდე არ ჩატარებულა.

კვლევის მიზანი არის აზერბაიჯანული ენის ყაზახური დიალექტის ჩამოყალიბება და განვითარება არამონათესავე ენის, კერძოდ, ქართულის, როგორც იბერიულ-კავკასიური ენის, გარემოცვაში. ცალკე კვლევის საგნად წინამდებარე ნაშრომში არ გაგვიხდია არეალური ლინგვისტიკის საკითხების კომპლექსური კვლევა, მაგრამ კონკრეტულ შემთხვევაში გვერდი ვერ ავუარეთ ორი განსხვავებული ენის შეხვედრის საკითხებს და ქართული ენის გავლენას აზერბაიჯანულ ენის ყაზახურ დიალექტზე. უნდა აღინიშნოს, რომ აზერბაიჯანული ენის ყაზახური დიალექტი ყალიბდება ქართულ ენასთან ლინგვისტური კონტაქტით.

ნაშრომი გარკვეულ წვლილს შეიტანს აზერბაიჯანული ენის დიალექტოლოგიის შესწავლის საქმეში და სტიმულს მისცემს აღნიშნულ საკითხთა შემდგომ კვლევებს სხვადასხვა მიმართულებით.

სადისერტაციო ნაშრომში გამოყენებული ემპირიული მასალა ეყრდნობა ჩემ მიერ ჩატარებულ კვლევას. კვლევაში დამეხმარნენ ჩემი სტუდენტები, მათი მშობლები, ნათესავები, რომლებიც არიან საქართველოს სხვადასხვა სოფლების მაცხოვრებლები და ბევრი მაგალითი მოძიებულია „მარნეული ტვ-ის“ ინტერვიუებიდან, რომლებიც შეიცავენ ცოცხალი მეტყველების, ან ცოცხალ მეტყველებასთან ძალიან დაახლოებულ მაგალითებს. რესპოდენტები იყვნენ, ძირითადად, საშუალო და მხცოვანი ასაკის ადამიანები. რესპოდენტებისადმი იყო თხოვნა, რომ ჩაწერის დროს ესაუბრათ მათ მშობლიურ ენაზე და არა სალიტერატურო აზერბაიჯანულ ენაზე. ბუნებრივია, რომ ზოგ შემთხვევაში რესპოდენტები ღელავდნენ და საუბარი იყო კონტროლირებადი, მაგრამ სრულად არა, რადგან მშობლიური ენის კოდი ყოველთვის თავს იჩენს საუბრისას. ნაწილი მასალისა, ამოღებულია სხვადასხვა ტიპის სასწავლო სახელმძღვანელოებიდან.

კვლევის შედეგების **თეორიული მნიშვნელობა** მდგომარეობს იმაში, რომ ჩატარებული კვლევა ხელს უწყობს აზერბაიჯანული ენის დასავლური ჯგუფის ყაზახური დიალექტის ბგერათა სისტემის, ფონეტიკური მოვლენების სპეციფიკის უფრო ღრმად გააზრებას. ანალიზის შედეგები ლინგვისტებმა შეიძლება გამოიყენონ აზერბაიჯანული სალიტერატურო ენისა და დიალექტების გრამატიკის საკითხების შესასწავლად.

კვლევის **პრაქტიკული ღირებულება**: ნაშრომში წარმოდგენილი შედეგების გამოყენება შესაძლებელია:

1. აზერბაიჯანული ენის ნორმატიული და ისტორიული გრამატიკული წერისას;
2. აზერბაიჯანული ენის დიალექტოლოგიური და ეტიმოლოგიური ლექსიკონების შედგენისას;
3. აზერბაიჯანული დიალექტოლოგიის კურსის შესწავლისას, აგრეთვე სკოლების, პედაგოგიური დაწესებულებების, სახელმძღვანელოებების შედგენისას და სპეციალური კურსების შემუშავებისას;
4. აზერბაიჯანული ენის ყაზახური დიალექტის პროსოდის მახასიათებლები ექსპერიმენტის აუდიო და ვიზუალური შედეგებით;
5. აზერბაიჯანული ენის ყაზახური დიალექტის ფონემატური სისტემა-სტრუქტურის შესახებ კვლევა მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ზოგადად აზერბაიჯანული ენის სისტემა-სტრუქტურის შესწავლაში. აზერბაიჯანული ენა გულისხმობს - აზერბაიჯანულ სალიტერატურო ენასა და დიალექტებს ერთობლივად. გასათვალისწინებელია, რომ ენობრივი პროცესები თავისუფალი ანუ ნორმებისაგან შეუზღუდავი არის სწორედ დიალექტებში და არა ნორმირებულ სალიტერატურო აზერბაიჯანულ ენაში. ამ თვალსაზრისით, აზერბაიჯანული ენის ყაზახური დიალექტი, როგორც აზერბაიჯანის ფარგლებს გარეთ გავრცელებული ცოცხალი ლინგვისტური სისტემა, ამდიდრებს მთლიანად აზერბაიჯანულ ენას და მის ენობრივ იერარქიულ დონეებს.

ნაშრომში გამოყენებულია ფონემატური სისტემა-სტრუქტურის **კვლევის მეთოდები**, ფონემატური სისტემის აღწერილობითი და შედარებითი ანალიზი, რომელიც გვაძლევს შესაძლებლობას გამოვლინდეს აზერბაიჯანული ენის დასავლური ჯგუფის ყაზახური დიალექტის თავისებურებები. შესწავლილი

დიალექტებისა და სალიტერატურო აზერბაიჯანული ენის ენობრივი ერთეულების შედარებითი ანალიზი მიზნად ისახავს დიალექტის ყველაზე სპეციფიკური თავისებურებების გამოვლენას.

კვლევის რაოდენობრივი მეთოდები - კვლევაში გამოყენებული იყო ემპირიული მასალის სისტემატიზაციისათვის განსაზღვრული მეთოდები (დაკვირვების მეთოდი), რაოდენობრივი (კვალტიტატიური) და თვისებრივი (კვალიტატიური) ანალიზის მეთოდები, სტატისტიკური მეთოდი, ასევე მონაცემთა ინტერპრეტაციის მეთოდი. საქართველოს აზერბაიჯანული მოსახლეობის ენის ფონეტიკური შესწავლის პრიორიტეტული მეთოდოლოგიური პრინციპი იყო ემპირიულ-ინდუქციური.

ჩამწერ მოწყობილობად გამოყენებულ იქნა ჩამწერი მოწყობილობები „გნომი“, „ზუმი“ და ტელეფონები. აუდიოჩანაწერები კონვერტორის საშუალებით გადაყვანილი იყო .WAV ან .mp3 ფორმატებში. ფონოგრამები გაანალიზდა კომპიუტერული პროგრამა Praat-ის¹ (version 6.4.27) მეშვეობით, რომელიც მეტყველებისა და ფონეტიკის მეცნიერული ანალიზისათვის არის სპეციალურად შექმნილი. მაღალმგრძნობიარე SONY-ის ფირმის ყურსასმენებით ისმინებოდა თითოეული ჩანაწერი და გამოიყო ყველა ის სიტყვა, რომელშიც შესაძლებელი იყო ჩვენთვის საინტერესო თანხმობების გაანალიზება. შემდგომ ეს სიტყვები ამოიჭრა კომპიუტერული პროგრამა Adobe Audition-ისა და Sis-ის მეშვეობით და უფრო ვიწროდ მოხდა ამა თუ იმ ბგერის გამოვლენა. ამ ბგერების აუდიოვერსია იქნება წარმოდგენილი ცალკე დანართის სახით (იხ. დანართი). შემდეგ კვლავ პროგრამა Praat-ის გამოყენებით ამოჭრილ სიტყვებზე მოხდა დაკვირვება ბგერების ოსცილოგრამულ და სპექტრულ გამოსახულებაზე, რადგან ვიზუალურად

¹ Praat-ი წარმოადგენს კომპიუტერულ პროგრამას მეტყველებისა და ფონეტიკის მეცნიერული ანალიზისთვის. მისი შემქმნელები არიან პოლ ბოერსმა (Paul Boersma) და დავიდ ვეენინკი (David Weenink). შეიქმნა ამსტერდამის უნივერსიტეტში. იგი გამოიყენება მეტყველების აკუსტიკური სიგნალების ანალიზისა და რეკონსტრუქციისათვის. ეს პროგრამა აანალიზებს, ახდენს მეტყველების სინთეზირებასა და მართვას. ამ პროგრამის საშუალებით შესაძლებელია მაღალი ხარისხის ვიზუალური ილუსტრაციების დართვა ბგერითი გამოსახულების წარმოსადგენად. აუდიოფაილებს ამუშავებს .WAV, AIFF, FLAC და ა. შ. ფორმატებში Adobe Audition-ი (ყოფილი Cool Edit Pro) - აუდიორედაქტორი, მწარმოებელი ფირმა Adobe. სრულფუნქციური ხმის რედაქტირების პროგრამა, რომელიც შექმნილია ხმის ანალიზისათვის. მას შეუძლია სრულად გაშალოს და გვაჩვენოს ბგერითი მონახაზი. ასუფთავებს ზედმეტი ხმაურისა და ხარვეზებისაგან დაბალი ხარისხის აუდიოჩანაწერებს.

მოგვეხდინა დაკვირვება აზერბაიჯანული ენის ყაზახური დიალექტის სპეციფიკურ თანხმონებზე.

ნაშრომში გამოყენებულია ტექნიკური საშუალებები, რაც შესაძლებლობას გვაძლევს სიღრმისეულად იქნეს შესწავლილი აზერბაიჯანული ენის ყაზახური დიალექტის ფონემატური სისტემა-სტრუქტურა და პროსოდიის საკითხები.

ნაშრომში აზერბაიჯანულ ენაზე მოყვანილი საილუსტრაციო მასალა გადმოცემულია ლათინური ტრანსკრიფციით. ტრანსკრიპირების დროს ვეყრდნობით ჩემ მიერ შედგენილ „აზერბაიჯანული ენის ბგერითი სისტემის ქართულად ტრანსკრიფცია-ტრანსლიტერაციის სახელმძღვანელო წესებს“. ამ წესთა სახელმძღვანელო შესრულებულია სახელმწიფო ენის დეპარტამენტის დაკვეთით განხორციელებული პროექტის ფარგლებში, და მისი ნახვა შესაძლებელია სახელმწიფო ენის დეპარტამენტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე: <http://enadep.gov.ge>. „აზერბაიჯანული ენის ბგერითი სისტემის ქართულად ტრანსკრიფცია-ტრანსლიტერაციის სახელმძღვანელო წესების ადაპტირებული ვარიანტი“ (იხ. დანართი 6). ნაშრომში გამოყენებულია „წელიწლეულში“ გამოყენებული იბერიულ-კავკასიურ ენათა ტრანსკრიფცია (იხ. დანართი 3).

საკვლევი მასალა მოვიძიეთ და გადავამოწმეთ რამდენიმე წყაროს დახმარებით:

1. ემპირიული მასალა ამოღებულია მარნეული TV-ის ინტერვიუებიდან (2015 წლიდან დღემდე).
2. აზერბაიჯანული ენის სასწავლო რესურსებიდან:
 1. აბასოვა რ. – „აზერბაიჯანული ენის ყუბადლის თქმები“ (2006)
 2. აზიზოვი ე. – აზერბაიჯანული ენის დიალექტოლოგიის ისტორია, ბაქო, (1999)
 3. „აზერბაიჯანული ენის ისტორიული დიალექტოლოგია“ (1999)
 4. ალიევი ა. – „აზერბაიჯანული ენის მეგრის თქმები“ (2003)
 5. ასადოვა ს. – „აზერბაიჯანული ენის ბორჩალის თქმები“, (2014)
 6. ახუნდოვი ად. – აზერბაიჯანული ენის ფონეტიკა, ბაქო, (1984)
 7. ბაირამოვი იბ. – აზერბაიჯანული დიალექტოლოგია, ანკარა, (2022)
 8. დემირჩიზადე აბ. – თანამედროვე აზერბაიჯანული ენა, ფონეტიკა, I ნაწილი, ბაქო, (2007)
 9. ვალიევი ა. – „აზერბაიჯანული ენის დიალექტოლოგია“, (1975)

10. ვალიევი ა. - „გარდამავალი დიალექტების მორფოლოგია და სინტაქსი“, (1975)
 11. ისლამოვი მ. ი. - „ნუხის დიალექტი“ (1968), (დისერტაცია)
 12. იუსიფოვი მ. - აზერბაიჯანული ენის ფონეტიკის საფუძვლები, ბაქო, (2012)
 13. მამადლი მ. - „აზერბაიჯანული დიალექტოლოგია“, ბაქო, (2019)
 14. მამადლი მ. - „აზერბაიჯანული ენის თავრიზული დიალექტი“, (2008)
 15. რუსტამოვი რ. ა. - „ყუბის დიალექტი“, (1961)
 16. ფაშაევი გ. - „ქარქუთული დიალექტის ფონეტიკა“, (2003)
 17. ქერიმოვი შ. - „აზერბაიჯანული ენის ჩემბერეჯისა და ქარვანსარას დიალექტი“, (2004)
 18. შირალიევი მ. - „ბაქოს დიალექტი“, (1957)
 19. შირალიევი მ. - „აზერბაიჯანული ენის დასავლური ჯგუფის დიალექტები და თქმები“, ბაქო, (1967)
 20. შირალიევი მ. - „აზერბაიჯანული დიალექტოლოგიის საფუძვლები“, ბაქო, (2008)
 21. ჩოზანოვი მ. - „ბორჩალოური დიალექტების ლექსიკა“, (1998)
 22. ხალილი ა. - აზერბაიჯანულ-ქართული ლექსიკონი, ბაქო, (2015)
 23. ჯალილოვი ფ. - აზერბაიჯანული ენის ბგერითი შედგენილობა, ბაქო, (1983)
 24. ჯანგიძე ვ. ტ. - „აზერბაიჯანული ენის ყაზახური დიალექტის დმანისური თქმა“, (1965)
 25. ჰუსეინოვი ა. - „აზერბაიჯანული ენის დიალექტოლოგია“, (1958)
3. 2014 წლიდან დღემდე ემპირიულ მასალას ვამუშავებთ ჩვენ მიერ ჩაწერილი ინტერვიუების საფუძველზე. ინტერვიუებში მონაწილეობენ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მცხოვრები აზერბაიჯანული წარმომავლობის რესპონდენტები. რესპოდენტთა ასაკი მერყეობს 20 წლიდან 80 წლამდე. ისინი მეტყველებენ აზერბაიჯანული ენის დასავლური ჯგუფის ყაზახურ დიალექტზე.
- საველე სამუშაოები ვაწარმოეთ შემდეგი მიმართულებით:
- საქართველოს აზერბაიჯანულენოვან რესპონდენტთა ყოველდღიურ მეტყველებაზე დაკვირვებით;
 - სხვადასხვა ტიპის კითხვარების გამოყენების საშუალებით;

- სხვადასხვა დავალებების საშუალებით (სტუდენტების მიერ დიალექტიზმების შეგროვება, წარმოთქმულ სიტყვებზე დაკვირვება);
- მოკლე ინტერვიუების გზით.

I თავი

აზერბაიჯანული ენის ყაზახური დიალექტის ფონემატური სისტემა-სტრუქტურის შესწავლის ისტორია და თანამედროვე ვითარება

I. 1. საკითხის შესწავლის ისტორიისათვის

აზერბაიჯანული ენის დიალექტები და თქმები ყოველთვის იწვევდა ენათმეცნიერთა ინტერესს. აზერბაიჯანული ენის დიალექტების შესახებ წერდნენ, როგორც თავად აზერბაიჯანელი, ასევე მეცნიერები საბჭოთა სხვა ქვეყნებიდან და დასავლური სამეცნიერო წრეებიდან.²

აზერბაიჯანული დიალექტოლოგია, როგორც ლინგვისტური კვლევის მიმართულება, შედარებით ახალია. მ. მამადლი წერს: „აზერბაიჯანული ენის დიალექტების სისტემური შესწავლა XX საუკუნიდან დაიწყო“ [Məmmədli, 2011:12-13]. აზერბაიჯანული ენის დიალექტების შესწავლით დაინტერესდა მეცნიერთა ნაწილი და აზერბაიჯანული ენის დიალექტების შესახებ დღეს მოგვეპოვება არაერთი მნიშვნელოვანი სამეცნიერო კვლევა და ნაშრომი. აჰმედ ჯაფაროღლუ თურქოლოგიის საფუძვლიანად შესწავლისათვის, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს აზერბაიჯანული ენის საკითხებს და გამოყოფს, აზერბაიჯანული ენის მკვლევრის, მუჰამედ ალი მირზა ქაზიმბეის ნაშრომს. იგი წერს: „იმ დროს, როცა თურქული ენის კვლევა საწყის ეტაპზე იყო და როცა აზერბაიჯანული ენის შესახებ არავის ჰქონდა ინფორმაცია, მირზა ქაზიმბეიმა სამეცნიერო კვლევისათვის აირჩია იგი, აზერბაიჯანული ენა, და აზერბაიჯანულ თქმათა შესწავლასთან ერთად შექმნა თურქული ენის პირველი შედარებითი გრამატიკა“.³ აზერბაიჯანული ენის დიალექტებისა და თქმების შესახებ პირველი სამეცნიერო კვლევები იქმნება 1839 წელს, ყაზანში. მირზა მაჰმუდ ქაშგარიმ თავისი ნაშრომით „თურქულ-თათრული

² K. Foy. *Azerbajġanische Studien mit einer Charakteristik des Südtürkischen*. – MSOS VI, Abth. II (1903), გვ. 126-193; MSOS VII (1904) გვ. 197-205; H. Ritter. *azerbejdšchanische Texte sur nordpersischen Volksunde*. – “*Der İslam*”, XI (1921), გვ.185-212; *Quatrains populaires de İ Azerbaidjan. Recueillis, transcritset traduits par M-me O. Chatskaya. avecintroduction de N.K. Dmitriev*. – *Ja CCXII* (1928), გვ. 228-265; N.K. Dmitriev. *Zur azerbajdschanischen Dialektforschung*. – *WZKM XXXVIII* (1931), გვ.241-248; Djeyhoun Bey Hadjibeyli. *Le dialecte et le folklore du Karabagh (Azerbajan du Caucase)*. – *Ja CCXXII* (1933), გვ. 31-144; H. S. Szapszal. *Proby literatury ludowej Turkow z Azerbajdzani perskiego*. *Polska Akademia Umiejtnosci, Prace Komisji Orientalistycznej*, N 18, Krakow, 1935.

³ Cəfəroġlu A. *Seçilmiş əsərlər* / A. Cəfəroġlu. – Bakı, 2008 – s. 408) - Джафəроġлы А. Избранные произведения / А. Джафəроġлы. – Баку, 2008. – 408 с. (на азерб.языке))

ენის ზოგადი გრამატიკა“ გადამწყვეტი როლი ითამაშა თურქული ენის ისტორიის შესწავლაში. პროფესორი მირზა ქაზიმბეი თავის ნაშრომში „თურქულ-თათრული ენის ზოგადი გრამატიკა“⁴ გვამღევს საყურადღებო ინფორმაციას აზერბაიჯანული ენის ყუბის დიალექტისა და დერბენტის თქმებში არსებულ უღლებებზე. ასევე, აქვე ვეცნობით სამხრეთ აზერბაიჯანის დიალექტებსა და თქმებში არსებულ განსხვავებებს. ეს წიგნი ფასდაუდებელი აღმოჩნდა თურქული ენების ისტორიის შესწავლისათვის. ზემოხსენებულ ნაშრომში, მირზა ქაზიმბეიმ პირველად სამეცნიერო სამყაროში, განიხილა აზერბაიჯანული ენა, როგორც ერთ-ერთი თურქული ენათაგანი და მან პირველმა დაიწყო თურქული დიალექტების შედარებითი შესწავლა. მართალია, ავტორმა ნაშრომში, უფრო მეტი ყურადღება დაუთმო ყაზანის თათრების ენის განხილვას, ვიდრე მის მშობლიურ აზერბაიჯანულს, მაგრამ, ფაქტია, მირზა ქაზიმბეიმ პირველმა მეცნიერულ დონეზე, დაიწყო თურქული ენების შედარებითი კვლევა.

XIX საუკუნეში, მირზა ქაზიმბეის გარდა, მირზა ალი ბადკუბიმაც განიხილა აზერბაიჯანული ენის ცალკეული დიალექტებისა და თქმების მახასიათებლები. მოგვიანებით, კ. ფოიუნმა 1903 და 1904 წლებში ბერლინში სამეცნიერო კრებულში „Mitteilungen des Seminars für Orientalische Sprachen“ (MSOS) VI და VII ნომრებში „სამხრეთ თურქული მახასიათებლების შესახებ აზერბაიჯანულ ეტიუდებში“ გამოაქვეყნა ორი სტატია, რომლებშიც მოგვცა თავრიზული, ურმიისა და ნაწილობრივ ერზურუმის თქმების ანალიზი ⁵ [Şirəliyev, 1967:14; Məmmədli, 2011:12]. კარლ ფოიმ თავისი კვლევა სამხრეთ აზერბაიჯანულ დიალექტებზე გააკეთა ამ ტერიტორიებიდან შეგროვებული ფოლკლორული მასალების საფუძველზე. ამიტომაც მისი კვლევა ატარებს შეზღუდულ ხასიათს.

ცნობილი აზერბაიჯანელი მეცნიერი ფირიდუნ ბეი ქოჩარლი თავის ფუნდამენტურ ნაშრომში „აზერბაიჯანული ლიტერატურა“ (1908) წერს აზერბაიჯანული დიალექტებისა და თქმების კლასიფიკაციაზე. მან 1908 წელს შეიმუშავა კლასიფიკაციის პირველი, ხოლო 1911 წელს - საბოლოო ვერსია: „აზერბაიჯანული თურქები შედგებიან შემდეგი რეგიონებისგან: შექი, შირვანი,

⁴ Казем-Бек М. Общая грамматика турецко-татарского языка. — Казань: Университетская типография, 1839. — 336 с.

⁵ იხ. პირველი ორი სტატია

სალიანი, ბაქო, განჯა, ყაზახი, ყარაბაღი, ერევანი და ნახიჩევანი, რომლებიც მდებარეობენ ამიერკავკასიის აღმოსავლეთ და სამხრეთ ნაწილში, ასევე ირანის ჩრდილო-აღმოსავლეთში მცხოვრები ხალხი. აქ ყოველ რაიონში მოსახლეობა საუბრობს სხვადასხვა დიალექტზე და უცნაური აქცენტით. თითოეულ სამეზობლოსა და დასახლებას აქვს თავისებური ტერმინები და სიტყვები. ყარაბაღისა და ყაზახის მოსახლეობა განსხვავდება, შექის ხალხი თავისებურია, შირვანის, სალიანის, ბაქოს და ყუბის მოსახლეობა სხვანაირად საუბრობს, ხოლო ერევნის, ნახიჩევანის, თავრიზის, ხოის და მაკუს რაიონების მოსახლეობას აქცენტი არ აქვს“ [Köçerli, 2005 : 51].

აზერბაიჯანული დიალექტების მეცნიერული და სისტემატური შესწავლა 1920 წლიდან იწყება.

აზერბაიჯანული დიალექტოლოგიის შესწავლაში უნდა აღინიშნოს ნ. ი. აშმარინის წვლილი, იგი, XX საუკუნის დასაწყისში მიიწვიეს აზერბაიჯანის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ასევე იგი იყო „აზერბაიჯანის შემსწავლელი საზოგადოების“ წევრი. 1924 წელს აზერბაიჯანის შემსწავლელი და მკვლევარი საზოგადოების სახელით ნ. ი. აშმარინმა მოამზადა პროგრამა და ინსტრუქციები აზერბაიჯანული ხალხური ენის ლექსიკონის შედგენისათვის. მოგვიანებით მან დაწერა სტატია „აზერბაიჯანულ-თურქული თქმების ლექსიკონის კრებულის შესახებ“ [Aşmarin, 1924:33-34]. იგი არაერთხელ ეწვია შექის, სადაც, ადგილობრივ დიალექტთან დაკავშირებით აგროვებდა მასალას და 1926 წელს გამოსცა სამეცნიერო ნაშრომი სათაურით: „ქალაქ ნუხას⁶ ხალხური თურქული თქმის ზოგადი მიმოხილვა“.⁷ ამ ნაშრომის დამსახურებით სამეცნიერო წრეებში გაჩნდა აზერბაიჯანული დიალექტების მონოგრაფიული კვლევები, სადაც აღწერს შექის დიალექტის ფონეტიკურ და მორფოლოგიურ მახასიათებლებს. ა. დემირჩიზადე ამასთან დაკავშირებით წერს: „პროფესორმა აშმარინმა ამ ნაშრომში მეტი ადგილი დაუთმო ფონეტიკურ და მორფოლოგიურ თავისებურებების აღწერას. ლექსიკასა და სინტაქსურ ნაწილებს ამ ნაშრომში, შეიძლება ითქვას, არ აქვს ადგილი. მიუხედავად ამ ძირითადი ნაკლისა ეს ნაშრომი იყო პირველი და ყველაზე ეფექტური ნაბიჯი დიალექტების შესწავლაში“ [Dəmirçizadə, 1947:168]. ამავე წელს გამოქვეყნდა ი. ჰასანოვის ნაშრომი:

⁶ ნუხა - დღევანდელი შექი.

⁷ ნიკოლაი ივანის ძე აშმარინი - ცნობილი რუსი მეცნიერი თურქოლოგი, ჩუვაშური ენისა და კულტურის სპეციალისტი

„არსებითი სახელების უღლება (თქმაში, რომელსაც ხმარობს განჯის მკვიდრი მოსახლეობა, კუთვნილებითი აფიქსის გარეშე)“. ზუსტად ამ პროგრამის ინსტრუქციით 1930 წლამდე მკვლევრებმა შეაგროვეს დაახლოებით 60 000 დიალექტური ერთეული. ამ კვლევის შედეგი იყო „აზერბაიჯანული თურქული ხალხის დიალექტების ლექსიკონის“ - «Словаря азербайджанских тюркских народных наречий». პირველი ორი ტომის გამოცემა. პირველი ტომი (ეძღვნებოდა ა ბგერას) გამოქვეყნდა 1930 წელს, ხოლო მეორე ტომი (ეძღვნებოდა ბ ბგერას) - 1931 წელს.

1930-იანი წლების დასაწყისში დაიწყო მუშაობა აზერბაიჯანული დიალექტებისა და თქმების მონოგრაფიულ შესწავლაზე. მაგრამ რეპრესიებმა და მეორე ომის დაწყებამ შეანელა კვლევითი მუშაობა.

1933 წელს აზერბაიჯანის რეგიონებში, კერძოდ, შამახაში და ყუბაში (1933-1934 წწ) და ზაქათალა-კახში ჩატარდა ექსპედიციები. მნიშვნელოვანი იყო ა. ბაბაზადეს ექსპედიცია, რომელიც აზერბაიჯანსა და სომხეთში იკვლევდა აირუმების დიალექტს. მაგრამ მოულოდნელი სიკვდილის გამო ნაშრომი დარჩა დაუმთავრებელი. 1939-1940 წწ. იყო შეგროვილი ფართო მასალა ბაქოს დიალექტზე. ზუსტად ასეთ დროს ახალგაზრდა და ნიჭიერი დიალექტოლოგი მ. შირალიევი თავის საქმიანობას დიალექტოლოგიის განვითარებისაკენ მიმართავდა. ომის დროს, 1942 წელს, მ. შირალიევმა გამოსცა წიგნი „აზერბაიჯანული დიალექტოლოგია“ (I ტომი), იმავე წელს დაიცვა დისერტაცია. მისი სამეცნიერო ნაშრომის თემა იყო „ბაქოს დიალექტი“. მოგვიანებით - 1949 წელს⁸ ამავე სათაურით გამოქვეყნდა მონოგრაფია. 1964 წელს აზერბაიჯანის მეცნიერებათა აკადემიამ პირველად გამოსცა ერთტომეული „აზერბაიჯანული ენის დიალექტოლოგიური ლექსიკონი“.

40-იან და 50-იან წლებში აზერბაიჯანში ახალგაზრდა მეცნიერთა თაობა იყო ჩართული აზერბაიჯანული დიალექტებისა და თქმების მასალების შეგროვებაში. ყოველ წელს ექსპედიცია იგეგმებოდა აზერბაიჯანის სხვადასხვა რეგიონში, რათა სრულად შესწავლილიყო აზერბაიჯანული ენის დიალექტები და თქმები. ექსპედიციები იყო ზაქათალაში, კახში (1945 წ)⁹, საბირაბადში, ალიბაირამლიში,

⁸ М. Ш. Ширалиев. Баки диалекти, Баки, 1949, 1957.

⁹ М.Ш. Ширалиев. Предводительные итоги диалектологической экспедиции в Закатальский и Кахский районы, экспедиции Академии наук Азербайджанской ССР в 1945 г. Баку, 1947

სალიანში, პუშკინში¹⁰, შამახაში, აქსუში, მარაზიში, ისმაილიში, გეოგრაიში, ვართაშენში და კუთკაშენში; ნახიჩევანში (1950-1956 წწ.)¹¹. „1940 წლიდან 1956 წლამდე, 16 წლის განმავლობაში, ჩვენი რესპუბლიკის რეგიონებში მოეწყო 15-ზე მეტი დიალექტოლოგიური ექსპედიცია. ამ ექსპედიციების დროს აზერბაიჯანული ენის დიალექტების შემსწავლელმა სამეცნიერო ჯგუფმა დაახლოებით 500 სოფლის ემპირიული მასალა შეისწავლა“ [Qasimov, 1957:206]. 1956-1958 წწ. დიალექტოლოგიური ექსპედიციები ჩატარდა: აღსტაფის, ყაზახის, თოვუზისა და საქართველოში მარნეულის (ბორჩალოს) რაიონებში. შედეგად მოჰყვა 1967 წელს გამოქვეყნებული ნაშრომი „აზერბაიჯანული ენის დასავლური თემის დიალექტები და თემები“.¹²

1953 წელს რ. რუსტამოვმა პროგრამაში „აზერბაიჯანული ენის დიალექტოლოგია“ ბორჩალოს თემები (საქართველოში გავრცელებული დიალექტი) დასავლურ ჯგუფს მიაკუთვნა. XX საუკუნის მეორე ნახევარში ბორჩალოს თემების შესასწავლად პირველი ექსპედიცია ნასიმის სახ. ინსტიტუტის ენისა და ლიტერატურის მეცნიერებმა წამოიწყეს. ექსპედიციის შედეგად 1967 წელს გამოქვეყნდა მონოგრაფია: „აზერბაიჯანული ენის დასავლური ჯგუფის დიალექტები და თემები“.¹³

ასევე ამ პერიოდში აზერბაიჯანული ენის დიალექტებსა და თემებს იკვლევდნენ სხვადასხვა ავტორები.¹⁴

¹⁰ საბირაზადის, ალიბაირამლის, სალიანის, პუშკინის რეგიონებში შედეგი იყო ის, რომ დაიბეჭდა: Azərbaycan dilinin Muğan qrupu şivələri, Bakı, 1955

¹¹ Azərbaycan dilinin Naxçıvan qrupu dialekt və şivələri. Bakı. 1962

¹² Azərbaycan dilinin qərb qrupu dialekt və şivələri. Bakı. 1967

¹³ Azərbaycan dilinin qərb qrupu dialekt və şivələri. Azərb. SSR EA nəşriyyatı, Bakı, 1967

¹⁴ R. Rustamov. Quba dialekti. Bakı. 1961; B.T. Джангидзе «Дманиский говор казахского диалекта азербайджанского языка». Баку. 1965; M. İslamov. Azərbaycan dilinin Nuxa dialekti. Bakı. 1968; A. Vəliyev. Azərbaycan dialektologiyasına aid materiallar. Bakı. 1960; İ.Hacıyev. İsmayılı rayonu şivələri. Bakı. 1948 (ხელნაწერი); B. İbrahimov. Mərzə rayonu şivələri. Bakı. 1949 (ხელნაწერი); A. Vəliyev. Apşeron yarımadasının qərb rayonu şivələri. Bakı. 1952 (ხელნაწერი); K. Ramazanov. Azərbaycan dilinin Salyan dialekti. Bakı. 1956 (ხელნაწერი); P.A. Ağayev. Azərbaycan dilinin Qarabağ dialekti (Ağdam rayonu şivələri) Moskva. 1954 (ხელნაწერი); H.Q. Cəfərov. Tavus rayonu şivələri. Moskva. 1952 (ხელნაწერი); Z. M. Vəliyev. Ermənistan SSR-nin Basarkeçər rayonu Azərbaycan şivələri. Yerevan, 1955 (ხელნაწერი); İ.M. Mamedov. Azərbaycan dilinin Qaryakin şivələri. Moskva. 1958 (ხელნაწერი); A. Hüseynov. Vartaşen rayonu şivələri. Moskva. 1952 (ხელნაწერი); T. Həməzəyev. Ordubad rayonu şivələri. Bakı. 1959 (ხელნაწერი); Ə. Cəfərli. Azərbaycan dilinin Qazax dialekti. Bakı. 1961. (ხელნაწერი); T. Hacıyev. Azərbaycan dilinin Cəbrayıl şivəsi. Bakı. 1962 (ხელნაწერი); B. Sadıqov. Azərbaycan dilinin Gədəbəy rayonu şivələri. Bakı. 1964 (ხელნაწერი); R. Rüstəmov. Azərbaycan dili dialekt və şivələrində fel. Bakı, 1965; S.M. Behbudov. Azərbaycan dilinin Zəngilan şivəsi. Bakı. 1966. (ხელნაწერი); S.M. Mollazadə. Azərbaycan SSR-in Qax rayonu şivələri. Bakı. 1966. (ხელნაწერი); Q.Ə. Bağırov. Ermənistan SSR-

საქართველოში აზერბაიჯანელები ცხოვრობენ გარდაბანში (გარაიაზი), მარნეულში, დმანისში (ბაშქეჩი) და ბოლნისის უმეტეს რაიონში. ამავდროულად, ათასობით აზერბაიჯანელი ცხოვრობს საქართველოს მცხეთის, კასპის, საგარეჯოს, ლაგოდეხის, კაჭრეთის, თელავის, თეთრი წყაროს (აღბულადი), წალკის ტერიტორიებზე, ასევე ქალაქებში - თბილისსა და რუსთავში [Çobanov, 1972:104].

1928 წელს ი. ჰასანოვმა აზერბაიჯანული ენის ყაზახურ დიალექტზე პირველად შეაგროვა ემპირიული მასალა, შეისწავლა ამ დიალექტის ფონეტიკური მახასიათებლები და გამოსცა წიგნი „აზერბაიჯანულ-თურქულ ენაში დიალექტების შესახებ“.¹⁵

მოგვიანებით, 1950-1952 წლებში ქართველი თურქოლოგი ვ. თ. ჯანგიძე მივლინებაში იმყოფებოდა დმანისის მუნიციპალიტეტის სოფლებში: ყიზილქილისეში, ორმაშენში, ბაღჩალარში, გაიალიანში, კიროვსა და დალარში. იგი აგროვებდა ფოლკლორულ მასალებს.

ავტორთა ჯგუფი 1956-1958 წლებიდან მუშაობდა აზერბაიჯანული ენის დასავლურ დიალექტზე და კვლევის შედეგად 1967 წელს გამოიცა ნაშრომი „აზერბაიჯანული ენის დასავლური ჯგუფის დიალექტები და თქმები“ (პირველი ტომი), რომელიც მოიცავს აღსტაფის, ყაზახის, თავუზის, საქართველოს ბორჩალოურის (მარნეული) რეგიონებში ექსპედიციის დროს შეგროვებული მასალებს. წიგნის ავტორებია მ. ს. შირალიევი (ფონეტიკა), რ. ა. რუსტამოვი (მორფოლოგია), ა. ჰ. ველიევი (სინტაქსი და შესავალი ლექსიკოლოგიაში), ქ. თ. რამაზანოვი (ლექსიკა), თ. ბ. ჰამზაევი და რ. ა. ქერიმოვი (ტექსტები).¹⁶

აზერბაიჯანული ენის დიალექტების შესწავლა ამავე დიალექტების თქმების ემპირიული მასალის საფუძველზე სპეციალური კვლევების საგანი გახდა 1960-იანი წლებიდან. ამ მიმართულებით დაცულია საკანდიდატო და სადოქტორო

nin Sisyan rayonu Azərbaycan şivələri. Bakı.1966. (ხელნაწერი); B.B. Əhmədov. Mingəçevir ətrafı şivələri. Bakı. 1967. (ხელნაწერი); M.M. Cəfərzadə. Azərbaycan dilinin İmişli rayonu şivələri Bakı. 1969. (ხელნაწერი); A.B. Məcidova. Azərbaycan dilinin Lənkaran şivəsi. Bakı. 1970. (ხელნაწერი); Q. Paşayev. Kərkük dialektinin fonetikasi. Bakı. 1969. (ხელნაწერი); A. Vəliyev. Azərbaycan dilinin keçid şivələri. Bakı. 1975. (ხელნაწერი); Ə. Ağayev. Azərbaycan dilinin Cəlilabad rayonu şivələri. Bakı. 1975. (ხელნაწერი); Ş. Kərimov. Ermənistan SSR-nin Krasnosel və İcevan rayonu Azərbaycan şivələri Bakı. 1972. (ხელნაწერი); M.İ. İslamov. Azərbaycan dalekt və şivələrində əvəzlilər. Bakı.1973. (ხელნაწერი).

¹⁵ İ. Həsənov, «Azərbaycan-türk dili dialektləri haqqında», Bakı, 1928

¹⁶ "Azərbaycan dilinin qərb qrupu dialektləri və şivələri" (I cild), Azərbaycan SSR Elmlər Akademiyası nəşriyyatı, Bakı, 1967.

დისერტაციები, გამოიცა მონოგრაფიები. ამ ნაშრომებს შორის გამოვყოფთ და გ.ვ. თუშმალიშვილის „გარდაბნის აზერბაიჯანული თქმების თავისებურები“ (1972)¹⁷ და მ.ნ. ჩობანოვის სადისერტაციო ნაშრომი „ბოლნისის მხარის დიალექტების ლექსიკა“ (1973 წ.). 1997 წელს გამოქვეყნდა ამავე ავტორის მონოგრაფია სახელწოდებით „ბორჩალოს დიალექტების ლექსიკა“.¹⁸

ორივე ნაშრომი ეხება საქართველოში გავრცელებულ აზერბაიჯანული ენის დიალექტებსა და თქმებს. ამ კვლევებს შორის ასევე შეიძლება აღინიშნოს ვ. ჯანგიძის მიერ დაწერილი ჯერ დისერტაცია, მოგვიანებით კი გამოცემული მონოგრაფია „აზერბაიჯანული ენის ყაზახური დიალექტის დმანისური თქმა“.¹⁹

1981 წელს თ. ა. გარაევმა დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „საქართველოს სსრ-ში აზერბაიჯანული თქმების უძველესი თურქული ენობრივი ფენის ისტორიულ-ლინგვისტური ანალიზი“.²⁰

ასე გრძელდებოდა კვლევა აზერბაიჯანის სხვადასხვა დიალექტებისა და თქმების შესწავლაზე როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე გარეთაც. 60-იან წლების ბოლოს ოთხივე (აღმოსავლური, დასავლური, სამხრული, ჩრდილოური) და გარდამავალი დიალექტების შესწავლა იყო დამთავრებული. ოთხივე დიალექტური ჯგუფის შედარებითმა ანალიზმა მ. შირალიევს მისცა საშუალება გაეკეთებინა შემაჯამებელი დახასიათება თავის მონოგრაფიაში „აზერბაიჯანული დიალექტოლოგიის საფუძვლები“.²¹

აზერბაიჯანული დიალექტებისა და თქმების კვლევა გაგრძელდა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგაც. ამ დროს იყო გამოქვეყნებული შემდეგი შრომები: ე. აზიზოვის „აზერბაიჯანული ენის ისტორიული დიალექტოლოგია“ (1999); ა. ალიევის „აზერბაიჯანული ენის მეგრის თქმები“ (2003); შ. ქერიმოვის „აზერბაიჯანული ენის ჩემბერეკისა და ქარვანსარას თქმა“ (2004); „ერაყულ-

¹⁷ Г.В. Тушмалишвили. Особенности говора азербайджанцев Гардабанского района. Издательство Тбилисского Университета. 1972

¹⁸ Çobanov M.Ş. “Bolnisi rayon şivələrinin leksikası”. Təhsil, Bakı, 1997.

¹⁹ Джангидзе В.Г. Дманисский говор Казахского диалекта Азербайджанского языка. Изд-во Академии Наук Азербайджанского ССР, Баку; 1965

²⁰ Гараев Т.А. Историко-лингвистический анализ древнетюркского лингвистического пласта в Азербайджанских говорах Грузинской ССР, Автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата филологических наук. Баку, 1981.

²¹ M. Şirəliyev. Azərbaycan dialektologiyasının əsasları. Bakı. 1962, 1968.

თურქმენული დიალექტი“ (რამდენიმე ავტორი; 2004); რ. აბასოვას „აზერბაიჯანული ენის ყუბადლის თქმები“ (2006); „აზერბაიჯანული ენის დიალექტოლოგიური ლექსიკა“ (2007); მ. მამადლის „აზერბაიჯანული ენის თავრიზული დიალექტი“ (2008); „აზერბაიჯანული ენის დერბენტის დიალექტი“ (ავტორთა კოლექტივი; 2009); ი. ბაირამოვის „დასავლური აზერბაიჯანის თქმების ლექსიკა“ (2011).²²

აზერბაიჯანული დიალექტოლოგიის მეორე მიმართულება იყო ლინგვისტური გეოგრაფია. აზერბაიჯანის რესპუბლიკის ენათმეცნიერების ინსტიტუტის თანამშრომლებმა 1968 წელს დაიწყეს მასალის შეგროვება. დღეისათვის დიალექტური ატლასის დამზადება დამთავრებულია. ატლასი შედგება 128 რუკისაგან, ყველას თან ახლავს დაწვრილებითი განმარტებები. რუკებზე აისახება დიალექტების ფონეტიკური, გრამატიკული და ლექსიკური ნიშნები, გაიმიჯნა მათი საზღვრები, რაც მნიშვნელოვანია ენის ისტორიის შესწავლისთვის. ატლასი ასევე იძლევა წარმოდგენას აზერბაიჯანის ტერიტორიაზე ოლუზური და ყივჩაღური შტოების მახასიათებლების გავრცელების შესახებ.²³ თუმცა ძალიან სამწუხაროა, რომ შემდეგი რეგიონების - გოიჩეს, ბორჩალოს, დერბენტის, ზანგეზურის, ვედის, მეგრის, ფემბეჯის, ყარაყოიუნლისა და აღბაზას - ქალაქებისა და სოფლების მოსახლეობის მეტყველება აღნიშნულ ატლასში არ არის შეტანილი. თუ ეს მეტყველებები აზერბაიჯანულ ენას მიეკუთვნება, „დიალექტოლოგიურ ატლასში“ აუცილებლად უნდა იყოს ასახული. მომავალ გამოცემებში ეს გარემოება აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული. 2015 წელს კი ნახიჩევანის ავტონომიური რესპუბლიკის დიალექტოლოგიური ატლასიც მომზადდა და მეცნიერებისათვის ხელმისაწვდომად იქცა.

დიალექტოლოგიის მესამე მიმართულება - დიალექტოლოგიური ლექსიკოგრაფიაა. 1964 წელს გამოიცა პირველი დიალექტური ერთტომეული „აზერბაიჯანული ენის დიალექტოლოგიური ლექსიკონი“, წარმოდგენილი სრულად

²² E. Əzizov. „Azərbaycan dilinin tarixi dialektologiyası“. Bakı universiteti. Bakı. 1999; Ə. Əliyev. „Azərbaycan dilinin Məğri şivələri“. Bakı. Elm. 2003; Kərimov Ş.M. „Azərbaycan dilinin Çənberək və Karvansaray şivələri“, Bakı.Nurlan, 2004; İraq-türkman ləhcəsi. (kollektiv). Bakı. Elm. 2004; Abbasova R. „Azərbaycan dilinin Qubadlı şivələri“. Çinar-Çap. Bakı. 2006; Azərbaycan dilinin dialektoloji lüğəti. Bakı. Şərq-Qərb. 2007; Məmmədli M. „Azərbaycan dilinin Təbriz dialekti“. Bakı. Zərdabi. 2007; Azərbaycan dilinin Dərbənd dialekti. Bakı. Elm. 2009; Bayramov İb. „Qərbi Azərbaycan şivələrinin leksikası“. Bakı. Elm və təhsil. 2011; Bayramov İb. „Azərbaycan dili şivələrinin fonetikasi“. Bakı. Elm və təhsil. 2016

²³ Azərbaycan dilinin dialektoloji atlası. Bakı. Elm. 1990

აზერბაიჯანული ანბანის თანამიმდევრობით; ლექსიკონი მოიცავს ყველა ასოს. ამ ლექსიკონის ბაზაზე შემდგომ შეიქმნა სამტომეული დიალექტური ლექსიკონი.²⁴

ყველა ეს ნაშრომი უდავოდ წარმოადგენს ღირებულ მასალას აზერბაიჯანული დიალექტოლოგიის აქტუალური საკითხების შემდგომი კვლევებისათვის. უნდა აღინიშნოს, რომ ზემოხსენებულ ნაშრომებში წარმოდგენილი მასალები არასაკმარისია აზერბაიჯანული ენის ცალკეული დიალექტების ფონეტიკური სისტემის, გრამატიკული სტრუქტურისა და ლექსიკური მახასიათებლების შესახებ სრული ცოდნის მისაღებად.

აზერბაიჯანული ენის ყაზახური დიალექტის შესწავლისას აღმოჩნდა, რომ ეს დიალექტი განსხვავდება სალიტერატურო აზერბაიჯანული ენისაგან და, შესაბამისად, იწვევს დიდ ინტერესს. აზერბაიჯანული ენის ყაზახური დიალექტი მრავალი მახასიათებლით იგი გასხვავდება როგორც სალიტერატურო აზერბაიჯანული დიალექტისაგან, ასევე სხვა დიალექტებისაგან.

I. 2. აზერბაიჯანული ენის ყაზახური დიალექტის ადგილი აზერბაიჯანული ენის დიალექტებს შორის

აზერბაიჯანული ენის დიალექტთა კლასიფიკაციისათვის

აზერბაიჯანული ენის **დიალექტთა კლასიფიკაციის** საკითხი დღემდე აქტუალურია. წინამდებარე ნაშრომი ეხება აზერბაიჯანული ენის ყაზახური დიალექტის მხოლოდ ფონემატურ სისტემა-სტრუქტურას. აღნიშნული კვლევა იძლევა საშუალებას - ვუწოდოთ მას ყაზახური დიალექტი, რომელსაც თქმებისა და ქცევების მასალის მიხედვით აქვს ერთიანი ფონემატური სისტემა და ეს სისტემა განსხვავდება აზერბაიჯანული ენის სხვა დიალექტების ფონემატური სისტემისაგან. წინამდებარე ნაშრომის კვლევის საგანს არ წარმოადგენს არც მორფოლოგია და არც სინტაქსი, არადა, დიალექტად კლასიფიცირებისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს ოთხივე ლინგვისტურ დონეს (ფონეტიკა, მორფოლოგია, სინტაქსი, ლექსიკა). მიუხედავად იმისა, რომ ნაშრომში აზერბაიჯანული ენის ყაზახური დიალექტის

²⁴ Azərbaycan dilinin dialektoloji lüğəti. Bakı. 1964

მხოლოდ ფონემატური სისტემაა განხილული, როგორც ადვნიშნით, კვლევა იძლევა შესაძლებლობას - გარკვეულ, კონკრეტულ (ზემოჩამოთვლილ) თქმათა და ქცევათა ერთიანობას ვუწოდოთ ერთი დიალექტი ერთიანი ფონემატური სისტემით, კერძოდ, აზერბაიჯანული ენის დასავლური ჯგუფის ყაზახური დიალექტი. ზოგადად, ცნობილია, რომ ფონემატური სისტემა, მორფოლოგიური და სინტაქსური სისტემისგან განსხვავებით, შედარებით ნელა იცვლება. ლექსიკა საერთოდ ღია სისტემაა და ყველაზე ჩქარა იცვლება. აზერბაიჯანული ენის ყაზახური დიალექტის ფონემატური სისტემის შესწავლა მართალია, არასაკმარისია სისტემური თვალსაზრისით დიალექტად კლასიფიკაციისათვის (საჭიროა მორფოლოგიის, სინტაქსისა და ლექსიკის სისტემათა შესწავლა), მაგრამ კვლევის შედეგად გამოვლინდა ერთიანობა აზერბაიჯანული ენის ყაზახური დიალექტის თქმებისა და ქცევების მიხედვით ფონემატურ სისტემაში და ეს სისტემა განსახვავდება დანარჩენი დიალექტების ფონემატური სისტემებისაგან, მიუხედავად იმისა, რომ ზოგადად, ფონემატური სისტემა ერთი ენის დიალექტებს შორის უნდა გვამლევედეს ერთიანი ფონემატური სისტემის სურათს. რა თქმა უნდა, ისმის კითხვა - რატომ? რა არის ამგვარი ცვლილების მიზეზი? ჩვენი დაკვირვებით, აზერბაიჯანული ენის ყაზახური დიალექტის ტერიტორიული დაშორება აზერბაიჯანული ენის სხვა დიალექტებისაგან, ამ დიალექტზე მოსაუბრე სოციუმის ჩაკეტილობა თავისთავში და განსაზღვრული ენობრივი კონტაქტები, შეპირობებული ადათ-წესებით, კონკრეტულ შემთხვევაში გენდერული ნიშნითაც კი და სხვა ექსტრალინგვისტური ფაქტორებით იწვევს ყაზახური დიალექტის ფონემატური სისტემა-სტრუქტურის დაშორებას და, შესაბამისად, განსხვავებას აზერბაიჯანული ენის სხვა დიალექტებისაგან. მიზანშეწონილია გეოლინგვისტიკისა და სტრატეფიკაციის მეთოდოლოგიითაც იქნეს შესწავლილი აზერბაიჯანული ენის ყაზახური დიალექტის თავისებურებანი.

დიალექტებად კლასიფიკაციის საკითხი პრობლემურად რჩება არამხოლოდ თურქული ენებისათვის, არამედ სხვა მონათესავე ენათა ოჯახებისათვის, რადგანაც ენათა დივერგენციის პროცესი გულისხმობს სწორედ ფუძეენის დიალექტებად დაშლასა და განფენას განსხვავებულ ტერიტორიებზე ახალი ლინგვისტური კონტაქტებით, რომლებიც ასევე შეაპირობებენ ამა თუ იმ დიალექტის ენობრივ თავისებურებებს. ენათა სტრატეფიკაციული (სუბსტრატი, სუპერსტრატი, ადსტრატი)

შესწავლა იძლევა შესაძლებლობას, განვსაზღვროთ დიალექტის ლინგვისტური მახასიათებლები, საერთო და განსხვავებული სხვა დიალექტებთან.

აზერბაიჯანული ენა ახალი დამწერლობის მქონე ენაა (გასული საუკუნის 20-იანი წლებიდან), აზერბაიჯანული ენის დიალექტები ვითარდება სალიტერატურო დიალექტის (ბაქოს დიალექტი) პარალელურად, როგორც დამოუკიდებელი ერთეულები. სალიტერატურო აზერბაიჯანული ენის ენობრივი სტანდარტები რიგი მიზეზების გამო არ იყო გათვალისწინებული სხვადასხვა დიალექტზე მოსაუბრეთა ყოფასა და ცხოვრებაში, განსაკუთრებით სალიტერატურო აზერბაიჯანულისაგან განცალკევებული დარჩა აზერბაიჯანული ენის დასავლური ჯგუფის ყაზახური დიალექტი, რომელიც ტერიტორიულადაც იყო და არის დაშორებული სალიტერატურო აზერბაიჯანულისაგან. ამასთანავე, აზერბაიჯანული ენის ყაზახური დიალექტი გავრცელებულია არა აზერბაიჯანის, არამედ საქართველოს ტერიტორიაზე, სადაც მოქმედებს სხვა სახელმწიფო ენის პრინციპები, თუმცა აზერბაიჯანული ენის ფუნქციონირება არასდროს შეზღუდულა. ამის მიუხედავად, აზერბაიჯანული ენის ინარჩუნებს რიგ შემთხვევაში ზემოჩამოთვლილ, შედარებით ჩაკეტილი საზოგადოების ნიშნებს.

განვიხილავთ აზერბაიჯანული ენის დიალექტებისა და თქმების ზოგიერთ სახელწოდებას, კერძოდ, ვაანალიზებთ აზერბაიჯანული ენის დიალექტების დასავლური ჯგუფისათვის სახელების მინიჭების თავისებურებებს. გენეტიკური მახასიათებლებიდან გამომდინარე, აზერბაიჯანული ენა იყოფა ორ შტოდ (თავდაპირველად - დიალექტად): ოღუზური (დიალექტებისა და თქმების დასავლური და სამხრული ჯგუფები) და ყივჩაღური (დიალექტებისა და თქმების აღმოსავლური და ჩრდილოური ჯგუფები).²⁵

აზერბაიჯანული ენის დიალექტების კლასიფიკაციის საკითხით ბევრი მკვლევარი დაინტერესდა. აზერბაიჯანულის ენის თითქმის ყველა მკვლევარი-მეცნიერი გვაძლევს აზერბაიჯანული ენის დიალექტების კლასიფიკაციას. მათ შორის არის ყველაზე ცნობილი და აზერბაიჯანულ სამეცნიერო წრეში მიღებულია მ.

²⁵ Языки Российской Федерации и соседних государств. Энциклопедия в 3-х томах. — М.: Наука, 1997. — Т. 1.

შირალიევის²⁶ კლასიფიკაცია. მის მიერ წარმოდგენილი აზერბაიჯანული ენის დიალექტების კლასიფიკაცია იყო აზერბაიჯანული დიალექტებისა და კილოების შესწავლის პირველი მცდელობა, სადაც დიალექტები დაჯგუფებული იყო ფონეტიკური, ლექსიკური და გრამატიკული თავისებურებების მიხედვით. მან დიალექტთა კლასიფიკაცია წარმოადგინა როგორც სისტემა, სადაც განსაზღვრავს, კონკრეტული დიასისტემა რატომ ქმნის ქვესისტემას. აზერბაიჯანული ენის დიალექტების კლასიფიკაცია მ. შირალიევმა ისტორიულ-გეოგრაფიულ პრინციპზე დაყრდნობით გააკეთა. ამ კლასიფიკაციის მიხედვით აზერბაიჯანული ენის დიალექტები იყოფა ოთხ ძირითად ჯგუფად:

- 1) **აღმოსავლური** (ბაქოს, დერბენტის, ყუბისა და შამახის დიალექტები);
 - 2) **დასავლური** (ყარაბაღის, განჯის, ყაზახისა და აირუმის დიალექტები);
 - 3) **ჩრდილოეთის** (შექის, ზაქათალა-კახის დიალექტები);
 - 4) **სამხრული** - ნახიჩევანის, თავრიზის, ორდუბადისა და ერევნის დიალექტები (ყოფილი - ჩ. შენ.), რომელთაგან თითოეულში მან გამოყო დიალექტებისა და თქმების ჯგუფები და 3 შერეული (გარდამავალი) დიალექტი:
- 1) **გოქჩაის** (აღმოსავლური და დასავლური დიალექტების საერთო მახასიათებლები);
 - 2) **აღდაშის დიალექტი** (აღმოსავლური და ჩრდილოური საერთო მახასიათებლები)
 - 3) **ჯებრაილის დიალექტი** (დასავლური და სამხრული ჯგუფების საერთო მახასიათებლები) [Ширалиев, 2010:36–37].

გენეტიკური პრინციპის საფუძველზე მ. შირალიევმა აზერბაიჯანული ენა დაყო ათ დიალექტურ და ხუთი თქმის ჯგუფად [«Вопросы диалектологии тюркских языков, 1960). ნ. კ. დმიტრევი წერდა: „მ. შირალიევს სამართლიანად შეიძლება ეწოდოს აზერბაიჯანული დიალექტოლოგიის ფუძემდებელი, რომელიც დგას თანამედროვე მეცნიერების დონეზე“ [Ширалиев, 1969:21].

მ. შირალიევის კლასიფიკაცია არ არის ერთადერთი და უნიკალური, რა თქმა უნდა, აქვს თავისი ნაკლიც. თავის დროზე ზოგიერთმა მეცნიერმა დაინახა და გააკრიტიკა ეს ნაკლოვანებები (მ. ჰუსეინზადე, ა. ჰუსეინოვი დ ა. შ.). მათი აზრით, ის

²⁶ გამოჩენილმა აზერბაიჯანელმა ენათმეცნიერმა, თურქოლოგმა მ. შირალიევმა შექმნა აზერბაიჯანული დიალექტოლოგიის სკოლა, რ. რუსთამოვი, ა. ალიევი, ბ. იბრაჰიმოვი, ა. ჰუსეინოვი, მ. ისლამოვი, ტ. ჰაჯიევი, ს. ბეჰზუდოვი, ბ. სადიგოვი, ბ. აჰმადოვი, ე. აზიზოვი, მ. მამადლი აზერბაიჯანული ენის დიალექტებისა და თქმების შესახებ ფასდაუდებელი შრომები აქვთ და აზერბაიჯანული დიალექტოლოგიისაში დიდი ღვაწლი აქვთ შეტანილი.

სრულყოფილად ვერ ასახავს აზერბაიჯანულ ენას. სინამდვილეში, ამ მხრივ, მართლაც, არსებობდა გარკვეული ხარვეზები. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მ. შირალიევის კლასიფიკაცია მოიცავდა მხოლოდ იმ აზერბაიჯანულ დიალექტებს და კილოებს, რომლებიც 1960-იან წლებამდე იყო შესწავლილი. მ. შირალიევის კლასიფიკაციის ნაკლოვანებებზე საუბრისას, ძირითადად, შეიძლება აღინიშნოს შემდეგი თვალსაჩინო მაგალითები:

- მ. შირალიევის კლასიფიკაციაში მოცემულია მხოლოდ აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული დიალექტები, მაგრამ სხვა ტერიტორიებზე გავრცელებულ დიალექტებს ნაკლებად ეხება.
- ამიტომ, ამ კლასიფიკაციაში ვერ მოხვდა დერბენტისა და სალიანის კილოები, ერაყელი თურქმენების მეტყველება, დასავლეთი აზერბაიჯანისა და ირანში არსებული მრავალი სხვა კილო. დერბენტისა და სალიანის თქმები 1947 წლის კლასიფიკაციაში მ. შირალიევს ჰქონდა შეტანილი, მაგრამ შემდგომ (1960 წ.), საბოლოო ვერსიაში, კლასიფიკაციიდან ეს ორი თქმა ჰქონდა ამოღებული. ჩვენს შემთხვევაში დასტურად შეგვიძლია დავასახელოთ კახეთის რეგიონში, კერძოდ, საგარეჯოს, ლაგოდეხისა და თელავის რაიონებში გავრცელებული აზერბაიჯანული ენა, რომლის დიალექტების შესახებაც მ. შირალიევს არაფერი აქვს ნათქვამი.

მ. ერგინი აზერბაიჯანული ენის გავრცელების არეალს ასე განსაზღვრავს: „აზერბაიჯანული ენის გავრცელების სივრცე გეოგრაფიის თვალსაზრისით მოიცავს აღმოსავლეთ ანატოლიას, ჩრდილოეთ კავკასიას, კავკასიის აზერბაიჯანს, ირანის აზერბაიჯანს, ქერქუქს, აგრეთვე ერაყისა და სირიის თურქების მეტყველებას“ [Ergin, 1971:8].

მთლიანობაში, მიუხედავად გარკვეული ნაკლოვანებებისა, მ. შირალიევის კლასიფიკაცია აზერბაიჯანული დიალექტოლოგიის ისტორიაში პირველ მნიშვნელოვან მცდელობას წარმოადგენს და მან აზერბაიჯანული ენის დიალექტოლოგიის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა. მისი მეცნიერული სიახლე ასევე მნიშვნელოვანი გამოცდილება აღმოჩნდა ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მცხოვრები თურქულენოვანი ხალხებისთვის. სწორედ ამ პრაქტიკის საფუძველზე ხორციელდებოდა ამ ხალხების დიალექტებისა და

კილოების ჯგუფებად დაყოფაც, რაც საფუძვლად დაედო მათ დიალექტური სისტემის შემდგომ კლასიფიკაციას.

ნ. ზ. გაჯიევა,²⁷ მ. შირალიევის მსგავსად, აზერბაიჯანულ ენას ყოფს დიალექტების ოთხ ჯგუფად [Гаджиева, 1966:66-67]. სხვა აზერბაიჯანულ დიალექტებსა და თქმებს შორის ლექსიკის, ფონეტიკისა და გრამატიკის თვალსაზრისით, მკვეთრად გამოირჩევა ქვემოკატრუხული დიალექტი, რომელიც სოფელ ქვედა კატრუხში (დაღესტანი) არის წარმოდგენილი, მკვეთრად გამოხატული ლაკური სუბსტრატით. დაღესტანში მცხოვრები თერექემეების დიალექტი ახლოსაა ყუბისა და შამახის დიალექტებთან [Гаджиева, 1990:27].

ა. ჰუსეინოვი „აზერბაიჯანული ენის დიალექტოლოგია“²⁸ (მეორე გამოცემაში) აზერბაიჯანული ენის დიალექტებს ყოფს სამ ჯგუფად: **1) დასავლური** (ყაზახური, ყარაბახური, განჯის, ბორჩალოს (საქართველო), ერევნისა და აირუმის თქმები); **2) აღმოსავლური** (ბაქოს, ყუბის, შამახის, მუღანის თქმები); **3) სამხრული** ჯგუფი (ნახიჩევანის, ორდუბადის, თავრიზისა და ქერქუთის თქმები [Hüseynov, 1979:16-17, 43, 57]. მაგრამ ამ კლასიფიკაციაში შექის თქმა არსად არ ჩანს.

ე. აზიზოვმა მეცნიერულად დაასაბუთა, რომ გარკვეული ეტაპისათვის მ. შირალიევის კლასიფიკაცია მისაღებია, მაგრამ, ზოგადად, აზერბაიჯანული ენის დიალექტების სრული სურათის წარმოსადგენად ამ კლასიფიკაციას აქვს მთელი რიგი ხარვეზები. ე. აზიზოვის აზრით, ა. ჰუსეინოვის კლასიფიკაცია ყველაზე სწორი კლასიფიკაციაა [Əzizov, 1999:299]. „თანამედროვე აზერბაიჯანული ენა ისტორიულად სამი ძირითადი (ჩრდილო-აღმოსავლური, დასავლური, სამხრული) დიალექტის შერწყმის შედეგად არის ფორმირებული. ამ დიალექტების ურთიერთკავშირის შედეგად ჩამოყალიბდა ძირითად დიალექტებს შორის გარდამავალი (შერეული, შუალედური) დიალექტები“ [Əzizov, 1999 : 277-278].

აზერბაიჯანულ ენათმეცნიერებაში ხანგრძლივი პაუზის შემდეგ აზერბაიჯანული ენის დიალექტების კლასიფიკაციის საკითხს ხელახლა დაუბრუნდა ელბრუს აზიზოვი თავის წიგნში „აზერბაიჯანული ენის ისტორიული

²⁷ ნინელი ზაინაღის ასული გაჯიევა - საბჭოთა ენათმეცნიერი-აღმოსავლეთმცოდნე, თურქოლოგი-კომპარავისტი. ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი.

²⁸ A. Hüseynov, Azərbaycan dilinin dialektoloqiası, 1979

დიალექტოლოგია“ (1999 წელს). მან აზერბაიჯანული ენის დიალექტების ალტერნატიული კლასიფიკაცია შეიმუშავა.

ამასთან დაკავშირებით ე. აზიზოვი წერს, რომ მისი აზერბაიჯანული ენის კლასიფიკაცია დაფუძნებულია ტერიტორიულ პრინციპზე... „და ძირითადი დიალექტების ფორმირება დაკავშირებულია ფიზიკურ-გეოგრაფიულ ფაქტორებთან, კერძოდ, სამ მთავარ რეგიონთან: არაქსის მარცხენა სანაპიროზე და არაქსის სამხრეთით (სამხრეთი დიალექტი); არაქსსა და მტკვარს შორის მდებარე ტერიტორიაზე; აგრეთვე ჩრდილოეთით (ჩრდილო-აღმოსავლეთი დიალექტი), რომლის ჩამოყალიბებაც ეტაპობრივად მიმდინარეობდა XVIII საუკუნემდე [Əzizov, 1999:283].

ელბრუს აზიზოვმაც, ისევე როგორც მისმა წინამორბედებმა, აზერბაიჯანული დიალექტები და თქმები დაყო ადგილობრივი პრინციპების საფუძველზე, მათი სპეციფიკური ფონეტიკური, გრამატიკული და ლექსიკური თავისებურებების მიხედვით.²⁹ მკვლევარს აზერბაიჯანული ენის დიალექტთა კლასიფიკაციაში შეტანილი აქვს ყველა ის დიალექტი, რომელიც გავრცელებულია არა მხოლოდ აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტერიტორიაზე, არამედ მის გარეთაც, მაგალითად, დერბენტში, ერაყში, საქართველოში³⁰ და ა. შ. მან თავის კლასიფიკაციაში სამართლიანად შეიტანა ყველა ის დიალექტი, რომელიც ქვეყნის გარეთ არის გავრცელებული.

ე. აზიზოვი აზერბაიჯანულ ენას ყოფს სამ ძირითად ჯგუფად და ერთ შერეულ//გარდამავალ დიალექტად. აღსანიშნავია, რომ მ. შირალიევმაც დასაწყისში თავის კლასიფიკაციაში აღნიშნავდა გარდამავალ დიალექტს, თუმცა მოგვიანებით იგი ამოიღო და დიალექტები ოთხ ძირითად ჯგუფად შეაჯამა. ზოგიერთი მკვლევარი ყარსის მოსახლეობის მეტყველებას გარდამავალ დიალექტად განიხილავს. თურქი მეცნიერები მიუთითებენ, რომ ყარსის ზოგიერთ სოფელში აზერბაიჯანული თურქები ცხოვრობენ. მათი მეტყველებაც ყარსის აზერბაიჯანელთა კილოს მიეკუთვნება. ეს კილო, ერთი მხრივ, ერევანსა და ნახიჩევანში, ხოლო, მეორე მხრივ, მაკუმი მცხოვრებ მოსახლეობასთან არის დაკავშირებული. თუმცა, ეს კილო ვერ ასახავს ყარსელი

²⁹ Ə. Əzizov — Azərbaycan dilinin şivələrinin yeni təsnifatı // Türkölogiya. 1995, № 1-6

³⁰ ამ კლასიფიკაციაშიც საქართველოში გავრცელებული აზერბაიჯანული ენა მთლიანად არ არის შეტანილი

აზერბაიჯანელების მეტყველების თავისებურებებს, რადგან იგი მნიშვნელოვნად იქნა გავლენაში მყოფი მიმდებარე კილოების მიერ [Oljay, Erjilasun, Aslan, 1998:13]. ესენია: ჩრდილო-აღმოსავლური, დასავლური (საშუალო) და სამხრეთული ჯგუფები. ჩრდილო-აღმოსავლურ ჯგუფში გამოიყოფა სამი დიალექტი: 1) შამახა-ბაქოს; 2) ყუბისა და 3) დერბენტის).

დასავლური (საშუალო) ჯგუფიც იყოფა სამ დიალექტად: 1) ყარაბაღის; 2) ყაზახურ-ბორჩალოურს³¹; 3) აირუმის თქმები (გავრცელებულია დაშქესანში, გედაბეიში, ქალბაჯარში).

სამხრულ ჯგუფში გვაქვს რამდენიმე დიალექტი: 1) თავრიზული; 2) არდებილის; 3) ლენქორანის; 4) ურმიის; 5) ნახიჩევანის და ა. შ. [Əzizov, 1999:289-290].

ე. აზიზოვი, გარდა ძირითადი დიალექტებისა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ასევე გამოყოფს აღმოსავლურ-დასავლურ გარდამავალ თქმებს (შექი, ოღუზი, კახი, ზაქათალა, ბელაქანი). გარდამავალ თქმებში იგულისხმება ერთი ენის დიალექტები და თქმები, რომლებიც თანაარსებობენ ორი დიალექტის ზღვარზე [Əzizov, 1999:289-290]. ვინაიდან გარდამავალი თქმა ატარებს შუალედურ ხასიათს, ანუ ის მოიცავს ორი დიალექტის ენობრივ კონტაქტებს, ესე იგი ამ ენებში შეინიშნება სხვადასხვა დიალექტების თავისებურებანი. როგორც სხვადასხვა ენა ერთმანეთთან არის დაკავშირებული, ასევეა დიალექტებიც, ამა თუ იმ ენის შემადგენლობაში. დიალექტებს შორის მსგავსი ურთიერთგავლენა და ურთიერთკავშირი უფრო თვალსაჩინო სახით ვლინდება გარდამავალ თქმებში.

ე. აზიზოვის ეს კლასიფიკაცია აზერბაიჯანული ენის დიალექტებისა და თქმებისადმი სრულიად ახალი ხედვა იყო და შეიძლება ჩაითვალოს თანამედროვე დიალექტების კლასიფიკაციად, რომელიც საფუძვლად დაედო იმ დიალექტოლოგიურ კვლევებს, რომლებიც პირველადი კლასიფიკაციების შემდეგ ხანგრძლივად მიმდინარეობდა.

აზერბაიჯანული ენის დიალექტების კლასიფიკაციამ უცხოელი მეცნიერების ყურადღებაც მიიქცია. უცხოელმა თურქოლოგებმა ამ კლასიფიკაციაში ასევე შეიტანეს სამხრეთ აზერბაიჯანისა და თურქეთის ანატოლიის რეგიონები.

³¹ ქვემო-ქართლის ზოგიერთი მუნიციპალიტეტი.

1972 წელს ს. ჩაღათაიმ აზერბაიჯანული ენა დაყო ორ ძირითად ჯგუფად: კავკასიური და ირან-თავრიზული. ამასთან ერთად, გარდა დღევანდელი აზერბაიჯანული ლიტერატურული ენის ხალხური ენა დაიყო მრავალ ლექსიკურ და დიალექტურ ვარიანტად. ეს დიალექტები, რომლებსაც ანატოლიის დიალექტებთან მსგავსი ფონეტიკური ნიშნები აქვთ, დაჯგუფებულია აღმოსავლეთ, დასავლეთ, სამხრეთ, ჩრდილოეთ და ცენტრალურ რეგიონებად [Chagatai, 1972 : 5].

მანუჩერ ამირპურს, ირანელ თურქოლოგს, თავად აზერბაიჯანული ენის დიალექტების კლასიფიკაცია არ შეუდგენია, თუმცა მისი შეხედულებები აზერბაიჯანული ენის დიალექტების შესახებ ახლოს დგას იმ კლასიფიკაციასთან, რომელიც ფართოდ არის მიღებული აზერბაიჯანულ და თურქოლოგიურ სამეცნიერო ლიტერატურაში - კერძოდ, რომელიც საფუძველს იღებს მემედალა შირალიევისა და გერჰარდ დოეფერის ნაშრომებიდან. მემედალას ჩრდილოეთ აზერბაიჯანული დიალექტების კლასიფიკაციაში მ. შირალიევის გავლენა აშკარად ჩანს [Alieva, 2021:33–39], სადაც კლასიფიკაცია გაფართოებულია გეოგრაფიული და ტომობრივი ვარიაციებით. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ განჯის, შუშისა და ყარაბაღის დიალექტებს ავტორი განიხილავს ისეთ დიალექტებად, რომლებიც „ცენტრალური ჯგუფის“ დიალექტების თავისებურებებს წარმოგვიდგენენ. ის დეტალურად იკვლევდა შავურის³² დიალექტს - აღწერდა მის ფონოლოგიურ და მორფოლოგიურ მახასიათებლებს. აზერბაიჯანული დიალექტების მახასიათებლები შეინიშნება სამხრეთ-დასავლეთ ირანში (ყაზგაი, ეინალი), ჩრდილოეთ ერაყში (ქერქუქი) და აღმოსავლეთ ანატოლიაში (ერზურუმი).

აზერბაიჯანული ენის დიალექტების კიდევ ერთი კლასიფიკაცია ეკუთვნის ცნობილ თურქოლოგს გერჰარდ დოეფერს. ის 1989 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში „აზერის თურქული“ („Azeri Turkish“) აზერბაიჯანული ენის დიალექტების შესახებ საუბრობს და მათ თოთხმეტ ჯგუფად ყოფს. მისი კლასიფიკაცია უფრო ფართო დაყოფას გვაჩვენებს და მ. შირალიევის ჩამოთვლილ ოთხი ძირითადი ჯგუფის გარდა გამოყოფს ასევე დამატებით ცხრა ჯგუფს. გ. დოეფერი აზერბაიჯანული დიალექტების შემდეგ კლასიფიკაციას გვთავაზობს:

³² შავურის დიალექტი (Şavur) წარმოადგენს აზერბაიჯანული ენის ერთ-ერთ ადგილობრივ მეტყველებას, რომელიც გავრცელებულია ირანში, ხუზესტანის პროვინციაში, შუშისა და დეზფულის სიახლოვეს მდებარე შავურის რაიონში.

1. აღმოსავლური ჯგუფი – დერბენტის, ყუზის, შამახის, ბაქოს, სალიანისა და ლენქორანის დიალექტები;
2. დასავლური ჯგუფი – ყაზახის და ბორჩალოს აუზის დიალექტები;
3. ჩრდილოური ჯგუფი – ზაქათალას, ნუხისა და გუთგაშენის დიალექტები;
4. სამხრური ჯგუფი – ერევნის, ნახიჩევნისა და ორდუბადის დიალექტები;
5. ცენტრალური ჯგუფი – განჯისა და ყარაბაღი დიალექტები;
6. ჩრდილოეთ ერაყის დიალექტები;
7. ჩრდილო-დასავლეთ ირანის დიალექტები – თაბრიზის, ურმიის დიალექტები და ვრცელდება აღმოსავლეთით ყაზვინამდე;
8. სპარსეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროს დიალექტები – გალუგაჰის დიალექტი. ასევე წერს, რომ, სურვილისამებრ, ჩვენ შეგვიძლია დავამატოთ (ამ დიალექტებს) აზერული დიალექტებიც;
9. აღმოსავლეთ ანატოლიის დიალექტი;
10. ყაშგაის დიალექტი;
11. აინალის დიალექტი;
12. სონქურის დიალექტი;
13. ყუმის სამხრეთით გავრცელებული დიალექტები;
14. ქაბილ აფშარის დიალექტი [Doerfer, 1989 : 246].

აზერბაიჯანული ენის დიალექტების რუკა (თურქოლოგი გერჰარდ დოეფერის მიხედვით) ³³ (იხ. დანართი 1).

როგორც მოცემული კლასიფიკაციიდან ჩანს, გ. დიორფერმა წარმოადგინა ფართო კლასიფიკაცია და ცდილობდა, მოეცვა ყველა ის რეგიონი, სადაც აზერბაიჯანული ენა არის გავრცელებული.

უფრო სრულყოფილი და ზუსტია შვედი თურქოლოგის ლარს იოჰანსონის მიერ შემუშავებული კლასიფიკაცია, წარმოდგენილი სტატიაში „აზერბაიჯანული ენა“. ამ სტატიის მიხედვითაც აზერბაიჯანული ენის დიალექტები იყოფა სამ დიდ ჯგუფად – ჩრდილოური, სამხრეთული და აღმოსავლეთ ანატოლიის დიალექტი [Johanson, 2009:112-113]. მკვლევარმა თითოეული ეს ჯგუფი ქვეჯგუფებად დაყო, და ყველა ქვეჯგუფი ჩრდილოეთის ჯგუფში გააერთიანა.

³³ რუკაზე არ არის ნაჩვენები შემდეგი დიალექტები: აინალი, აირიმი, ქაბულის აფშარები

I. ჩრდილოური ჯგუფის დიალექტები, სადაც საუბრობენ ძირითადად აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტერიტორიაზე. ეს ჯგუფი იყოფა შემდეგ ოთხ ქვეჯგუფად:

- 1) დასავლური (განჯის, შუშის, ყარაბაღისა და აირუმის დიალექტები);
- 2) აღმოსავლური (დერბენტული, ყუბური, შამახა, ბაქო, სალიანის, მულანის და ლენქორანის დიალექტები);
- 3) ჩრდილოური (შექის, ზაქათალისა და გუთგაშენის დიალექტები);
- 4) სამხრეთული (ნახიჩევანისა და ორდუბადის დიალექტები).

II. სამხრეთული ჯგუფის დიალექტებში, რომლებიც გავრცელებულია, ძირითადად, ირანის ისლამური რესპუბლიკის ჩრდილოეთ-დასავლურ პროვინციებში. ესენია: თავრიზული, ურმიის, ხოის, ყუმჩის, მარაღის, მარანდის, ორიანთეფის, თურქმანჩაის, არდებილის, სარაბის, მიანის, ესკლავის, გალუგახისა და ყარაფაფახური³⁴ დიალექტები. ასევე ანკვალური: გალუგახური (მაზენდარან, ირანი)³⁵, ლუთფაბადისა (ჩრდილო ხოროსანი, ირანი) და დერგეზის დიალექტები (ჩრდილო ხოროსანი, ირანი)³⁶.

III. დასავლური ჯგუფი შედგება აღმოსავლეთ ანატოლიაში გავრცელებული დიალექტებისაგან, სადაც აზერბაიჯანელები კომპაქტურად ცხოვრობენ.

³⁴ ყარაფაფახები - წარსულში ძირითადად ნახევრად მომთაბარე ეთნოგრაფიულ ჯგუფს წარმოადგენდნენ, რომლის საქმიანობა მეცხვარეობა იყო. დასახლებულნი არიან მთლიანად სამხრეთ კავკასიაში, ასევე თურქეთში, ყარსის რეგიონში. ამ ჯგუფისათვის დამახასიათებელია თავსაბურავთან ასოცირდება *ყარაფაფახი* („ყარა“ - შავი, ფაფახ - ქუდი). სამეცნიერო ლიტერატურაში, საერთო საქმიანობის გამო, ანუ მეცხვარეობა, ყარაფაფახებს, პადარებსა და შახსევანებს ხშირად ერთი კრებითი ტერმინით უწოდებდნენ *თერეკემე*, რომელიც აერთიანებდა ამ სამ ტერმინს. აღვნიშნოთ, რომ დაღესტნის მოსახლეობა (დარგოელები, ხუნძები და ა. შ.) აზერბაიჯანელებს, რომლებიც დამკვიდრდნენ აღნიშნული რეგიონის სამხრეთ ნაწილში, უწოდებენ პადარებს ან თერეკემელებს [Азербайджанцы, 2017: 27].

³⁵ გალუგახები ცხოვრობენ სამხრეთ კასპიის სანაპიროს აღმოსავლეთ ნაწილში, რომელსაც ხანდახან უწოდებენ „აზერბაიჯანულ ენობრივ არეალში ყველაზე ცნობი აღმოსავლურ წერტილად“. იმისდა მიუხედავად, რომ ის ძალიან ახლოს არის აზერბაიჯანული ენის ირანულ დიალექტებთან, მას მათგან ბევრი განსხვავება აქვს [Michael Knüppel, "Turkic Languages of Persia: An Overview". Encyclopedia Iranica, Encyclopædia Iranica]. გალუგას დიალექტი მიეკუთვნება ცენტრალურ-ოღუზურ შტოს და ძალიან ახლოსაა სპარსეთის აზერბაიჯანულ დიალექტებთან. ასევე, გვაქვს ბავრი განსხვავებაც [Doerfer, Heschke, and Ravanyar, p. vii; Doerfer, 1974:199]. ამ დიალექტის დეტალური გამოკვლევები არ იყო ხელმისაწვდომი 1973 წლამდე, როდესაც გერჰარდ დოეფერის ინიციატივით სპარსეთში მესამე თურქოლოგიური ექსპედიციის დაწყებამდე.

<https://iranicaonline.org/articles/turkic-languages-overview>

³⁶ ლუთფაბადისა და დერგეზის ვიკებთ ლ. იოხანსონისაგან, რომ აღნიშნულ დიალექტზე საუბრობენ ხორასანში.

მრავალი მკვლევრის, მათ შორის რუსი თურქოლოგის ნ. ბასკაკოვის აზრით, ყაშყაიების ენა, რომლებიც სამხრეთ ირანის რეგიონებში მცხოვრები თურქული ტომების გაერთიანებას წარმოადგენენ, აზერბაიჯანული ენის დიალექტია [Баскаков, 1969:49], მიუხედავად იმისა, რომ ყაშყაის კილოკავი (ქცევა) უკვე რამდენიმე საუკუნეა ტერიტორიულად მოწყვეტილია აზერბაიჯანული ენის ძირითად არეალს და დამოუკიდებლად ვითარდება. აზერბაიჯანული ენის სამხრულ დიალექტებს ასევე მიაკუთვნებენ ერაყელი თურქმენების ენას [Irak Türkmen Türkçesi, 1996:329].

აზერბაიჯანული ენის დიალექტების კლასიფიცირების მოკლე აღწერიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ ყველა ჩვენ მიერ განხილულ მეცნიერს საქართველოში გავრცელებული აზერბაიჯანული ენა მ. შირალიევმა და ე. აზიზოვმა მიაკუთვნა დასავლური ჯგუფის ყაზახურ ან ყაზახურ-ბორჩალურ დიალექტს. ჩვენთვის სახელწოდება ყაზახური უფრო მისაღებია. შესაბამისად, ჩვენ აღნიშნულ დიალექტს ნაშრომში მოვიხსენიებთ, როგორც აზერბაიჯანული ენის დასავლური ჯგუფის ყაზახური დიალექტი.

აქედან გამომდინარე, აზერბაიჯანში ყველა ამ დიალექტის პარალელურად ფუნქციონირებს აზერბაიჯანული სალიტერატურო ენა, რასაც ვერ ვიტყვით საქართველოში გავრცელებულ აზერბაიჯანულ ენასთან მიმართებაში. აზერბაიჯანელები საქართველოში, ძირითადად, ლაპარაკობენ მათ მშობლიურ დიალექტზე, ხანდახან სალიტერატურო აზერბაიჯანულზე დიალექტური ელემენტებით, კომუნიკაციის სიტუაციიდან გამომდინარე. ამრიგად, საქართველოს აზერბაიჯანულ საზოგადოებაში ენობრივი მდგომარეობა ასახავს ტრადიციული ენობრივი პრაქტიკის შენარჩუნებას, მათ შორის აზერბაიჯანული ენის მშობლიური, ყაზახური დიალექტისა და დიალექტური მახასიათებლების შენარჩუნებას.

მიუხედავად იმისა, რომ აზერბაიჯანულ ენას რაოდენობრივად ბევრი დიალექტი აქვს, მათ შორის მნიშვნელოვანი განსხვავებები არ არის. ყოველ შემთხვევაში, სხვადასხვა დიალექტზე მოსაუბრე ერთმანეთს უპრობლემოდ უგებს. გარკვეული სირთულეები შეიძლება წარმოიშვას მხოლოდ ჩრდილოურ და სამხრულ აზერბაიჯანულ დიალექტებს შორის. ეს იმით არის განპირობებული, რომ ეს უკანასკნელი განიცდის სპარსული ენის დიდ გავლენას, ამ გავლენების გამო მათში

მრავალი სპარსული და არაბული ლექსიკური ერთეულია შესული და დამკვიდრებული.

I. 3. აზერბაიჯანული ენის ყაზახური დიალექტის ფონემატური სტრუქტურა

ცნობილია, რომ სალიტერატურო ენის ფონეტიკა და დიალექტების ფონეტიკა განსხვავდება ერთმანეთისაგან. ეს განსხვავდება გამოიხატება სამეტყველო ბგერებში (ხმოვნებსა და თანხმოვანებში), დიფთონგებში, სინჰარმონიზმის კანონში, მარცვლებსა და სხვა ფონეტიკურ პროცესებში. აზერბაიჯანული ენის დიალექტების ფონეტიკის შესწავლის ობიექტია სამეტყველო ბგერები და მათი პარადიგმატიკისა და სინტაგმატიკის კვლევა. როგორც უკვე ცნობილია, აზერბაიჯანული ენა გეოგრაფიულად იყოფა ოთხ გეოგრაფიულ ჯგუფად: აღმოსავლური, დასავლური, სამხრული და ჩრდილოური დიალექტები. ყველა დიალექტს აქვს განსხვავებული ფონეტიკური მახასიათებლები. ქვემოთ მოვიყვანეთ

განსხვავება სალიტერატურო ენასა და აზერბაიჯანული ენისა ყაზახური დიალექტს შორის ფონემატა შედგენილობის მიხედვით ასეთია:

1. სალიტერატურო აზერბაიჯანულ ენაში 33 ბგერაა, ხოლო აზერბაიჯანული ენის ყაზახურ დიალექტში მათი რიცხვი 50 შეადგენს.

2. დიალექტებში ხმოვნებს სალიტერატურო ხმოვნებისაგან განსხვავებით აქვთ ვარიანტები, კერძოდ, გრძელი და მოკლე ხმოვნები.

3. აზერბაიჯანულ სალიტერატურო ენაში არ არის დიფთონგები, ხოლო დიალექტებში გვხვდება დიფთონგები.

4. დიალექტებში თანხმოვნების რაოდენობა უფრო მეტია, ვიდრე სალიტერატურო ენაში. ასევე გვხვდება თანხმოვნების ვარიანტებიც.

6. თანხმოვნებისა და ხმოვნების მონაცვლეობა დიალექტებში ძალიან განსხვავდება ანალოგიური პროცესებისაგან სალიტერატურო ენაში.

აქედან გამომდინარე, აზერბაიჯანული ენის ყაზახური დიალექტის ცალკეული მახასიათებლების შესწავლა აზერბაიჯანული ენის დიალექტოლოგიის ერთ-ერთი საკვანძო საკითხია.

აზერბაიჯანულს არ გააჩნია საკუთარი ანბანი და იგი 1991 წლიდან იყენებს ლათინურ გრაფიკას და დამატებითად შემოდებულია-სიმბოლოები, რომელიც სპეციფიკურია აზერბაიჯანულისათვის, მაგალითად, ä (ə), ö, ü, ğ (ğ), ç (ç), ş (ş).

II თავი

ხმოვნები აზერბაიჯანულ ენაში

II. 1. ხმოვანთა სისტემა სალიტერატურო აზერბაიჯანულ ენაში

თანამედროვე სალიტერატურო აზერბაიჯანულ ენაში 9 ხმოვანია. ესენია: **a, ʌ (1), u, ä (ə), i, ö, ü, e, o**. ხმოვანთა წარმოთქმის დროს ჰაერნაკადი დაუბრკოლებლად ამოდის პირის ღრუდან.

ცნობილია, ხმოვნების კლასიფიკაცია ხდება ძირითად შემთხვევაში მათი არტიკულაციის მიხედვით. იმის გამო, რომ აზერბაიჯანული ენა ერთ-ერთი თურქული ენაა და სინჰარმონიზმის კანონი აფიქსებში გვიადვილებს საქმეს, ხმოვნებს ყოფს სამ ჯგუფად: 1) წინა და უკანა; 2) ვიწრო და ღია; 3) ბაგისმიერი და არაბაგისმიერი ხმოვნები.³⁷ აქედან გამომდინარე, კლასიფიკაცია შედგება ენის ჰორიზონტალურად (წინ და უკან) და ვერტიკალურად (ზევით და ქვევით) მოძრაობისა და ტუჩების მონაწილეობის მიხედვით. მაშასადამე, თანამედროვე აზერბაიჯანულ სალიტერატურო ენაში ხმოვნების წარმოთქმაში მონაწილეობს სამი ორგანო: ენა, ბაგეები და ქვედა ყბა. მაშასადამე, ხმოვანთა კლასიფიკაცია სამი ძირითადი ნიშნით ხდება: 1) **ენის რიგითობის**; 2) **ენის აწეულობისა** და 3) **ბაგეების მონაწილეობის მიხედვით**.

I. ენის რიგის მიხედვით (თუ ენის რომელი ნაწილი მონაწილეობს უფრო მეტად), ხმოვნები სამ ჯგუფს ქმნიან: 1) **წინაენისმიერი**, 2) **შუაენისმიერი** და 2) **უკანაენისმიერი**.

1) **წინაენისმიერი** - ენის შუა ნაწილის წინა სასისკენ აწევის შედეგად წარმოთქმული ხმოვნებია. წინაენისმიერი ხმოვნებია: **ä, i, ö და ü**. ეს ხმოვნები აზერბაიჯანული სამეცნიერო ტერმინოლოგიის მიხედვით არის **რბილი, ან პალატალური ხმოვნები**.

2) **უკანაენისმიერი** - ენის უკანა ნაწილი ზევით, უკანა სასისკენ აწევის შედეგად წარმოქმნილ ხმოვნებს უკანაენისმიერ ხმოვნებს უწოდებენ. უკანაენისმიერი ხმოვნებია: **a, ʌ, o, u**. სხვაგვარად მათ **მაგარ ან ველარულ** ხმოვნებს უწოდებენ.

³⁷ ეს წესი 1882 წელს ვ. რადლოვის მიერ იყო შემოღებული და დღემდე არის შენარჩუნებული.

3) აღსანიშნავია, რომ **e** შუაენისმიერი ბგერაა. თუმცა ზოგ სამეცნიერო ლიტერატურაში წინაენისმიერ ხმოვნებთან არის ნაჩვენები, იმიტომ, რომ წარმოთქმის დროს აკუსტიკურად წინაენისმიერ ბგერებთან ახლოსა.

წინაენისმიერი და უკანაენისმიერი ხმოვნებისაგან განსხვავებით, ენის შუა ნაწილში იწარმოება ხმოვანი **e**. ამ ხმოვანთან დაკავშირებით აზერბაიჯანულ სამეცნიერო ლიტერატურაში ა. დემირჩიზადე³⁸ საინტერესო მოსაზრებას გვთავაზობს: „შუაენისმიერ ხმოვნების წარმოებაში ენის წინა და შუა ნაწილი მთლიანად სასისკვნ არის აწეული. ასეთ შემთხვევაში პირის ღრუ დაახლოებით ორ თანაბარ ნაწილად იყოფა. რეზონანსის გათანაბრების შედეგად იწარმოება შუაენისმიერი ხმოვანი. აზერბაიჯანულ ენაში მხოლოდ ერთი შუაენისმიერი ხმოვანი გვაქვს - **e** ხმოვანი“ [Dəmirçizadə, 1972 : 30].

აღ. ახუნდოვი³⁹ ამ ხმოვანთან დაკავშირებით წერს: „აზერბაიჯანულ ენაში შუაენისმიერი ხმოვანი არის მხოლოდ **e**. ამ ხმოვნის გამოთქმისთვის ენის წინა ნაწილი ცოტათი უკან იწევს და თვითონ ენა ცოტათი ზევით იწევს. ენის აწევის ხარისხი **u** ხმოვანზე საკმაოდ დაბლაა, ხოლო **ä** ხმოვანზე ცოტა ზემოთ არის. ჰაერნაკადი გადის ნაწილობრივ განიერ უკანა რეზონატორიდან და ქმნის თავისთვის დამახასიათებელ ტემბრს. ასე იქმნება შუაენისმიერი, ნახევრადღია, არადაბებული მოკლე **e** ხმოვანი. **e** ხმოვანის წარმოთქმის დროს ბაგეები ნეიტრალურ პოზიციაში რჩებიან“ [Axundov, 1984:47].

იმ მოსაზრებას, რომ **e** ხმოვანი შუაენისმიერია იზიარებს ასევე მეცნიერი ბულუდხან ხალილოვი⁴⁰: „**e** ხმოვანი შუაენისმიერი, ნახევრად დახურული, არაბაგისმიერი ხმოვანია“ [Xəlilov, 2007: 82].

აკუსტიკური ფონეტიკის თვალსაზრისით, წინაენისმიერი ხმოვნების ტემბრი რბილია უკანაენისმიერი ხმოვნების ტემბრთან შედარებით, ხოლო უკანაენისმიერი

³⁸ აბდულაზალ დემირჩიზადე (1909 – 1979) - ცნობილი მეცნიერ-ლინგვისტი, აზერბაიჯანის ნაციონალური აკადემიის წევრი, ფილოლოგიის დოქტორი, პროფესორი.


³⁹ აღამუსა ახუნდოვი (1932 – 2015) მეცნიერებათა კანდიდატი, ცნობილი მეცნიერი-ლინგვისტი, აზერბაიჯანის მეცნიერებათა ნაციონალური აკადემიის წევრი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, დამსახურებული მეცნიერი, ფილოლოგიის დოქტორი, პროფესორი).

⁴⁰ ბულუდხან ხალილოვი - თანამედროვე აზერბაიჯანული ენის კათედრის ხელმძღვანელი, ფილოლოგიის მეცნიერების კანდიდატი).

ხმოვნები მაგარი ტემრის განსხვავდება მათგან. შუაენისმიერი **e** ხმოვანი თავისი ტემბრით უფრო წინაენისმიერ ხმოვნების ტემბრთან ახლოსაა. შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნად, რომ ამიტომაც მას ძირითადად წინაენისმიერ ხმოვნებად თვლიან.

ამიტომაც სასკოლო სახელმძღვანელოებებში **e** ხმოვანი წინაენისმიერი ხმოვნების რიგშია მოცემული. ეს ავტორები შუაენისმიერ ჯგუფს, სადაც გვყავს მხოლოდ ერთი ხმოვანი, აერთიანებენ წინაენის რიგის ჯგუფთან. ჩვენ ვიზიარებთ ენეთმეცნიერების იმ ნაწილის მოსაზრებას, რომელიც აზერბაიჯანული ენის ხმოვნებს რიგითობის მიხედვით ყოფს 3 ჯგუფად.

წინაენისმიერი და უკანაენისმიერი ხმოვნების გრაფიკული ასახვა წარმოთქმის ადგილის მიხედვით ასეთია:



[Cəlilov, 1983 : 53].


აწეულობის მიხედვით ხმოვნები ხასიათდება იმის გათვალისწინებით, თუ ხმოვანთა წარმოთქმისას რამდენად აიწევა ენა ზედა სასისკვნ. აწეულობის მიხედვით ხმოვნები იყოფა სამ ჯგუფად: 1) მაღალი, ღია (ფართო), 2) საშუალო სიფართოვის // ღიაობისა და დახურული (ვიწრო) ხმოვნები.

ღია ხმოვნების წარმოებისას ენის წინა ნაწილი არ იწევს ზევით, ქვედა ყბა კი დაბლა ჩამოდის. თანამედროვე აზერბაიჯანულ ენას შემდეგი ღია ხმოვნები აქვს: **a, ä, o, ö**. ამ ხმოვნებიდან ორი ხმოვანი წინაენისმიერია - **ä, ö** და ორი უკანაენისმიერი - **a, o**.

e ხმოვნის არტიკულაციის დროს ენა ნეიტრალურ პოზიციაში რჩება და ამ ხმოვანს შუაენისმიერს უწოდებენ.

1) დახურული ხმოვნების გამოთქმისას ენა ძალიან იწევს სასისკენ, ქვედა ყბა კი დაბლა არ ჩამოდის. თანამედროვე აზერბაიჯანულ ენაში შემდეგი დახურული ხმოვნები გვაქვს: **ა, ი, u, ü**. საკვლევ დიალექტში შემდეგი დახურული ხმოვნებია: **ა, ი, u, ü**. ამ ხმოვნებიდან ორი წინაენისმიერი **ი** და **ü** და ორი **ა** და **u** უკანაენისმიერია.

მაგრამ სასკოლო სახელმძღვანელოებში გვხდება შემდეგი ღია ხმოვნები: **ა, ä, o, ö, e** და დახურულ: **ა, ი, u, ü** ჯგუფად იყოფა.



[Cəlilov, 1983 : 53].


აკუსტიკურად დახურული ხმოვნები მაღალი, ღია ხმოვნებს კი დაბალი ტემბრი ახასიათებს.

ხმოვნები, რომელთა წარმოთქმაში **მონაწილეობს ბაგეები**:

ხმოვანთა მეორე კლასიფიკაცია ბაგეების მონაწილეობის მიხედვით ხდება. ამა თუ იმ ხმოვნის წარმოქმნაში ბაგეები მეტ-ნაკლებად წინ წამოწევა ან მომრგვალება, ზოგჯერ კი ბაგეები არ მონაწილეობენ. ამგვარად, აზერბაიჯანულ ენაში გვაქვს: **ბაგისმიერი და არაბაგისმიერი ხმოვნები**.

ბაგისმიერი ხმოვნები. ბაგისმიერეობა ბაგეების წინ წამოწევისა და მომრგვალებაში გამოხატება. ბაგისმიერი ხმოვნებია: **o, ö, ü** და **u**.

არაბაგისმიერი ხმოვნები. ამ ხმოვნების წარმოქმნაში ბაგეები არანაირ მონაწილეობას არ იღებენ. არაბაგისმიერი ხმოვნებია: **ა, ä, i, ə, e**.



[Cəlilov, 1983 : 53].

a - უკანაენისმიერი, ღია ხმოვანია, არაბაგისმიერი. **a** აზერბაიჯანულ ენაში ყველაზე ინტენსიური გამოყენების ხმოვანია და გვხვდება სამივე პოზიციაში:

ანლაუტში: ala - ჭრელა, al - იყიდე, arvad - ქალი, at - ცხენი;

ინლაუტში: bal - თაფლი, gal - დარჩი, saz - საზი, mal - საქონელი, baş - თავი;

აუსლაუტში: ata - მამა, gara - შავი, bala - შვილი, bala - უბედურება, garya - ყვავი

ასევე სუფიქსებში: -lar; -da; -dan; -mag; -malə, -ar, -ağag [Dəmirçizadə, 2007 : 50].

i - წინაენისმიერი, დახურული, არაბაგისმიერი ხმოვანია. აზერბაიჯანულ ენაში ეს ხმოვანი ძალიან ფართოდ იხმარება და გვხვდება სამივე პოზიციაში:

ანლაუტში: il - წელი, ilan - გველი, iç - შინაგანი, iç - საქმე, it - ძაღლი, ip - ძაფ;

ინლაუტში: g'il - თიხა, sil - წაშალე, bil - იცოდე, dil - ენა, siz - თქვენ და

აუსლაუტში: iri - მსხვილი, iki - ორი, g'eri - უკან, dəri - ტყავი, bəlli - ცხადი.

უნდა აღვიშნოთ, რომ აზერბაიჯანულ სიტყვებში, შეიძლება ითქვას, გარდა **g, y, x, ž** თანხმოვნებისა **i** ხმოვანი იხმარება დანარჩენ თანხმოვნებთან. ასევე იხმარება აფიქსებშიც: **-çi, -di, -lik, -ir, -dir, -g'il**.

e - შუაენისმიერი, ნახევრად ღია, არაბაგისმიერი ხმოვანია. ხმოვანი **e** **ä**-ზე უფრო დახურული და **i**-ზე - ღიაა. აზერბაიჯანულში **e** ხმოვანი სხვა ხმოვნებთან შედარებით უფრო შეზღუდულად და ყველაზე ნაკლებად იხმარება. აზერბაიჯანული წარმოშობის სიტყვებში **e** ხმოვანი იხმარება:

ანლაუტში: el - მხარე, ev - სახლი, eşək - ვირი;

ინლაუტში: bel - ზურგი, jel - ქარი, g'et - წადი, dejir - ამბობს და იშვიათად

აუსლაუტში: de - თქვი! je - ჭამე! ...

ნასესხებ სიტყვებში კი შეიძლება შეგვხდეს სიტყვის ყველა პოზიციაში, მაგ., epos - ეპოსი, telefon - ტელეფონი, televizor - ტელევიზორი, planšet - პლანშეტი, klarnet - კლარნეტი, beze - ბეზე. სალიტერატურო ენაში ხმოვანი **e** აფიქსებში არ გამოიყენება, მაგრამ აზერბაიჯანული ენის ყაზახულ დიალექტებში კი გვხვდება, მაგ.:

al-**er** (შდრ. al-**ar**) - ყიდულობს

bax-**er** (შდრ. bax-**ar**) - უყურებს

jat-**er** (შდრ. jat-**ar**) - სძინავს.

ä - წინაენისმიერი, ღია, არაბაგისმიერი ხმოვანია. ეს ხმოვანი აზერბაიჯანულში ძალიან ხშირად გამოიყენება. სხვა თურქული ენებისაგან განსხვავებით ეს ხმოვანი მხოლოდ აზერბაიჯანულში გვხვდება. იხმარება სამივე პოზიციაში:

ანლაუტში: **äl** - ხელი, **ät** - ხორცი, **är** - ქმარი, **älžäx'** - ხელთათმანი;

ინლაუტში: **g'äl** - მოდი! **dälä** - ციყვი, **bäli** - დიახ;

აუსლაუტში: **nänä** - ბებია, **dädä** - პაპა, **mešä** - ტყე, **därä** - ხეობა, **länä** - ტკიპი.

ასევე იხმარება აფიქსებშიც, მაგ., **-lä, -lär, -är, -dä, -dän, -žä, -äžäk** და ა. შ.

ü - წინაენისმიერი, დახურული, ბაგისმიერი ხმოვანია. აზერბაიჯანულ სალიტერატურო ენაში ის ხშირად გამოიყენება, გვხვდება სამივე პოზიციაში:

ანლაუტში: **üz** - სახე, **üzü** - ბეჭედი, **ümid** - იმედი, **ütü** - უთო;

ინლაუტში: **g'ül** - ყვავილი, **süd** - რძე, **düz** - მართალი, **bülbül** - ბულბული, **g'üldür** - გააცინე;

აუსლაუტში: **sürü** - ფარა, **kürü** - ჯიუტს (ბრალდ. ბრ.), **üzüjü** - ბეჭედი (ბრალდ. ბრ.), **düzü** - მართალი (ბრალდ. ბრ.), **düjü** - ბრინჯი.

ასევე იხმარება აფიქსებშიც, მაგ., **-üž, -dü, -ür, -lü, -süz.**

ö - წინაენისმიერი, ღია, ბაგისმიერი ხმოვანია. სალიტერატურო აზერბაიჯანულ ენაში **ö** ძირითადად ანლაუტში გვხვდება:

öd - ნალვეელი, **öz** - თავისი, **öl** - მოკვდი, **örtü** - გადასაფარებელი, **ölçü** - ზომა, გვხვდება ასევე სიტყვის პირველ მარცვალში, ან ერთმარცვლიან სიტყვის შუაში, მაგ.:

g'öz - თვალი

döz - მოითმინე

köz - ნაკვერხცალი

g'övdä - ღერო

söz - სიტყვა

dörd - ოთხი [Dəmirçizadə, 2007:45].

ორ- ან სამმარცვლიან სიტყვების მეორე მარცვალში - იშვიათად, შეიძლება ითქვას სულ რამდენიმე სიტყვაში, მაგ.:

kösöv - მუგუზალი

bülöv - სალესი

bütöv - მთლიანი

bünövrä - საფუძველი.

bänövšä - ია

ö ხმოვანი ნაკლებად გამოიყენება. აზერბაიჯანულ სალიტერატურო ენაში აფიქსებში არ გვხვდება. მაგრამ ფართოდ იხმარება დარბილებულ, ბაგისმიერ პოზიციაში აზერბაიჯანული ენის ყაზახურ დიალექტში, ხშირად გვხვდება აფიქსებში, მაგ.:

böl-ör - (შლრ. böi-ür) - ანაწილებს

sör - (შლრ. söy-ür) - აგინებს

g'ör-ör - (შლრ. g'ör-ür) - ხედავს

düz-ör (შლრ. düz-ür) - ალაგებს

üz-ör - (შლრ. üz-ür) - ცურავს

sür-ör - (შლრ. sür-ür) - ატარებს

dör - (შლრ. døy-ür) - სცემს

g'ül-ör - (შლრ. gül-ür) - იცინის.

ə - უკანაენისმიერი, დახურული, არაბაგისმიერი ხმოვანია. აზერბაიჯანულ სალიტერატურო ენაში ანლაუტში არ გამოიყენება, დანარჩენ პოზიციებში, ინლაუტში და აუსლაუტში, აქტიურად იხმარება, მაგ.:

ინლაუტში: gal - ჯაგარი, gaz - გოგო, xar - წვრილი ქვა, კენჭი, bəldərçən - მწყერი, gəzəl - ოქრო, çadər - დოდი;

აუსლატში: aɣə - შხამი, ilxə - რემა. ასევე იხმარება სუფიქსებშიც, მაგ.: -ə, -dər, -lə, -ləg, -əməz და ა. შ.

აზერბაიჯანული ენის ყაზახურ დიალექტში ეს ხმოვანი ანლაუტშიც გვხვდება, მაგ.:

əşəx - შუქი

əçgərəx - სლოკინი

əşəltə - ბჟუტვა

Ərvaham - იბრაჰიმი

ənəltə - კრუსუნი

ələx - თბილი.

u - უკანაენისმიერი, დახურული, ბაგისმიერი ხმოვანია. სალიტერატურო აზერაიჯანულ ენაში ის სამივე პოზიციაში გვხვდება:

ანლაუტში, მაგ.: uḡa - მაღალი, uḥ! - გაფრინდი! un - ფქვილი; ulduz - ვარკვლავი; ud! - გადაყლაპე!

ინლაუტში, მაგ.: gum - ქვიშა, turp - ბოლოვი, gulag - ყური, budag - ტოტი, xoruz - მამალი, bulud - ღრუბელი;

აუსლაუტში, მაგ.: guju - ორმო, su - წყალი, guzu - ბატკანი, guru - მშრალი და ა.შ.

ასევე იხმარება აფიქსებშიც, მაგ., -u, -dur, -lu, -lug, -umuz, -mu.

o - უკანანისმიერი, ღია, ბაგისმიერი ხმოვანია. სალიტერატურო აზერბაიჯანულ ენაში o ხმოვანიც მსგავსად ö ხმოვნისა შეზღუდულად გამოიყენება და ძირითადად ანლაუტში, მაგ.: ot - ბალახი, od - ცეცხი, ov - ნადირობა, otag - ოთახი, orman - ტყე;

და სიტყვის პირველ მარცვალში: gol - ხელი, bol - სავსე, sol - მარცხენი, çox - ბევრი, bidon - ბიდონი.

გვხდება სიტყვის ფუძეში მეორე მარცვალშიც, მაგ.: oxlov - გასაბრტყელებელი, buzov - ხბო, girov - გირაო.

იშვიათად, მაგრამ გვხდება ასევე ნასესხებ აფიქსებშიც, მაგ.: -sov, -ov:

däli-sov - მოგიჟო

Mamed-ov - მამედოვი

ayəm-sov - მოთეთრო

Xälil-ov - ხალილოვი.

ფართოდ იხმარება ყველა პოზიციაში ნასესხებ სიტყვებში, მაგ.:

kolxoz - კოლმეურნეობა

hidrolog - ჰიდროლოგი

filolog - ფილოლოგი

kardiolog - კარდიოლოგი

professor - პროფესორი

parovoz - მატარებელი და ა. შ.

avtovoz - ავტოვოზი

აზერბაიჯანული ენის ყაზახურ დიალექტში o ხმოვანი იხმარება სიტყვის ყველა პოზიციაში და ასევე აფიქსებშიც, მაგ.:

gur-or (შდრ., gurur) - აშენებს

dur-or (შდრ. dur-ur) - დგას

vur-or (შდრ. vur-ur) - სცემს

bur-or (შდრ. bur-ur) - იჭერს

ასე, თანამედროვე აზერბაიჯანულ ენაში ყველა ცხრა ხმოვანს ახასიათებს სამი დამახასიათებელი თვისება:

a - უკანანისმიერი, ღია, არაბაგისმიერი

ə - უკანაენისმიერი, **დახურული**, არაბაგისმიერი

o - უკანაენისმიერი, **ღია**, ბაგისმიერი

u - უკანაენისმიერი, **დახურული**, ბაგისმიერი

e - შუაენისმიერი, **ნახევრად ღია**, არაბაგისმიერი

ä - წინაენისმიერი, **ღია**, არაბაგისმიერი


i - წინაენისმიერი, **დახურული**, არაბაგისმიერი

ö - წინაენისმიერი, **ღია**, ბაგისმიერი

ü - წინაენისმიერი, **დახურული**, ბაგისმიერი.

როგორც ვხედავთ, ამ 3 დახასიათებიდან ყოველი მომდევნო ხმოვანი წინა ხმოვნისაგან ერთი თვისებით განსხვავდება.

სურათზე მოცემულია აზერბაიჯანული ენის ხმოვნები, დალაგებული კუბზე⁴¹ პირველად მოგვაწოდა ფრანგმა თურქოლოგმა ჟ. დენიმ ⁴² (იხ. სურ. 1) [Çalilov, 1983 : 53-54]. სწორედ მას უკავშირდება თურქული ხმოვნების კუბის მოდელი, რომელიც აღწერს ხმოვანთა ჰარმონიას (ღიაობის, რიგისა და ბაგისმიერობის პრინციპით).




სურ. 1

⁴¹ ხმოვნები კუბზე პირველად წარმოადგინა ფრანგმა თურქოლოგმა ჟ. დენიმ.

⁴² ჟან დენი (Jean Deny, 1879–1963) ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ფრანგი თურქოლოგი იყო. სწორედ მას უკავშირდება თურქული ხმოვნების **კუბის მოდელი** (cube vocalique), რომელიც აღწერს ხმოვანთა ჰარმონიას (სიმაღლის, რიგის და ბაგისმიერობის პრინციპით).

სალიტერატურო აზერბაიჯანული ენის ხმოვანთა სისტემის კუბის განხილვის შედეგად მივდივართ შემდეგ დასკვნებამდე:

1. კუბს აქვს 6 გვერდი, სიბრტყე, რომელიც სურათზე დანომრილია (იხ. სურ. 2) და ყოველი მხარე, გვერდი ხმოვანთა წარმოთქმის ადგილისა და რაგვარობის მიხედვით ერთ-ერთ ნიშანს გამოავლენს (იხ. სურ. 1), მაგ.:



სურ. 2

ა) უკანა გვერდზე (სიბრტყე - 1) განლაგებულია ბაგისმიერი ხმოვნები (ო, ö, u, ü)

ბ) ზედა გვერდზე (სიბრტყეზე - 2) დახურული // ვიწრო ხმოვნები (ი, ე, ა, ü)

გ) მარცხენა გვერდზე (სიბრტყე - 3) - წინაენისმიერი ხმოვნები (ä, i, ö, ü)

დ) მარჯვენა გვერდზე (სიბრტყე - 4) - უკანაენისმიერი ხმოვნები (a, o, u, ə)


ე) წინა გვერდზე (სიბრტყე - 5) - არაბაგისმიერი ხმოვნები (a, ä, i, ə)

ვ) ქვედა გვერდზე (სიბრტყე - 6) ღია // ფართო ხმოვნები (a, ä, o, ö)

ზ) შუაენიმიერი ხმოვანი e განლაგებულია მე-5 სიბრტყეზე. ვინაიდან მე-5 სიბრტყე ეკუთვნის წინაენიმიერ ხმოვნებს და e ხმოვანი განლაგებულია ამ სიბრტყეზე, ბევრი მეცნიერი ამ ხმოვანს მიაკუთვნებს წინაენისმიერ ხმოვნებს.


რადგანაც თითოეულ ხმოვანს სამი განსხვავებული ნიშანი აქვს კუბის წვერვალზე (კუთხეში), აქ განთავსებული ხმოვანი ერთდროულად სამ სიბრტყეს (გვერდს) მიეკუთვნება ანუ მიეკუთვნება იმ წერტილს, რომელშიც სამი სხვადასხვა სიბრტყე იკვეთება (იხ. სურ. 3) [Calilov, 1983:53-54]. ამრიგად, ყოველი ხმოვანი თითოეული ნიშნის მიხედვით ერთ-ერთ სიბრტყეს - კვადრატს მიეკუთვნება. მაგალითად, **a** ხმოვანი წინა კვადრატის მიხედვით (წითელი ისრებით არის

ნაჩვენები) - არაბაგისმიერი, ქვედა კვადრატით - ღია, ხოლო მარჯვენა კვადრატით - უკანანენისმიერის მახასიათებლებს ატარებს. ასევე ლურჯი ისრებით ნაჩვენებია ü ხმოვნის მახასიათებლები, მაგალითად, მარჯვენა კვადრატით - ბაგისმიერობია, ზედა კვადრატით - დახურულობას, ხოლო მარცხენათი - წინანენისმიერი ხმოვანია ნაჩვენები.



სურ. 3

2. კვადრატის ერთ ხაზზე განლაგებული ხმოვანი ორი ნიშნის მიხედვით ჰგავს ერთმანეთს, ხოლო ერთი ნიშნით განსხვავდება ერთმანეთისაგან (იხ. სურ. 4) [Cəlilov, 1983 : 53-54], მაგ.:



სურ. 4

u – ü (წერტილი 1 - 2)

i – ü (წერტილი 1 - 3)

ü – ö (წერტილი 1 - 5)

i – ə (წერტილი 3 - 4)

ə – u (წერტილი 4 - 2)

i – ä (წერტილი 3 - 7)

ö – o (წერტილი 5 - 6)

ö – ä (წერტილი 5 - 7)

ə – a (წერტილი 4 - 8)

ä – a (წერტილი 7 - 8)

a – o (წერტილი 6 - 8)


u – o (წერტილი 2 - 6)

i – e (წერტილი 3 – 9)

e – ä (წერტილი 7 – 9).

3. კვადრატის კუთხეებში მდებარე ხმოვნები დიაგონალის მიხედვით ერთი მახასიათებლებით გვანან, ხოლო ორი მახასიათებლით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან [Calilov, 1983:53-54]. ვინაიდან კუბს აქვს 6 გვერდი და თითოეულ გვერდს 2 დიაგონალი, შესაბამისად, 12 შეხვედრა გამოდის. ასევე ამ კუბს აქვს დამატებითი შუაენისმიერი ხმოვანი **e**, ანუ დამატებით კიდე ოთხი დიაგონალი. სურათზე N4 ყველა დიაგონალი მოყვანილია სხვადასხვა ფერში (იხ. სურ. 5). ჯამში ხმოვნები, რომლებსაც აქვთ ერთი საერთო მახასიათებელი შეადგენენ 16 წყვილს. ესენია:

i ↔ u	u ↔ a	ə ↔ ä	e ↔ a
i ↔ a	ü ↔ ä	ə ↔ o	e ↔ ə
i ↔ ö	ü ↔ o	a ↔ ö	e ↔ ö
u ↔ ö	ə ↔ ü	ä ↔ o	e ↔ ü




სურ. 5

4. კუბის დიაგონალებზე განლაგებული ხმოვნები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან სამივე მახასიათებლით ანუ ამ ხმოვნებს საერთოდ არა აქვს საერთო მახასიათებელი [Calilov, 1983:53-54]. ვინაიდან კუბს აქვს 4 დიაგონალი დამატებული კიდევ დამატებითი შუაენისმიერი ხმოვნის ორი დიაგონალი, ჯამში გვაძლევს ექვს

ხმოვანთა წყვილს, რომლებიც ყველა სამივე მახასიათებლით განსხვავდება ერთმანეთისაგან. სურათზე ნაჩვენებია სხვადასხვა ფერში ყველა დიაგონალი (იხ. სურ. 6), მაგ.:

$a \leftrightarrow \ddot{u}$ $o \leftrightarrow i$ $\text{ə} \leftrightarrow \ddot{o}$ $u \leftrightarrow \text{ä}$

$e \leftrightarrow u$ და $e \leftrightarrow o$ - პირობითად წარმოადგენენ ოპოზიციურ დიაგონალებს.



სურ. 6

ამ დაჯგუფებიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ ხმოვნები, რომლებიც განსხვავდებიან ერთი მახასიათებლით, ხმოვნების მონაცვლეობის დროს ერთმანეთს ადვილად ცვლიან (მე-2 პუნქტში განხილული ხმოვნები). ხმოვნები, რომლებიც განსხვავდებიან 2 მახასიათებლით (მე-3 პუნქტის მიხედვით), ხმოვნების მონაცვლეობა პირდაპირ (ერთბაშად) არ ხდება. თუ ხმოვნები განსხვავდებიან სამი მახასიათებლით, ამ ხმოვნებს შორის ხმოვანთა მონაცვლეობა არ დასტურდება [Calilov, 1983:53-54].

II. 2. ხმოვნები აზერბაიჯანული ენის ყაზახურ დიალექტში

II. 2.1. გრძელი ხმოვნები

აზერბაიჯანული ენის დასავლური ჯგუფის ყაზახურ დიალექტში **21** ხმოვანია. აქედან ყველა ის **9** ხმოვანი, რომლებიც გვხდება აზერბაიჯანულ სალიტერატურო ენაში, გარდა ამ ხმოვნებისა - **8** გრძელი და **4** მოკლე.

როგორც აღვნიშნეთ, თანამედროვე აზერბაიჯანულ ენაში არ გვაქვს გრძელი ხმოვნები. ემპირიული მასალიდან ჩანს, რომ აზერბაიჯანული ენის ყაზახურ დიალექტში გრძელი ხმოვნები ფართოდ იხმარება და ყველა ხმოვანს, გარდა **ა** ხმოვნისა, გააჩნია თავისი გრძელი ვარიანტი. ანუ აქედან გამომდინარე გვაქვს **8** გრძელი ხმოვანი. უნდა აღვნიშნოთ, რომ გრძელი ხმოვნები გვხვდება მხოლოდ ნასესხებ სიტყვებში და დიალექტებში.

თანამედროვე სალიტერატურო აზერბაიჯანულ ენაში **9** ხმოვანია: **a, ə (1), u, ä (ა), i, ö, ü, e, o**. ამ ხმოვნებს არ აქვთ გრძელი ვარიანტები. გ. ალექბერლისა და მ. დემირჩიზადეს აზრით, სალიტერატურო აზერბაიჯანულში გრძელი ხმოვნები გვხდება არაბული და სპარსული ენებიდან ნასესხებ სიტყვებში. ვინაიდან ამ სიტყვებში არის აზერბაიჯანული ენისათვის უცხო თანხმოვნები, კერძოდ, *ყაინი* და *ჰაშა*; შესაბამისად, სესხების დროს ეს თანხმოვნები იკარგება//ვარდება და წინა ხმოვანი გრძელდება, მაგ., *ālim* - მეცნიერი, *mīras* - მემკვიდრეობა, *āla* - შესანიშნავი, *şibä* - განყოფილება, *ēlan* - განცხადება [Алекберли, 1946:13-15; Кязимов, 1952:300]

გრძელი ხმოვნები დამახასიათებელია თურქული ენებისათვის. ცნობილია, რომ გრძელი ხმოვნები არსებობდა ჯერ კიდევ ძველთურქულ ენაში (ორქონისა და ენისეის ენის ძეგლებშია დადასტურებული). მაჰმუდ ქაშგარის „თურქული ენის ლექსიკონში“ („Divanü Lüğat-it-Türk“) (1072-1074)⁴³, თანმიმდევრულად მოცემულია დიფერენცირებული გრძელი და მოკლე ხმოვნები [Поливанов, 1957:151]. გრძელი ხმოვნები შენარჩუნებულია თანამედროვე თურქმენულ, იაკუთურ, ყირგიზულ, ალთაურ, თუვურ, ხაკასურ, შორულ ენებში და უზბეკური და თათრული ენების

⁴³ „თურქული ენის ლექსიკონი“ - ადრეული პერიოდის თურქული დიალექტოლოგიის ერთადერთი ძეგლია. მასში 9000 ათასზე მეტი სიტყვაა შესული.

რამდენიმე თქმაში, ასევე თურქული ენის დიალექტებში [Korkmaz, 1956:199-200]. „მაგრამ ყველაზე ნათლად ხმოვანთა ნამდვილი სიგრძე თავს იჩენს თურქმენულ ენასა და იაკუთური ენის ერთმარცვლიან სიტყვებში“ [Рясянен, 1955:61].

წარმოშობის მიხედვით, აზერბაიჯანულ ენაში გვხდება პირველადი და მეორადი მოვლენების გრძელი ხმოვნები. თანამედროვე აზერბაიჯანული ენისათვის პირველადი ხმოვნები არ არის დამახასიათებელი. აღ. ახუნდოვის აზრით: „მართალია, გრძელი ხმოვნები გვხდება ნასესხებ სიტყვებში და ასევე რამდენიმე აზერბაიჯანულ სიტყვაში, მაგრამ თავს არ იჩენს იგი როგორც დამოუკიდებელი ფონემა. ზოგიერთი თურქულ ენათა ოჯახში შემავალი ენისაგან განსხვავებით, აზერბაიჯანულ ენას არ გაჩნია საერთო თურქული წარმოშობის გრძელი ხმოვნები“ [Axundov, 1984:19-20].

პირველადი გრძელი ხმოვნები: თანამედროვე აზერბაიჯანული ენისათვის პირველადი ხმოვნები არ არის დამახასიათებელი. აღ. ახუნდოვის აზრით: „სალიტერატურო ენის ისტორიის მასალაზე დაყრდნობით, შეიძლება დავასკვნათ, რომ აზერბაიჯანულ ენაში ხმოვანთა რაოდენობა იყო 9, რომლებიც წარმოთქმის ადგილისა და აკუსტიკური თვისებებით არ განსხვავდებოდა თანამედროვე ხმოვნებისაგან“. ასევე, „მართალია, გრძელი ხმოვნები ნასესხებ სიტყვებში და ასევე აზერბაიჯანული ენის რამდენიმე ძირითადი ლექსიკური ერთეულის შემადგენლობაში გვხდება, მაგრამ თავს არ იჩენს როგორც დამოუკიდებელი ფონემა. ზოგი თურქული ენისაგან განსხვავებით, აზერბაიჯანულ ენას არ გაჩნია საერთო თურქული წარმოშობის გრძელი ხმოვნები. ეს მდგომარეობა ვლინდება მთელი ჩვენი ენის განვითარების პერიოდში“ [Axundov, 1984:19-20].

გრძელი ხმოვნები ასევე ფართოდ იხმარება აზერბაიჯანული ენის სხვა დიალექტებშიც [Şirəliyev, 2008:25]. აღ. ახუნდოვი წერს: „სალიტერატურო ენისათვის არ არის დამახასიათებელი პირველადი გრძელი ხმოვნები, მაგრამ გვხდება აზერბაიჯანული ენის დიალექტებში და თქმებში, ისიც ძალიან სუსტად და სულ რამდენიმე სიტყვაში“ [Axundov, 1984:20].

გრძელი ხმოვნების შესახებ პირველად ნ. ი. აშმარინმა დაწერა თავის ნაშრომში „Общий обзор народных тюркских говоров гор. Нухи“. მისი აზრით, გრძელი ხმოვნები

გვხდება პირველად ნუხის⁴⁴ დიალექტში, მაგალითად: *gāra(i)* (ქალი), *āra(i)* (ფუტკარი), *sāra(i)* (ყვითელი), *jāra(i)* (ნახევარი), *bāra(i)* (ღობე), *mōrux* (მაყვალი) [Məmmədli, 2019:47]. ვ. ჯანგიდის აზრით, ყაზახური დიალექტის დმანისის თქმაში პირველადი გრძელი ხმოვნები გვხდება სიტყვებში: *gāx* - ჩირი, *āra* - ფუტკარი, *sāra* - ყვითელი, *nēčä* - რამდენი, *čējl* - ჭაობი, *ōva* - მინდორი, *dōlu* - სავსე, *čōl* - მინდორი, *g'ōl* - ტბა, *dōrt* - ოთხი, *gāya* - მამა, უფროსი ძმა, *gāra* - მოხუცი ქალი, *dāja* - ბიძა, *āḡra* - იქით [Джангидзе, 1965:13]. ჩემი აზრით, ასევე ყუბის რაიონის ალფანის, ზიგიქის, მირზამამადქენდის თქმებში სიტყვა *bējl* (ტანის კონკრეტული ნაწილი - წელი), სოფელ ბირინჯის ნუგედის თქმაში არსებულ სიტყვებში: *ōxur* (*axur*) - ახური, საქონლის საკვები ადგილი, *g'ōmuš* - კამეჩი, *āra'* - სუფთა, იგრიგის თქმაში - *gādən* - ქალი, ამ სიტყვებში გვხვდება პირველადი გრძელი ხმოვნები.

აზერბაიჯანული ენის ყაზახის ზოგიერთ თქმაში, სიტყვებში: *dāra*, *pālət*, *āda*, *gāra*, ერაყულ-თურქმენულ თქმაში სიტყვებში - *āləsəz*, *ātiram*, *jēdi*, *kētim*, *īndim* (*endim*), *ōtu* (*otur*), *g'ōzüm* (*g'örük*), *g'ētdi* იბ. ბაირამოვის აზრით, გვხდება პირველადი გრძელი ხმოვნები [Bayramov, 2022:51]. აზერბაიჯანული ენის ყაზახურ დიალექტში გვხვდება სიტყვები *ōtu* (*otur*) - დაჯექი, *g'ētdi* - წავიდა და ასევე ის სიტყვები, რაც ვ. ჯანგიდეს აქვს მითითებული: *gāx* - ჩირი, *āra* - ფუტკარი, *sāra* - ყვითელი, *nēčä* - რამდენი, *čējl* - ჭაობი, *ōva* - ბარი, *dōlu* - სავსე, *čōl* - მიდორი, *g'ōl* - ტბა, *dōrt* - ოთხი, *gāya* - მამა, უფროსი ძმა, *gāra* - მოხუცი ქალი, *dāja* - ბიძა, *āḡra* - იქით. ვენერა ჯანგიდის მოსაზრებას ერთმარცვლიანი სიტყვების გრძელი ხმოვნების შესახებ ვერ ვიზიარებთ, ვინაიდან ერთმარცვლიან სიტყვებში მახვილი მოდის ამ ხმოვნებზე და ეს სიგრძე შეიძლება იყოს მახვილით გამოწვეული და არა ფონეტიკური პროცესებით. გრძელი ხმოვნები არ არის წარმოდგენილი მახვილიან პოზიციაში. „აზერბაიჯანულ ერთმარცვლიან სიტყვებში გრძელი ხმოვნები საერთოდ არ არის“ [Ширалиев, Севортян, 1971:7].

სინამდვილეში, მეორადი გრძელი ხმოვნების წარმოშობა ფონეტიკური მოვლენების შედეგად მიღებული ხმოვნებია. „მაგრამ განსხვავება შემდეგში მდგომარეობს: თუ მეორადი გაგრძელების პროცესის დროს შედეგი ნათლად ჩანს და შეგვიძლია მისი ახსნა, პირველადი გაგრძელების დროს ამ პროცესის შედეგის

⁴⁴ ახლანდელი შუქი

ახსნისას გვჭირდება ეტიმოლოგიური ანალიზი“ [Axundov, 1984:19-20]. აქედან გამომდინარე, მეორადი გრძელი ხმოვნები უფრო ხშირად გვხვდება, ვიდრე - პირველადი. აზერბაიჯანული ენის დასავლურ დიალექტში ხმოვნების დაგრძელების ერთ-ერთი მიზეზი არის ფონეტიკური პროცესების შედეგად მიღებული გრძელი ხმოვნები, მაგალითად, ამისი ერთ-ერთი მიზეზია მეზობელი თანხმოვნების, კერძოდ, **n, h, ɣ, j, v** რედუქცია [Aslanovi, 2023:7] ე. აზიზოვი წერს: „შუა საუკუნეებში აზერბაიჯანული ენის თქმებში ხმოვნების მეორადი დაგრძელება ფართოდ იყო წარმოდგენილი. ამას ადასტურებს წერილობითი ძეგლები. თანამედროვე აზერბაიჯანული ენის დიალექტებში მეორადი გრძელი ხმოვნების წარმოქმნა დაკავშირებულია ბგერის რედუქციის პროცესთან“ [Əzizov, 1999:131]. წინამდებარე კვლევა ეყრდნობა ემპირიულ მასალას, რომელიც შედგენილია აზერბაიჯანული ენის დასავლური ჯგუფის ყაზახური დიალექტის მატარებელთა სასაუბრო ტექსტების მიხედვით. ამ დიალექტის მაგალითებში გრძელი ხმოვნები არის ფონეტიკური პროცესების, კერძოდ, თანხმოვნების რედუქციის შედეგად მიღებული. განვიხილოთ ყველა გრძელი ხმოვანი ცალ-ცალკე.

სიტყვის პირველ მარცვალში ხმოვნის გაგრძელება დამახასიათებელია თურქმენული, ბაშყირული, იაკუტური, ხაკას, ტუვური ენებისათვის. თურქმენულ ენაში აზერბაიჯანული ენისაგან განსხვავებით გრძელ ხმოვნებს სიტყვის შემცვლელი ფუნქცია აქვს, მაგ.:

baş - თავი; bāş - იარა

gör - ნახე; gōr – სამარე.

აქედან გამომდინარე, მეორადი გრძელი ხმოვნები უფრო მეტად გვხვდება, ვიდრე პირველადი. როგორც უკვე ითქვა, ხმოვნების დაგრძელების ერთ-ერთი მიზეზი არის ფონეტიკური პროცესების შედეგად მიღებული ხმოვნები, მაგალითად, შემხვედრი თანხმოვნების, კერძოდ, **n, h, ɣ, j** თანხმოვნების სრული რედუქციის დროს. ე. აზიზოვი წერს: „შუა საუკუნეებში აზერბაიჯანული ენის თქმებში ხმოვნების მეორადი დაგრძელება ფართოდ იყო წარმოდგენილი. ამას ადასტურებს წერილი ძეგლების ფაქტები. თანამედროვე აზერბაიჯანულ ენის დიალექტებში მეორადი

გრძელი ხმოვნების წარმოქმნა დაკავშირებულია ბგერის რედუქციის შედეგად მიღება“ [Əzizov, 1999:131].

წინამდებარე კვლევა ეყრდნობა ემპირიულ მასალას, რომელიც შედგენილია აზერბაიჯანული ენის დასავლური დიალექტის მატარებელთა სასაუბრო ტექსტების მიხედვით. ამ დიალექტის მაგალითებში გრძელი ხმოვნები არის ფონეტიკური პროცესების, კერძოდ, თანხმოვნების რედუქციის შედეგად მიღებული. განვიხილოთ ყველა გრძელი ხმოვანი ცალ-ცალკე.

I. გრძელი $\bar{a}$ გვაქვს n, γ, h, j თანხმოვნების რედუქციის შედეგად მიღებული, რომლებიც გვხვდება ინტერვოკალურ პოზიციაში:

1) n : $m\bar{a}n\bar{a} \rightarrow m\bar{a}$ - მე; $manat \rightarrow m\bar{a}t$ - მანათი; $hans\bar{a} \rightarrow h\bar{a}s\bar{a}$ - რომელი; $Tanr\bar{a} \rightarrow T\bar{a}r\bar{a}$ - ღმერთი;

2) γ : $a\bar{s}a\gamma\bar{a} \rightarrow a\bar{s}\bar{a}$ - ქვევით; $sayl\bar{a}g \rightarrow s\bar{a}l\bar{a}x$ - სადღეგრძელო; $\check{c}a\gamma\bar{a}r \rightarrow \check{c}\bar{a}r$ - დამიძახე;

3) h : $daha \rightarrow d\bar{a}$ - კიდე; $seg\bar{a}h \rightarrow seg\bar{a}$ - სეიგაჰი;

4) ა) j -ს რედუცირება გვხვდება ძირითადად ორმარცვლიან სიტყვების ფუძეში, ინტერვოკალურ პოზიციაში, სადაც მეორე მარცვალი იწყება j თანხმოვნით, გარდა ბოლო მაგალითისა: $dajan \rightarrow d\bar{a}n$ - მოითმინე; გაჩერდი; $Sajal\bar{a} \rightarrow S\bar{a}l\bar{a}$ - საიალი; $gajaja \rightarrow g\bar{a}ja$ - კლდესთან; $gaj\check{c}\bar{a} \rightarrow g\bar{a}\check{c}\bar{a}$ - მაკრატელი; $maja \rightarrow m\bar{a}$ - დედალი; $dajaz \rightarrow d\bar{a}z$ - არაღრა.

ბ) თუ წოდებითობის შორისდებული aj იხმარება საკუთარ სახელებთან ან საზოგადო არსებით სახელებთან, რომლებიც იწყება a ხმოვნით, შედეგად ვღებულობთ შორისდებულისა და მეორე სიტყვის შერწყმას, j თანხმოვნის დაკარგვითა და ხმოვნის დაგრძელებით, მაგ.:

$Aj Ajd\bar{a}n! \rightarrow \bar{A}jd\bar{a}n!$ - აიდინ!

$Aj ana! - \bar{A}na!$ დედავ!

$Aj Aslan! \rightarrow \bar{A}slan!$ - ასლან!

$Aj ata! - \bar{A}ta!$ - მამავ!

II. გრძელი $\bar{a}$ ხმოვანი გვხვდება:

1) როგორც საკუთრივ თურქულ ენათა ოჯახის სიტყვებში, ასევე ნასესხებში, სიტყვის ფუძეში, მორფემების გასაყარზე ინტერვოკალურ პოზიციაში h, j, n, k, f თანხმოვნების რედუცირების საფუძველზე:

ა) h : $\check{s}ah\bar{a}r \rightarrow \check{s}\bar{a}r$ - ქალაქი; $tah\bar{a}r \rightarrow t\bar{a}r$ - წესი; $sah\bar{a}r \rightarrow s\bar{a}r$ - დილა; $zah\bar{a}r \rightarrow z\bar{a}r$ - შხამი; $vah\check{s}i \rightarrow v\bar{a}\check{s}i$ - ველური; $m\check{s}lah\bar{a}t \rightarrow m\check{s}l\bar{a}t$ - რჩევა;

ბ) j: čijālām → čālām - მარწყვი; həjät → hāt - ეზო; äg'är → äjār → ār - თუ; küsājān → küsān - ბუტია; dəjirmi → dārmi - მრგვალი; g'äjirmāk → g'ärmāx' - ბოყინი; bājām → bām - ნუთუ; əgər → əyər → ār - თუ; dejasān → dāsān - მგონი; dəjirmi → dārmi - მრგვალი; ajaq → āx' - ფეხი; lājān → lān - თასი; nājā → nā - რისთვის; amājā → amā - შრომას; demājā → demā - სათქმელად;

გ) n: mānim → mām - ჩემი; sānin → sān - შენი;

დ) k: bālkā → bām - შეიძლება;

2) აზერბაიჯანულ ენაში მომავალი დროის მაწარმოებელი სუფიქსებია -ažag² (-ažag/-āžāk) ან -ar² (-ar/-ār) სუფიქსები. -ažag² სუფიქსის დართვისას გრძელი ხმოვანი გვხდება ხმოვანფუძიან ზმნებში პირველი პირის ორივე რიცხვში მტკიცებით და უარყოფით ფორმებში, მაგ.:

de-j-āžaj-ām → dāžām - ვეტყვი

de-j-ār-ik → dārix' - ვეტყვით

de-j-āžaj-ik → dāžix' - ვეტყვით

je-j-ār-ām → jārām - შევჭამ

demä-j-āžaj-ām → demāžām - არ ვეტყვი

jejārik → jārīx' - შევჭამთ

jejāžajām → jāžām - შევჭამ

je-mä-j-āžaj-ām → je-māj-ām - არ შევჭამ

jejāžaj-ik → jāžix' - არ შევჭამთ

g'et-mä-j-āžaj-ām → g'et-māžām - არ

jemājāžajām → jemāžām - არ შევჭამ

წავალ.

dejā-rām → dārām - ვეტყვი

3) ორი სიტყვის შერწყმის დროს:

ა) როცა პირველი სიტყვა ā ხმოვნით მთავრდება, ხოლო მეორე g' თანხმოვნით იწყება მაშინ g' თანხმოვანი რედუცირდება და ā ხმოვანი გრძელდება, მაგ.:

nā g'āzirsān → nāzersān - რას დადიხარ? რას ეძებ?

nā g'ätirib → nātrif - რა მოიტანა?

nājā g'ālerdin → nālerdin - რისთვის მოხვედი?

älā g'ālmir → älālmer - გაფუჭებული, გაწყალებული

bizā g'āl → bizāl - მოდი ჩვენთან

belā g'ālmā → belālmā - ასე ნუ მოდიხარ

sizā g'ālir - sizālir - თქვენთან მოდის.

ბ) ორი განსხვავებული მნიშვნელობის სიტყვის შერწყმის დროს, მაგ.:

ajag üstā → āyüstā - ფეხზე.

ამ შემთხვევაში გვხვდება მხოლოდ ერთი მაგალითი.

გ) როცა პირველი სიტყვა არის წოდებითი შორისდებული aj//ä, ხოლო მეორე სიტყვა - g˘ädä ან kiši, მაგ.:

Aj// Ä g˘ädä → ädä! - ეი, ბიჭო! ბიჭო

Aj //Ä kiši → āši! - ეი, კაცო! კაცო!

4) თუ წოდებით ფორმაში საკუთარი არსებითი სახელი იწყება ä ხმოვნით, მაგ:

Ähmäd → Ähmäd - აჰმედ

Äziz → Äziz - აზიზი

ÄläsÄär → Äläsg˘är - ალასკარი

Äzdär → Äzdär - აჟდარი

Äfsanä → Äfsanä - აფსანა.

ამ ჯგუფს მივაკუთნებთ სიტყვას äzizim - ჩემო ძვირფასო! ეს სიტყვა იხმარება წოდებით და კნინობით ფორმებში: äzzim - ჩემო ძვირფასო! სადაც ä არის გრძელ ვარიანტში. ჩემი დაკვირვებით და ემპირიული მასალის ანალიზის შედეგად, შეიძლება ითქვას, რომ დღევანდელ სასაუბრო ენაში ეს სიტყვა სულ უფრო იშვიათად იხმარება, ძირითადად ასაკოვანი ადამიანების საუბარში გვხვდება. იგი ჩაანაცვლა თურქული წარმოშობის სიტყვამ - žanəm - სულიკო!

შუა საუკუნის ლიტერატურულ ნაშრომებშიც გრძელი ä ხმოვანი გვხვდება ასევე y, h, g˘ თანხმოვნების რედუცირების შედეგად: döšäjin → döšän (ლეიბი); dinläjin → dinlän (მოუსმინეთ); dua ejläjin → dua ejlän (ილოცეთ); paj diläjin → pay dilän (წილი მოისურვეთ) (KDQ); färg ejläjin → färg ejlän (განასხვავეთ) (Nəsimi); söjläjin → söjlän (თქვით) (Xətai, Füzuli); ejläjiniz → ejläniz (გააკეთეთ) (“Şuhədanəmə”); šähär → šär (ქალაქი) (Q. Burahanəddin); äg˘är → är (თუ) (Füzuli) [Əzizov, 1999:131].

III. გრძელ ö ხმოვანს ვიღებთ:

1) როცა ერთ-ერთი მომდევნო თანხმოვანი, კერძოდ v, n, h, j, რედუცირდება, მაგ.:

ა) v თანხმოვანი:

dovšan → döšan - კურდღელი

hovuz → höz // houz - ბასეინი

novruz → nöruz - ნოვრუზი

lovçalanmag → löçalanmag - თავის ქება

sovut → sōt // sout - გააცვივ

garovul → garōl // garoul - ყარაული

sojug → sōx - სიცივე

tojug → tōx // toux - ქათამი

ovxalamag → ōxalama - დაზელა

govurma → gōrma // gourma - ყაურმა

čovyun → čōyūn - ქარბუქი

govurɣa – gōrɣa - მოხალული.

ბ) j თანხმოვანი:

sojug → sōx - ცივი

sojudu → sōdu - გაგრილდა

tojug → tōx - ქათამი.

გ) n თანხმოვანი: sonra → sōra// sōram - მერე.

დ) h თანხმოვანი: gohum → gōm - ნათესავი.

2) სიტყვაშეთანხმების დროს თუ პირველი სიტყვა ხმოვანფუძიანია, ხოლო მეორე სიტყვა **o** ხმოვნით იწყება, შედეგად ვიღებთ ერთ სიტყვას, სადაც პირველი სიტყვის ხმოვანი ასიმილირდება და, აქედან გამომდინარე, ვიღებთ გრძელ ხმოვანს, ანუ **o** ხმოვანი გრძელდება, მაგ.:

nā olsun → nōlsun // nōlsun - მერე რა! რა იყო?

nežā oldu → nežōldu - რა იქნა?

nā olažag → nōlažax' - რა იქნება?

xala oylu → xaōylu - დეიდა შვილო!

āmi oylu → āmōylu - ბიძაშვილო!

bažā oylu → bažōylu - დისშვილო!⁴⁵

3) თანამედროვე სალიტერატურო აზერბაიჯანულ ენაში ახლანდელი დროის მაწარმოებელი სუფიქსია **-ir⁴** (**-ir// -ær// -ur// -ür**) სუფიქსი. აღნიშნული სუფიქსის მოცემული ვარიანტებიდან გამომდინარე, უნდა გამოვიყენოთ სუფიქსი მაგარი⁴⁶ ბაგისმიერი ხმოვნით **-ur**, რომელიც აზერბაიჯანული ენის ყაზახურ დიალექტში **-ör** სუფიქსში გადადის და **o** ხმოვანი გრძელდება დისტანციური ასიმილაციისა და დისიმილაციის შედეგად, მაგ.:

otur-ur → otur-ör// otr-ör - ზის

⁴⁵ ბოლო სამი მაგალითი იხმარება წოდებით ფორმაში.

⁴⁶ აზერბაიჯანულ სამეცნიერო ლიტერატურაში უკანა რიგის ხმოვნები ასევე იწოდებიან მაგარ ხმოვნებად, ხოლო წინა რიგის ხმოვნები - რბილ ხმოვნებად.

dur-ur → dur-ōr - დგას

vur-ur → vur-ōr - სცემს.

ბოლო ორ მაგალითში დისიმილაციის პროცესის შედეგად სინჰარმონიზმის კანონი ნაწილობრივ დარღვეულია.

შუა საუკუნეების სალიტერატურო ენაში ეს პროცესი, ორი სიტყვის ფონეტიკური პროცესის შედეგად შეერთება, ასევე გვხვდება, თუ პირველი სიტყვა ხმოვანფუძიანია, მეორე კი ხმოვნით იწყება: $nə+edälim \rightarrow nedälim$ („რა ვენა“) (Füzuli); $nä+etdim \rightarrow netdim$ („რა ექენი“); $nä+etdin \rightarrow netdin$ („რა ქენი“), $nä+etdi \rightarrow netdi$ („რა ენა“); $nä+edärdi \rightarrow nedärdi$ („რას იზამდა“) [Əzizov, 1999:132].

IV. გრძელი ო ხმოვანი გრძელდება იმ შემთხვევაში:

1) თუ მას მოსდევს **v, j, h** თანხმოვნები და თუ აღნიშნული თანხმოვნები რედუცირდებიან, მაგ.:

ა) **v** თანხმოვანი:

dövlät → dölät - სახელმწიფო

dövrän → döran - მიმოქცევა

növbä → nöbä - რიგი

bänövšä → bänöšä // bänöjšä - ია

kövräk → köräx' // köjräx' - მტრევადი, ფხვიერი

dovça → döçä - დოვლა (ნაციონალური კერძი)

kösöv → kösöj - მუგუზალი.

ბ) **j** თანხმოვანი:

böjräk → böräx' - თირკმელი

döjürlär → döllär - სცემენ.

გ) **h** თანხმოვანი:

möhlät → mölät - დრო, გადავადება

möhtaž → mötäž - ვისაც სჭირდება

möhkäm → mökäm - ძლიერი.

2) თუ ო ხმოვანი იხმარება დიფთონგებში და დიფთონგოიდებში, მაგ.:

böjük → bō^ux' - უფროსი, დიდი

söjüd → sō^ut - ტირიფი

nām (jaš) – hō^uš - ნამი

döjüš → dō^uš - ბრძოლა

neft → nō^ut - ნავთი

lälöjün → lälō^un // lälön - ძუნწი

Hüsejin → Sō^un - ჰუსეინი

ževiz → žō^uz - კაკალი.

3) თუ ზმნის ფუძე, ან ბოლო მარცვალე შეიცავს რბილ ბაგისმიერ ხმოვანს, მაშინ ბრძანებით კილოში პირველი პირის მხოლოდით რიცხვში **-üm** სუფიქსი გადადის **-ōm**-ში, სადაც ö: გრძელდება, მაგ.:

g'örüm → g'örōm - მანახე! (ნება დამრთე)

söküm → sökōm - დამაშლევინე! (ნება დამრთე)

döküm → tökōm - გადამაქცევინე! (ნება დამრთე).

4) თუ ზმნა იხმარება ახლანდელ დროში და **-ür**, ან **-ir** სუფიქსების მაგივრად მესამე პირში იხმარება **-ör** სუფიქსი, მაგ.:

sök-ür → sökör - შლის

g'ör-ür → g'örör - ხედავს

g'urulda-jır – g'ürüllör - გრგვინავს, ქუხს

g'özlä-j-ir → g'özdör - ელოდება

vur-ur → vur-ör - სცემს. ამ კონკრეტულ შემთხვევაში სინჰარმონიზმის კანონი ნაწილობრივ დარღვეულია;

5) ჩვენებითი ნაცვალსახელის **o** („ეს“) და g'ün („დღე“) სიტყვისაგან შედგენილ სიტყვაშეთანხმების დროს g' თანხმოვანი რედუცირდება და ვლუბულობთ სიტყვას, o g'ün → ōün - იმ დღეს.

გრძელი ō ხმოვანი დაფიქსირებულია ასევე შუასაუკუნეების სალიტერატურო ძეგლებში **v, j** თანხმოვნების რედუცირების შედეგად, მაგალითად: tōlä (შდრ. სალიტ. tövlä - ბოსელი) (KDQ); g'ōčäk (შდრ. სალიტ. g'öjčäk - ნატიფი) (Nəsimi); sölädilär (შდრ. სალიტ. sölädilär - მოყვეს) (Şəms, “Qisseyi- Yusif”); örät (შდრ. სალიტ. övrät - ცოლი, ქალი) (Fə dai); sölärdi (შდრ. სალიტ. sölärdi - ყვებოდა) (Rənci, Şeyx Sənan); sölä (შდრ. სალიტ. sölä - მოყვები) (Vaqif) [Əzizov, 1999:133].

V. გრძელი ü ხმოვანი:

1) თუ სიტყვა **u**-ხმოვანფუძიანია ან თანხმოვანფუძიანი, სადაც ბოლო მარცვალ ან -**un**, ნათესაობით ბრუნვაში მას დაერთვის -**un**, ან **-(n)un** სუფიქსი. მაშინ ხმოვანფუძიან სახელებში ბრუნვის ნიშნის დამატების დროს მორფემების გასაყარზე სონორი **n** რედუქცირდება და შედეგად ვიღებთ გრძელ **ū** ხმოვანს, მაგ.:

guzu-nun → guzu-un → guzūn - ბატკნის

oɣlun-un → oɣlu-un → oɣlūn - ვაჟის

burnun-un → burnu-un → burnūn - ცხვირის.

2) **-dug⁴⁷+(პირის ნიშანი)** ზმნის საწყისი ფორმის სუფიქსის ხმარებისას ინტერვოკალურ პოზიციაში **ɣ** თანხმოვნის რედუქციის შედეგად გრძელი **ū** ხმოვანი მიიღება, მაგ.:

gur-duɣ-um → gur-dūm - ჩემი დაარსებული

soj-duɣ-um → sojdūm - ჩემი გაფრცქვნილი

goj-duɣ-um → gojdūm - ჩემი ჩადებული // ჩემი დადებული.

VI. გრძელ ū ხმოვანს ვიღებთ თუ:

1) **v** თანხმოვანი რედუცირდება ინტერვოკალურ პოზიციაში, მაგ.:

jüvürmäk → jürmäx' - სირბილი.

2) **j** თანხმოვანი რედუცირდება ინტერვოკალურ პოზიციაში ან როცა ერთ-ერთი მეზობელი თანხმოვანი სონორია, მაგ.:

žüjür → žür - შველი

düjün → dūn - კვანძი

düjü → dū - ბრინჯი

düjmä → dūmä - ღილი.

3) ჩვენებითი ნაცვალსახელისა bu („ეს“) და g'ün („დღეს“) სიტყვათშეთანხმების დროს პირველი სიტყვის u ხმოვნისა და მეორე სიტყვის g' თანხმოვნის რედუცირების შედეგად ვღებულობთ ერთ სიტყვას bün, სადაც **ū** ხმოვანი გრძელდება, მაგ.:

bu g'ün → bün - დღეს.

4) **ü**-ხმოვნიან ზმნებში ახლანდელ დროში **-ür** სუფიქსის დართვისას, მორფემების გასაყარზე ვიყენებთ დამხმარე **j** თანხმოვანს, რომელიც რედუცირდება და **ū** ხმოვანი გრძელდება, მაგ.:

⁴⁷ ინტერვოკალურ პოზიციაში სუფიქსებში g თანხმოვანი გადადის ɣ თანხმოვანში.

üšjür → šür - სცოვა

jüjür → jür // jör - რეცხავს (ყველა ზმნურ ფორმაში)

g'özlājir → g'özdür // g'özdör - ელოდება.

5) **-dük⁴⁸**+(პირის ნიშანი) ნამცოს მიმდებარის ფორმის სუფიქსის ხმარებისას j თანხმოვანი რედუცირდება და ü ხმოვანი გრძელდება, მაგ.:

g'ör-dü-j-üm → g'ördüm - ჩემ მიერ დანახული

öp-dü-j-üm → öpdüm - ჩემი ნაკოცნი

jü-dü-j-üm → jü-dü-m - ჩემი გარეცხილი

böl-dü-j-üm → böldüm - ჩემ მიერ განაწილებული.

VII. გრძელ ო ხმოვანს ვიღებთ თუ:

1) j თანხმოვნის რედუცირებით ინტერვოკალურ პოზიციაში, ან როცა ერთ-ერთი მეზობელი თანხმოვანი სონორია, როგორც ფუძეში, ასევე მორფემების გასაყარზე. აზერბაიჯანული ენის ყაზახურ დიალექტში გრძელი ო ხმოვანი ფართოდ არ არის გავრცელებული, მაგ.:

čijid → čit - კურკა

ijirmi → irmi - ოცი

je-j-ir-äm → ji-j-ir-äm // je-j-er-äm → jiräm // jēräm - ვჭამ

išlā-j-ir → išdijir → išdīr // išdēr - მუშაობს

jejlän → jilän - შექმნილი

je-j-ib → jif - შეჭამა (ყველა გრამატიკულ ფორმაში)

elā-j-ir-lār → elillār // elēllār - აკეთებენ (ყველა გრამატიკულ ფორმაში).

2) ზმნის უარყოფით ფორმებსა და ხმოვანფუძნ ზმნებში **-ib⁴** და **-ažag²** სუფიქსების დართვის დროს ფუძესა და სუფიქსებს შორის დამხმარე j თანხმოვნის რედუცირებისას, მაგ.:

g'et-mā-j-ib → g'etmijib → g'etmīf // g'etmēf - არ წასულა

išlā-j-ib → išdij-ib → išdīf // išdēf - უმუშავია (ყველა გრამატიკულ ფორმაში)

āk-ažāj-ik → āk-ažāj-ik → ākāžijik → ākājix - დავთესავთ

⁴⁸ ინტერვოკალურ პოზიციაში სუფიქსებში k თანხმოვანი გადადის j თანხმოვანში.

g'at-ir-āžaj-ik → g'atirāžijik → g'ātrāžiiik → g'ātrāžix' - მოვიტანო

de-j-āžaj-ik → dejažijik → dājix' - ვიტყვით.

VIII. გრძელი ē ხმოვანი:

1) ახლანდელ დროში სიტყვას დაერთვის **-ir** სუფიქსი, რომელიც შემდეგ გადადის **-er** სუფიქსში. ამ შემთხვევაში ē გრძელდება, თუ ზმნა:

ა) **e**-ფუძიანია და ახლანდელ დროის **-er** სუფიქსისასა და ფუძეს შორის დაერთვის დამხმარე j თანხმოვანი, რომელიც რედუცირდება და შედეგად ვიღებთ ორ **e** ხმოვანს, რომელიც გრძლად წარმოითქმის. აქ **-ir** სუფიქსი → **-er**. ამ შემთხვევაში შეიძლება ითქვას, რომ სინჰარმონიზმის კანონი არ ირღვევა - დაცულია, მაგ.:

de-j-ir → de+er → dēr - ამბობს

je-j-ir → je+er → jēr - ჭამს.

ბ) თუ „ა“ პუნქტში სინჰარმონიზმის კანონი დაცული გვაქვს, აქ პირიქით - სინჰარმონიზმის კანონი დარღვეულია. აქ თანხმოვანფუძიან ზმნებში ახლანდელი დროის სუფიქსი **-ir** // **-er** → **-er**, მაგ.:

g'ed+ir → g'edēr - მიდის

jat+er → jatēr - სძინავს

bax+er → baxēr - უყურებს

gač+er → gačēr - გარბის.

2) **e**-ხმოვანფუძიან ზმნებში, მორფემებს შორის (ბრძანებითი კილო, **-ib⁴**, უარყოფითი ფორმა) გამყოფი j თანხმოვნის რედუცირების დროს **e** ხმოვანი გრძელდება, მაგ.:

g'e-j-in → g'ēn! - ჩაიცვი!

je+j+in → jēn! - შეჭამეთ!

je+j+ib+lär → jēf+lär - უჭამიათ

de+mä+j+im → demēm - არ უნდა ვთქვა

de+j+ib → dēf - უთქვამს

de+mä+j+ib → demēf - არ უთქვამს

g'ejin+mä+j+im → g'ejinmēm - არ უნდა ჩავიცვა.

3) bu („ეს“) ჩვენებით ნაცვალსახელსა და g'ecä („ღამე“) სიტყვასთან სიტყვათშეთანხმებისას პირველი სიტყვის ხმოვანი u და მეორე სიტყვის g' თანხმოვანი რედუცირდება და შედეგად ვიღებთ ერთ სიტყვას, სადაც e ხმოვანი გრძელდება, მაგ.: bu g'ecä → b+ežä → bēžä - ამაღამ.

ორი სიტყვის შეერთებისას, ხმოვანთა დაკარგვის შედეგად სხვა ლექსიკური ერთეულის მიღების პროცესი დაფიქსირებულია შუასაუკუნეების სალიტერატურო ენაში, იმ შემთხვევაში, თუ პირველი სიტყვა ხმოვანფუძიანია და მეორე სიტყვაც ასევე ხმოვნით იწყება. მაგ.: nedälim (Füzuli), netdim, netdin, netdi, nedärdi (Fə dai) [Əzizov, 1999:131]. ჩემი აზრით, ე. აზიზოვის მიერ მოხმობილი მაგალითები თანამედროვე აზერბაიჯანული ენის ყაზახური დიალექტისათვის, ისევე, როგორც სალიტერატურო აზერბაიჯანული ენისათვის მოძველებული ფორმებია და არ გამოიყენება. ეს კომპოზიტური ფორმები იშლება ამგვარად: nedälim (შდრ. სალიტ. nä+edälim – რა ვენათ), netdim (შდრ. სალიტ. nä+etdim – რა ვენი), netdin (შდრ. სალიტ. nä+etdin – რა ქენი), netdi (შდრ. სალიტ. nä+etdi – რა ქნა), nedärdi (შდრ. სალიტ. nä+edärdi – რას იზამდა).

II. 2.2. მოკლე ხმოვნები აზერბაიჯანული ენის ყაზახურ დიალექტში

თანამედროვე აზერბაიჯანულ ენაში მახვილი ყოველთვის მოდის სიტყვაში ბოლო ხმოვანზე. ცნობილია, აზერბაიჯანული ენა სუფიქსების ენაა. სიტყვაზე სუფიქსის დამატების შემთხვევაში მახვილი, როგორც წესი, გადაინაცვლებს სუფიქსში არსებულ ხმოვანზე. ამ კანონს კი ზოგიერთ შემთხვევაში გამონაკლისები გააჩნია (იხ. მახვილი),

მაგალითად:  aná - დედა, ana+lár - დედები

 ana+lár+ín - ჩვენი დედების, მაგრამ  ana+lár+dər.

ხმოვნების მახვილიან და უმახვილო ვარიანტებს შორის აღნიშნება განსხვავება წარმოთქმაში: უმახვილო ხმოვანი ხასიათდება შედარებით მცირე არტიკულაციური დაძაბულობით. აღნიშნული ფონეტიკური პროცესი განპირობებულია იმით, რომ აზერბაიჯანულ ენაში მახვილი სუსტად არის ცენტრალიზებული, რის გამოც უმახვილო ხმოვანთა არტიკულაცია შედარებით სუსტია.

აზერბაიჯანული ენის ყაზახურ დიალექტში მოკლე ხმოვნები უკავშირდება ვიწრო ხმოვნების არსებობას, კერძოდ, შემდეგი ხმოვნებისა: **i, u, ü, ə**. აქედან გამომდინარე, აზერბაიჯანული ენის ყაზახურ დიალექტში ფიქსირდება ოთხი მოკლე ხმოვანი, რომელთა მოკლე ვარიანტებია: **ĩ, ũ, ụ̈, ă**.

ამგვარად, სადა და მოკლე ხმოვნები აზერბაიჯანული ენის ყაზახურ დიალექტში ქმნიან სისტემას, რომელიც შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

სადა ხმოვნები	i u ü ə
მოკლე ხმოვნები	ĩ ũ ụ̈ ă

ასე, თითოეულ სადა, დახურულ ხმოვანს შეესაბამება მისი მოკლე ვარიანტი, რაც მიაწინებს იმაზე, რომ ხმოვნები კარგავენ თავიანთ რაოდენობრივ მახასიათებლებს, ანუ როცა დახურული ხმოვნები განსხვავდებიან არა თვისებით, არამედ ხანგრძლივობით.

ეს ოპოზიცია ნიშნავს სადა და მოკლე ხმოვნების წინააღმდეგობას:

<i>i – ĩ</i>	<i>ü – ụ̈</i>
<i>u – ũ</i>	<i>ə – ă</i>

აზერბაიჯანული ენის ყაზახური დიალექტის ფონეტიკური პროცესების შესწავლის შედეგად თვალსაჩინო გახდა, რომ ხმოვნის სიმოკლე პირდაპირ არის დამოკიდებული მახვილზე. კერძოდ, ვიწრო ხმოვნები მოკლდებიან ორ შემთხვევაში, როდესაც:


1. ისინი იმყოფებიან უმახვილო პოზიციაში;

2. სუფიქსის დამატების შედეგად მახვილი გადაინაცვლებს სუფიქსის ხმოვანზე, რის შედეგადაც წინა მახვილიანი ხმოვანი კარგავს თავის ფონოლოგიურ სიძლიერეს, შესაბამისად, ხდება უმახვილო და – მოკლდება.

ამგვარად, აზერბაიჯანული ენის ყაზახურ დიალექტში მოკლე ხმოვნები გვხვდება როგორც სიტყვის ფუძეში, ისე სუფიქსებში. იმისათვის, რომ აღნიშნული ცვლილება უფრო თვალსაჩინო გავხადოთ, შემომაქვს სამი პოზიციური ტერმინი, სადაც ათვლას ვიწყებთ მახვილიან ხმოვნიდან და რომელსაც დავარქმევ **პრე-I-პოზიციას**. თუ მახვილიანი ხმოვანს ვუწოდებ **პრე-I-პოზიციას**, მაშინ სიტყვაში პრე-I-პოზიციამდე მყოფ ხმოვანს - **პრე-II-პოზიცია**. სიტყვაში ხმოვნების პოზიციური განთავსების დროს აზერბაიჯანულ ენაში, როგორც უკვე აღინიშნა, გვხვდება შემთხვევები, როდესაც მახვილი არ მოდის ბოლო მარცვალზე (იხ. მახვილი), გადადის სიტყვის ბოლოდან მეორე ხმოვანზე. ასეთ შემთხვევაში, თუ სიტყვის ბოლო ხმოვანი გვაქვს ვიწრო, იგი მოკლდება და მას **პოსტ-I-პოზიციას** ვუწოდებ. აქედან გამომდინარე:

- **პრე-I-პოზიცია** – ის ხმოვანია, რომელიც დგას მახვილიან ხმოვნამდე
- **პრე-II-პოზიცია** – პრე-I-პოზიციამდე მყოფი ხმოვანია
- **პოსტ-I-პოზიცია** - ის ხმოვანია, რომელიც დგას მახვილიანი ხმოვნის შემდგომ.

ეს ტერმინოლოგია საშუალებას იძლევა, დეტალურად ვაჩვენო მოკლე ხმოვნების დინამიკა სიტყვასა და სუფიქსებში, რაც მნიშვნელოვნად აფართოებს აზერბაიჯანული ენის ყაზახური დიალექტის ფონეტიკური და ფონოლოგიური აღწერის შესაძლებლობებს. მაგალითად, **balág → baláx** („თევზი“), აქ მახვილი მოდის **a** ხმოვანზე. მრავლობითობის სუფიქსის დამატებისას: **balág+lar → baláxlár** („თევზები“) მახვილი გადასულია სუფიქსში არსებულ **a** ხმოვანზე. ფუძეში არსებული **a** ხმოვანი, რომელიც მანამდე მახვილიანი იყო (**პრე-I-პოზიცია**), ხდება უმახვილო და, შესაბამისად, მოკლდება, მაგალითად, სიტყვა **baláx+lár+dər⁴⁹ → baláxlárdə** - თევზებია, ანუ:



⁴⁹ -dər⁴ - სუფიქსი აზერბაიჯანულ ენაში მახვილს არ იღებს და მეტყველების დროს **r** თანხმოვანი სრულად რედუცირდება.

- **ა** (სიტყვის მეორე მარცვალი) – პრე-I-პოზიცია
- **ა** (სიტყვის პირველი მარცვალი) – პრე-II-პოზიცია
- **ა** (სიტყვის ბოლო, მეოთხე, მარცვალი) - პოსტ-I-პოზიცია.

I. მოკლე ა ხმოვანი:

1) მოვიყვანოთ მაგალითები, სადაც ხმოვანი **ა** გვხდება სიტყვის ფუძეში პირველსა და მეორე მარცვლებში, მაგ.:

sǎčʰl - თაგვი

gǎzəl - ბოქლომი

gǎfəl - ბოქლომი

ʒǎrǎx' - გახეული

xǎnǎ - ხნა

bǎldǎrcǎn - მწყერი

gǎrǎx' - გატეხილი.

2) სუფიქსის დართვისას მახვილი გადადის სუფიქსის ბოლო ხმოვანზე, აქედან გამომდინარე ანუ მახვილიანი ხმოვანი (ზემოხსენებული) შეიძლება გადაიქცეს მოკლე არამახვილიან ხმოვნად ანუ გადავიდეს პრე-I-, ან პრე-II-პოზიციებში:

gǎfəl → gǎfəl + ən → k'ǎfǎln - ბოქლომის

gǎrǎx' → gǎrǎg + ən → gǎrǎɣǎn - გატეხილის

gǎzəl - gǎzəl + lǎ → gǎzǎllǎ - ოქროიანი

gapǎ → gapǎ + dan → gapǎdǎn - კარებიდან

3) სიტყვის ბოლოში - აუსლაუტში - პოსტ-I-პოზიცია, მაგ.:

gapǎ + dǎr → gapǎdǎ - კარები არის

gǎrǎg + dǎr → gǎrǎx'dǎ - გატეხილი არის.

II. მოკლე ი ხმოვანი:

1) ფუძეში პრე-I, ან პრე-II-პოზიციაში, მაგ.:

kǐšǐ - კაცი

šǐtǐl - ჩითილი

xǐjǎr - კიტრი

ǐnʒǐmǎx' - წყენა.

2) სუფიქსის დართვის შემთხვევაში, მაგ.:

kǐšǐ-j-ǐx' - კაცები ვართ

šǐtǐl- ǐn - ჩითილის

kǐšǐ-n-ǐn - კაცის

tǐftǐx' + lǐ - ბუსუსიანი

mīšīl + sīz - უბადლო.

3) პოსტ-I-პოზიციაში:

xālāt + dir → xālātdī - ხალათი არის

sās + dir → sāsī - ხმა არის

pīs + dir → pīsdī - ცუდი არის.

III. მოკლე ņ ხმოვანი:

1) ფუძეში პრე-I, ან პრე-II-პოზიციაში, მაგ.:

dūkán → tūkán - დუქანი

tūlkú- მელია

dūšmán → tūšmán // čūšmán - მტერი

mūrūvvát → mūrívát - სულგრძელობა

tūpūrúk → tūprúx' - ნაფურთხი.

2) სუფიქსის დართვის შემთხვევაში, მაგ.:

ūtū-j-ŭ → ūtūjŭ- უთო (ბრალდ. ბრ.)

mūmkūn + lúk → mūmkūnlúx' - შესაძლებლობა

tūstū + lú → tūstūlú- კვამლიანი.

3) პოსტ-I-პოზიციაში:

tūstú + dūr → tūstú + dū - კვამლი არის

tūlkú + dūr → tūlkú + dū - მელია არის.

IV. მოკლე ņ ხმოვანი:

1) ფუძეში პრე-I, ან პრე-II-პოზიციაში, მაგ.:

pūtáx - ტოტი

būzój - ხბო

būjnúz - რქა

sūlamá - მორწყვა

tūmūržúg → tūmūržúx - კოკორი

pūsmág → pūsmáx - თვალთვალი

2) სუფიქსის დართვის შემთხვევაში, მაგ.:

bűzov+ún → bűzøj+ún - ხბოს (ნათ. ბრ.)

sűčsűzlűg → sűčsűzlűx - უბიწობა

űzűn+lűg → űzűn+lűx - სიგრძე.

3) პოსტ-I-პოზიციაში:

tűműrűg+dur → tűműrűx+dű - კოკორი არის

xóű+dur → xóűdű - სასიამოვნო არის.

II. 2.3. ვიწრო ხმოვნების სიმოკლე და მეზობლობა ყრუ თანხმოვნებთან აზერბაიჯანული ენის ყაზახურ დიალექტში

აზერბაიჯანული ენის ყაზახურ დიალექტში ვიწრო ხმოვნების (ი, ე, ი, ა) ქცევა პრე-I-, პრე-II- და პოსტ-I-პოზიციებში მნიშვნელოვანი ფონეტიკური ნიშნით ხასიათდება. აღნიშნულ პოზიციებში, როდესაც ვიწრო ხმოვნები აღმოჩნდებიან ყრუ თანხმოვნებთან მეზობლობაში, ისინი სრულიად კარგავენ **სიმჟღერეს**, რაც იწვევს შემდეგ ეფექტს ანუ ყრუ-ფშვინვიერი თანხმოვნის წარმოთქმაში ხდება სკდომა (ხშული ბგერა), მაგ.:

სიტყვა	გამოთქმა	მნიშვნელობა
fűkűr	[f + i + k + i + r]	ფიქრი
tűkűr	[t + i + k + i + r]	აშენებს
pűtű	[p + i + t + i]	ფითი (ერთგვარი კერძი)
Pűtűx	[p + u + t + a + x]	ტოტი
Pűsműx	[p + u + s + m + a + x]	თვალთვალი
tűstűx	[t + u + s + t + a + x]	პატიმარი
gűfűl	[k' + a + f + a + l]	ბოქლომი
tűsvayű	[t + a + s + v + a + y + a]	კუ
pűűtű	[p + a + c + a + l + t + a]	ჩურჩული (ხმაბაძვითი)
tűstű	[t + u + s + t + u]	კვამლი
tűlkű	[t + u + l + k + u]	მელია
pűtűn	[p + u + t + u + n]	მთლიანად

როგორც აღნიშნული მაგალითებიდან ჩანს, დახურული ხმოვანი ხმამაღლა არ გამოითქმის, ხოლო მის ადგილას თანხმოვანი წარმოთქმის თავისებურის მიხედვით ინტენსიური და გამოკვეთილი ხდება. ამგვარად, ფონოლოგიური კონტრასტები რბილდება, რაც აზერბაიჯანული ენის ყაზახური დიალექტის ფონეტიკურ თავისებურებას ქმნის.

აზერბაიჯანული ენის ყაზახურ დიალექტში დახურული ხმოვნების ყრუ თანხმოვნებთან მეზობლობაში ფონეტიკური პროცესის მექანიზმი ასეთია:

- უმახვილო დახურული ხმოვანი არ გამოითქმება სრულად
- მას „შეითვისებს“ მეზობელი თანხმოვანი
- შედეგად ვიღებთ აკუსტიკურად გაძლიერებულ ყრუ თანხმოვანს.

II. 2.4. ნაზალიზებული ხმოვნები აზერბაიჯანული ენის ყაზახურ დიალექტში

ნაზალიზებული ხმოვნები - ეს არის ხმოვნები, რომლებიც გამოითქმის ცხვირიდან ჰაერნაკადის გამოსვლით, ისევე როგორც ნაზალური თანხმოვნები, მაგალითად, **m, n** (იხ. თანხმოვნები). „ხმოვნები ნაზალიზდებიან იმ შემთხვევაში, როცა რბილი სასა დაბლა ეშვება და ჰაერის ნაკადის ნაწილი ცხვირის ღრუდან გამოდის“ [Ladefoged & Johnson, 2006 : 248].

ნ. აშმარინის მიხედვით, აზერბაიჯანულ ენაში ყველა ხმოვანს გააჩნია ნაზალიზებული ვარიანტი, გარდა **e** და **ö** ხმოვნებისა [Ашмарин, 1926:12-17]. იგი აღნიშნავს, რომ ნაზალიზებული ხმოვნები წარმოიქმნება ველარული თანხმოვნის რედუცირების დროს. 1941–1942 წლებში პროფესორმა მ. შირალიევმა ნახიჩევანის დიალექტის კვლევისას დაადგინა, რომ ამ დიალექტში არსებობდა ნაზალიზებული ხმოვნები [Şirəliyev, 1949:77]. ხოლო 1950–1955 წლებში აზერბაიჯანის მეცნიერებათა აკადემიის ლიტერატურისა და ენის ინსტიტუტის დიალექტოლოგიურმა ექსპედიციამ, რომელიც სწავლობდა ნახიჩევანის დიალექტებსა და თქმებს, დააფიქსირა ნაზალიზებული ხმოვნების არსებობა არა მხოლოდ ნახიჩევანის, არამედ ორდუბადის, ჯულფას, შარურსა და შახბუზის დიალექტებში [Şirəliyev, 2008:32].

1945 წელს აზერბაიჯანის მეცნიერებათა აკადემიის ენის ინსტიტუტის დიალექტოლოგიურმა ექსპედიციამ ზაქათალა-კახის რაიონებში ჩატარებული საველე სამუშაოებისას აღმოჩნდა, რომ აღნიშნული რეგიონების დიალექტებში გვხვდება ნაზალიზებული ხმოვნები [Şirəliyev, 1947:184].

1946 წელს აზერბაიჯანის მეცნიერებათა აკადემიის ენის ინსტიტუტის დიალექტოლოგიურმა ექსპედიციამ მულანის ჯგუფის დიალექტების შესწავლისას საბირაბადის რაიონის ქოლანის სოფელში ასევე აღმოაჩინა ნაზალიზებული ხმოვნები. გარდა ამისა, ა. ჰუსეინოვმა დააფიქსირა მათი არსებობა ოღუზის რაიონის მეტყველებაში [Гусейнов, 1952:3], ხოლო ი. მამედოვმა - ფიზულის რაიონის დიალექტში [Мамедов, 1958:9-10].

მ. ისლამოვი მიიჩნევს, რომ აზერბაიჯანული ენის შექმნის თქმაში ყველა ხმოვანს აქვს ნაზალიზებული ვარიანტი, რომლებიც წარმოიქმნება არა მხოლოდ ველარული **ŋ** თანხმოვნის, არამედ **n** თანხმოვნების რედუცირების შედეგად [Bayramov, 2022:63].

„ყოველი ხმოვანი შეიძლება წარმოითქვას ნაზალიზაციით, როგორც თანხმლები არტიკულაციით. შედეგად ვიღებთ ე.წ. ნაზალიზებულ (ცხვირისმიერ) ხმოვნებს“ [გამყრელიძე, კიკნაძე, შადური, შენგელაია, 2008:78]. ვიზიარებ ამ მოსაზრებას და მიმაჩნია, რომ აზერბაიჯანულ ენაში ხმოვანს ნაზალიზაცია უჩნდება მეზობელი თანხმოვნის ზემოქმედებით.

ჩემი აზრით, აზერბაიჯანული ენის დასავლური ჯგუფის ყაზახურ დიალექტში ნაზალიზებული ხმოვნები არ ფიქსირდება. ვფიქრობ, ნაზალიზებული ხმოვნები წარმოიქმნება ველარული **ŋ**-სა ან სონორი **n** ბგერების შედეგად. ამრიგად, როდესაც ეს ცხვირისმიერი ბგერების ნაწილობრივი რედუცირების შედეგია, მის წინ და შემდეგ არსებული ხმოვნები ნაზალიზდებიან. მაგალითად, აზერბაიჯანულ სალიტერატურო ენაში სიტყვაში *mänä* („მე“ - მიც. ბრ.) ხმოვანი **ä** ოდნავ ნაზალიზებულია **n** თანხმოვნის გამო. მსგავსი ვითარებაა აზერბაიჯანული ენის ყაზახურ დიალექტში სიტყვა *manä*-ში („მე“ - მიც.ბრ.), სადაც ხმოვანი **a** ნაზალიზებულია ველარული **ŋ** თანხმოვნის ზემოქმედებით. შესაბამისად, ვთვლი, რომ აზერბაიჯანული ენის ყაზახურ დიალექტში არ გვხვდება დამოუკიდებელი ნაზალიზებული ხმოვნები, თუმცა

ცხვირისმიერ თანხმოვნებთან მეზობლობაში ხმოვნები იღებენ ნაზალიზებული ხმოვნების ელფერს.

მ. შირალიევის ცნობით, ნაზალური ხმოვნები ფიქსირდება კახი-ზაქათალის, ნახიჩევანის, ორდუბადის დიალექტებში, ასევე შექის, აღდაშის, მულანის, ოლუზისა და ფიზულის რაიონების თემებში [Širaliyev, 1967:32].

II. 2.5. აზერბაიჯანული ენის დასავლური ჯგუფის ყაზახური დიალექტის ხმოვანთა ცხრილი

აზერბაიჯანული ენის ყაზახური დიალექტის ხმოვანთა სისტემის შესწავლის შედეგად წარმოვადგენ ხმოვანთა ცხრილს წარმოთქმის ადგილისა და რაგვარობის მიხედვით.

რიგითობა ენის აწეულობა	წინაენისმიერი (რბილი)	შუაენისმიერი (რბილი)	უკანაენისმიერი (მაგარი)	ბაგისმიერობის მიხედვით
დახურული	i; ĭ; ī		ə; ǣ	არაბაგისმიერი
ნახევრად ღია		e; ě		
ღია	ä; ā		a; ā	
დახურული	ü; ū; ū̄		u; ū; ū̄	ბაგისმიერი
ღია	ö; ȳ		o; ȳ	

II. 2.6. დიფთონგები აზერბაიჯანულ ენის ყაზახურ დიალექტში

დიფთონგი - გამოთქმის დროს ერთ მარცვლად წარმოთქმული ანუ ერთ მარცვალში გაერთიანებული ორი ხმოვნისაგან მომდინარე წევრებისაგან. ამ ნაწილებს, ორივეს ერთად, ჩვეულებრივ, მარცვლის შექმნის უნარი აქვს შენარჩუნებული და ამ ტიპის მარცვალში დიფთონგის ერთ-ერთი ნაწილი ქმნის

მწვერვალს, მეორე კი მოკლებულია ამ უნარს, იგი ქმნის ამ მარცვლის დაღმავალ ნაწილს, ერთგვარ ფერდს.

სალიტერატურო აზერბაიჯანულ ენაში დიფთონგები არ გვხვდება, რადგან ენა მთლიანად ჩამოყალიბებულია მონოფთონგურ ხმოვნებზე [Damirçizada, 1979:44]. სალიტერატურო აზერბაიჯანულში დიფთონგები, ზოგადად, იშვიათია, თუმცა ზოგიერთი დიალექტი გამოირჩევა დიფთონგიზებული ხმოვნებით, რომლებიც ძირითადად წარმოიქმნება ხმოვნების ისტორიული კომბინაციებისა და ფონეტიკური გადასვლების შედეგად [Johanson, 2006:248-260].

ვ. ჯანგიძემ თავის ნაშრომში - „აზერბაიჯანული ენის დასავლური ჯგუფის დმანისის თქმა“, განიხილა სხვადასხვა მეცნიერის მოსაზრებები აზერბაიჯანულ ენაში დიფთონგების არსებობის საკითხთან დაკავშირებით. ავტორი დეტალურად ასახავს და სისტემაში მოყავს მკვლევართა განსხვავებულ პოზიციებს, რომლებიც შეიძლება სამი ძირითად ჯგუფად დაიყოს:

1. **აზერბაიჯანულ ენაში დიფთონგების არსებობის მომხრეთა ჯგუფი**, რომელთაც მიაჩნიათ, რომ ამ ენაში დიფთონგები რეალურად არსებობენ (ვ. ფოი, ფ. რადლოვი, მ. რიასანენი, ა. ჯაფაროღლუ, მ. დემირჩიზადე, მ. შირალიევი, რ. რუსტამოვი, ფ. ქაზიმოვი, გ. გაჯიევი);
2. **მეცნიერთა ჯგუფი, რომლებიც უარყოფენ დიფთონგების არსებობას**, თუმცა აღნიშნავენ რთული, შემადგენელი ხმოვნების არსებობას, რომლებიც დიფთონგებს ემსგავსებიან (ი. აშმარინი, მ. შირალიევი, ბ. იბრაჰიმოვი, გ. გაჯიევი);
3. **მეცნიერთა პოზიცია, რომლის მიხედვითაც აზერბაიჯანულ ენაში დიფთონგები არ გვხვდება, მაგრამ არსებობს დიფთონგოიდები** (გ. ვალიევი) [Джангидзе, 1965:19].

ვ. ჯანგიძე მიიჩნევს, რომ აზერბაიჯანული ენის დმანისის თქმაში გვაქვს შემდეგი დიფთონგები: **oj**, **öj** (რომლებიც წარმოქმნილია **ov**, **öv**, **äv**, **äf**, **af** კომპლექსებისაგან) და **ua** (რომელიც იწარმოება **v** თანხმოვნის რედუცირებით). აღნიშნულ დიფთონგებში ერთ-ერთი ნაწილი არის **j**, რომელიც წარმოიქმნა **v** თანხმოვნისაგან [Джангидзе, 1965:19]. არ ვიზიარებ ამ მოსაზრებას. მიმაჩნია, რომ

აზერბაიჯანულ ენაში დიფთონგები ყალიბდება *v*-სა და *j*-ს სრული რედუცირებით, რის შედეგადაც ერთმანეთს ხვდება ორი ხმოვანი. ამგვარად ვიღებთ პოზიციურ დიფთონგს.

აზერბაიჯანულ ენაში დიფთონგები იყოფა ორ ნაწილად, ესენია: აღმავალი და დაღმავალი დიფთონგები. ემპირიული მასალიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ აზერბაიჯანული ენის დასავლური ჯგუფის ყაზახურ დიალექტში უფრო ხშირია დაღმავალი დიფთონგები, ვიდრე აღმავალი.

II. 2.6.1. დაღმავალი დიფთონგები

დაღმავალ დიფთონგებში შემავალი ელემენტებიდან პირველ ადგილზე მარცვლის მწვერვალია, მეორეზე კი - მარცვლის ფერდი [ახვლედიანი, 1949:114]. მაშასადამე, აზერბაიჯანული ენის დასავლური ჯგუფის ყაზახურ დიალექტში დაღმავალ დიფთონგებში პირველი ხმოვანი ღიაა - *o* და *ö*, ხოლო მეორეზე - დახურული, ვიწრო - *u* და *ü*. აქედან გამომდინარე, გვაქვს შემდეგი დაღმავალი დიფთონგები: /*ou*/ და /*öü*/. მეორე ბგერის არსებობა დიფთონგებში ყველგან ერთნაირი არ არის, ანუ უფრო სუსტია. ამიტომ დაღმავალი დიფთონგები შეიძლება ორ ნაწილად დავყოთ:

- 1) სრულად დაღმავალი დიფთონგები
- 2) ნაწილობრივ დაღმავალი დიფთონგები.

1. სრულიად დაღმავალ დიფთონგში მეორე ხმოვანი არ არის ისეთივე ძლიერი, როგორც პირველი, მაგრამ ინარჩუნებს თავის თვისებას. უნდა აღინიშნოს, რომ ამასობაში პირველი ხმოვანი გრძელდება. მაშასადამე, აზერბაიჯანული ენის ყაზახურ დიალექტში ორი სრული დაღმავალი დიფთონგი გვხდება, რომელიც ორ ხმოვანთა: *o* - *u* და *ö* - *ü* კომპლექსებისაგან შედგება. მაშასადამე, აზერბაიჯანული ენის ყაზახურ დიალექტში გვხდება შემდეგი სრულიად დაღმავალი დიფთონგები: /*ou*/ და /*öü*/. ეს დიფთონგები, როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნე, მიიღება *v* და *j* თანხმოვნების რედუცირების შედეგად.

1) დიფთონგი /*ოუ*/ მიიღება ინტერვოკალურ პოზიციაში:

➤ **v თანხმოვნის** სრული რედუცირების შედეგად:

govurma → g/ <i>ოუ</i> /rma - ყაურმა	hovuz → h/ <i>ოუ</i> /s - ბასეინი
ovuṣ → / <i>ოუ</i> /ṣ - ხელის გული	garovul → gar/ <i>ოუ</i> /l - ყარაული
səčovul → səč/ <i>ოუ</i> /l - თაგვი	govurɣa → g/ <i>ოუ</i> /rɣa - მოხრაკული
Novruz → N/ <i>ოუ</i> /ruz - ნოვრუზი	sovurmag → s/ <i>ოუ</i> /rmax - გაფლანგვა.

➤ **j თანხმოვნის** სრული რედუცირების შედეგად:

tojug → t/*ოუ*/x - ქათამი
sojug → s/*ოუ*/x - სიცივე
sojutma → s/*ოუ*/tma - გაცივება
sojuduṣ → s/*ოუ*/duṣ - მაცივარი.

2) დიფთონგი /*ოი*/ მიიღება ინტერვოკალურ პოზიციაში:

➤ **j თანხმოვნის** სრული რედუცირების შედეგად:

söjüd → s/*ოი*/t - ტირიფი
höjüş (jaş) → h/*ოი*/ş - სველი
Hüsejin → S/*ოი*/n // Söjün // Söün // Sö^hn - ჰუსეინი
söjüş → s/*ოი*/ş // s^hş - გინება
döjüş → d/*ოი*/ş // d^hş - ბრძოლა
öjüd → /*ოი*/t - დარიგება.

➤ **v თანხმოვნის** სრული რედუცირების შედეგად:

goz → ževiz → ž/*ოი*/z // ž^hz - კაკალი
čevirir → č/*ოი*/rör → č^hrör - ატრიალებს.

ამ ჯგუფს შეიძლება მივაკუთვნოთ სიტყვა *neft* → n/*ოი*/t // n^ht - ნავთი *f* თანხმოვნის სრული რედუცირებისას ვიღებთ /*ოი*/ დიფთონგს. ჩემი აზრით, ამ მაგალითში კონტაქტური პროგრესული ასიმილაციის შედეგად *f* → *v*, *neft* → *nevt*, და მერე განიცდის რედუცირებას.

2) ნაწილობრივ დაღმავალი დიფთონგები, ან დიფთონგოიდები:

ნაწილობრივ დაღმავალი დიფთონგები, ან დიფთონგოიდები, ორ ხმოვანთა კომპლექსს შეადგენს, სადაც მეორე ბგერა ძალიან სუსტად გამოითქმის და, ამავდროულად, პირველი ხმოვანი გრძელდება. ეს დიფთონგი მიიღება *v* და *j* თანხმოვნების რედუცირების შედეგად⁵⁰. აზერბაიჯანული ენის დასავლური ჯგუფის ყაზახურ დიალექტში გვხვდება ორი ნაწილობრივ დაღმავალი დიფთონგი, ან დიფთონგოიდი: *ძა*, *ძჲ*. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დაღმავალი დიფთონგების ზოგ თქმაში შეიძლება იხმარებოდეს ნაწილობრივ დაღმავალი დიფთონგი. შესაბამისად, ზოგი მაგალითი ვარიანტებად მაქვს მოყვანილი:

➤ *ძა*: *dovšan* → *dძაšan* - კურდღელი

ovuž → *ძუჟ* → *ძუჯ* - ხელის გული

Novruz → *Nძაruz* - ნოვრუზი

gojub → *გძაფ* - დადო

tojug → *tძაx* - ქათამი.

➤ *ძჲ*: *sojug* → *sძჲx* - სიცივე

tojug → *tძჲx* - ქათამი

böjük → *bძჲx'* - უფროსი

Hüsejin → *Sძჲn* - ჰუსეინი

o g'ünü → *ძჲnnäri* - იმ დღეს

öjüd → *ძჲt* - დარიგება

dövürdük → *dძჲrdüx' // dძჲrdüx'* - ვცემდით

goz → *ževiz* → *ჟძჲz // ჟ/ძჲ/z* - კაკალი.

II.2.5.2. აღმავალი დიფთონგები

აღმავალ დიფთონგებში პირველი ხმოვანი მეორე ხმოვანზე სუსტად გამოითქმის. აღმავალ დიფთონგებში მარცვლის მწვერვალი მეორე ადგილზეა. აქ პირველი ხმოვანი არის მოკლე, ვიწრო ხმოვანი, ხოლო მეორე - ღია ხმოვანია. თუმცა

⁵⁰ ეს მეორე ხმოვანი ნაჩვენები იქნება პირველი ხმოვნის თავზე მარჯვენა კუთხეში.

ხანდახან გვხვდება აღმავალი დიფთონგების ისეთ ტიპები, სადაც პირველი ზგერა ერთ-ერთი ღია ხმოვანია და მეორე ჩვეულებრივ ღია ხმოვანია.

აზერბაიჯანული ენის დასავლური ჯგუფის ყაზახურ დიალექტში გვხვდება შემდეგი აღმავალი დიფთონგები: /uā/, /uā̃/, /oā/, /öā/:

1. /uā/ დიფთონგი მიიღება ინტერვოკალურ პოზიციაში:

➤ **v** თანხმოვნის სრული რედუცირების შედეგად:

suvag → s/uā/x' // s/oa/x' - ბათქაში

čuval → č/uā/l - ტომარა

g'üvätli → g/uā/tdə - ძლიერი

divar → d/uā/r // dohar - კედელი

javaš → j/uā/š - ნელა

javan → j/uā/n - მჭლე

juva → j/uā/ - ბუდე

juvarlag → j/uā/rlax - მრგვალი.

➤ **j** თანხმოვნის სრული რედუცირების შედეგად:

bu jana → b/uā/na - აქეთ

gojag → g/uā/x' // g/oā/x' - დავდოთ.

2. /üā/ დიფთონგი საკვლევ დიალექტში ხშირი მოვლენაა. ეს დიფთონგი მიიღება **v** და **j** თანხმოვნების სრული რედუცირებისას ინტერვოკალურ პოზიციაში:

➤ **v** თანხმოვნის რედუქციის დროს:

nävā → n/üā/ - შვილიშვილი;

ävālik → /üā/lix' // öā/lix' - ღოღო

g'avalı → g'/üā/li - ქლიავი

güvä → büvä → b/üā/ - ჩრჩილი

nüvär → n/üā/r - სეზონური დეგუსტაცია.

გვხდება შემთხვევა, როდესაც ამ დიფთონგს ვიღებთ **f** თანხმოვნის სრული რედუცირების შედეგად, მაგ.: tüfəng → t/üā/ng - თოფი. ჩემი აზრით, აქ დისტანციური ასიმილაციის შედეგად **f** → **v** და შემდეგ **v** სრულად იკარგება.

➤ **j** თანხმოვნების სრული რედუქციის დროს:

g'öjäm → g'/üā/m // g'/öā/m - ღოღნოშო

g'öjänäk → g'/üā/näx' // g'/öā/näx' - ლები, დაღურჯებული ადგილი

g'öjärti → g'/üā/rti // g'/öā/rti - სიმწვანე

g'üjärčün → g'/üā/rčün - მტრედი

dũjä → d/ũā/ - დეკეული

ävālik → /ũā/lix' // /öā/lix' - ღოლო

g'öjärtmäk → g'ũā/rtmäx' - გამწვანება

jujan → j/ũā/n - მრეცხავი

jüjän → j/ũā/n - აღვირი

3. /oā/ დიფთონგი გვხდება **v** და **j** თანხმოვნების სრული რედუცირებისას ინტერვოკალურ პოზიციაში:

➤ **v** თანხმოვნის სრული რედუცირების შემთხვევაში:

avazəðə → /oā/zəðə - გაფითრდა

ova → /oā/ - სანადიროდ

➤ **j** თანხმოვნის სრული რედუცირების შემთხვევაში:

ojandə → /oā/ndə - გაიღვიძა

ojag → /oā/x - ფხიზელი

o jana → /oā/na - იქით

gojarəg → g/oā/rəx - დავდებთ

dojaram → d/oā/ram - დავნაყრდები

sojarsan → s/oā/rsan - შენ გაფცქვნი

4) /öā/ დიფთონგი მიიღება ინტერვოკალურ პოზიციაში:

➤ **j** თანხმოვნის სრული რედუცირების შედეგად:

döjäram → d/öā/räm - ვცემ

söjār → s/öā/r - შეაგინებს

g'öjärti → g'/öā/rti // g'/ũā/rti - სიმწვანე

g'üjärcin → g'/öā/rčín // g'/ũā/rčín - მტრედი

ävālik → /öā/lix' // /ũā/lix' - ღოლო.

როგორც ჩანს ემპირიული მასალიდან, აზერბაიჯანული ენის დასავლური ჯგუფის ყაზახურ დიალექტში დიფთონგების შემცველ ლექსიკურ ერთეულებს აქვს რამდენიმე ვარიანტი:

tojug → t/ōu/x // t/ō^u/x // tōx - ქათამი

sojug → s/ōu/x // s/ō^u/x // s/ō/x - სიცივე

goz → ževiz → ž/öü/z // žöž // žöž - კაკალი

čevirir → č/öü/rör → čö^urör // čörör - ატრიალებს.

ვარიანტებს ქმნის დიფთონგის შემცველი სუსტი კომპოზიტი. ამგვარი წარმოების დიფთონგი მერყეობს ხოლმე ორ ხმოვანს შორის.

III თავი

III. 1. თანხმოვნები აზერბაიჯანულ ენაში

თანხმოვანთა წარმოქმნის დროს ჰაერნაკადი დაბრკოლებას ხვდება. თანამედროვე აზერბაიჯანულ ენაში **24 თანხმოვანია: b, v, g, ƣ, d, ƶ, z, ƶ, j, k, k', g', l, m, n, p, r, s, t, f, x, h, Ʒ, Ʒ.** აზერბაიჯანული ენის ყაზახურ დიალექტში გვხვდება ყველა ის თანხმოვანი, რომლებიც წარმოდგენილია სალიტერატურო აზერბაიჯანულ ენაში. აზერბაიჯანული ენის დასავლური ჯგუფის ყაზახურ დიალექტში თანხმოვანთა რაოდენობა მეტია. **ყაზახურ დიალექტში სულ 30 თანხმოვანია.** ყაზახურ დიალექტში დასტურდება ისეთი თანხმოვნები, რომლებიც სალიტერატურო ენას არ გააჩნია. განვიხილავ ქვემოთ დაწვრილებით.

აზერბაიჯანული სალიტერატურო ენის თანხმოვანთა კლასიფიკაციისათვის ვეყრდნობი ცალკ-ცალკე ა. დემირჩიზადესა და ა. ახუნდოვის მიერ წარმოდგენილ აზერბაიჯანული ენის თანხმოვანთა კლასიფიკაციებს. წარმოვადგენ აზერბაიჯანული ენის ყაზახური დიალექტის თანხმოვანთა სისტემის ახლებურ კლასიფიკაციას, რომელიც არსებითად განსხვავდება ზემოხსენებული კლასიფიკაციებისაგან. მართალია, არსებობს აზერბაიჯანული ენის დასავლური ჯგუფის კლასიფიკაცია, მაგრამ, ჩემი აზრით, აქვს პატარა უზუსტობები.

ცნობილია, თანხმოვნები არის ისეთი ბგერები, რომელთა წარმოქმნისას ფილტვებიდან ამოსული ჰაერნაკადი დაბრკოლებას აწყდება. არსებობს თანხმოვანთა შემდეგი კლასიფიკაციები: 1) წარმოქმნის რაგვარობის, 2) წარმოების ადგილისა, 3) მჟღერობა-სიყრუის მიხედვით.

I. წარმოქმნის რაგვარობის მიხედვით. აზერბაიჯანული ენის თანხმოვნები ქმნიან წყვილეულთა და ცალეულთა სისტემებს.

1) **წყვილეულებს** ქმნიან - **ხშული და ნაპრალოვანი** ბგერები. ხშულები ქმნიან ორ ჯგუფს: ა) **ხშულ-მსკდომსა და ბ) ხშულ-ნაპრალოვანი.** როდესაც ჰაერნაკადი სასუნთქი მილის ერთ ნაწილში სრულ დაბრკოლებას აწყდება და შემდეგ განხშვა (სკდომა) მოსდევს, წარმოიქმნება **ხშულ-მსკდომი** ბგერები. ესენია: **p, b, t, d, k, k', g', g.**

ბ) აფრიკატები არიან რთული შედგენილობისა და რაგვარობის ბგერები. „ასეთ ბგერებს შემმართვა ხშულისა აქვთ, დამმართვა კი - სპირანტისა. ამიტომ აფრიკატები უნდა ჩავთვალოთ შერეული, ხშულ-ნაპრალოვანი რაგვარობის თანხმოვნებად“ [გამყრელიძე, კიკნაძე, შადური, შენგელაია, 2008 : 88]. აზერბაიჯანულ სალიტერატურო ენაში ორი აფრიკატია **ჭ, ც**, ხოლო აზერბაიჯანული ენას დასავლური ჯგუფის ყაზახურ დიალექტში გვხვდება 4 აფრიკატი თანხმოვანი. ესენია: **ჭ, ც, ჯ და ძ**.

2) **ნაპრალოვანი** (სპირანტი) თანხმოვნები - როდესაც არტიკულატორი უახლოვდება არტიკულაციის წერტილს ისე, რომ მათ შორის რჩება ნაპრალი, საიდანაც გამოედინება ჰაერნაკადი, წარმოიქმნება შემდეგი ნაპრალოვანი ბგერები: **f, v, s, z, ჭ, j, x, x', ყ, h, ჯ, ჯ**;

3) **ცალეულთა სისტემას ქმნიან სონორები - m, n, l, r**. სონორები თავის მხრივ, სამ ჯგუფად იყოფა:

1) **ნაზალური // ცხვირისმიერი - m, n, l**. აზერბაიჯანულში **m, n** და **l** ბგერების წარმოქმნის დროს რბილი სასა დაშვებულია და ჰაერნაკადი მიედინება როგორც პირის, ასევე ცხვირის ღრუში. ასე მიიღება ცხვირისმიერი ბგერები, ანუ ნაზალები (ლათ. nazales);

2) **ვიბრანტი // მთრთოლი** - როდესაც ჰაერნაკადი იწვევს არტიკულატორის თრთოლვას, წარმოიქმნება მთრთოლი ანუ ვიბრანტი (ლათ. vibrants) ბგერები. აზერბაიჯანულ ენაში ასეთია **r** ბგერა;

3) **ლატერალი**: შეიძლება პირის ღრუ ენის საშუალებით ისე იყოს დახშული, რომ ჰაერნაკადი გამოედინებოდეს ღრუს ერთ-ერთ ან ერთდროულად ორივე მხარეს ენის გვერდებსა და ლოყების კედლებს შორის შექმნილ ნაპრალებში. ასეთ ბგერებს ეწოდება გვერდითი ბგერები ანუ ლატერალები (ლათ. laterales). აზერბაიჯანულში დასტურდება ერთადერთი ლატერალი **l** ბგერა.

თურქულ ენების ტრადიციული ფონოლოგიური აღწერის მიხედვით ქმნიან იერარქიულად ორგანიზებულ ერთიან რიგს, რომლის ფარგლებში ნაზალური თანხმოვნები განლაგებულია არტიკულაციის ადგილის მიხედვით:

$$m \rightarrow n \rightarrow l.$$

ველარული η ლოგიკურად ასრულებს ნაზალურ რიგს [Шербак, 1970:142-143]. შორულ ენაში წარმოდგენილია იმავე ცხვირისმიერი სონორული ფონემები m, n, η , [Дыренкова, 1941:38-39], რაც აზერბაიჯანული ენის ყაზახურ დიალექტში. ორივე ენა მიეკუთვნება თურქულ ენათა ოჯახს და იზიარებს საერთო ფონოლოგიურ პრინციპებს. შორული ენის სონორი თანხმოვნები ტიპოლოგიურად და გენეტიკურად დაკავშირებულია აზერბაიჯანული ენის ყაზახური დიალექტის სონორულ სისტემასთან. აზერბაიჯანული ენის ყაზახურ დიალექტში აღნიშნული სისტემა წარმოდგენილია იმავე ნაზალური სონორებით - m, n, η , სადაც ფონემა η ფუნქციონირებს ძირითადად ფონოლოგიურ, მორფოლოგიურ და ისტორიულ დონეზე, რაც პარალელს ჰკოვებს შორულ ენასთან. შესაბამისად, თურქული ენების სონორების კლასიფიკაცია შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს აზერბაიჯანული ენის ყაზახური დიალექტისათვის სონორების კლასიფიკაციისათვის და წარმოვადგენთ შემდეგნაირად:

$$m \rightarrow n \rightarrow \eta \rightarrow l \rightarrow r.$$

ცხვირისმიერი η ამ სისტემაში ლოგიკურად ასრულებს ნაზალურების რიგს და წარმოდგენილია n -ს შემდეგ, რითაც ასრულებს ნაზალური თანხმოვნების რიგს არტიკულაციის ადგილის მიხედვით (წინა $\rightarrow$ უკანა), რის შემდეგადაც მოჰყვება ლატერალური და ვიბრანტი სონორები $l \rightarrow r$.

II. თანხმოვნები წარმოების ადგილის მიხედვით. ანუ იმის გათვალისწინებით, ცალკეული თანხმოვნის წარმოქმნაში რომელი სამეტყველო ორგანო იღებს მონაწილეობას.

1. ლაბიალური თანხმოვნები. ამ თანხმოვნების წარმოქმნაში ბაგეები აქტიურ მონაწილეობას იღებენ, ამიტომაც ამ თანხმოვნებს ბაგისმიერ თანხმოვნებსაც უწოდებენ. ბაგისმიერი თანხმოვნების წარმოქმნაში ან ორივე ბაგე მონაწილეობს, ან მხოლოდ ქვედა ბაგე და კბილი. ამის მიხედვით გვაქვს: **ბილაბიალური // წვეილბაგისმიერი და ლაბიოდენტალური // კბილბაგისმიერი.**

ა) ბილაბიალური // წვეილბაგისმიერი: b, p, m

ბ) ლაბიოდენტალური // კბილ-ბაგისმიერი: v, f

2. ალვეოდენტალური// წინაენისმიერი: t, d, z, c, s, z

3. ინტერდენტალური: $\dot{z}$

4. ალვეოპალატალური // სასა-ნუნისმიერი: **ჭ, ჴ, ძ, ჳ**

5. შუაენისმიერი თანხმოვნები - ეს თანხმოვნები შუა ენის აწევით წარმოიქმნება.

შუაენისმიერი თანხმოვანია: **კ, გ, ჯ, ხ**.

6. ველარული // რბილსასისმიერი. ეს თანხმოვნები უკანა ენის სასისკენ აწევის შედეგად წარმოიქმნება. უკანაენისმიერი თანხმოვანია: **კ', გ, ხ, ყ**

7. ლარინგალური // ხორხისმიერი - **ჰ**.

III. მჟღერობა-სიყრუის პრინციპი.


ზოგიერთი თანხმოვნის წარმოქმნისას სახმო სიმებს ახასიათებს დაჭიმულობა, ზოგიერთისას - არა. ამის მიხედვით გვაქვს **ყრუ და მჟღერი** თანხმოვნები.

ა) **ყრუ** თანხმოვნებია: **ჰ, კ', კ, ხ, ხ', ძ, ტ, პ, ს, წ, ფ, ც;**

ბ) **მჟღერი** თანხმოვნები: **ბ, ჳ, დ, გ, ვ, ჯ, გ', ვ, ჴ, ჴ, ჳ.**

წარმოვადგენ თანხმოვანთა სისტემას აზერბაიჯანული ენის
ყაზახურ დიალექტში

რაგვარობის მიხედვით ადგილის მიხედვით		ხშული აფრიკატი				ნაპრალოვანი (სპირანტი)	
		მჟღერ ო	ყრუ	მჟღერ ო	ყრუ	მჟღე რი	ყრუ
ლაბიალური	ბილაბიალური, წყვილბაგისმიერი	b	p				
	ლაბიოდენტალური, კბილ-ბაგისმიერი	v	f				
ალვეოდენტალური// წინანუნისმიერი		d	t	ʒ	c	s	z
ინტერდენტალური						ʒ̣	
ალვეოპალატალური// სასა-ნუნისმიერი				ʒ̣	č	ž	š
შუაენისმიერი		g̣	k			j	
ველარული // რბილსასისმიერი		g	k'			ɣ	x'
ლარინგალური // ხორხისმიერი							h
სონორები - r, l, n, ɲ, m							



კონსონანტთა დახასიათება

p და **b** ფონემები - ხშული, წყვილბაგისმიერი თანხმოვნებია. აქედან **p** - ყრუ, **b** კი - მჟღერი. **p** და **b** თანხმოვნების წარმოქმნაში ქვედა ბაგე და ზედა ბაგე დახურულ მდგომარეობაშია, ჰაერნაკადის მიწოლით და ბაგეების უცბად გახსნით წარმოითქმის. ამ მიზეზით ფონეტიკოსების ერთი ჯგუფი ამ თანხმოვნებს ხშულ, მეორე კი - მსკდომ თანხმოვნად მიიჩნევს. **p** ყველა პოზიციაში გვხვდება:

ანლაუტში: papag - ქუდი, pas - ჟანგი, pambag - ბამბა, palad - მუხა;

ინლაუტში: gapgara - უშავესი, läpä - ნიგოზი; garpaz - საზამთრო, gapa - კარი;

აუსლაუტში: ip - თოკი, gulp - სახელური, sap - ძაფი.

ფონემა **b** სიტყვაში გვხვდება ყველა პოზიციაში:

ანლაუტში: bal - თაფლი, bol - სავსე, bölmäk - დანაწევრება;

ინლაუტში: gurbaya - ბაყაყი, šorba - სუპი, Azärbajžan - აზერბაიჯანი, daban - ქუსლი;

აუსლაუტში: däb - მოდა, gärb - დასავლეთი, gälb - გული, dib - ძირი, tibb - მედიცინა.

სიტყვის ბოლოში **b** ყრუვდება და გადადის **p**-ში, **b** → p, მაგ.:

däb → döp - მოდა

gärb → gärp - დასავლეთი

gälb → gälb - გული.

თუ სიტყვაში გვერდიგვერდ გვხდება ორი **p** ბგერა, მაშინ **p** გემინატი განიცდის დისიმილაციის პროცესს, აქედან ერთერთი რჩება ყრუ თანხმოვნად, ხოლო მეორე კი - მჟღერდება, $p \rightarrow b$ (ნაწილობრივ მჟღერდება), მაგ.:

hoppanmag → hopbanmax - ხტუნაობა

tappəltə → tapbəltə - ფეხების ბაკუნია

äppək → äpbäx' // äbpäx' - პური.

როცა სიტყვაში ორი **b** იყრის თავს, ასევე განიცდის დისიმილაციის პროცესს და ამ ორი თანხმოვიდან ერთ-ერთი **b** ყრუდ წარმოითქმის (ნაწილობრივ), მეორე რჩება უცვლელად, მაგ.:

gübbä → güpbä - გუმბათი

dabbay → dapbay - მეტყავე

tibbi → tipbi // tibpi - სამედიცინო

Abbas → Älapbas - აბასი.

t და d ფონემები - წინაენისმიერი, კბილისმიერი, ხშული თანხმოვნებია. აქედან **t** - ყრუ, **d** - მჟღერი. **t** და **d** ბგერები წინაენის ზედა კბილებთან მიდების შედეგად წარმოიქმნება. **t** თანხმოვანი სიტყვაში ყველა პოზიციაში გვხვდება (**top** - ბურთი, **ata** - მამა, **ütü** - უთო, **at** - ცხენი). ორი **t**-ს თავმოყრის შემთხვევაში ერთი ჩვეულებრივად, მეორე კი მჟღერად წარმოითქმის: **hätta** → **hätä** - ასევე, **ittiham** → **itdiham** - ბრალდება.

d თანხმოვანი ყველა პოზიციაში გვხვდება (**day** - მთა, **od** - ცეცხლი, **žadar** - დოლი, **žäld** - სწრაფი). ორი **d** თანხმოვნის თავმოყრის შემთხვევაში ერთი ყრუდ წარმოითქმის, მეორე კი მჟღერად: **häddindän** → **hätinnän** - ზღვარი, **jeddi** → **jetdi** // **jedti** - შვიდი. **d** თანხმოვანი აფიქსებშიც გამოიყენება: **-da⁴** (**-di** // **-da** // **-du** // **-dü**); **-da²** (**-da** // **-dä**); **-dan²** (**-dan** // **-dän**) და ა. შ.

K და g ფონემები. ეს ორი თანხმოვანი თითქმის იდენტურია, მაგრამ განსხვავებულიც არის: **K** ხშული, შუაენისმიერი ყრუ თანხმოვანია. იგი იხმარება როგორც წინა- და შუაენიმიერ (**i, ü, ö, e, ä**), ასევე უკანაენისმიერ ხმოვნებთანაც: **keči** - თხა, **küčä** - ქუჩა, **käläm** - კომბოსტო, **kar** - ყრუ, **kor** - ბრმა, **kal** - კვახი, **mähkum** - პატიმარი, **kosa** - ქოსა, **kaš** - ნეტავ, **kim** - ვინ.

k სიტყვის ბოლოში აფიქსის დართვისას ინტერვოკალურ პოზიციაში მჟღერდება, გადადის j თანხმოვანში: čičäk+i → čičäji - ყვავილი (ბრალდ. ბრ.), kāklik+ä → kāklijä - კაკაბს (მიც. ბრ.), gʻüllük+ün → gʻüllüjün - ყვავილნარის (ნათ. ბრ.) და სხვა. იგი აფიქსებშიც გვხვდება: -lək⁴ (-lik // -lək // -luk // -lük), -äžäk² (-äžäk // -ažag) და სხვა.

გʻ თანხმოვანი k-სგან თითქმის არ განსხვავდება. განსხვავებას ქმნის ის, რომ გʻ-ს წარმოთქმისას სასუნთქი მილი დაჭიმულ მდგომარეობაშია და იგი მჟღერია. შდრ.: გʻor (ნახე) – kor (ბრმა), გʻül (ყვავილი) – kül (ფერფლი), გʻöz (თვალი) – köz - ნაკვერჩხალი. გʻ თანხმოვნის სიტყვაში გამოყენება შეზღუდულია, იგი გვხვდება სიტყვის

ანლაუტში: გʻün - დღე, გʻil - თიხა, გʻöz - თვალი; გʻünäš - მზე; გʻäl - მოდი!

ინლაუტში გვხვდება ნასესხებ სიტყვებში: šagʻird - მოსწავლე, zängʻin - მდიდარი, čängʻäl - ჩანგალი;

აუსლაუტში გვხვდება სულ რამდენიმე სიტყვაში სონორ n-სთან ერთად - ngʻ თანხმოვანთა კომპლექსში: ängʻ - ქვედა ყბა, žängʻ - დაბუჟება, zängʻ - ზარი, ahängʻ - ჰარმონია, pälängʻ - ვეფხვი, gʻäšängʻ - ლამაზი და ა. შ.

k' და g. k' ყრუ თანხმოვნის გამოყენების სფერო ვიწროა, იგი იშვიათად გამოიყენება. იმის გამო, რომ k' ძალიან იშვიათად გამოიყენება, ამიტომაც იგი დამოუკიდებელ ფონემად არ არის ცნობილი, ამის გამოა, რომ მას ორთოეპიაში კერძო ნიშნით არ აღნიშნავენ „ეს ფონემა შემოვიდა აზერბაიჯანულ ენაში საბჭოთა ეპოქაში და აზერბაიჯანული ენის ანბანში არ არის ასახული როგორც ცალკეული გრაფემა, რაც შეიძლება გრაფიკის ნაკლოვანებად ჩაითვალოს. როცა არ იცი თუ რომელ ლექსიკურ ფენას ეხება ამა თუ ის სიტყვა **k' და k** თანხმოვნები შეიძლება არასწორად გამოთქვა“ [Ширалиев, Севортян, 1971:16]. ასეთი k' ფონემა შედარებით ცოტა ხნის წინ ნასესხებ სიტყვებში, ძირითადად რუსული ენიდან, ან რუსული ენის მეშვეობით შემოსულ სიტყვებში იხმარება, მაგალითად, kolxoz - კოლხოზი, kadr - კადრი, kommunist - კომუნისტი. k' უკანაენისმიერი, ყრუ თანხმოვანია. ეს ფონემა, როგორც აზერბაიჯანული ენის ყაზახური დიალექტისათვის დამახასიათებელი ფონემა ქვემოთ იქნება აღწერილი.

g - k' თანხმოვნის მჟღერი წყვილია. მისი წარმოქმნის დროს სასუნთქი მილი დაჭიმულია. იგი ყველა პოზიციაში გვხვდება:

ანლაუტში: guzu - ბატკანი, gida - კვება, garməzə - წითელი, gulag - ყური;

ინლაუტში: gasganč - ეჭვიანი, gəzgan - ცხელი, halga - რგოლი, asgərmag - დაცემინება;

აუსლაუტში: jarpag - ფოთოლი, artəg - მეტი, almag - ყიდვა, ალება, galmag - დარჩენა, gatəg - მაწონი.

g თანხმოვანი გამოიყენება აფიქსებშიც: -mag², -ažag², -əg⁴, მაგალითად: oxumag - კითხვა, jazmag - წერა, oxujažag - წაიკითხავს, jazažag - დაწერს, gəzəg - ჩვენ გოგოები ვართ. სიტყვის ბოლოში ხმოვანი აფიქსის დართვისას ინტერვოკალურ პოზიციაში **g** → **ɣ**, მაგ., otag+a → otayə - ოთახს, jarpag+a → jarpayə - ფოთოლს.

თუ სიტყვაში გვხვდება **g** გემინანტი, ამ გემინანტის ერთ-ერთი **g** განიცდის დისიმილაციის პროცესს და ორი მჟღერი თანხმოვნიდან ერთ-ერთი ყრუვდება, მეორე კი - რჩება მჟღერ **g** თანხმოვნად, მაგ., saggal → sagk'al// sak'gal - წვერი, taggəltə → tak'gəltə // tagk'əltə - კაკუნი, čaggal → čak'gal// čagk'al - ტურა.

f და v ფონემები. **f** თანხმოვანი კბილ-ბაგისმიერი, ნაპრალოვანი, ყრუ თანხმოვანია. უკვე დიდი ხანია, რაც ამ თანხმოვანს აზერბაიჯანული ენის ანბანში ადგილი აქვს მოპოვებული. იგი ძირითადად გვხვდება ნასესხებ და ასევე ხმაბაძვით სიტყვებში.

f ბგერა თურქული ენებისთვის ტრადიციულად არადამახასიათებელია. იგი პროთურქულ ენაში დაფიქსირებული არ არის. როგორც ძველ, ასევე თანამედროვე აზერბაიჯანულ ენაში ეს ბგერა ჩნდება ძირითადად ნასესხებ ლექსიკაში, კერძოდ - არაბული ენიდან მიღებულ სიტყვებში.

ენაში **f** თანხმოვანთან დაკავშირებულ ბგერათმანაცვლების პროცესის შესახებ მკვლევარი ალ. ახუნდოვი შემდეგნაირად აღნიშნავს: “მიუხედავად იმისა, რომ ეს პროცესები დადასტურებულია თანამედროვე დიალექტებში ისტორიულ ძეგლებში ეს პროცესები არ გვხვდება.” [Axundov, 1984:188].

f თანხმოვანი ყველა პოზიციაში გვხვდება:

ანლაუტში: fikir - ფიქრი, fil - სპილო, fətir - ლავაში, vəfa - ერთგულება,

ინლაუტში: nifrət - სიძულვილი, neft - ნავთი, Nəfilə - ნაფილა, nəfər - სული;

აუსლაუტში: härf - ბგერა, Of! - ოფ! Uf! - უფ!

f თანხმოვანი აფიქსებში არ იხმარება.

v თანხმოვანი კბილ-ბაგისმიერი, ნაპრალოვანი, მჟღერი თანხმოვანია. **f**-სგან განსხვავებით, უფრო მეტად გამოიყენება და ყველა პოზიციაში გვხვდება:

ანლაუტში: var - არის, Väfa - ვაფა, vedrä - ვედრო, vermäk - მიცემა;

ინლაუტში: juva - ბუდე, sevmäk - სიყვარული, g'üvännmäk - ნდობა;

აუსლაუტში: ov - ნადირობა, ev - სახლი, dev - დევი, sev! - გიყვარდეს!

v თანხმოვანი აზერბაიჯანულ ენაში ზოგიერთ ნასესხებ აფიქსებშიც გვხვდება: -sov (მაგ., uzunsov - მოგრძო), -lov (მაგ., oxlov - გამაბრტყელებელი), -ov (მაგ., gašov), -öv (მაგ., kösöv), -ovul (მაგ., sičovul - თაგვი) და ა. შ.

s და z ფონემები - წინაენისმიერი, წინანუნისმიერი, ნაპრალოვანი თანხმოვნებია.

აქედან **s** - ყრუ, **z** - მჟღერია. **s** ყველა პოზიციაში შეინიშნება:

ანლაუტში: säs - ხმაური, sus! - გაჩუმდი! sərəsə - მისი რიგი, gəsganmag - ეჭვიანობა;

ინლაუტში: istämäk - მონდომება, g'östärmäk - ჩვენება, pusmag - თვალთვალი, pis - ცუდი.

s თანხმოვანი ასევე იხმარება სუფიქსებშიც, მაგ., -sov (მაგ., uzunsov - მოგრძო), -sənəz //-siniz//-sunuz//sünüz (მაგ., g'älir-siniz - მოდიხართ, g'örürsünüz - ხედავთ), -sa// -sä (g'älsä - თუ მოვიდა) და ა. შ.

z თანხმოვანი ყველა პოზიციაში გვხვდება:

ანლაუტში: zinät - მორთვა, zövg - გემოვნება, zarafat - ხუმრობა, zänbil - კალათა;

ინლაუტში: gəzəl - ოქრო, gəzγən - ცხელი, g'äzmäk - სიარული, g'üzg'ü - სარკე;

აუსლაუტში: gəz - გოგო, az - ცოტა, biz - ჩვენ, siz - თქვენ, diz - მუხლი.

ზოგჯერ სიტყვაში ორი **z** იყრის თავს, მაგ., izzät - დიდება, läzzät - გემო.

ასევე **z** თანხმოვანი აფიქსებშიც გვხვდება: -sənəz//-süz//-suz//-siz (მაგ., adam-sənəz - ხართ ადამიანები), -zəγəz (მაგ., gəz-γəγəz - გოგონა).

š და ž ფონემები - ეს ორი წყვილგვარი თანხმოვანი სიმჟღერე-სიყრუის მიხედვით განსხვავდება. **š** სასა-ნუნისმიერი, ალვეოპალატალური, ყრუ თანხმოვანია. **ž** ყველა პოზიციაში შეინიშნება:

ანლაუტში: šal - შალი, šumal - სწორი, šor - ხაჭო, šir - ლომი, Širvan - შირვანი;

ინლაუტში: gāšāng – ლამაზი, gašəmag – ფხანა, gašgaldag – წყლის ქათამი, üšümäk – გაყინვა, garša – წინაშე;

აუსლაუტში: gʻünāš – მზე, gardaš – ძმა, baš – თავი, gaš – წარბი, iš – საქმე, guš – ჩიტი.

ჭ გემინატი იყრის თავს ნასესხებ სიტყვაში: meššan – მემჩანი.

ჭ თანხმოვანი აფიქსებშიც გვხვდება: -აჭ // -იჭ // -უჭ // -უჭ (მაგ., tanəš – ნაცნობი, düšmüš – ჩამოვარდნილი; jatməš – ჩადინებული), -მაჭ// -მიჭ// -მუჭ// -მუჭ (მაგ., gʻälmiš – მოსული, bitmiš – დასრულებული, gačməš – გაქცეული), -დაჭ (მაგ., vätāndaš – მოქალაქე, sirdaš – მესაიდუმლე მეგობარე, joldaš – მეგობარი).

მჟღერი ჯ თანხმოვანი იშვითად გამოიყენება, განსაკუთრებით იხმარება ნასესხებ სიტყვებში. ის ყველა პოზიციაში გვხვდება:

ანლაუტში: žurnal – ჟურნალი, žüri – ჟური, Žalä – ჯალე, žanr – ჟანრი;

ინლაუტში: äždaha – დრაკონი, Äždär – აჟდარი, pijama – პიჟამო;

აუსლაუტში: tiraž – ტირაჟი, garaž – გარაჟი, багаж – ბაგაჟი, montaj – მონტაჟი.

ც და ჯ ფონემები. ეს ორი წყვილი აფრიკატი გვხვდება აზერბაიჯანული ენის სალიტერატურო ენაში. ც პოსტალვეოლარული ყრუ აფრიკატია. იგი შედგება შემმართავი t-სა და დამმართავი - ჯ ბგერებისგან, ანუ ც=tš, ან ც=tʃ. გვაქვს ყველა პოზიციაში:

ანლაუტში: čaggal – ტურა, čala – ორმო, čöräk – პური, čimmäk – ბანაობა, čöl – ველი;

ინლაუტში: kečid – გასავლელი, keči – თხა, gačmag – სირბილი, čičäk – ყვავილი, gajča – მაკრატელი;

აუსლაუტში: seč! – აირჩიე! sač – თმა, üč – სამი, gač! – გაიქეცი! suč – ბრალი.

ც თანხმოვანი ასევე იხმარება აფიქსებში: -čə// -či// -ču// -čü (მაგ., dänizči – მეზღვაური, baləğčə – მეთევზე), -ča (baç-ča – ბახჩა).

ჯ თანხმოვანი პოსტალვეოლარული მჟღერი აფრიკატია. იგი შედგება შემმართავი d-სა და დამმართავი - ჯ თანხმოვნებისგან, ანუ ჯ=dž, ან ჯ=dʒ. გვხვდება სიტყვის ყველა პოზიციაში:

ანლაუტში: ğan – სული, ğavan – ახალგაზრდა, ğanavar – მგელი, ğejhun – ჯეიჰუნი;

ინლაუტში: ğüžü – მწერი, Gänžä – განჯა, xuržun – ხურჯინი;

აუსლაუტში: kärpiž – აგური, gʻüž – ძალა, gʻänž – ახალგაზრდა.

ჭ თანხმომავნი იხმარება ასევე აფიქსებშიც: -ჭა (მაგ., jaxჭა - კარგად), -ჭა// -ჭი// -ჭა// -ჭი (მაგ., iჭ-ჭი - მუშა, oxu-ჭა - მკითხველი), -aჭag // -აჭაკ (მაგ., oxuj-aჭag - წაიკითხავ, jej-aჭაკ - შეჭამს).

x, y და h ფონემები. x, y და h თანხმომენები ხახასთან ახლოს წარმოითქმის. x ხმული, ველარული, ყრუ თანხმომენია. გვხდება სიტყვის ყველა პოზიციაში:

ანლაუტში: xäbär - ამბავი, xöräk - საქმელი, xästä - ავადმყოფი, xär - წვრილი ქვა, Xäzär - კასპი;

ინლაუტში: naxoჭ - ავადმყოფი, galaxmag - ადგომა, saxlamag - შენარჩუნება, saxmag - მოჭერა, xaჭxaჭ - ხაშხაში, jaxჭა - კარგი;

აუსლაუტში: bax - ნახე, gax - ჩირი, galx! - ადექი! xoჭ - სასიამომენო, xaჭ - ხაში.

y ბგერა x-სგან იმით განსხვავდება, რომ იგი მჟღერია. ის სიტყვის ანლაუტში არ გვხვდება, იხმარება სიტყვის შუაში, ბოლოსა და სუფიქსებში:

ინლაუტში: nayəl - ზღაპარი, garya - ყვავი, jayაჭ - წვიმა, garyაჭ - წყევლა;

აუსლაუტში: say - მარჯვენა, bay - ბავი, day - მთა, jay! - იწმიმე!

სუფიქსებში: -ayan; მაგ., jatayan - ძილისგუდა, aylayan - მტირალა, gadayan - აკრძალვა.

h თანხმომენს მეწყვილე არ აქვს, ის ყრუა, ყველა პოზიციაში გვხვდება:

ანლაუტში: hava - ჰავერი, hara - სად, Hüsejin - ჰუსეინი, Häsän - ჰასანი;

ინლაუტში: mäšťhur - ცნობილი, sahil - სანაპირო, gähvä - ყავა, mahna - სიმღერა;

აუსლაუტში: g`ünah - ცოდვა, ჯärrah - ქირურგი.

j ფონემა - ნახევრად თანხმომენი, მჟღერი, შუაენისმიერი თანხმომენია. აღსანიშნავია, რომ, მიუხედავად იმისა, რომ j სპირანტი თანხმომენია, ის სონორებთან უფრო ახლოსაა. ამის გამოა, რომ იგი ნახევრად სპირანტი, ნახევრად სონორად ითვლება. ზოგჯერ j-ს ნახევრად ხმომენსაც უწოდებენ. j სხვა სონორებისაგან განსხვავებით, ყრუ თანხმომენის ნიშანს ატარებს და მაინც სპირანტ თანხმომენად ითვლება. j თანხმომენის ყრუ მეწყვილის ნიშანი არა აქვს. j ყველა პოზიციაში გვხვდება:

ანლაუტში: jük - ტვირთი, jun - შალი, jaz - გაზაფხული, jastag - ბალიში;

ინლაუტში: äjri - დაბრეცილი, nijä - რატომ, gajmag - არაქანი, sajmag - თვლა, jajla - საზაფხულო სადომარი მფებში;

აუსლაუტში: aj - თვე, nej - სალამური, jaj - ზაფხული, faj - საჩუქარი, saj - რიცხვი.

ზოგიერთ ნასესხებ სიტყვაში ორი j იყრის თავს: riazijjat - მათემატიკა, ädäbijjat - ლიტერატურა, müäjjän - გარკვეული და ა. შ. ხმოვანფუძიან სიტყვებსა და აფიქსებს, გასაყარზე ასრულებს გამყოფი თანხმოვნის ფუნქციას, მაგ.: alma-j-a - ვაშლს, oxu-j-ur - კითხულობს, g'äl-mäli-j-äm - უნდა მოვიდეს.

აზერბაიჯანულ სალიტერატურო ენაში ოთხი სონორია: **l, m, n, r**, ხოლო აზერბაიჯანული ენის ყაზახურ დიალექტში ხუთი: **l, m, ɲ, n, r**.

m და n ფონემები - ორივე სონორი, ცხვირისმიერი. **m** ბაგისმიერი, **n** არაბაგისმიერი. **m** ყველა პოზიციაში გვხვდება:

ანლაუტში: mahnə - სიმღერა, män - მე, min - ათასი, Mäsmä - მასმა, mejvä - ხილი;

ინლაუტში: pambəg - ბამბა, alma - ვაშლი, Salman - სალმანი;

აუსლაუტში: film - ფილმი, rähm - შეწყალება, Gasəm - ყასიმი;

m აფიქსებშიც გამოიყენება: -ma// -mä (მაგ., g'äl-mä - არ მოხვდება, al-ma - არ იყიდო), -mag// -mäk (მაგ., jatmag - ძილი, jümäk - რეცხვა), -məš// -miš// -muš// - müš (მაგ., g'äl-miš - მოსული, jat-məš - ჩადინებული, jü-müş - დაბანილი, dur-muš - მდგომარე) - malə// -mäli (მაგ., g'äl-mäli-j-äm - უნდა მოვიდეს, dur-malə-san - უნდა ადგეს).

n თანხმოვანი ყველა პოზიციაში გვხვდება:

ანლაუტში: nijä - რატომ, nar - ბროწეული, nänä - ბებია, nävä - შვილიშვილი, nä - რა;

ინლაუტში: g'ejinmäk - ჩაცმა, minnät - მადლი, köjnäk - პერანგი, nanä - პიტნა, räng - ფერი;

აუსლაუტში: sän - შენ, min - ათასი, dön! - მოტრიალდი! sön! - გაითიშე! gan - სისხლი.

n თანხმოვანი აფიქსებშიც გამოიყენება: -ən (-nən) (მაგ., gəz-ən - გოგოს, alma-nən - ვაშლის), -dän// -dan (მაგ., almadan - ვაშლიდან, g'ül-dän - ყვავილიდან), -sän, -san, -sənəz// -siniz. ხმოვანფუძიან სიტყვებსა და აფიქსებს, ან და ორ ხმოვანზე დაბოლოებულ აფიქსებს შორის ასრულებს დამხმარე თანხმოვნის ფუნქციას.

l და r ფონემები. ისინი არაცხვირისმიერია, პირის ღრუში წარმოითქმის. **l** მჟღერი, წინაენისმიერი, გვერდითი, სონორია. ყველა პოზიციაში გვხვდება:

ანლაუტში: laləzär - ყაყაჩოს მდელო, lay - დაცინვა, lalä - ყაყაჩო, lal - მუნჯი, lampa - ლამპა, läpä - ნიგოზი, lajla - იავნანა;

ინლაუტში: gala - ციხე, bala - შვილი, xalča - ხალიჩა, šälälä - შალალა, dalya - ტალღა, dolma - ტოლმა, läläk - ფრთა;

აუსლაუტში: g'ül - ყვავილი, bal - თაფლი, sačovul - თავვი, šal - შალი, xal - ხალი, nal - ნალი.

ორი l სიტყვაში ხშირად იყრის თავს, მაგ.: bälli - ცნობილი, g'üllä - ტყვია.

1 თანხმოვანი ასევე აფიქსებშიც გამოიყენება: -la//li//lu//lü (მაგ., šähär-li - ქალაქელი, var-la - მდიდარი, g'ül-lü - აყვავებული, gulp-lu - სახელურიანი); -ləg//lik//lug//lük (მაგ., kol-lug - ბუჩქნარი, bazar-ləg - ნავაჭრი, mänd-lik - მამაცი); -lar//lär (მაგ., kitab-lar - წიგნები, lälä-lär - ყაყაჩოები); -malä//mäli (მაგ., g'äl-mäli - უნდა მოვიდეს, jat-malä - უნდა დაიძინოს) და ა. შ.

r ფონემა - წინაენისმიერი, მჟღერი, მთრთოლავი სონორია. r სონორი ყველა პოზიციაში გვხვდება:

ანლაუტში: razä - თანხმოვა, ruh - სული, räfigä - დაქალი, rajon - რაიონი, Ramiz - რამიზი;

ინლაუტში: arə - ფუთქარი, nifrät - სიძულვილი, barmag - თითი, jara - ჭრილობა, zärif - ნაზი;

აუსლაუტში: gar - თოვლი, nar - ბროწეული, näzär - შეხედვა, jar - საყვარელი, zär - კამათელი.

r თანხმოვანი აფიქსებშიც გვხვდება: -ar//är (მაგ., g'äl-är - მოვა (შეიძლება), al-ar - იყიდის (შეიძლება)); -lar//lär (მაგ., gapä-lar - კარები; g'ül-lär - ყვავილები); -där//dir//dur //-dür (მაგ., gapä-där - კარები არის, ä-dir - ხელი არის, ütü-dür - უთო არის, gutu-dur - ყუთი არის).

ყველა თანხმოვანი, რაც კი სალიტერატურო ენაში არსებობს, იხმარება აზერბაიჯანული ენის დასავლური ჯგუფის ყაზახურ დიალექტში და ასევე მის თქმებში. მაგრამ ამავე დიალექტს ახასიათებს ისეთი თანხმოვნები, რაც არ გვხვდება აზერბაიჯანულ სალიტერატურო ენის თანხმოვანთა სისტემაში, მაგრამ შეიძლება შევხვდეს სხვა დიალექტებშიც. ესენია: ž, x', η, c, ʒ, k'.

III.2. გემინატები

როგორც ცნობილია, აზერბაიჯანული ენის თავისებურებათა შორის და ერთ-ერთ გამორჩეულ მახასიათებლად, რომელიც მას ოლუზური ჯგუფის სხვა თურქული ენებისგან გამოარჩევს, ითვლება სიტყვის შუა პოზიციაში გემინატების - ორმაგი თანხმოვნების, გამოყენება [Şirəliyev, 2008:117].

აზერბაიჯანული ენის დიალექტებში გემინაციის მოვლენა ზოგჯერ უფრო გამოხატულია, ვიდრე სალიტერატურო აზერბაიჯანულ ენაში. „სიტყვის შუაში გ თანხმოვანი გვხვდება 75 სიტყვაში. გარდა ამისა, ასევე დასტურდება გემინატი d და ž თანხმოვნები. თანხმოვნების ორმაგად გამოყენების (გემინაციის) მიზეზები თურქოლოგიაში ჯერჯერობით არ არის ბოლომდე ახსნილი. ჩვენს⁵¹ დიალექტებსა და თქმებში ლიტერატურული ენისგან განსხვავებით, ზოგიერთ თანხმოვანს სიტყვის შუაში ორმაგად წარმოთქვამენ“ [Şirəliyev, 2008 :118].

აზერბაიჯანულ სალიტერატურო ენაში გემინაცია ხშირია სიტყვების შიგნით. განსაკუთრებით შეინიშნება ისეთი ფორმების წარმოების დროს, სადაც ძირზე დართული სუფიქსები იწვევენ თანხმოვნების განმეორებას ან ცვლილებას. ამის ერთ-ერთი შედეგია დისიმილაცია — პროგრესული ან რეგრესული, რათა აირიდოს ორი ერთნაირი თანხმოვნის თანხვედრა, ან გამეორება. თუმცა ხშირად გემინატი თანხმოვნებში ერთ-ერთი თანხმოვანი გადადის სხვა თანხმოვანში დისიმილაციის შედეგად, მაგ., känd+dä → känddä → kändtä - სოფელში.

აზერბაიჯანულ ენაში გემინანტების ფუნქცია შემდეგი სახისაა:

- მეორეული გემინაცია მიიღება მორფემათა მიჯნაზე ძირსა და ფუძეზე გრამატიკული სუფიქსების დართვისას, მაგალითად, სუფიქსების შეერთებით და ზოგჯერ მათი ფონეტიკური ცვლილების დროს არის მიღებული, მაგ., jol+lar → jollar - გზები, od+lu → oddu → ცეცხლიანი, nar+lar → narrar - ბროწეულები.
- ან ლექსიკური დიფერენციაცია - როცა ერთი და იგივე ფუძე გემინაციის მიხედვით სხვადასხვა მნიშვნელობას იძენს, მაგ.,
hiss – გრძნობა შდრ. his - ჭკარტლი.

⁵¹ აქ მ. შირალიევი გულისხმობს აზერბაიჯანული ენის ყველა დიალექტს.

გემინაცია გვხვდება ასევე არაბული და სპარსული წარმომავლობის ნასესხებ სიტყვებშიც: მაგ. hägg (არაბ.) - უფლება; **zärrä**⁵² – ნაწილაკი.

ემპირიული მასალიდან ჩანს, რომ გემინაცია არ ეხება ყველა თანხმოვანს. აზერბაიჯანული ენის ყაზახურ დიალექტში გემინატები ინლაუტში გვაქვს თანხმოვნის გაორმაგებით ან და ფონეტიკური პროცესების შედეგად მიღებული. გვხვდება შემდეგი გემინატი თანხმოვნები - **l, m, r, n, d, p, z, j, š, v**. უნდა აღინიშნოს, რომ გემინაციის დროს ორივე თანხმოვანი არ გამოითქმის ერთნაირი ინტენსიობით, ერთ-ერთი მათგანი ძლიერია, ხოლო მეორე - მასთან შედარებით - სუსტი, რაც შეიძლება აიხსნას ბიფონემური გემინატიდან მონოფონემურ გემინატზე გადასვლით. რიგ შემთხვევაში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ (იხ. დისიმილაცია გემინატებში), გემინატები განიცდის მოშლის პროცესს, რისი გზაც არის დისიმილაცია, შედეგი კი, მონოფონემა (მაგ., სალიტ. აზ. säkkiz → ყაზ. დიალ. säkgiz „რვა“).

ზოგ მეცნიერს (მ. შირალიევი, იბრ. ბაირამოვი, მ. მამადლი) **g, t, č, ž, ʒ** თანხმოვნები გემინაციაში აქვს განხილული, თუმცა, ჩემი აზრით, ეს თანხმოვნები გემინაციის დროს, განიცდიან დისიმილაციის პროცესს და, შესაბამისად, აქ არ განვიხილავ.

➤ **l თანხმოვანი:**

G~ülšan → G~üllüşan // G~ülšan - გულშანი

G~ülzar → G~ülüzar //G~üllüzar - გულზარი

alən → allən - შუბლი

sillä - სილა

aldadəram → jalladeram - გატყუებ.

➤ **m თანხმოვანი:**

hamə → hammə - ყველა

jumurta → jummurta//murtta -

tämiz → tämmiz - სუფთა

კვერცხი

dumay → dummay - ძალიან თეთრი

⁵² zärrä - ეს სიტყვა გავრცელებულია როგორც კლასიკურ არაბულში, ისე ისლამურ-ფილოსოფიურ და სამეცნიერო ტექსტებში. შემდგომში სპარსულში გადავიდა, და სწორედ სპარსულიდან მრავალი თურქულ ენაში, მათ შორის აზერბაიჯანულშიც.

hämišä → hämmäšä // hämmišä -

ყოველთვის

jumalama → jummalama – გორაობა

ganmaz → gammaz - შტერი

აზერბაიჯანული ენის ყაზახურ დიალექტში გემინირება ძლიერი ფონეტიკური პროცესია, რიგ შემთხვევაში გემინაციის მოშლა უკვალოდ არ ქრება და გემინირებული ხდება დისტანციურად მომდევნო თანხმოვანი jumurta → jummurta//murtta - კვერცხი.

➤ **n თანხმოვანი:**

zinät → zinnät - მორთვა

g'ündän → g'ünnän - დღიდან

➤ **r თანხმოვანი:**

kärä → kärrä - ჯერ

narlar → narrar - ბროწეულები

garlə → garra - თოვლიანი

➤ **d თანხმოვანი:**

adaš → addaš – მოსახელე

xod+lu → xoddu - წყობშია

addəm → adəm - ნაბიჯი

➤ **p თანხმოვანი:**

uzun → duppuzun (უფრ. ხარ.) - ძალიან გრძელი

ay → dumappay (უფრ. ხარ.) - ძალიან თეთრი

toppa - მსუქანა, ბურთი (კნინ.)

➤ **z თანხმოვანი:**

uzun → uzzun - გრძელი

äzäl → äzzäli - საწყისი

täzäžä → täzzäžä - სულ ახალი

jazəg → jazzəx - საცოდავი

➤ **j თანხმოვანი:**

häjat → häjjat – სიცოცხლე

böjüjüb → böjjüf - გაიზარდა

gujuja → gujja - ჭაში

➤ **ჭ თანხმოვანი:**

baša ašayə → baššayə - თავდახრილი // თავჩალუნული

šüşä → üššä - მინა

dovšan → doššan // dōššan // dōššan – კურდღელი

➤ **ს თანხმოვანი:**

gəsa → gassa - მოკლე

tosoj → tosoj - დაბალტანიანი და მსუქანი

kösöv → kössöj - მუგუზალი

➤ **ვ თანხმოვანი:**

avam → avvam - უვიცი

avara – avvara - მაწანწალა.

III. 3. *ჭ, x', η, k', c, z* თანხმოვნების შესახებ აზერბაიჯანული ენის ყაზახურ

დიალექტში

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, აზერბაიჯანული ენის დასავლური ჯგუფის ყაზახურ დიალექტში გვაქვს ყველა ის თანხმოვანი, რომლებიც წარმოდგენილია აზერბაიჯანულ სალიტერატურო ენაში. მაგრამ ცნობილია, რომ ყველა ენის დიალექტს აქვს თავისებურებები, ერთ-ერთი ასეთი თავისებურებაა სპეციფიკური თანხმოვნების არსებობა. ესენია: *ჭ, x', η, k', c, z*. განვიხილავ და აღვწერ თითოეულ ფონემას.

ჭ თანხმოვანი - წინაენისმიერი, ინტერდენტალური, მჟღერი, ნაპრალოვანი თანხმოვანია. მ. შირალიევის მონოგრაფიაში: „აზერბაიჯანული დიალექტოლოგიის ძირითადი საკითხები“ აღნიშნულია, რომ ეს თანხმოვანი გვხვდება მხოლოდ აღსათაფისა და ყაზახის რაიონების დიალექტებში [Şirəliyev, 2008:73]. ასევე იბრაჰიმ ბაირამოვსაც აქვს აღნიშნული, რომ *ჭ* თანხმოვანი გვხვდება აზერბაიჯანული ენის დასავლურ ჯგუფში [Bayramov, 2016:99]. ჩემ მიერ მოპოვებული ემპირიული

მასალიდან გამომდინარე შემოძლია დავასკვნა, რომ აღნიშნული თანხმომავნი იხმარება აზერბაიჯანული ენის დასავლური ჯგუფის ყაზახური დიალექტის ბოლნისის თქმაში.

ჟ ფონემა გამოთქმით ძალიან ჰგავს არაბულ ზალ ځ და ინგლისურ მჟღერ ڄ თანხმომავნს. გამოთქმის დროს ისმის სუსტი d თანხმომავნი. აღნიშნულ დიალექტებში მრავალმარცვლიან სიტყვებში გვხვდება ორ ხმომავნს შორის (VCV), ხოლო ერთმარცვლიან სიტყვებში - სიტყვების ბოლოს. ანუ ჟ თანხმომავნი ანლაუტში არ იხმარება, მაგ.:

jijāžājām (შღრ. jejāžājām) → jijāžām // jijāzām - შევჟამ

gʻälāžājām (შღრ. gʻälāžājām) → gʻälāžām // gʻälāzām - მოვალ

ažam // azam (შღრ. ažam) - მშია

āž (შღრ. az) - გოგოვ

až (შღრ. az) - ცოტა

āžāli (შღრ. āzzāli) - საწყისი

buž (შღრ. buz) - ყინული

gʻāžer (შღრ. gʻāzir) - სეირნობს.

როგორც ვხედავთ მოყვანილი მაგალითებიდან, ბოლნისის თქმაში, სადაც იხმარება ჟ თანხმომავნი, დასტურდება აღნიშნული მაგალითების პარალელური ფორმები, სადაც აღნიშნული თანხმომავნის მაგივრად იხმარება ჯ თანხმომავნი. მაგრამ არა ყველა შემთხვევაში, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ თუ სიტყვაში სალიტერატურო აზერბაიჯანულ ენაში იხმარება ჯ თანხმომავნი, მაშინ ზოგ თქმაში გვხვდება მისი პარალელური ფორმა ჯ თანხმომავნით. თუ ჟ იხმარება სალიტერატურო ენაში z თანხმომავნის ნაცვლად, მაშინ არ გვაქვს პარალელური ფორმები ჯ თანხმომავნით.

თანამედროვე თურქული ენებიდან ეს თანხმომავნი გვხვდება მხოლოდ თურქმენულსა და ბაშკირულ ენებში. თურქმენულ სალიტერატურო ენისთვის ჟ ბგერა არის ტიპური და მისი გრაფემაა ანბანში - ž. ასევე ბაშკირულ ენაში - ანბანურ სისტემაში აქვს ადგილი მინიჭებული და გადმოიცემა როგორც 31. “ბაშკირულ ენაში შუაენისმიერი ჟ თანხმომავნი ეტიმოლოგიური თვალსაზრისით საერთო თურქული *d, *z, *t ბგერებისაგან არის წარმოქმნილი: *biz>bež “biz” (ჩვენ), *kada->kaž a- “sancmaq”

(შერქობა, *atna>až na “häftä”(კვირა)“ [Юлдашев, 1981:53-54]. თუ ბაშკირულ ენაში **ჰ** (ž) მოდის სიტყვის ბოლოს, მაშინ აზერბაიჯანულ ენაში მისი შესატყვისი სიტყვა იქნება ჩვეულებრივი **z** თანხმოვნით, შეადარე:

ბაშკირული	აზერბაიჯანული	ქართული
kaž	gəz	გოგო
kaž	gəz	ბატი
biž	biz	ჩვენ
hiž	siz	თქვენ
tiž	diz	მუხლი
tož	duz	მარილი
ožon	uzun	გრძელი

ž თანხმოვნის თურქულ ენებში არსებობის შესახებ აღნიშნული ჰქონდა თავის გრამატიკაში ჯერ კიდევ მ. ქაშგარს.

ი. ა. ბატმანოვის დაკვირვებით, ყირგიზული ენის ისიქულის დიალექტებშიც შეინიშნება თურქმენულისა და აზერბაიჯანული ენის დასავლური დიალექტის **ž** თანხმოვნის მაგვარი ბგერა. მისი აზრით, **s** და **z** არის ინტერდენტალური და მიიჩნევა, რომ ამ დიალექტებში წარმოადგენენ ოლუზური შტოს ფონეტიკური სისტემის ნარჩენებს [Гаджиева, 1966:74].

x' თანხმოვანი - შუაენისმიერი, ნაპრალოვანი, ყრუ თანხმოვანია. ეს თანხმოვანი გვხვდება როგორც სალიტერატურო აზერბაიჯანული ენაში j მჟღერი თანხმოვნის ყრუ წყვილუღია. ანუ j მჟღერი და ყრუ x' წყვილს ქმნიან. სალიტერატურო აზერბაიჯანულ ენაში $k \rightarrow x'$ სიტყვის ბოლო პოზიციაში, წინაენისმიერი ხმოვნების მერე, მაგ.: $täk \rightarrow täx'$ - მარტო

$tük \rightarrow tüx'$ - ბეწვი

$tök \rightarrow töx'$ - დაასხი

$sök \rightarrow söx'$ - დაშალე და ა. შ.

სალიტერატურო ენისა და აღმოსავლური ჯგუფის დიალექტებისაგან განსხვავებით [Şirəliyev, 2008:30], აზერბაიჯანული ენის ყაზახურ დიალექტში

გვხვდება როგორც ერთ-//ორმარცვლიანი, ასევე მრავალმარცვლიანი სიტყვების ბოლო პოზიციაში წინაენისმიერი ხმოვნების მომდევნოდ (ä, ü, ö, i) k თანხმოვნის ნაცვლად, $k \rightarrow x'$. ემპირიული მასალიდან გამომდინარე, შეინიშნება რამდენიმე სიტყვის ინლაუტში, მაგ.:

sökmäk → söx'mäx' - დაშლა

tökmäk → töx'mäx' - დასხმა

dik → tix' - ქედმაღალი

didik → didix' → გაწეწილი

diklik → tix'lix' - მაღლობი

säksänmäk → säx'sänmäx' - შეკრთომა

tüklü → tüx'lü - ბეწვინი

täklämäk → täx'lämäx' - განმარტოება

dikmäk → tix'mäx' - მიშტერება

diksinmäk → dix'sinmäx' - ზიზღი

säksän → säx'sän - ოთხმოცი

čöräk → čöräx' - პური

inäk → inäx' - დროხა

käpänäc → käpänäx' - პეპელა

ärik → ärix' - ჭერამი

böjüc → bö^hx'//böx' - უფროსი, დიდი

üzüc → üzüc' - ბეჭედი

g'öränäc → g'öränäx' - არნახული

biläzic → biläzic' - სამაჯური

üräk → üräx' - გული

ipäk → ipäx' - აბრეშუმი

kirpic → kirpic' - წამწამი

küräk → küräx' - ზურგი

g'ünlüc → g'ünnüc' - დღიური

böjrac → böjrac' - თირკმელა

dedic → dedic' - ვუთხარით

vermişic → vermişic' - მივეცი

demäk → demäx' - ესე იგი

g'äldic → g'äldic' - მოვედით

önlüc → önnüc' - წინსაფარი

k თანხმოვნით დაბოლოებული სიტყვა იმ სუფიქსის დართვისას, რომელიც ხმოვნით იწყება და k ხვდება ინტერვოკალურ პოზიციაში, მაშინ x' გადადის j-ში, იცვლება, ანუ $x' \rightarrow j$, თანხმოვნით დაწყებულ სუფიქსის დართვისას უცვლელი რჩება: $Vx'+V > VjV$, მაგ.:

čöräk+i → čöräji - პური (ბრალდ. ბრ.) შდრ. čöräk+dä → čöräx'+dä - პურში (ადგ. ბრ.)

üräk+ä → üräjä გულის (მიც. ბრ.) შდრ. üräk+dä → üräx'dä - გულზე.

η თანხმოვანი. უკანაენისმიერი მჟღერი ცხვირისმიერი // ნახალური სონორი თანხმოვანია. სხვანაირად ამ თანხმოვანს, η, „სალურ ნუნი“, ან ველარულ თანხმოვანს უწოდებენ. ეს ბგერა გვხვდება აზერბაიჯანული ენის სხვა დიალექტებშიც, თუმცა,

სხვა დიალექტებისაგან განსხვავებით, იგი ძალიან ხშირად გვხვდება დასავლურ ჯგუფში [Şirəliyev, 2008:30]. ეს თანხმომავანი თურქული ენების, ასევე აზერბაიჯანული ენის ერთ-ერთი ძველი თანხმომავანია [Əzizov, 1999:92]. ეს თანხმომავანი იყო ძველი თურქული ენის ბგერით სისტემაში [Gabain, 1979; Çağatay, 1972]. იგი დასტურდება ორხონისა და ენისეის წარწერებში, მ. ქაშგარს „თურქული ენის ლექსიკონში“ („Divani Lügat-it Türk“), აღმოსავლეთ თურქისტანის X-XIII საუკუნეების ტექსტებში, ჯამალედინ იბნ მუხანას თხზულებაში და სხვა. ყველა მეცნიერი-თურქოლოგი თურქულ ენებსა და დიალექტებში ადასტურებს ამ ბგერის არსებობას. ა. ახუნდოვი თავის წიგნში „აზერბაიჯანული ენის ფონეტიკის ისტორია“ აღნიშნავს, რომ თურქულ ძეგლებში უკანაენისმიერი მჟღერი სონორი თანხმომავანი იხმარება ორ პოზიციაში: სიტყვის შუასა და ბოლოში [Axundov, 1984:89]. ა. მ. შჩერბაკი კი თვლის, რომ *η*, რომელიც იხმარება სიტყვის ბოლოში, არის ძველი ბგერა [Щербак, 1970:82]. ი. ქაზიმოვი თვლის, რომ „საღურ ნუნი (*η*) ისტორიული ბგერებიდან ერთ-ერთი თანხმომავანია. ლექსიკონში („Divani Lügat-it Türk“) ეს თანხმომავანი წარმოდგენილია *ng*, *ng* თანხმომავნების კომპლექსებად. ეს თანხმომავანი გვხვდება სიტყვის შუასა და ბოლოში“ [Kazimov, 2014:16].

ცნობილია, რომ ველარული *η* თანხმომავანი თავდაპირველად წარმოდგენდა კომპოზიტს, ორი თანხმომავანი ბგერის ნაერთს, კერძოდ: *ng*, *ng*, *ny*, ამას ადასტურებს როგორც ძველი ძეგლები, ასევე კლასიკოსების ნაწარმოებები და დიალექტური ტექსტები. მაგ., მ. ქაშგართან: *tanya* (I, 20-16), *sanya* (I, 391-18), *sonyuk* (III, 107-19), *tenyri*; *tenyiz*; ბაკიხანოვთან: *onga* (Bakıxanov, “Kitabi-Əsgəriyyə”); ფ. ახუნდოვთან: *jeng-ižä* („ახლა“) – (Axundov, “Əsərləri”:164); *songra-nečä vaxtdan songra ...* (Kazım bəy, “Dərbəndnamə”:248), *songra*, *donguz*, *dongar* და ა. შ. [Şirəliyev, 2008:72]. ამავსე ადასტურებს ასევე ენათმეცნიერი გ. მირზაზადე. მან თავის მონოგრაფიაში „აზერბაიჯანული ენის გრამატიკის ისტორია“ წერს: „მე-20 საუკუნის 30 წლამდე ეს თანხმომავანი გრაფიკაში იყო შენარჩუნებული, ხოლო ახალი ანბანის შემოღების შემდეგ ეს თანხმომავანი ამოღებულ იქნა“ [Tanrıverdi, 2017:143]. აქვე აღნიშნავს: „ეს თანხმომავანი იხმარება აზერბაიჯანული ენის დიალექტებსა და თქმებში, კერძოდ, დასავლურ ჯგუფში.“

მ. შირალიევის აზრით, „რთული თანხმოვანი η შედგება ng , ng' , ny თანხმოვანთა კომპლექსებისაგან და ამას ადასტურებს ისტორიული ძეგლები, აზერბაიჯანული ლიტერატურის კლასიკოსები და დიალექტური მასალა. დროთა განმავლობაში η თანხმოვანმა განიცადა ფონეტიკური ცვლილებები, დაიშალა, გამარტივდა: დიალექტების ერთ ჯგუფში გადმოვიდა როგორც n თანხმოვანი, დანარჩენში კი - როგორც g , g' და y თანხმოვნებად“ [Şirəliyev, 1962:76]. იმავე წიგნის მეორე გამოშვებაში განაგრძობს თავის აზრს, „აზერბაიჯანული ენის ზოგ დიალექტში y თანხმოვანმა განიცადა დარბილების პროცესი და გადავიდა j -ში, ზოგში კი - v თანხმოვნით ჩანაცვლდა“ [Şirəliyev, 1968:76]. „საღირ ნუნის“ n , g , y , k თანხმოვნებად გამარტივებასა და j -ში გადასვლას ადგილი ჰქონდა ჯერ კიდევ ძველ თურქულში [Шербақ, 1961]. ეს პროცესი, $\eta \rightarrow j$, გვხდება შუა საუკუნეების მაგალითებში, მაგალითად იმ. ნასიმის „დივანში“ $könlüm$ სიტყვის მაგივრად იხმარება $köjlüm$. ამ პერიოდისათვის $könlüm$ იყო ლიტერატურული ვარიანტი, ხოლო დიალექტებში - $köjlüm$ [Асланов, 1981:281-286].

სიტყვები, რომლებშიც გვხვდება η თანხმოვნის გამარტივების შედეგად მიღებული n , g და y თანხმოვნები, ასახულია მ. ქაშგარის „თურქული ენის ლექსიკონში“. მოპოვებული ემპირიული მასალის შესწავლისას $\eta \rightarrow y$ გადასვლის პროცესი დადასტურდა მხოლოდ ერთ სიტყვაში - $soyra$ „მერე“.

აზერბაიჯანული ენის ჩრდილოური ჯგუფის ზოგ დიალექტში არის შენარჩუნებული η -ს ერთი ნაწილი, ანუ გამარტივდა; აღმოსავლურში კი - საერთოდ გამქრალია [Mirzəzadə, 1962:45]. აქედან გამომდინარე, აზერბაიჯანული ენის დიალექტები η თანხმოვნის ხმარებასთან დაკავშირებით შეიძლება 3 ჯგუფად დავყოთ:

პირველი ჯგუფი - აზერბაიჯანული ენის დასავლური ჯგუფი. ამ ჯგუფი η თანხმოვანი ფართოდ იხმარება. აღნიშნულ დიალექტში η იხმარება, როგორც სიტყვის ფუძეში, ასევე სუფიქსებშიც (იხ. დაბლა);

მეორე ჯგუფში შეიძლება ითქვას, „საღურ ნუნი“ იშვიათად გვხვდება მეტყველებაში; იგი უკვე გამოდის ხმარებიდან, მაგრამ ნაზალიზაცია შენარჩუნებული აქვს და ნაზალიზაცია გადააქვს მის მომდევნო ხმოვანზე. ამ ჯგუფს მივაკუთვნებთ

აზერბაიჯანული ენის შექმნის, ზაქათალის, კახის, ოღუზის, ნახიჩევანის, ორდუბადის, შერურის დიალექტები, თქმები და ქცევა.

მესამე ჯგუფი - აზერბაიჯანული ენის ჩრდილო-აღმოსავლური დიალექტი, სადაც *η* თანხმოვანი საერთოდ დაკარგულია (აზშერონის დიალექტში ფიქსირდება მხოლოდ ორ სიტყვაში *doηuz* - ღორი, *däηiz* - ზღვა. პარალელურად იხმარება *η*-ს გარეშეც). ამაზე დაყრდნობით შეიძლება ვთქვათ, რომ ამ ჯგუფში *η* თანხმოვანი იშვიათად იხმარებოდა და დროთა განმავლობაში გადავიდა *n* თანხმოვანში. ამის მიზეზად მიმაჩნია *η*-ს პოზიციის შესუსტება და, ამავდროულად, ახალგაზრდა თაობის მეტყველებებაში *n*-ს გამოყენება *η*-ს ნაცვლად, რადგან ახალგაზრდა თაობა, ძირითადად, ეყრდნობა სალიტერატურო აზერბაიჯანულ ენას, რომლისთვისაც ორთოგრაფიიდან *η* ამოღებულ იქნა ხმარებიდან. იმის შესახებ, რომ შამახაში ველარული *η* თანხმოვანი მე-19 საუკუნეში აღარ იხმარებოდა, ადასტურებს 1875 წელს მ.ფ. ახუნდოვის წერილი ჰასან ბეი ზარდაბის: „... აზერბაიჯანულ ენაში იყო ასეთი სპეციფიური თანხმოვანი სახელწოდებით „ნუნ-სალური“. შამახას მოსახლეობას ეს თანხმოვანი სრულად დავიწყებული აქვს, ისე, რომ მისი არსებობის შესახებაც არაფერი არ იცის. ამ თანხმოვნის ნაცვლად ხმარობენ ჩვეულებრივ *n* თანხმოვანს.“ [Əzizov, 1999:96].

ზემოთ მოყვანილი მაგალითები ვიზუალურად დავალაგეთ ცხრილის სახით:

1 ჯგუფი	2 ჯგუფი	3 ჯგუფი	მნიშვნელობა
maηa//mā	maā	mānā	მე
doηar//donar	doār	doar	გაიყინება
aldəηəz//aldənəz	aldūz	alduz	იყიდეთ

ძველი „სადირ-ნუნიანი“ თურქული ფორმა *jalηəz* - მარტო, სალიტერატურო აზერბაიჯანულში *jalnəz*-თან ერთად *jalgəz* ფორმითაც გვხვდება, ე. წ. დამკვიდრებულია როგორც *n*, ისე *g* თანხმოვნის ფორმები [Джангидзе, 1965:24] ვეთანხმები ვენერა ჯანგიძის ამ მოსაზრებას. ასევე აზერბაიჯანში ცნობილია რაშიდ ბეჰბუტოვის ცნობილი სიმღერა - „Jalgəzam jalgəz“ („მარტო ვარ, მარტო).

აზერბაიჯანული ფორმა	თურქული ფორმა	მნიშვნელობა (ქართულად)
gonşu	komşu	მეზობელი
donuz	domuz	ღორი
köynək	gömlek	პერანგი

თურქულში ამ შემთხვევაში „სადირ-ნუნის“ **n** რეფლექსი ბაგისმიერი ხმოვნის ზეგავლენით ასიმილირდა და ასევე ბაგისმიერ **m** თანხმოვნად გადაიქცა, აზერბაიჯანულში კი - **n** თანხმოვნად არის დარჩენილი, ხოლო რაც შეეხება **j** თანხმოვანს, რომელიც köjnək-ში არის, მისი გაჩენა შემდეგნაირად წარმოგვიდგება: მ. ქაშგარის ლექსიკონში ამ სიტყვას აქვს ფორმა könlek, რომლისგანაც უნდა მოდიოდეს დღევანდელი აზერბაიჯანული köjnək ფორმა, სადაც **j** წარმოადგენს **η** თანხმოვნის რეფლექსს. მოხდა შემდეგი ფონეტიკური ცვლილება $\eta \rightarrow g \rightarrow j$ (შდრ. kögelek - საღაურში, köjlek - უზბეკურში, köjlök - ყარაყალპახურსა და ნოღაურში). ვიდრე „სადირ-ნუნი“ გადავიდოდა **j**-ში, დაიმსგავსა მომდევნო **l** თანხმოვანი და **n**-დ აქცია (შდრ. köñnek - ტარანჩაული, köjnek შორული) [Джангидзе, 1965:24].

ემპირიული მასალიდან გამომდინარე, **η** გვხვდება როგორც სიტყვის ფუძეში, ასევე სუფიქსებში. განვიხილოთ ყველა შემთხვევა:

ინლაუტში: daŋa - მოზვერი, öñlũx' - წინსაფარი, soŋra - მერე, hãñä - თანხმობა, mañşerra! - ჩაინიშნე! aŋrã - იქით, juŋul - ადვილი, aŋmax - მოგონება, g'ãñšmãx' - რჩევა - დარიგების მიღება, aɣbãñiz - თეთრი იერსახე;

აუსლაუტში: soŋ - ბოლო, özüñ - შენი თავი, aŋrersaŋ - ყროყინობ, doŋ - მოყინული;

შემდეგ სუფიქსებში:

- არსებითი სახელების ნათესაობით ბრუნვაში, მაგ.:

g'öz+ũñ - თვალის

it+in+in - ძაღლის

sãn+in - შენი

ãl+in+in - ხელის

gapã+nãñ - კარის

gãz+ãn+ãn - გოგოს(ი)

ũz+ũn+ũñ - სახის

öj+ũn+ũñ - სახლის

- მიცემით ბრუნვაში - აქ ფიქსირდება მხოლოდ პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელები, მაგ.:

maŋ+a - მე

saŋ+a - შენ.

- მე-2 პირის კუთვნილებითი კატეგორიის მაჩვენებელში როგორც მხოლოდით, ასევე მრავლობით რიცხვებში, მაგ.:

jer+iŋ –შენი ადგილი; jeriŋiz - თქვენი ადგილი

davan+əŋ – შენი ქუსლი; davanəŋ -თქვენი ქუსლი

sirr+iŋ – შენი საიდუმლო; sirriŋiz - თქვენი საიდუმლო

mama+ŋ // ana+ŋ – დედა შენი; mama+ŋəz // ana+ŋəz - დედა თქვენი

gap+əŋ – შენი კარი; gapə+ŋəz - თქვენი კარი

üz+üŋ – შენი სახე; üz+üŋüz - თქვენი სახე

ad+əŋ – შენი სახელი; ad+əŋəz - თქვენი სახელი.

- შემასმენლობითი კატეგორიის⁵³ მე-2 პირის სუფიქსში როგორც მხოლოდითში, ისევე მრავლობითში, მაგ.:

ana+saŋ – დედა ხარ; ana+səŋəz - დედა ხართ

adam+saŋ – ადამიანი ხარ; adam+səŋəz -ადამიანი ხართ

mälīm+säŋ – მასწავლებელი ხარ; mälīm+siŋiz - მასწავლებელი ხართ

nänä+säŋ – ბებია ხარ; nänä+siŋiz - ბებია ხართ

žavan+saŋ – ახალგაზრდა ხარ; žavan+səŋəz – ახალგაზრდა ხართ

goža+saŋ - მოხუცი ხარ; goža+səŋəz - მოხუცი ხართ

- ზმნის მე-2 პირის სუფიქსში როგორც მხოლოდითში, ასევე მრავლობითში, მაგ.: dedi+ŋ+mi - უთხარი? dedi+ŋiz+mi - უთხარი? (კითხვითი ფორმა)

gʷəz+siŋ - გაისერნოს; gʷəz+siŋ+ŋär - გაისერნონ

al+er+də+ŋ - ყიდულობდი; al+er+də+ŋəz -ყიდულობდით

gʷör+ör+säŋ - ხედავ; gʷör+ör+süŋüz - ხედავთ

düş+är+säŋ – წაიქცევი; düş+är+siŋiz - წაიქცევით

⁵³ აზერბაიჯანულ ენაში სახელებს ერთვის პირის ნიშანი, რომელიც სახელს აქცევს ზმნა-შემასმენლად, გამოხატავს მდგომარეობასა და მყოფობას. სამივე პირში, როგორც მხოლოდითში, ასევე მრავლობითში, სახელს დაერთვის პირის ნიშნები, რაც სახელს ანიჭებს ზმნა-შემასმენლის ფუნქციას. პირის ნიშნები აღნიშნავენ პირსაც და მყოფობას, მაგ., პირველი პირის ნიშანი -am// -äm აღნიშნავს პირველ პირსაც და ითავსებს მეორეულად ზმნურ ფუნქციას.

al+də+ŋ – იყიდე; al+də+ŋəz – იყიდეთ

al+məʃ+dəŋ – ნაყიდი გქონდა; al+məʃ+də+ŋəz – ნაყიდი გქონდათ.

- ზმნის მე-2 პირის ბრძანებით კილოში მხოლოდობითა და მრავლობით რიცხვებში, მაგ.:

gʻedŋ! – წადით!

baxsaŋ! – შეხედე! ნახე!

jatsaŋ – დაიძინე!

baxsaŋəz! – შეხედეთ!

k' **თანხმოვანი** – უკანაენისმიერი, ხშულმსკდომი, ყრუ თანხმოვანია. აზერბაიჯანული სალიტერატურო ენისათვის ეს თანხმოვანი არ არის დამახასიათებელი. „k' თანხმოვანი არ არის აზერბაიჯანული ენისათვის დამახასიათებელი და სხვა თურქული ენებისაგან ამ თანხმოვნის არსებობით ერთ-ერთი განმასხვავებელი თვისებაა“. პროტოთურქულში არსებული უკანაენის, მსკდომ **k'** თანხმოვანს თანამედროვე აზერბაიჯანულ ენაში, მისი მდებარეობის მიხედვით, ძირითადად **g**, **x**, ხოლო ზოგჯერ **h** შეესაბამება. აქვე აღნიშნავს, რომ აზერბაიჯანული ენის დიალექტებში, კერძოდ, დასავლურ დიალექტში რამდენიმე სიტყვის დასაწყისში შენარჩუნებულია ძველი უკანაენისმიერი **k'** თანხმოვანი: **k'əʃ**, **k'uʃ**, **k'utu**, **k'əsər**, **k'əʃnamax**, **k'əsa**. “საერთოდ ... როდესაც აზერბაიჯანული ხალხური ენა ჩამოყალიბდა, უკანაენის **k'** თანხმოვანი ფართო სპექტრით არ გამოყენებულა და დიალექტურ დონეზე არის შემორჩენილი. ლიტერატურული ენის მასალებში ეს თანხმოვანი უფრო მეტად წერის ტრადიციად გვხვდება“ [Əzizov, 1999:81-82]. მ. ისმაილოვის აზრით: „ოღუზური შტოს ენებში ყოველგვარი შტოს ენებისაგან განსხვავებით, სიტყვის დასაწყისში იხმარება მჟღერი **g** თანხმოვანი. მაგრამ ამ დროს ოღუზურ ენებში ანლაუტში მჟღერი **g** თანხმოვანი არის ყოველგვარი შტოს ენების მსგავსი ყრუ თანხმოვანი **k'** [İsmailov, 1968:30]. შირალიევის აზრით, ეს თანხმოვანი დასავლურ დიალექტებსა და თემებში ფართოდ იხმარება და გვხვდება სიტყვის დასაწყისში დახურული ხმოვნების (**ə** და **u**) წინ [Şirəliyev, 2008:30]. მაგალითად, წარმოითქმის **k'əʃ** – ზამთარი, (იწერება **qıʃ** – **gəʃ**), **k'uʃ** – ჩიტი (იწერება **quʃ** – **guʃ**), **k'əfəl** (იწერება – **qıfıl** – **gəfəl**) – ბოქლომი.

ცნობილია, რომ მე-20 საუკუნის დასაწყისამდე აზერბაიჯანული ენა იყენებდა არაბულ გრაფიკას, აჯამს და აზერბაიჯანულ წერილობით ძეგლებში **č** (ქაფ) თანხმოვანი ერთდროულად ორ თანხმოვანს გადმოცემდა: ყრუ **k'** და მჟღერ **g** თანხმოვნებს. ამის შესახებ წერდა ა. დემირჩიზადე „პაპა ქორქუთის წიგნის“ („Kitabi Dada Qorqud“) ფონეტიკური დახასიათებებზე რომ წერდა, „ახლანდელი დიალექტების ანალიზითა და ძველი წერილობითი ძეგლებიდან ცნობილი ხდება, რომ ძეგლებში არაბული გრაფიკით **č** (ქაფ) გადმოცემული **g** და, ამავდროულად, ყრუ **k'** თანხმოვნები იმის მაჩვენებელია, რომ ორი სხვადასხვა მოვლენა (ვგულისხმობ თანხმოვანს) ერთი ნიშნით არის აღნიშნული. ძირითადად, თუ სიტყვის ბოლოში იხმარება **č** (ქაფ) არ არის **g**, ის **k'** თანხმოვნით წარმოითქმის“ [Dəmirçizadə, 1959:161].

ცოტა მოგვიანებით ავტორი აქვე აღნიშნავს - მიუხედავად იმისა, რომ არაბული **č** (ქაფ) თანხმოვნით წარმოდგენილია **g** და **k'** თანხმოვნები, ჩვენ ჯერჯერობით მას **g** (**q**) გრაფემით გადმოვცემთ იმიტომ, რომ ეს საჭიროებს ისტორიულ-ფონეტიკურ გაანალიზებას იმისათვის, სად იწერება **k'** და სად **g**“ [Dəmirçizadə, 1959:45]. მაგრამ, მიუხედავად ზემოთ თქმულისა, თვითონ დასტანის ანალიზის დროს **č** (ქაფ) თანხმოვანს □ გრაფემით გადმოვცემს როგორც სიტყვის ანლაუტში, ასევე ინლაუტსა და აუსლაუტში, მაგ.:

bak'ar - ნახავ	gər'k' - ორმოცი;
sak'gal /sak'gal - წვერი	jajlak'- სამოვარი მთებში;
Gork'ud - ქორქუთი	oylan'zuk'- ბიჭუნა
k'əna - განკიცხე	sak'gal'zək' - წვერი (კნინობითი)
jok'dur - არ არის	

[Dəmirçizadə, 1959:42, 58, 67, 72, 73].

თუ სალიტერატურო აზერბაიჯანულში სიტყვა **g** თანხმოვანზე ბოლოვდება, მაშინ აზერბაიჯანული ენის ყაზახურ დიალექტში იგივე სიტყვა ბოლოვდება **x**-ზე, ანუ **g** → **x**, მაგ.:

baləg → baləx - თევზი
torpag → torpax - მიწა
jarpag → jarpax - ფოთოლი.

ბ. სერებრიანიკოვი $k' \rightarrow x$ გადასვლის პროცესს ხნის ამგვარად: „ზოგ თურქულ ენებში k' ბგერის დასუსტება განპირობებულია იმ მიზეზით, რომ რთულად გამოითქმის“ [Серебренников, Гаджиева, 1979:31].

k' თანხმოვანი პოზიციურად გვხვდება ანლაუტსა და ინლაუტში.

- **ანლაუტში:** $gəfəl \rightarrow k'əfəl$ - ბოქლომი, $gəʃ \rightarrow k'əʃ$ - ზამთარი, $guʃ \rightarrow k'uʃ$ - ჩიტი, $gəsa - k'əsa$ - მოკლე, $gəsasa - k'əsasa$ - ერთი სიტყვით, $gəç - k'əç$ - ბარდაყი, $gəsganʒ - k'əsganʒ$ - ეჭვიანი, $gəsər - k'əsər$ - დეკეული, $gəsaʒa - k'əsaʒa$ - მოკლედ, $gisim - k'isim$ - ნაწილი, $gutū - k'utū$ - ყუთი, $güsür - k'usür$ - წუნი, $gismät - k'əsmät$ - ყისმათი;
- **ინლაუტში:** გვხვდება g თანხმოვნის გემინაციის დროს. ორი g თანხმოვნის ხმარებისას განიცდის დისიმილაციის პროცესს და ერთ-ერთი მათგანი ყრუვდება: $saggal \rightarrow sak'gal // sagk'al$ - წვერი, $dogguz \rightarrow dok'guz // dogk'uz$ - ცხრა, $doggaz \rightarrow dok'gaz // dogk'az$ - ჭიშკარი, $toggaşma \rightarrow tok'gaşma // togk'aşma$ - შეჯახება (თავით); $togguşdurmag \rightarrow tok'guşdurmax // togk'uşdurmax$ - მიჯახუნება; $togga \rightarrow tok'ga // togk'a$ - შესაკრავი ბალთა; $dək'gələ // dəgk'ələ$ - პატარა; $çak'gal$ - ტურა; $sak'gəz$ - საღეჭი რეზინა.

ზოგ თქმაში გვხვდება პროცესი, როცა k გადადის $č$ -ში. ამ პროცესის შესახებ ვრცლად აღწერილი მაქვს ფონეტიკურ პროცესებში (იხ. პალატალიზაციის პროცესი). მ. შირალიევის აზრით, ეს პროცესი თურქულ ენებში იშვიათი მოვლენაა [M. Şirəliyev, 2008:79]. მისი აზრით, ეს პროცესი დამახასიათებელია არა მხოლოდ როგორც ნახიჩევანის, ასევე შამახისა და ყაზახის (აზერბაიჯანი) დიალექტებისა და ისმაილის თქმებისათვის [M. Şirəliyev, 2008:79].

„ეს პროცესი აზერბაიჯანული ენის ისტორიულ ძეგლებში არ გვხვდება“ [Axundov, 1984:203] მისი აზრით, $k \rightarrow č$ გადასვლა დაკავშირებულია მომდევნო ხმოვნის ზეგავლენით (k თანხმოვნის წარმოთქმა იწვევს წინ და ემსგავსება $č$ -ს).

c თანხმოვანი - წინაენისმიერი, ყრუ აფრიკატია. იგი შედგება შემმართავი t -სა და დამმ

ართავი - s ბგერებისგან, ანუ $c=ts$, ან $c=t^s$. „...ყრუ **c** თანხმოვანი ჩვენი ენის ზოგ დიალექტში ფართოდ გვხვდება სიტყვის დასაწყისში, იშვიათად სიტყვის შუაში სალიტერატურო ენის ყრუ $č$ თანხმოვნის ნაცვლად“ [Əzizov, 1999:77-78]. ვეთანხმებით

ელ. აზიზოვის აზრს, როცა ამბობს, რომ *c* იხმარება *č* თანხმოვნის ნაცვლად, მაგრამ ავტორისგან განსხვავებით, ემპირიულ მასალაზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ *c* გვხვდება სიტყვის სამივე პოზიციაში (ანლაუტი, ინლაუტი, აუსლაუტი), ასევე სუფიქსებშიც, მაგ.:

ანლაუტში: *čaj* → *caj* - ჩაი, *čox* → *cox* - ბევრი, *čöräk* → *cörä* - პური, *čajnik* → *cajnik* - ჩაიდან, *čajdan* → *cajdan* - ჩაიდან; *čibin* → *civin* - ბუზი; *čajxana* → *cajxana* - ჩაიხანა;

ინლაუტში: *čičäk* → *cicex* - ყვავილი, *alča* → *alca* - ალუჩა, *xalča* → *xalca* - ხალიჩა, *pačka* → *packa* - პაჩკა; *gajča* → *gajca* - მაკრატელი; *pučur* → *pucur* - კოკორი; *čajča* - *cajca* - მეჩაე;

აუსლაუტში: *goč* → *goc* - ვერძი, *puč* → *puc* - ფუჭი, *sač* → *sac* - თმა, *gač* → *gac* - გაიქეცი, *suč* → *suc* - ბრალი; *peč* → *pec* - ღუმელი; *üč* → *üc* - სამი; *ač!* → *ac!* - გააღე!

სუფიქსებში: *gullug-ču* → *gullux-cu* - დამხმარე პერსონალი, *jalan-ča* → *jalan-ca* - მატყუარა, *gar-ča* → *gar-ca* - ძუნწი; *dol-ča* → *dolca* - ტოლჩა, *elči* → *elci* - დესპანი, *äläčä* → *älaca* - ფრიადოსანი და ა. შ.; შესაბამისად, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ *c* თანხმოვანი ფართოდ არის გავრცელებული დასავლური დიალექტის თქმებში, მაგრამ არა ყველა თქმაში (*c* თანხმოვანი ხშირად ახასიათებს რამდენიმე სოფელს).

მიუხედავად იმისა, რომ არც ერთ თურქული ოჯახის სალიტერატურო ენაში ეს თანხმოვანი არ იხმარება, მაგრამ დიალექტებსა და თქმებში ფართოდ იხმარება ყველა პოზიციაში. როგორც წესი, აქაც *c* და *č* თანხმოვნები პარალელურად იხმარება. ეს თანხმოვნები ფართოდ იხმარება ყარაჩაულ-ბალყარული ენის დიალექტებში. ეს ამ ენის დამახასიათებელი თვისებაა: *čelek* → *celek* - ვედრო, *čibin* → *cibin* - ბუზი, *keče* → *kece* - ღამე, *erkeč* → *erkec* - თხა, *axča* → *axca* - ფული [Алиев, 1963:66-77]. ნ.ზ. ჰაჯიევას აზრით, *c* თანხმოვნის ცენტრად შეიძლება ჩაითვალოს ყარაჩაი-ბალყარული ენის დიალექტების გავრცელების რეგიონი [Гаджиева, 1979:70].

თანამედროვე თათრული ენის მიშარისა და ტიუმენის თქმებშიც ფართოდ იხმარება. აქაც *č* → *c*, მაგალითად: *čajnek* - ჩაიდან, *köcek* - პატარა, *cumatan* - ჩემოდანი [Əzizov, 1999:80].

c თანხმოვანი გვხვდება ტრაპიზონისა და რიზეს პროვინციებში [Göyüşov, 1975:99], მაგ., *čožuk* → *cocuk* - ბავშვი, *čaj* → *caj* - ჩაი, *čit* → *cit* - ნაჭერი.

ჩულუმ-თათრების მეტყველებაში იხმარება **с** და **з** პარალელურად იხმარება, მაგალითად: *aγac, küc, pəzak // puzak* [Баскаков, 1960:206]. ს. ი. მალოვის დაკვირვებით, ჩულუმების ენის დიალექტებში ქალების მეტყველებაში **с** თანხმოვანი უფრო მეტად გვხვდება, მაშინ როდესაც კაცები უმეტესოდ **з**-ს მაგივრად **с** თანხმოვანს ხმარობენ [Тенишев, 1980:57].

ასევე **с** თანხმოვანი გვხვდება სხვა თურქულ ენებში: კარაიმული ენის სამხრულ (იუჟნი) დიალექტში, ტაჯიკეთისა და ყირღიზეთის მთის მაცხოვრებლების ერთ-ერთ თემში, სადაც **с** თანხმოვანი შენარჩუნებული სულ რამდენიმე სიტყვაში [Əzizov, 1999:79].

აზერბაიჯანული ენის ორდუბადისა და შაჰზუზის დიალექტებში **с** თანხმოვნის არსებობის შესახებ მ. შირალიევი თავიდან იბერიულ-კავკასიური ენების გავლენით ხსნიდა [Şirəliyev, 1957:14], მაგრამ მერე შეცვალა მოსაზრება და აზერბაიჯანულში ამ თანხმოვნის არსებობას ყოვალური ელემენტის გავლენით ხსნიდა [Ширалиев, 1965:11]. მკვლევრების ნაწილი თანამედროვე მონღოლური ენის ფაქტების გათვალისწინებით, ადასტურებენ იმ ფაქტს, რომ თურქულ ენებში, ასევე აზერბაიჯანულში, **с** თანხმოვნის არსებობა მონღოლური ენის გავლენით არის დაკავშირებული [Валиев, Гаджиев, 1966:147-148], ამის ერთ-ერთი დამადასტურებელი ფაქტი არის ის, რომ თანამედროვე მონღოლურში არსებული **с** თანხმოვანის ნაცვლად, ძველ მონღოლურში იხმარებოდა **з** თანხმოვანი [Гаджиева, 1979:71]. მონღოლურ ენაში არსებული **з** თანხმოვანი დროთა განმავლობაში გადავიდა **с** თანხმოვანში [Серебренников, Харькова, 1983: 56].

ა. ვალიევისა და ი. ჰაჯიევის აზრით, ფონემა **с**, რომლებიც გვხვდება აზერბაიჯანულ დიალექტებში, უნდა განიხილებოდეს მონღოლურ ენებთან კავშირის საფუძველზე [Валиев, Гаджиев, 1966:148].

საერთოდ, თურქულ ენათა კავშირები მონღოლურ ენასთან ჯერ კიდევ არ არის სრულად დადგენილი. ზოგი მკვლევარი, მაგალითად, არნ. ჩიქობავა, ამ ენებს ერთ ჯგუფად [Чикобава, 1953:217] თვლის, ზოგი კი - ა. რეფორმატსკი, მიიჩნევს, რომ ისინი სხვადასხვა სისტემის [Реформатский, 1955 : 332; 334] ოჯახს მიეკუთვნება. ასეთი წინააღმდეგობრივი მოსაზრებები მიუთითებს იმაზე, რომ თურქულ და მონღოლურ

ენათა საკითხის გადაწყვეტისთვის არ კმარა მხოლოდ ერთეული ფაქტები და საკითხი საჭიროებს უფრო ფართო ენობრივი მონაცემების ანალიზსა და შეჯამებას.

ავტორები, რომლებიც ადარებდნენ მონღოლურ და თურქულ ენებს, ხვდებოდნენ მრავალ იდენტურ ან იმდენად ახლო ფაქტს, რომ ამ სიახლოვეს ვერავინ უგულებელყოფდა. ეს სიახლოვე აისახება ენის სხვადასხვა კატეგორიებში (არსებით და ზედსართავ სახელებში) და სხვადასხვა სფეროში (საკუთარ სახელებში, ცხოველთა სახელებში, ტიტულებში, ტერმინებში, რომლებიც იხმარება სხვადასხვა სამეურნეო სფეროში და ა. შ.) [Исхаков, 1956:145-146; Номинханов. 1959: 87-116].

განსხვავება მოიცავს არა მხოლოდ ლექსიკის ცალკეულ კატეგორიებს, არამედ ყველაზე ღრმა ფენებსაც – სიტყვებს, რომლებიც მიეკუთვნებიან ლექსიკის პირველად და პროდუქტიულ შემადგენლობას. ა. ვალიევისა და ი. ჰაჯიევის აზრით, ეს სიახლოვე არ არის მხოლოდ მონღოლების შემოსევით განპირობებული და თვლიან, რომ ეს არის თურქული და მონღოლური ენათა გენეტიკური ნათესაობის შედეგია და ამ ენების ფონეტიკური სისტემები ერთმანეთთან ძალიან ახლოა. ეს სიახლოვე ვლინდება ფონემურ შემადგენლობაში, კომბინატორულ ცვლილებებში, ბგერების დინებაში და ზოგად ფონეტიკურ კანონზომიერებებში, რაც საშუალებას გვაძლევს ვისაუბროთ არა მხოლოდ ამ ენების ერთმანეთის გავლენაზე, არამედ მათ გენეტიკურ ნათესაობაზეც. ამასთანავე, თურქული დიალექტების ფონეტიკურ წყობაში ყურადღება უნდა მიექცეს იმ ფაქტებსაც, რომლებიც მონღოლური ენების ზეგავლენის შედეგია. როგორც წესი, ეს მეორეული მოვლენები უფრო გვიანდელია და დამახასიათებელია არა მთელ თურქულ ენათა ოჯახისთვის, არამედ ცალკეული დიალექტებისათვის.

ასეთ მეორეულ მოვლენებს შეიძლება მივაკუთვნოთ აფრიკატი *c*, რომელიც გვხვდება რიგ თურქულ დიალექტებში, მათ შორის აზერბაიჯანული ენის შახზუზურ, გედაბექ-აირუმულ, შამახურ და ორდუბადურ თქმებში [Şirəliyev, 1957:14].

ეს ფონემა გამოითქმის როგორც ქართული *c* და შედგება *t* და *s* ბგერებისაგან. მისი ფონოლოგიური ბუნების შესახებ თურქულ დიალექტებში სხვადასხვა მოსაზრება არსებობს: ზოგი მკვლევარი მას დამოუკიდებელ ფონემად [Hacıyev, 1961:41] მიიჩნევს, სხვები კი – *č* ბგერის ვარიანტად [Huseynov, 1958:33].

ასევე, ეს აფრიკატები გვხვდება თათრულსა და ყარაჩაულ-ბალყარულ დიალექტებშიც [Богородицкий, 1953:10; Алиев, 1963:68].

ა. ვალიევისა და ი. ჰაჯიევის აზრით, *с* ბგერა, რომელიც გვხვდება შახხუზურ, ჯებრაილურ, ორდუბადურ მეტყველებებში, არ არის *č*-ს ვარიანტი, არამედ დამოუკიდებელი ფონემაა. ჰაჯიევი თვლის, რომ ეს ბგერა განსაკუთრებულ ადგილს იკავებს აზერბაიჯანული ენის ჯებრაილის თქმის ფონემურ სისტემაში. მის დამოუკიდებლობაზე მიუთითებს რამდენიმე ფაქტი. მაგალითად, ერთ-ერთი ასეთი ფონემური წყვილების დაპირისპირება, რომლებიც განსხვავებულ მნიშვნელობას იძლევა, გვხვდება აზერბაიჯანის ჯებრაილის რაიონის სირიკსის სოფელში:

მაგალითი

დაპირისპირებული სიტყვები:

čax - მშრალი, პატარა შეშა

cax! - გადი!

čöp - შებერილობა

cöp - ჩხირი

čor - ბრმა

cor - ზოგი მცენარის სენი

čarax - დაბნევა

carax - ქალამანი [Hacıyev, 1961 : 41].

არ ვიზიარებ ა. ვალიევისა და ი. ჰაჯიევის აზრს, რომ *с* ფონემაა, ვინაიდან *с* ატარებს *č* თანხმოვანის, ხოლო *č* თავის დროზე *k*-ს ფუნქციას. აქედან გამომდინარე, *с* არ ატარებს დამოუკიდებელ ფუნქციას და ფონემის სტატუსი ვერ მიენიჭება.

ი. ჰაჯიევის აზრით, *с* ფონემა არ არის თურქული, არამედ მონღოლური წარმოშობისაა და მონღოლური წარმომავლობის სასარგებლოდ მოჰყავთ შემდეგი არგუმენტები:

1. აღნიშნული ფონემა არ გვხვდება თურქული ენების უძველეს წერილობით ძეგლებში, მათ შორის აზერბაიჯანულ ენაში. შესაბამისად, ეს ფონემა აზერბაიჯანული ენის დიალექტებსა და მეტყველებებში მონღოლური ენის გავლენის შემდეგ გაჩნდა.
2. აღნიშნული ფონემა ყველა თურქულ ენაში გვხვდება მხოლოდ დიალექტურ დონეზე და არ გვხვდება ლიტერატურულ აზერბაიჯანულ ენაში. მაშინ როცა მონღოლურ ენაში ეს ფონემა ლიტერატურულ ენაშია წარმოდგენილი.

ნ. ზ. ჰაჯიევის აზრით, *с*-სა და *з* თანხმოვნების არსებობა კავკასიის რეგიონში ფართოდ იხმარება. შეიძლება ამას განაპირობებს რეგიონის გეოგრაფიული

მდგომარეობა (c ფართოდ იხმარება - იბერიულ-კავკასიურ, ოსურ და ა. შ. ენებში) [Гаджиева, 1979:71]. თ.მ. გარიპოვი კი თვლის, რომ თურქულ ენებში c თანხმოვნის არსებობაზე ირანული ენების გავლენაც შეილება იყოს გასათვალისწინებელი [Гарипов, 1979:139]. ამ მოსაზრებას არ ეთანხმება ელ. აზიზოვი, ვინაიდან c ზოგჯერ შეინიშნება ისეთ არეალებშიც, სადაც ირანულ ენათა გავლენაზე საუბარი შეუძლებელია (მაგალითად, კარაიმული ენის სამხრეთული დიალექტის გავრცელების არეალი, დასავლეთ ციმბირი) [Əzizov, 1999:79].

ზემოდ მოყვანილი სხვადასხვა მოსაზრებებიდან ჩანს, რომ c თანხმოვნის საკითხი სადაოა. მ. რიასენინი, ნ. პოპკე, კ. მენგესი, ა.მ. შერბაკი მიიჩნევენ, რომ c დროთა განმავლობაში პროთურქულის č-სგან არის განვითარებული. ამის საპირისპირო აზრს გვთავაზობს შ.კ. აკბაიევი, რომელიც თვლის, რომ რთული c არქექიპისაგან განვითარდა სადა č თანხმოვანი [Акбаев, 1971:100-101].

ჩემი აზრით, ლ. თ. მახმუდოვა სწორად ასაბუთებს, c-სა და ჯ აფრიკატების გავრცელებას სხვადასხვა თურქულენოვან არეალებში. მკვლევრის თქმით: „c და, უმეტეს შემთხვევაში, მასთან პარალელურად არსებული ჯ აფრიკატების ამგვარი გავრცელება გვაძლევს საფუძველს ვივარაუდოთ, რომ c და ჯ აფრიკატები ერთ დროს თურქული ტომების გარკვეული ნაწილისათვის დამახასიათებელი იყო, რომლებიც სხვადასხვა ისტორიული მიზეზის გამო სხვადასხვა ტერიტორიებზე გავრცელდნენ.“ [Махмутова, 1978 : 66].

კვლევის შედეგები მოწმობს, რომ c თანხმოვანი ერთ დროს საბირ-ხაზარების თურქულთა ერთ-ერთ ფონეტიკურ თავისებურებას წარმოადგენდა [Гукасян, 1978:32]. თანამედროვე ეტაპზე c-ს გავრცელების პროცესი ძირითადად შეინიშნება იმ ტერიტორიაზე, რომელიც ისტორიულად ხაზარულ არეალს წარმოადგენდა. ნ. ა. ბასკაკოვის მიხედვით, ხაზარულ ენაში „č“-იანი დიალექტის გარდა არსებობდა ასევე „c“-იანი დიალექტიც. მის დასტურად მოჰყავს ტომთა სახელები *pacinak*, *akacir* და *lekesema cicakion* (ძველი თურქული *čecek* — „ნაჭრის სახეობა“). ანუ ნ. ბასკაკოვის აზრით, ხაზარულ ენაში არსებობდა ორი დიალექტი - ერთი, სადაც გამოიყენებოდა č, და მეორე, სადაც ამავე პოზიციაში გვხვდებოდა c, რაც ამ ტომთა სახელებშიც აისახა [Баскаков, 1960:110-111].

„სომხეთის გეოგრაფიაში“ და „ალბანეთის ისტორიაში“ ფორმა *pača-nak* (*pečeneg*) აღნიშნულია როგორც *pacanak* // *pacank*, რაც უკავშირდება იმ ტომების ენას, რომლებიც შედიოდნენ საბირების კონფედერაციაში [Qukasyan, 1983:55]. ამ მოსაზრებას ასევე ამყარებს *с* აფრიკატის არსებობა ჩუვაშური ენის ქვედა-ჩუვაშურ დიალექტშიც [Сергеев, 1973:17]. მკვლევრების აზრით, ეთნონიმი „ჩუვაშ“ მომდინარეობს ძველი სახელწოდებიდან საბირ – სავირ – სუვარ (*suvaz*) [Бартольд, 1968: 208; Сергеев, 1972:159; Ермеев, 1980:14].

ცნობილია, ხაზარებმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს აზერბაიჯანის ისტორიაში. ისინი თითქმის ასორმოდათი წლის განმავლობაში მართავდნენ აზერბაიჯანის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარე რამდენიმე პროვინციას. V-VI საუკუნეებში აზერბაიჯანის ტერიტორიაზე უკვე არსებულ ბევრ სხვა დიალექტებთან ერთად გავრცელდა ხაზარების ენაც, რომელიც მოიცავდა *с* თანხმოვანს [Qukasyan, 1983:55]. მ. ისლამოვიც ადასტურებს, რომ *с-ს* გავრცელება დაკავშირებულია იმ ძველი ხაზარების ენობრივ თავისებურებებთან, რომლებიც ერთ დროს ცხოვრობდნენ აზერბაიჯანის ტერიტორიაზე [Исламов, 197:207-208].

ყველა ეს ფაქტი გვაძლევს საფუძველს დავასკვნათ, რომ აზერბაიჯანული ენის დიალექტებში ფიქსირებული *с* წარმოადგენს სხვა თურქულენოვანი ტომებიდან გადმონაშთ ენობრივ ერთეულს. როგორც აღვნიშნე, *с* გავრცელებული იყო **З** აფრიკატის მსგავსად სხვადასხვა თურქულენოვან არეალში.

З თანხმოვანი - სასა-ნუნისმიერი, მჟღერი აფრიკატია. იგი შედგება შემმართავი [d]-სა და დამმართავი - z ბგერებისგან, ანუ $з=dz$, ან $з=d^z$. ეს ბგერა, გარდა აზერბაიჯანული ენის დასავლური დიალექტისა, გვხვდება ასევე აზერბაიჯანული ენის სხვა დიალექტებშიც, კერძოდ, ნახიჩევანის, აირუმის, ორდუბადის, ზანგიბასარის, ისმაილისა და ჯებრაილის დიალექტებში [Məmmədli, 2011:34]. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს თანხმოვანი იხმარება აზერბაიჯანული ენის დასავლური ჯგუფის ყაზახური დიალექტის ზოგიერთ თქმაში. ეს ბგერა ყოველთვის იხმარება **Џ** თანხმოვნის მაგივრად და გვხვდება ყველა პოზიციაში როგორც ფუძეში, ასევე აფიქსებშიც:

ანლაუტში: ჳüჳä → ჳüჳä - წიწილა, ჳomuš - ჳomuš - კამეჩი, ჳorab → ჳorab - წინდა, ჳälil → ჳälil - ჯალილი, ჳanavar → ჳanavar - მგელი, ჳan → ჳan - სული, ჳin → ჳin - ქაჯი, ჳürä- ჳürä → ჳürä-ჳürä - ნაირ-ნაირი, ჳüjür → ჳüjür - შველი;

ინლაუტში: baჳä → baჳä - და, გ'äჳä → გ'äჳä - ღამე, ჳüჳärti - ჳüჳärti - ჯეჯილი, ჳüჳü - ჳüჳü - მწერი, balaჳä → balaჳä - პატარა, badəmჳan → badmizän//badəmჳan - ბადრიჯანი; baჳanag → baჳanax - ქვისლი, anჳag → anჳax - მხოლოდ;

აუსლაუტში: aჳaჳ → aჳaჳ - ხე, გ'änჳ - გ'änჳ - ახალგაზრდა, borჳ → borჳ - ვალი, xarჳ → xarჳ - ხარჯი, bürჳ → bürჳ - ზოდიაქის ნიშანი;

სუფიქსებში: ჳavan-ჳä → ჳavan-ჳä - ახალგაზრდა, uჳuz-ჳä → uჳuc-ჳä - ძალიან იაფად, jax-ჳä → jax-ჳä - კარგად, ჳahil-ჳä → ჳahil-ჳä - ყმაწვილი, boჳu-ჳü → boჳu-ჳü - მახრობელა, män-ჳä → män-ჳä - ჩემი აზრით, bir-ჳä → bir-ჳä - ოღონდ.

ჳ თანხმოვანი პარალელურად იხმარება ც თანხმოვანთან ერთად.

აზერბაიჯანული ენის დასავლური ჯგუფის ყაზახურ დიალექტში გვხვდება ისეთი სპეციფიკური თანხმოვნები, რომლებიც სალიტერატურო ენაში არ ფიქსირდება და აზერბაიჯანულ ანბანში ადგილი არ უკავია. ეს თანხმოვნები სხვაგვარად არის წარმოდგენილი: **ჳ, x', η, k', c, ჳ**. მათი არსებობა დიალექტის ფონეტიკურ სისტემას ანიჭებს თავისებურებას და მნიშვნელოვანი მასალაა როგორც თვით აზერბაიჯანული ენისათვის, ისე ზოგადად თურქულ ენათა ოჯახისათვის სინქრონიულ და დიაქრონიულ ჭრილში შესწავლისათვის.

ამრიგად, ნაშრომის მიზანია **ჳ, x', η, k', c, ჳ** თანხმოვნების დეტალური განხილვა, მათი წარმოშობის, გავრცელებისა და სტრუქტურული ფუნქციის აღწერა, ასევე ექსპერიმენტულ-აკუსტიკური ანალიზის საფუძველზე მათი ფონოლოგიური სტატუსის დაზუსტება.

აღნიშნული თანხმოვნების შესწავლა მხოლოდ აღწერითი მეთოდებით არ არის საკმარისი. სწორედ ამიტომ, აუცილებელია თანხმოვნების ექსპერიმენტულ-ფონეტიკური ანალიზი სპექტროგრამებისა და ოსცილოგრამების სახით, რაც მკითხველს მისცემს შესაძლებლობას არა მხოლოდ თეორიულად გაეცნოს მათ მახასიათებლებს, არამედ პრაქტიკულადაც იკვლიოს იგი.

კვლევის ფარგლებში პროგრამა **Praat**-ის საშუალებით ჩავატარე თანხმომცემების ანალიზი; წარმოგიდგენთ თანხმომცემების სპექტროგრამულ და ოსცილოგრამულ გამოსახულებებს. ემპირიული მასალის (აუდიოჩანაწერები) საფუძველზე განხორციელდა წარმოდგენილი ბგერების სეგმენტაცია.

აზერბაიჯანული ენის ყაზახური დიალექტის სპეციფიკურ თანხმომცემებზე დაკვირვებას ვახდენდი ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში; ამის შედეგად შესაძლებელი გახდა მათი ფონეტიკური და პოზიციური თავისებურებების დეტალური შესწავლა. თითოეული თანხმომცემი გაანალიზებულია სხვადასხვა პოზიციაში - ანლაუტში, ინლაუტსა და აუსლაუტში. მასალას ვაგროვებდი და ვიკვლევდი აზერბაიჯანული ენის საუნივერსიტეტო სწავლების პროცესში, ასევე ყოველდღიური პრაქტიკული საქმიანობის კონტექსტში, რომელიც უშუალოდ დაკავშირებულია აზერბაიჯანული ენის დიალექტური მასალის ტექსტობრივ-ლინგვისტურ ანალიზთან. მრავლად იქნა დადასტურებული ლექსიკური ერთეული, რომლებშიც გვხვდება აზერბაიჯანულ ენის ყაზახური დიალექტისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური თანხმომცემები. ასეთი ტიპის ლექსიკური ერთეულების სიმრავლის გამო განვაზოგადე და თვალსაჩინოებისათვის წარმოვადგენ თითო პოზიციაში თითო მაგალითს.

ფონეტიკური მონაცემების უკეთესი აღქმისა და წარმოდგენის მიზნით, თითოეული თანხმომცემისათვის შექმნილია ვიზუალიზაცია, რომელიც ასახავს მის ქცევას წარმოთქმის ადგილისა და რაგვარობის მიხედვით კონკრეტულ პოზიციაში. პარალელურობისა და შესადარებელი სურათის საჩვენებლად სპეციალურად წარმოდგენილია ქართული ენის შესაბამისი თანხმომცემების ვიზუალიზაციაც. ეს საშუალებას გვაძლევს, ერთი მხრივ, ვაჩვენოთ თანხმომცემთა სპეციფიკური მახასიათებლები, ხოლო, მეორე მხრივ, დავინახოთ მათი მსგავსება და განსხვავება ქართული ფონეტიკური სისტემის შესაბამის ელემენტებთან.

წარმოდგენილი ვიზუალიზაციები და მაგალითები ნათლად წარმოაჩენს თითოეული თანხმომცემის პოზიციურ ქცევასა და არტიკულაციურ თავისებურებებს, რაც მნიშვნელოვან საფუძველს ქმნის შემდგომი შედარებითი ფონეტიკური ანალიზისთვის.

IV თავი

ფონეტიკური პროცესები

ფონეტიკური პროცესები - არის ფონემების ცვლილებები, ან გარდაქმნები მეტყველებაში, რომლებიც წარმოიშობა ხმოვანთა და თანხმოვანთა ურთიერთქმედების შედეგად. ეს პროცესები ბუნებრივად ხდება ენის განვითარებასა და მეტყველებაში და ისინი შეიძლება იყოს როგორც უცვლელად მიმდინარე, ასევე ცვალებადი ან შემთხვევითი.

ცნობილია, რომ ერთი და იმავე ფონემის წარმოთქმა ცალკე და სხვა ფონემებთან ერთად განსხვავებულია: კოარტიკულაციას გარკვეული ცვლილება შეაქვს ფონემის წარმოებაში. აქ განვიხილავთ ისეთ ცვლილებებს, რომლებიც გვხვდება აზერბაიჯანული ენის დასავლური ჯგუფის ყაზახურ დიალექტში. ეს ცვლილებებია:

1. ბგერათა დამსგავსება - ასიმილაცია
2. ბგერათა განმსგავსება - დისიმილაცია
3. ბგერის ჩამატება - პროთეზა, ეპენთეზა, ეპითეზა
4. ბგერის დაკარგვა - რედუქცია
5. მეტათეზა
6. ბგერათჩანაცვლება
7. სუბსტიტუცია
8. დაყრუების პროცესი
9. აფრიკატიზაციის პროცესი
10. პალატალიზაციის პროცესი
11. გასისინების პროცესი
12. გაშიშინების პროცესი
13. დეზაფრიკატიზაციის პროცესი
14. გამჟღერების პროცესი.

IV. 1. ასიმილაცია

ასიმილაცია, ანუ დამსგავსება - „ეწოდება ისეთ ცვლას, რომლის შედეგადაც ერთი ბგერა ან მთლიანად უნდა ნაწილობრივ - წარმოების რაიმე მომენტის მიხედვით - დამსგავსება იმავე სიტყვის სხვა ბგერის წარმოქმნა (ლათინ. *assimilatio* “დამსგავსება”) [ჩიქოვაძე, 2008:101].

ასიმილაცია ისეთი პროცესია, რომელიც ფართოდ იხმარება ყველა ენაში. აზერბაიჯანულ ენაში ასიმილაცია დამახასიათებელია მხოლოდ სალაპარაკო ენისა და დიალექტებისათვის. ასევე ეს პროცესი ძალიან ფართოდ არის გავრცელებულია აზერბაიჯანული ენის დასავლური ჯგუფის ყაზახურ დიალექტში.

ასიმილაცია შეიძლება იყოს როგორც თანხმოვნებში, ხმოვნებში, ასევე ხმოვნებსა და თანხმოვნებს შორის.

IV. 1.1. თანხმოვნების ასიმილაცია

ასიმილაციის სახეები შედეგის მიხედვით აზერბაიჯანულ ენის ყაზახურ დიალექტში, როგორც სხვა ენებშიც, შეიძლება იყოს - სრული და ნაწილობრივი, მიმართულების მიხედვით - პროგრესული და რეგრესული, ფონემათა შეხვედრის მიხედვით - კონტაქტური და დისტანციური.

გვხდება:

- კონტაქტური პროგრესული სრული ასიმილაცია
- კონტაქტური პროგრესული ნაწილობრივი ასიმილაცია
- დისტანციური რეგრესული სრული ასიმილაცია
- კონტაქტური რეგრესული სრული ასიმილაცია
- კონტაქტური რეგრესული ნაწილობრივი ასიმილაცია.

განვიხილავ ასიმილაციას როგორც თანხმოვნებს შორის, ასევე ხმოვანთა შორის ასიმილაციას. ხმოვანთა ასიმილაცია ფართოდ განხილული მაქვს სინჰარმონიზმის ნაწილში, ვინაიდან, ვთვლი, ხმოვანთა ასიმილაცია წარმოადგენს ფონეტიკური ბუნების მიხედვით, ე. წ. ხმოვანთა ჰარმონიას.

ასიმილაციის ყველა ამ პუნქტს სათითაოდ განვიხილავ.

IV. 1.1.1. კონტაქტური პროგრესული სრული ასიმილაცია

კონტაქტური სრული პროგრესული ასიმილაცია - ამ შემთხვევაში განიხილება ისეთი დამსგავსება, როცა წინა (მიმართულება გვაქვს პროგრესული), მეზობელი ბგერა, უშუალოდ მოსდევს მეორეს (აქედან - კონტაქტური), იმსგავსებს მომდევნოს სრულად, ანუ შედეგი გვაქვს სრული. ასიმილაციის ეს ტიპი აღნიშნულ დიალექტში ფართოდ არის გავრცელებული. ასიმილაციის ეს ტიპი გვხვდება ფუძესა და აფიქსის გასაყარზე, კერძოდ, თუ მორფემების გასაყარზე გვხვდება სონორი თანხმოვნები - **m, n, r, l**, წინაენისმიერი **d, s** და ასევე სასა-ნუნისმიერი **š** თანხმოვნები:

1) **r + l → rr**:

gar+ლ → garლ → garრ - თოვლიანი

bir+lāš+māk → birlāšmāx' → birrāšmāx' - გაერთიანება

žanavar+lar → žanavarlar → žanavarrar - მგლები

zor+lanmag → zorlanmax → zorrانmax - ძალის დატანება

bar+lan+də → barlandə → barrandə - დაობდა

var+ლ → varლ → varრ - მდიდარი

xor+la+mag → xorlamax → xorramax - უგულუბელყოფა

zor+la+də → zorladə → zorradə - აიძულა

ar+ლ → arლ → arr - მორცხვი

2) **n+l → nn**:

son+lug → sonlug → sonnux - დასასრული

don+lar → donlar → donnar - კაზები

don+lug → donlug → donnux - ნაჭერი კაზისთვის

gan+ლ → ganლ → gannə - სისხლიანი

burun+lar → burunlar → burunnar - ცხვირები

nišan+ლ → nišanლ → nišannə // šannə - დანიშნული

kin+li → kinli → kinni - ბოროტი

an+ləg → anləg → annəx - წამიერი

garən+lə → garənlə → garənnə - მუცლიანი

3) d+l → dd:

ad+lar → adlar → addar - სახელები

dad+lə → dadlə → daddə - გემრიელი

šad+ləg → šadləg → šaddəx - სიხარული

od+lu → odlu → oddu - ცეცხლიანი

süd+lü → südlü → süddü - რძიანი

övlad+lə → övladlə → övladdə -

ბავშვებიანი

ganad+lə → ganadlə → ganaddə -

ფრთიანი

savad+lə → savadlə → savaddə -

განათლებული

4) l+d → ll:

al+datmag → aldatmag → allatmax // jallatmax - მოტყუება (და ყველა სიტყვა, რომელიც ამ სიტყვისაგან არის ნაწარმოები)

ding'i+l+dāmāk → ding'ildāmāk → ding'illāmāx' - შეხტომა;

5) d+n → dd: ამ ჯგუფში დასტურდება ერთი მაგალითი:

bād+nam → bād+nam → beddam // beddām - სამარცხვინო;

6) š+s → šš: ამ ჯგუფშიც ფიქსირდება მხოლოდ ერთი მაგალითი:

aš+süzän → ašsüzän → aššsüzän - საწური.

7) l+r → ll:

bil+ir+äm → bil+r+äm → billām - ვიცი

bil+är+äm → bil+r+äm → billām -

მეცოდინება

bil+är+ik → bil+r+ik → billix' -

მეცოდინება

g'ül+är+äm → g'ül+r+äm → g'üllām -

გავიცინებ

g'ül+är+ik → g'ül+r+ük → g'üllüx' -

გავიცინებთ

g'al+är+äm → g'al+r+äm → g'allām -

მოვალ

g'al+är+ik → g'al+r+ik → g'allix' -

მოვალთ

gal+ər+am → gal+r+am → gallām -

ვრჩები

gal+ar+am → gal+r+am → gallām -

დავრჩები

gal+ar+əg → gal+r+əg → galləx -

დავრჩებით

al+ar+am → al+r+am → al+r+am -

al+ar+əg → al+r+əx → alləx - ვიყიდით.

ვიყიდი

ეს პროცესი დასტურდება ახლანდელი დროისა (-ir⁴ (-ər// -ir// -ur//ür)) და შესაძლებელი მომავალი დროის (-ar² (-ar// -är)) სუფიქსებისა და პირველი პირების (მხოლოდითა და მრავლობით რიცხვებში) მაჩვენებლის დართვისას. აქ უნდა აღინიშნოს, რომ მოცემულ მაგალითებში ასიმილაციის პროცესთან ერთად სუფიქსებში (ახლანდელი და მომავალი დროის) თავდაპირველად თავს იჩენს არსებული ხმოვნების სრული რედუქცია და შემდგომ **l**-სა და **r** თანხმოვნების შეხვედრის დროს **l** ასიმილირდება და გადადის **r**-ში, ანუ **l** → **r**.

8) p+m → pb:

tapmaz → tapbaz - ვერ იპოვის

köpmäz → köpbäz - არ გაიბერება

tapmadə → tapbadə - ვერ იპოვა

köpmäžä → köpbäžä - ფუნტუმა

tapmaža → tapmaža - ამოცანა

säpmäk → säpbäx' - დათესვა

gopmuš - gopbuš - აწყვეტილი

säpmäžä → säpbäžä - გამონაყარი.

čərpmag → čərbax - ბერტყვა

IV. 1.1.2. კონტაქტური პროგრესული ნაწილობრივი ასიმილაცია

კონტაქტური პროგრესული ნაწილობრივი ასიმილაცია - განიხილება ისეთი ასიმილაცია, სადაც დამსგავსება შედეგის მიხედვით ნაწილობრივია, ანუ არასრული, და წინა ბგერა ნაწილობრივ იმსგავსებს მომდევნოს, მეზობელ ბგერას. ასეთი ტიპის დამსგავსება გვხვდება ორ შემთხვევაში, თუ მორფემების გასაყარზე გვხვდება სონორი თანხმოვანი - **l** და წინაენისმიერი **d**, **s** და ასევე სასა-ნუნისმიერი **š** თანხმოვნები, მაგ.:

1) t+l → td:

ot+lar → otlar → otdar - ბალახები

saat+lar → saatlar → saatdar - საათები

ot+lu → otlu → otdu - ბალახიანი

sürät+li → sürätli → sürätli - სიჩქარით

ot+lajər → otlağər → otdoor → otdör -

it+lär → itlär → itdär - ძაღლები

ძოვს

at+lar → atlar → atdar - ცხენები

at+lə → atlə → atdə - მხედარი

särt+lik → särtlik → särtlix' - სიმტკიცე.

gat+lama → gatlama → gatdama - შეკეცვა

2) z+l → zd:

gəz+lar → gəzlar → gəzdar - გოგოები

ჭო^ლz+lü → ჭო^ლzlä → ჭო^ლzdu - ნიგვზიანი

söz+lü → sözlü → sözdu - დანიშნული

gaz+lə → gazlə → gazdə - გაზიანი

g'öz+lär → g'özlär → g'özdär - თვალები

gaz+lar → gazlar → gazdar - ბატები

g'öz+lü → g'özlü → g'özdu - თვლიანი

g'iz+lämāk → g'izlämāk → g'izdämāk -

გაზ+lar → gəzlar → gəzdar - გოგოები

დამალვა.

ეს პროცესი ასევე ეხება ნაცვალსახელებს biz („ჩვენ“) და siz („თქვენ“) მრავლობით რიცხვში, კრებითობის მნიშვნელობით, მაგალითად:

biz+lär → bizlär → bizdär - ჩვენ

siz+lär → sizlär → sizdär - თქვენ.

3) s+l → sd:

säs+län → säslän → säsdän - დაუძახე!

säs+länmāk → säs+länmāk → säsdänmāk' - გამოხმაურება

säs+li → säсли → säsdi - ხმამაღალი

pas+lanmag → pas+lanmag → pasdanmax - დაჟანგვა

pis+lämāk → pislämāk → pisdämāk' - გაკიცხვა

pis+lik → pislik → pisdix' - სიბოროტე.

4) š+l → šd:

iš+lär → iš+lär → išdär - საქმეები

xoš+lug → xošlug → xošdux - სიამოვნება

jaš+lə → jašlə → jašdə - ასაკიანი

xoš+lomag → xošlamag → xošdamax -

gaš+lə → gašlə → gašdə - წარბიანი

მოწონება

daš+ləg → dašləg → dašdəx - ქვიანი

boš+lug → bošlug → bošlux -

ადგილი

სიცარიელე.

bačəš+la → bačəšla → bačəšda - აპატიე!

IV. 1.1.3. დისტანციური რეგრესული სრული ასიმილაცია

დისტანციური რეგრესული სრული დამსგავსებაა, თუ მომდევნო თანხმომავანი დისტანციურად მოქმედებს წინაზე და ამასობაში წინ მდგომი თანხმომავანი სრულად ემსგავსება წინას მომდევნოს გავლენით, მაგ.:

1) $r \rightarrow l$:

sirkälājir $\rightarrow$ silkälājir - ძმრის წასმა

šartəlašdəma $\rightarrow$ šəltaxlašma - თავხედი

ürküdürlär $\rightarrow$ ülküdüllär - აშინებენ.

ასიმილაციის პროცესი, რომელიც წარმოდგენილია ქვემოთ მოყვანილ პუნქტებში, ჩემი აზრით, არის დისტანციური დამსგავსების მაგალითების შედეგად მიღებული ცვლილება. ვენერა ჯანგიმის აზრით, ეს მაგალითები კონტაქტური ასიმილაციის მაგალითებია. არ ვიზიარებთ ამ მოსაზრებას, მიუხედავად იმისა, რომ ამ პროცესში თავს იყრის ნაზალური - **n** და **m** და წინაენისმიერი - **d** თანხმომავნები მორფემათა გასაყარზე, ვფიქრობ, ასიმილაციის ეს ტიპი დისტანციურია, ამ მაგალითებში დამსგავსების პროცესი ხდება მხოლოდ დაწყებითი ბრუნვის, ანუ -dan² (-dan//dän), სუფიქსის დართვისას. დამსგავსების ამ პროცესში დიდი როლი აქვს სუფიქსის შემადგენლობაში მყოფ **n** თანხმომავანს. იმის დასამტკიცებლად, რომ ეს პროცესი არის დისტანციური, შედარებისათვის შეგვიძლია მოვიყვანოთ სხვა მსგავსი სუფიქსის მაგალითი - ადგილობითი ბრუნვის ბოლოსართი -da² (-da//dä), მაგალითად:

ადგილობითი ბრუნვა: შდრ. დაწყებითი ბრუნვა:

bašəm+da $\rightarrow$ bašəmda - თავში bašəm+dan $\rightarrow$ bašəmnan - თავში

g'ün+dä $\rightarrow$ g'ündä - დღეში g'ün+dän $\rightarrow$ g'ünnän - დღეში.

როგორც ჩანს ადგილობითი ბრუნვის მაგალითებიდან, არანაირი ცვლილება არ მომხდარა, ხოლო დაწყებითი ბრუნვის მაგალითებში -dan//dän $\rightarrow$ -nan//nän-ში: აუსლაუტში მყოფი **n** თანხმომავანი მოქმედებს დისტანციურად მყოფ წინა d-ზე, ანუ d იცვლება მომდევნოს ზეგავლენით, ემსგავსება მას სრულად. აქედან გამომდინარე,

თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქვემოთ მოყვანილი მაგალითები დისტანციური სრული პროგრესული ასიმილაციის მაგალითებია:

2) n+dan// -dän → n+nan//n+nän:

gʻün+dän → gʻünnän - დლიდან

nänän+dän → nänännän - შენი

on+dän → onnan - მისგან

ბეზისაგან

män+dän → männän - ჩემგან

oɣlan+dän → oɣlannan - ვაჟისაგან

gan+dän → gannan - სისხლიდან

gazan+dän → gazannan - ქვებისაგან.

gəz+ən+dän → gəzənnan - შენი

anan+dän → anannan // anaŋ+an -

გოგოსგან

დედაშენისგან

2) m+dan// -dän → m+nan//m+nän:

häkīm+dän → häkimnän - ექიმიდან

mum+dän → mumnan - ცვილიდან

xalam+dän → xalamnan - დეიდა

xam+dän → xamnan - უვიციდან

ჩემიდან

gohum+dän → gohumnan - ნათესავიდან

bašəm+dän → bašəmnän - ჩემი თავიდან

axšam+dän → axšamnan - სადამოდან;

gözüm+dän → gözümnnän - ჩემი

gʻäläm+dän → gʻälämnän - კალმიდან

თვალისაგან

dišim+dän → dišimdän → tišimnnän //

gäm+dän → gämnän - სევდიდან

čišimnnän – ჩემი კბილიდან.

šam+dän → šamnan - სანთელიდან

IV. 1.1.4. კონტაქტური რეგრესული სრული ასიმილაცია

კონტაქტური რეგრესული სრული დამსგავსებაა, თუ მომდევნო სონორი ან სპირანტი მოქმედებს წინა სონორზე ან სპირანტზე და ამასობაში წინა მეზობელი სონორი ან სპირანტი სრულად ემსგავსება მომდევნოს, მაგ.:

1. n+m → mm:

ganmaz → gammaz – შტერი

alənmaz → aləmmaz – აუღებელი

dinmāz → dimmāz – ჩუმი

bāzānmāk → bāzāmmāxʻ – მორთვა

minmäk → mimmäx' - დაჯდომა

inanmag → inamax - დაჯერება

sönmüş → sömmüş - ჩამქრალი

bäjänmädi → bäjämmädi - არ მოეწონა.

ამ მაგალითებში ბაგისმიერი ნაზალური **m** თანხმოვანი ცვლის, ამსგავსებს არაბაგისმიერ ნაზალურ **n** თანხმოვანს.

2. **z+s → ss:**

jaz+sən → jazsən → jassən - დაწეროს

oxumaz+səz → oxumassəz - არ წაიკითხავთ

almaz+san → almazsan → almassan - არ იყიდი

söz+süz → sözsüz → sössüz - უსიტყვოდ

gəz+səz → gəzsəz → gəssəz - გოგოს გარეშე

goz+suz → gozsuz → gossuz - კაკლის გარეშე

gaz+səz → gəzsəz → gəssəz - გაზის გარეშე.

3. **l+s → ss:**

ol+sun → olsun → ossun - იყოს

ol+sa → olsa → ossa - თუ იქნება

öl+sä → ölsä → össä - თუ მოკვდება

g'äl+sän → g'älsän → g'ässän - მოდი.

4. **n+l → ll:**

on+lar → onlar → ollar - ისინი

bun+lar → bunlar → bullar - ესენი.

ეს პროცესი დავადასტურე მხოლოდ მესამე პირის ნაცვალსახელებში მრავლობით რიცხვში.

5. **r+l → ll:**

g'älär+lär → g'älärlär → g'älällär - მოვლენ

bilär+lär → bilärlär → bilällär - გაიგებენ

alar+lar → alarlar → alallar - იყიდიან

ölär+lär → ölärlär → ölällär - მოკვებიან

döjär+lär → döjärlär → döjällär - სცემენ.

როგორც მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, აღნიშნული დამსგავსების პროცესი ხდება მორფემათა მიჯნაზე ორ სონორს შორის.

IV. 1.1.5. კონტაქტური რეგრესული ნაწილობრივი ასიმილაცია

კონტაქტური რეგრესული ნაწილობრივი დამსგავსებაა, თუ მომდევნო თანხმოვანი მოქმედებს წინაზე, წინა მეზობელი თანხმოვანი ნაწილობრივ იცვლება მომდევნოს გავლენით, ნაწილობრივ ემსგავსება მას.

1. **n+b → mb:**

sünbül → sümbül - სიმინდი

on bir → ombir - თერთმეტი

zänbil → zämbil - კალათა

on beş → ombeş - თხუთმეტი

šänbä → šämbä - შაბათი

sonbeşik → sombeşix' - ნაბოლარა

g'ünbüz → g'ümbüz - გუმბათი

g'ünbäg'ün → g'ümbäjün//g'ümmäjün -

anbar → ambar - ამბარი

დღითი დღე

tänbäki → tämbäki - თამბაქო.

სიტყვები - გუმბათი, თამბაქო, ამბარი - ქართულ ენაშიც მ ფორმით არის მიღებული. მ. შირალიევის თქმით, ეს მაგალითები გავრცელებულია ყველა დიალექტში.

2) **l → n:**

jorulmag → jorunmax // jorulmax - დადლილობა (ყველა გრამატიკულ ფორმაში).

3) **č+s → šs:**

gač+sa → gašsa - თუ გაიქცევა

ač+sa → ašsa - თუ გააღებს

ič+sä → išsä - თუ დაღვს.

IV. 1.2. ხმოვნების ასიმილაცია

ჩემი აზრით, ხმოვნების ასიმილაცია ძალიან მჭიდროდ არის დაკავშირებული სინჰარმონიზმთან, რაც ვრცლად აღწერილია სინჰარმონიზმის კანონთან ერთად (იხ. სინჰარმონიზმის კანონი).

ხმოვნების ასიმილაცია აზერბაიჯანულ ენის ყაზახურ დიალექტში იყოფა შემდეგნაირად:

- პროგრესული სრული
- რეგრესული სრული
- პროგრესული ნაწილობრივი
- რეგრესული ნაწილობრივი.

ხმოვანთა ანუ კონტაქტური ასიმილაცია არ განიხილება, რადგანაც სინჰარმონიზმის კანონის მიხედვით აზერბაიჯანულ ენაში ხმოვანთა თავშეყრა დაუშვებელია.

IV. 1.2.1. ხმოვნების პროგრესული სრული ასიმილაცია

აზერბაიჯანული ენის ყაზახურ დიალექტში გვაქვს სრული ასიმილაცია, როცა წინა მარცვლის ხმოვანი სრულად იმსგავსებს მომდევნო მარცვლის ხმოვანს. ასიმილაციის ეს ჯგუფი იყოფა:

- ბაგისმიერი ხმოვნების მიხედვით:
 - პირველი ბაგისმიერი ხმოვნის შეხვედრის დროს წინამავალი ხმოვანი იმსგავსებს სრულად მომდევნო არაბაგისმიერ ხმოვანს:
 - söjläjir → sölör - ყვება
 - joxlajər → joxlör - ამოწმებს
 - ojnajər → ojnör - თამაშობს
 - govalajəb – gojlöf – გააგდო
 - gözläjirdi → gözdör - ელოდება

govalajər → gojlajər → gojlör – აგდებს

ütölājirdi → ütöljürdü//ütölürdü – აუთავებდა

buranə → burju – აქ (ბრალდ. ბრ.)

gʻülläni → gʻüllüjü – ტყვია (ბრალდ. ბრ.)

düjmäni → düjmüjü – ღილი (ბრალდ. ბრ.)

buɣanə → buɣuju//buɣju – ბულა (ბრალდ. ბრ.)

sürmäni → sürmüjü//sürmöjü – უჯრა (ბრალდ. ბრ.)

- ორი ბაგისმიერი ხმოვნის შეხვედრის დროს წინამავალი ხმოვანი იმსგავსებს სრულად მომდევნო ბაგისმიერ ხმოვანს:

olur → olor – ხდება

dövür → dör – სცემს

gʻörür → gʻörör – ხედავს

bölür → bölör – ყოფს

köçür → köçör – გადადის

➤ ენის პოზიციის (მდგომარეობის) მიხედვით:

- შუაენისმიერი ხმოვნების მიხედვით, მაგ.:

gʻedir → gʻeder – მიდის

dejir → dejer → dēr – ეუბნება

bezir → bezer – ბეზრდება

gʻejinir → gʻejner – იცვამს

jejir → jejer → jēr – ჭამს

sevir → sever – უყვარს

- უკანაენისმიერი ღია ხმოვნების მიხედვით, მაგ.:

žahil → žahal – ახალგაზრდა

bärabär → baravar – ერთად

gajnänä → gajnana – დედამთილი.

IV. 1.2.2. ხმოვნების რეგრესული სრული ასიმილაცია

ხმოვნების რეგრესულ სრულ ასიმილაციას მივაკუთვნე ისეთი მაგალითები, სადაც დამსგავსება შედეგის მიხედვით გვაქვს სრული, ხოლო მიმართულება – რეგრესული, ასიმილაციის ეს ჯგუფი იყოფა:

➤ ენის მდგომარეობის მიხედვით:

- უკანაენისმიერი -
 - დახურული ხმოვნების მიხედვით, მაგ.:
 - ilxə - əlxə - ჯოგი
 - iləg → ələx - თბილი
 - işəltə → əşəltə - ბჟუტვა
 - əşəm-əşəm → ციალი
 - işyal → əşyal - მიტევა
 - biabər → bəjavər - ურცხვი
 - işəl-işəl → əşəl-əşəl - კაშკაში
 - işəg → əşəx // əşəx - სინათლე, შუქი
 - ildərəm → əldərəm // jəldərəm - მეხი
 - bismillah → psəməllah - ბისმილაჰ (რელ.)
 - უკანაენისმიერი ღია ხმოვნების მიხედვით:
 - bärabär → baravar - ერთად⁵⁴
 - gähräman → gahraman - გმირი⁵⁵
- წინაენისმიერი ღია ხმოვნების მიხედვით:
 - dejäsän → dəjäsän → dāsän - მგონი
 - dejärsän → dəjärsän → dāsän // dārsän - ეტყვი
- წინაენიემიერი დახურული ხმოვნების მიხედვით:
 - pänžärä+n+i → pänžäriji - ფანჯარა (ბრალდ. ბრ.)⁵⁶
 - nänä+n+i → näniji - ბებია (ბრალდ. ბრ.)
 - mešä+n+i → mešiji - ტყე (ბრალდ. ბრ.).

⁵⁴ შდრ. ქართული *ბარიბარში ვართ* უდრის გათანაბრებას.

⁵⁵ ეტ. სემ. ყარამანი, შდრ. ქართ. ანთრ. ყარამანი - უდრის გმირს, იხმარება ზოგადი მნიშვნელობითაც.

⁵⁶ აზერბაიჯანული ენის ყაზახური დიალექტის ბრალდენითი ბრუნვა ხმოვანფუძიანებში ინაჩუნებს ამოსავალ ფორმას თურქული ენის ოლუზური შტროს ენებისათვის - ji⁴.

IV. 1.2.3. ხმოვნების პროგრესული ნაწილობრივი ასიმილაცია

ასიმილაციის ამ ჯგუფში განიხილება ხმოვნების ისეთი დამსგავსება, სადაც შედეგი გვაქვს არასრული ანუ ნაწილობრივი და წინა ბგერა ნაწილობრივ იმსგავსებს მომდევნოს, მეზობელ ბგერას

➤ ბაგისმიერობის მიხედვით, რომელიც ასევე იყოფა შემდეგ ჯგუფებად:

1) როცა პირველი მარცვლის ღია ბაგისმიერი ხმოვანი ცვლის დანარჩენ ხმოვნებს დახურულ ბაგისმიერ ხმოვნად, მაგ.:

gʷlläni → gʷllüjü – ტყვია (ბრალდ. ბრ.)

ütüläjirdi → ütülürdü → ütlördü – აუთავებდა

düjmäni → düjmüjü // düjmöjü - ღილი (ბრალდ. ბრ)

ojnajər → ojnujur // ojnör - თამაშობს

ojnajərdə → ojnujurdu // ojnördu - თამაშობდა

söjläjib → söljüjüfdü // söljüfdü // söljöfdü - მოუყოლია

gʷözläjir → gʷözdüjür // gʷözdör - ელოდება

govalajəb → gojlujuf → gojlujuf // gojlöf- გაუგდია

gʷörmäjib → gʷörmüjuf → gʷörmüf // gʷörmöf – არ უნახავს

2) როცა პირველი მარცვლის ღია ბაგისმიერი ხმოვანი დისტანციურად ცვლის მესამე მარცვლის დახურულ ბაგისმიერ ხმოვანს და აქცევს მას ღია ბაგისმიერ ხმოვნად, მაგ.:

doldurur → dolduror - ავსებს

öldürür → öldürör - კლავს

otururdu → oturordu - იჯდა

doldururdu → doldurordu - ავსებდა

➤ წარმოთქმის დროს ენის პოზიციის მიხედვით:

- უკანაენისმიერი ხმოვნების მიხედვით - როცა პირველი მარცვლის უკანაენისმიერი ღია არაბაგისმიერი ხმოვანი ცვლის შემდეგ უკანაენისმიერ დახურულ ბაგისმიერ ხმოვანს და აქცევს მას უკანაენისმიერ დახურულ არაბაგიაშიერ ხმოვნად, მაგალითად:

namus → naməs - ნამუსი

Abdulla → Avdəlla - აბდულა

sabun → savən - საპონი

garpuz → garpəz - საზამთრო

- შუაენისმიერი ხმოვნების მიხედვით - როცა პირველი მარცვლის წინარიგის ღია არაბაგისმიერი ხმოვანი ცვლის შემდეგ წინაენისმიერ დახურულ ბაგისმიერ ხმოვანს და აქცევს მას შუაენისმიერ ხმოვნად, მაგალითად:

gʻāz+ir+din → gʻāzerdin - სეირნობდი

istājir → istēr - უნდა

gäl+ir → gäler - მოდის

İsmajəl → Smēl// Smajəl - ისმაილი

gazanər → gazaner – გამოიმუშავებს

jatər → jater - სძინავს

alma+n+ə → alməjə - ვაშლი (ბრალდ. ბრ.)

bala+n+ə → baləjə - შვილი (ბრალდ. ბრ.).

IV. 1.2.4. ხმოვნების რეგრესული ნაწილობრივი ასიმილაცია

ხმოვნების რეგრესულ სრულ ასიმილაციას შუაენისმიერი ხმოვნების მიხედვით მივაკუთვნე ისეთი მაგალითები, სადაც დამსგავსება შედეგის მიხედვით გვაქვს ნაწილობრივი, ხოლო მიმართულება - რეგრესული. ასიმილაციის ეს პროცესი გვხვდება ძირითადად bi- პრეფიქსის დართვისას, მაგ.:

bikarčələg → bekarčələx – უსაქმურობა

biabər → bijavər - ურცხვი

binamus → bejnamus // bejnaməs - უნამუსო

biqafil → bejqafəl - მოულოდნელად

bixäbär → bejxavar - ცუდი ამბავი

igbal → jəyval - იღბალი.

IV. 2. დისიმილაცია

დისიმილაცია ანუ განმსგავსება, არის ფონეტიკური მოვლენა, როდესაც ერთი ბგერა სიტყვის შიგნით იცვლება სხვა, მისგან განსხვავებულ ბგერად, ან იკარგება, იმისათვის, რომ არ მეორდებოდეს, ან არ იყოს მსგავს ბგერასთან ერთად. ეს პროცესი ამარტივებს გამოთქმას და ბგერები გამოკვეთილად ისმის.

დისიმილაცია და ასიმილაცია - დისიმილაცია საპირისპირო პროცესია ასიმილაციის მიმართ. თუ ასიმილაციის დროს ორი ახლოს მდგომი ხმა ერთმანეთს უფრო ჰგავს, რაც მეტყველების გამარტივებას უწყობს ხელს, დისიმილაციის დროს პირიქით, ხდის მისგან განსხვავებულს, რათა თავიდან აიცილოს ზედმეტი მსგავსება. დისიმილაცია ენის ევოლუციისა და მეტყველების სიზუსტის გაუმჯობესების პროცესში მნიშვნელოვან როლს ასრულებს. ამ პროცესს აზერბაიჯანული ენის დასავლური ჯგუფის ყაზახურ დიალექტში, ასიმილაციასთან შედარებით, გაცილებით ნაკლები ადგილი უჭირავს.

დისიმილაციის ძირითადი მახასიათებლები:

- **მიზანი:** დაიცვას სიტყვაში ფონემის განსხვავებულობა და თავიდან აიცილოს მსგავსი ფონემის ზედმეტი განმეორება.
- **მოქმედების სფერო:** დისიმილაცია ხდება მხოლოდ თანხმოვნებში, ან მხოლოდ ხმოვნებში.

თანხმოვანთა დისიმილაციასთან შედარებით ხმოვანთა დისიმილაცია იშვიათია.

IV. 2.1. ხმოვნების დისიმილაცია

აზერბაიჯანული ენის დასავლური ჯგუფის ყაზახურ დიალექტში ხმოვნების დისიმილაცია მიმართულების მიხედვით არის პროგრესული და რეგრესული, ხოლო კონტაქტის მიხედვით - დისტანციური. აზერბაიჯანული ენის ყაზახურ დიალექტში ხმოვნებში კონტაქტური დისიმილაცია არ გვხვდება, ვინაიდან აზერბაიჯანული ენაში ხმოვანთკოპლექსები დაუშვებელია. აქედან გამომდინარე, აზერბაიჯანული ენის ყაზახურ

დიალექტში გვხვდება პროგრესული დისტანციური და რეგრესული დისტანციური დისიმილაცია.

IV. 2.1.1. ხმოვნების პროგრესული დისიმილაცია

აზერბაიჯანული ენის ყაზახურ დიალექტში ხმოვნებში გვხვდება შემდეგი პროგრესული დისიმილაციის ტიპები:

- **წინაენისმიერი დახურული ხმოვნის პროგრესული დისიმილაცია**, რომელიც ღიაობისა და დახურულობის მიხედვით იყოფა შემდეგ ჯგუფებად:

- როცა სიტყვაში გვაქვს ორი ან ორზე მეტი წინაენისმიერი დახურული ხმოვანი და მეორე მარცვლის ხმოვანი დისიმილაციის შედეგად გადადის შუაენისმიერ ნახევრად ღია ხმოვანში, ანუ $i \rightarrow e$. ეს პროცესი გვხვდება -ir - ახლანდელი დროის, სუფიქსის დართვისას, მაგ.:

ičirdin $\rightarrow$ ičerdin - სვამდი

bil+ir $\rightarrow$ biler - იცის

g'irir $\rightarrow$ g'irer - შედის

čimir $\rightarrow$ čimer - ბანაობს.

- როცა სიტყვაში გვაქვს ორი ან მეტი ღია წინაენისმიერი ხმოვანი და აქედან ერთ-ერთი დისიმილაციის შედეგად გადადის წინაენისმიერ დახურულ ხმოვანში, ანუ $\ddot{a} \rightarrow i$, მაგ.:

säbzä $\rightarrow$ sävzi // - zäbzi - საბზი (კერძი)

pählävan $\rightarrow$ pählivan - ფალავანი

käfan $\rightarrow$ käfin - მკვდართა სამოსი.

- **უკანაენისმიერი ხმოვნის პროგრესული დისიმილაცია**, რომელიც ღიაობისა და დახურულობის მიხედვით იყოფა შემდეგ ჯგუფებად:

- როცა სიტყვაში გვაქვს ორი უკანაენისმიერი არაბაგისმიერი დახურული ხმოვანი და მომდევნო ხმოვანი დისიმილაციის შედეგად გადადის შუაენისმიერ ნახევრად ღია არაბაგისმიერ ხმოვანში, ანუ $\text{ə} \rightarrow e$, მაგ.:

čəxər $\rightarrow$ čəxer - გამოდის

gəzər → gəzer – თბება

gərmər → gərmer – არ ტეხავს

saxər → saxer – უჭერს

žərər → žärer – ხევს

gərxər → gərxer – პარსავს.

- როცა სიტყვაში გვაქვს ორი უკანაენისმიერი ზაგისმიერი დახურული ხმოვანი და მომდევნო ხმოვანი დისიმილაციის შედეგად გადადის უკანაენისმიერ ზაგისმიერ ღია ხმოვანში, ანუ **u** → **o**. ეს პროცესი გვხვდება ძირითადად **-ur** - ახლანდელი დროის სუფიქსის დართვისას, მაგ.:

როცა სიტყვაში გვაქვს ორი ან ორზე მეტი უკანაენისმიერი ხმოვანი (წინა პუნქტისაგან განსხვავებით, აქ პირველი ხმოვანი ღიაა, ხოლო მეორე - დახურული) და მომდევნო უკანაენისმიერი ხმოვანი გადადის შუაენისმიერ ხმოვანში, **a** → **e**, მაგ.:

jatər → jater - სძინავს

batər → bater - იძირება

satər → sater - ყიდის

jatər → jater - სძინავს

jašajəš → jašēš // jašeiš - ცხოვრება

almajəb → almēf - არ უყიდია.

- როცა ორ ან მეტ მარცვლიან სიტყვაში ყველა ხმოვანი ღია უკანაენისმიერი ხმოვანია, მეორე მარცვლის ხმოვანი იცვლება და გადადის უკანაენისმიერ დახურულ ხმოვანში, ანუ **a** → **ə**, მაგ.:

ayla+j+anda → ayləjanda // aylānda – ტირილის დროს (ზედმიწევნით - „ტირილის მომენტში“)

gala+j+anda → galəjanda // galānda – დანთების დროს

bašla+j+anda → bašdəjanda // bašdānda - დაწყების დროს

bašlaja-bašlaja → bašdəja-bašdəja - დაწყების პროცესში

gajnaja-gajnaja → gajəja-gajəja - დუდილის დროს

ojnaja-ojnaja → ojəja-ojəja – თამაშის დროს

jaylaja-jaylaja → jayləja-jayləja – წასმის დროს

garyaja-garyaja → garyəja-garyəja - წყევლის პროცესში

წინაენისმიერი დახურული ხმოვნების პროგრესული დისიმილაცია - როცა სიტყვაში წინაენისმიერი დახურული ბაგისმიერი ხმოვნები განმსგავსების შედეგად იცვლება და გადადის წინაენისმიერ ღია ბაგისმიერ ხმოვანში, ü → ö, მაგ.:

gʻülür → gʻülör - იცინის

sürür → sürör - ატარებს

gʻüdüür → gʻüdüör - უთვალთვალეს

düşür → çüşör - ჩადის.

- ხმოვნების პროგრესულ დისიმილაციასთან ერთად გვხვდება ასევე ხმოვნების შემდეგი რეგრესული დისიმილაცია:
- **უკანაენისმიერი ხმოვნის რეგრესული დისიმილაცია** - როცა სიტყვაში გვაქვს ორი ღია უკანაენისმიერი ხმოვანი და აქედან პირველი მარცვლის ბაგისმიერი ხმოვანი რბილდება ანუ გადადის წინაენისმიერ ხმოვანში, ანუ o → ö. ჩემი აზრით, ამ დისიმილაციის პროცესს განაპირობებს j თანხმოვანი, რომლის შედეგადაც ხმოვანი განიცდის პალატალიზაციას, მაგ.:

dovya → döjya // döya // döyə - დოვლა

sojug → söjux // söx - სიცივე

tojug → töjux // töx - ქათამი

čovyun → çöjyun // çöyun - ქარბუქი.

- დისიმილაციის ყველა ზემომოყვანილი შემთხვევა არღვევს სინჰარმონიზმის კანონს.

IV. 2.2. თანხმოვანთა დისიმილაცია

აზერბაიჯანული ენის დასავლური ჯგუფის ყაზახურ დიალექტში დისიმილაცია მიმართულების მიხედვით შეიძლება იყოს **პროგრესული და რეგრესული**, ხოლო კონტაქტის მიხედვით - **კონტაქტური და დისტანციური**. აქედან გამომდინარე გვხვდება:

- **პროგრესული დისტანციური დისიმილაცია**

- რეგრესული კონტაქტური დისიმილაცია
- რეგრესული დისტანციური დისიმილაცია

აზერბაიჯანული ენის დასავლური ჯგუფის ყაზახურ დიალექტში ძირითადად გვხვდება პროგრესული დისიმილაცია.

IV. 2.2.1. თანხმოვნების პროგრესული დისტანციური დისიმილაცია

პროგრესული დისტანციური დისიმილაცია - ხდება მაშინ, როდესაც წინ მდგომი ბგერა მოქმედებს მის შემდეგ დისტანციურად მდგომზე და მასში იწვევს ცვლილებას, რათა ხმები განსხვავებულად ჟღერდეს. აზერბაიჯანული ენის ყაზახურ დიალექტში გვხვდება მხოლოდ $r \rightarrow l$ პროცესი:

$r \rightarrow l$:

änžir $\rightarrow$ inžil - ლეღვი

zärär $\rightarrow$ zaral // zäräl - ზარალი

gärar $\rightarrow$ gäral // garar - გადაწყვეტილება

სონორების პროგრესული დისტანციური დისიმილაცია ხდება სონორობის ხარისხის კლების მიხედვით $r \rightarrow l$ ($m \rightarrow n \rightarrow \eta \rightarrow l \rightarrow r$).

IV. 2.2.2. თანხმოვნების რეგრესული კონტაქტური დისიმილაცია

რეგრესული კონტაქტური დისიმილაცია - ხდება მაშინ, როდესაც ერთი თანხმოვანი მოქმედებს მის წინ მდგომ მეორე თანხმოვანზე და მასში იწვევს ცვლილებას. აზერბაიჯანული ენის ყაზახურ დიალექტში ამ ტიპის დისიმილაცია გვხვდება მორფემების გასაყარზე შემდეგი პროცესის დროს:

1) $\text{ž} \rightarrow \text{š}$:

ayaž+da $\rightarrow$ ayašda - ხეზე

ayaž+lə $\rightarrow$ ayašdə - ხით, ხიანი

kärpiž+dä $\rightarrow$ kärpišdä - აგურზე

kärpiž+li → kärpiž+di → kärpišdi - აგურიანი

ჭ → ლ პროცესები უფრო ვრცლად განხილული მაქვს დეზაფრიკაციის პროცესში. აქ ორი მეზობელი მჟღერი თანხმოვნიდან ერთ-ერთი ყრუვდება.

2) s+ჭ → ჯჯ → ჸჯ → ლ⁵⁷:

rus+ჭა → rusჭა → ruჯჯა → ruჯა → ru^ლა - რუსულად

ing^ლilis+ჭა → ing^ლilisჭა → ing^ლiliჯჯა → ing^ლiliჯა → ing^ლili^ლა - ინგლისურად

3) š+ჭ → ჯჯ → ჸჯ → ლ:

iš+ჭი → išჭი → iჯჯი → iჯა → i^ლი - მუშაკი

javaš+ჭა → javašჭა → javaჯჯა → javაჯა // juაჯა → java^ლა // juა^ლა - ნელ-ნელა

beš+ჭა → bešჭა → beჯჯა → beჯა → be^ლა - ხუთილა

jaš+ჭა → jašჭა → jaჯჯა → jaჯა → ja^ლა - ასაკობრივად

jaxš+ჭა → jaxšჭა → yaxჯჯა → yaxჯა → yax^ლა - ლაზათიანად.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, აზერბაიჯანული ენის დასავლური ჯგუფის ყაზახურ დიალექტის ზოგიერთ თქმას ახასიათებს ჯ, c თანხმოვნები, რომლებიც იხმარება ჯ და ჸ თანხმოვნების ნაცვლად, ანუ ჯ → ჯ, ჸ → c აქედან გამომდინარე, ჯ+ჭ → ჯჯ → cჯ → ლ:

rus+ჭა → rusჭა → ruჯჯა → ruჯა → ru^ლა - რუსულად

javaš+ჭა → javašჭა → javaჯჯა → javაჯა → javaჯა → java^ლა - ნელ-ნელა

jaxš+ჭა → jaxšჭა → yaxჯჯა → yaxჯა → yax^ლა - ლაზათიანად

4) z+ჭ → ჯჯ → ჸჯ → ლ:

tez+ჭა → tezჭა → teჯჯა → teჯა → te^ლა - სასწრაფოდ

az+ჭა → azჭა → აჯჯა → აჯა → ა^ლა - ცოტათი

abxaz+ჭა → abxazჭა → abxaჯჯა → abxaჯა → abxa^ლა - აფხაზურად

jüz+ჭა → jüzჭა → jüჯჯა → jüჯა → jü^ლა - ასობით

fransənsəz+ჭა → fransənsəzჭა → fransənsაჯჯა → fransənsაჯა → fransənsა^ლა - ფრანგულად.

5) d+ჭ → ჯჯ → ჸჯ → ლ:

pad+šah → paჯჯax → paჯაax - პადიშახი

känd+či → känd+či → kändჯი → känd^ლი - სოფლელი

⁵⁷ აზერბაიჯანული ენის ყაზახურ დიალექტში დისიმილაციის შედეგად მიღებული ჸ აფრიკატებსა და სპირანტებთან თანხმოვანთკომპლექსში წარმოთქმის დროს მოკლდება და გამოითქმის არასრულად.

dörd+žä → dördžä → döržžä → dörčžä → dörčžä - ოთხიდა.

6) t+č → čč → čž → čž:

növbät+či → nöbätči → nöbäčži → nöbäčži - მორიგე

sänät+či → sänät+či → sänäčži → sänäčži - ხელოვნების მოღვაწე

g'özät+čilik → g'özäč+čilix' → g'özäčžilix' → g'özäčžilix' - დარაჯობა.

7) t+ž → žž → žž:

hörmät+žil → hörmätžil → hörmäžžil → hörmäčžil → hörmäčžil - გულისხმიერი

hörmät+žil+lik → hörmätžillix' → hörmäžžilix' → hörmäčžilix' → hörmäčžilix' -
ყურადღებთანობა

xälvät+žä → xälvätžä → xälväžžä → xälväčžä → xälväčžä - მალულად.

IV. 2.2.3. თანხმოვნების რეგრესული დისტანციური დისიმილაცია

რეგრესული დისტანციური დისიმილაცია არის ფონეტიკური მოვლენა, როდესაც მომდევნო ბგერა მოქმედებს წინაზე, ანუ ცვლილება ვითარდება მარჯვნიდან მარცხნივ. აზერბაიჯანული ენის ყაზახურ დიალექტში გვხვდება შემდეგი რეგრესული დისტანციური პროცესები:

1) l → r:

čəlčəlpag → čərčəlpax // čəlčəlpax - ტიტველა (ზედმიწევნით - ქართ. „დედიშობილა“)

silkäläjir → silkälejer → sirkälēr - ანჯღრევს.

2) r → l:

korektor → kolektor - კორექტორი

hürkär⁵⁸ → ülkär // ürkär //hürkär - შეეშინდება.

აზერბაიჯანული ენის ყაზახურ დიალექტში რეგრესული დისიმილაცია იშვიათი პროცესია, რაც შეპირობებულია აზერბაიჯანული ენის იმანენტური ბუნებით - სინჰარმონიზმით.

⁵⁸ h ლარინგალის ანლაუტში ზოგჯერ სუსტდება და იკარგება.

IV. 2.3. დისიმილაცია გემინატებში

ზერბაიჯანულ სალიტერატურო ენაში გემინირებული თანხმოვნების (ანუ ერთნაირი თანხმოვნების განმეორებითი გამოყენების) შემთხვევაში ხშირად ხდება კონტაქტური დისიმილაცია, რომელიც შეიძლება იყოს პროგრესული, ან რეგრესული ტიპისა. იგივე პროცესი ხდება აზერბაიჯანული ენის ყაზახურ დიალექტშიც, მაგალითად:

➤ **პროგრესული დისიმილაცია:**

hättä → hätda - თუნდაც

amma → amba // ämbä // ama - მამა

Hümmät → Hümbät – ჰუმბათი, დახმარება

təppəltə → təpbəltə – ხმაური

hambal → hanbal - მებარგული

o gädär → oggädär - იმდენი

toggus! - ვირისადმი მიმართვის სტყვა

təsbayə → təvbagga // tosvayə – კუ

gurbayə → gurvagga // gurbayə - ბაყაყი

hoppanmag → hopbamax - ხტუნაობა (აქ, მორფემათა გასაყარზე, ასევე გვაქვს ასიმილაცია nm → mm)

➤ **რეგრესული დისიმილაცია:**

känddä → kändä - სოფელში

täväge → tavagə - თხოვნა

təggəltə → təkəltə - კაკუნი

toggaşma → tokgaşma - შეჯახება

kiččik → kičix' → ki'ix' - უმცროსი

➤ ამ ჯგუფში გამოყავით მაგალითები, სადაც გვხვდება როგორც პროგრესული, ასევე რეგრესული პროცესები, ანუ აღნიშნული მაგალითები იხმარება ორივე ფორმით, მაგ.:

əppək → əpbəx' // əbpəx' - პური

dogguz → dokguz // dogkuz - ცხრა

čaggal → čakgal // čagkal – ტურა (დავადგინოთ)

raggə (sabun) → rakgə // ragkə - ხელის საპონი

säkkiz → säkg'iz // säg'kiz - რვა

saggəz → sakgəz // sagkəz - კევა

šaggalə → šakgalə // šagkalə - მხრებიანი

šaggəltə → šakgəltə // šakgəltə - ჭახანი

šagga → šakga // šagka - დაკლული საქონლის ნახევარი.

დისიმილაციის პროცესი გემინატებში დასტურდება არა მხოლოდ ძირეულ ლექსიკაში, არამედ ნასესხებ ლექსიკურ ერთეულებშიც. დისიმილაცია გემინატებში წარმოდგენილია სახელურ და ზმნურ ძირებში, ასევე მორფემათა გასაყარზე.

IV. 3. ბგერის ჩართვა

აზერბაიჯანული ენის ყაზახურ დიალექტში გვხვდება შემდეგი ბგერის ჩამატების პროცესები: **პროთეზა, ეპენტეზა და ეპიტეზა**, რომელიც მოიცავს როგორც ხმოვნების, ასევე თანხმოვნების ჩამატებას.

IV. 3.1. პროთეზა

ენათმეცნიერებაში **პროთეზა** (Prothesis) ცნობილია როგორც ფონოლოგიური პროცესი, როცა სიტყვას **ანლაუტში ემატება ბგერა**, რათა სიტყვის გამოთქმა გაადვილდეს ან ენის ფონოტაქტიკურ კანონებს დაემორჩილოს. ეს პროცესი ენის თავისებურებებთან არის დაკავშირებული. პროთეზა აზერბაიჯანული ენის დასავლური ჯგუფის ყაზახურ დიალექტში ფართოდ არის გავრცელებული. გვხვდება როგორც ხმოვნის, ასევე თანხმოვნის ჩამატება.

IV. 3.1.1. ხმოვნის პროთეზა

ხმოვნის პროთეზა აზერბაიჯანული ენის ყაზახურ დიალექტში გვხვდება ნასესხებ სიტყვებში⁵⁹, რომლებიც იწყება **st, sk, sp, šk** ყრუ თანხმოვნებისაგან შედგენილ ბგერადკომპლექსებისა და **r** თანხმოვნით. ზემოთ აღნიშნული თანხმოვნების წინ იხმარება შემდეგი დახურული ხმოვნები - **i, ə, u**. ჩემი აზრით, აქ ხმოვნის ჩამატება აზერბაიჯანულ ენაში უნდა იყოს დაკავშირებული:

- სიტყვის დასაწყისში ორი ყრუ თანხმოვნის გვერდიგვერდ გამოყენების დაუშვებლობასთან (**st, sk, sp, šk**)
- **r** თანხმოვნით დაწყებულ სიტყვებში, ვინაიდან ანლაუტში ეს თანხმოვანი მხოლოდ ნასესხებ სიტყვებში გვხვდება.

ცოცხალ საუბარში, სიტყვების წინ, რომლებიც იწყება **st, sk, sp, šk** ბგერადკომპლექსებით და **r** ბგერით, ხშირად ემატება **i, ə** და **u** ხმოვნები, მაგ.:

➤ **i** ხმოვნის ჩამატება, მაგალითად:

škaf → išgaf - შკაფი

rähmät → irähmät - ცხონება

Rza → ĩrza // Ərza - რზა

stansija → istansija - სტანცია

stākan → istākan // istākān - ჭიკა

rānı → irānı - ფერი.

მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, რომ ზოგ მაგალითში სინჰარმონიზმის კანონი დარღვეულია, რაც შეპირობებულია იმით, რომ ეს ლექსიკური ერთეულები ნასესხებია სხვადასხვა ენიდან აზერბაიჯანულ ენაში.

➤ **ə** ხმოვნის ჩამატება, მაგალითად:

Rza → Ərza // ĩrza - რზა

stabil → əstabil - სტაბილური

İbrahim → Ərvaham // Rvaham -

škaf → əškaf - შკაფი

იბრაჰიმი

rajon → ərajon - რაიონი

štamp → əštamp - შტამპი

ამ შეთხვევებში შეგვიძლია ვთქვათ, რომ სინჰარმონიზმის კანონი რიგითობის მიხედვით დაცულია.

⁵⁹ ეს ნასესხები სიტყვები ძირითადად არის შემოსული რუსული ენიდან საბჭოთა კავშირის დროს.

- **u ხმოვნის** ჩამატება - გვხვდება იმ სიტყვებში, სადაც სიტყვის პირველი მარცვალი მოიცავს ბაგისმიერი ხმოვანს; ანუ აქ სინჰარმონიზმის კანონი დაცულია, მაგ.:

stul → ustul - სკამი

stol → usdol - მაგიდა

rus – urus – რუსი

ručka → uručga - პასტა

škola → uškola – სკოლა

Ruset – Uruset - რუსეთი.

3. მირზაზადეს თავის „აზერბაიჯანული ენის ისტორიული გრამატიკაში“ ამ პროცესთან დაკავშირებით აზერბაიჯანული ლიტერატურიდან მოჰყავს შემდეგი მაგალითები:

“İrähm elä mäni salma avarä” (RƏF, N 3298);

“Nä □özäl jaranəb galu bäladan,

İrän□in artəgdər □üldän, laladan” (Aşıq Ələsgər) [H. Mirzazadə, 1990:176].

ეს მაგალითები იმის დასტურია, რომ ხალხის ენაში ეს მაგალითები იხმარებოდა და დღემდე არის შენარჩუნებული.

IV. 3.1.2. თანხმოვნების პროთეზა

აზერბაიჯანული ენის დიალექტებსა და თქმებში სალიტერატურო ენასთან შედარებით აღნიშნება **j, h, g, x** და **n** თანხმოვნების ჩამატება სიტყვების სამივე პოზიციაში. საკითხის ისტორიულ-შედარებითი კუთხით განხილვისას ვხედავთ, რომ ამ თანხმოვნების ჩამატებასთან კი არა, სიტყვის უძველესი ფორმის შენარჩუნებასთან გვაქვს საქმე. დროთა განმავლობაში ეს ბგერები სალიტერატურო ენაში გაქრა, ხოლო დიალექტებში შენარჩუნდა [Şirəliyev, 2008:94].

აზერბაიჯანული ენის დასავლური ჯგუფის ყაზახურ დიალექტში თანხმოვნების პროთეზის დროს ემატება **h** და **j** თანხმოვნები:

- **j თანხმოვანი:** აზერბაიჯანული ენის დიალექტებში ანლაუტში **j** თანხმოვნის გამოყენება დასტურდება XI საუკუნის წყაროებში. მაჰმუდ ქაშგარის მიერ „თურქებად“ მოხსენიებული ტომების ენაში სახელებისა და ზმნების დასაწყისში **j** თანხმოვანი გამოიყენებოდა, ხოლო ოღუზებისა და ყივჩაღების

ენაში მას ან ნულოვანი, ან და ჯ თანხმოვანი შეესაბამებოდა. მაჰმუდ ქაშგარის თქმით, თურქების *jelkin* („მოგზაური“) და *jalax* („თბილი“) შეესაბამება ოღუზების - *elkin* და *alax* [İbrahimov, 1949:87].

XI საუკუნეში თურქული ტომების ენებში ანლაუტში *j* თანხმოვნის გამოყენება ასახულია აგრეთვე აზერბაიჯანულ წერილობით ძეგლებში. „პაპა ქორქუთის წიგნიდან“ დაწყებული, XVIII საუკუნემდე არსებულ წერილობით წყაროებში ეს თავისებურება შენარჩუნებული იყო [İbrahimov, 1949:87].

➤ ანლაუტში *j* თანხმოვანი გვხვდება:

aldatmag → *jallatmax* - მოტყუება

eniş → *jeniş* - დადმართი

igbal → *jəyval* - იღბალი

ildəram → *jəldəram* - მეხი

alov → *jaloj* - ცეცხლი (შდრ.

ürəkli → *jürəx'li* - გულიანი

ქართ. ალი)

➤ ანლაუტში *h* თანხმოვანი გვხვდება:

araba → *harava* - ურემი

Hajsorru (*ajsor*) → სოფელი

asan → *hasant* - ადვილი

გარდაბანში, სადაც ასურიელები

älbättä → *həlvätdä* // *həlvät* -

ცხოვრობდნენ

ალბათ

orag → *horax* - ნამგალი

aptek → *həftəx'* // *həftix'* -

İdris → *Hidris* - იდრისი

აფთიაქი

ürkütmək → *hürkütmə* //

äsa – *hasa* - კვერთხი

hülkütmə - შეშინება (აშინებს)

მ. შირალიევის თქმით, პირველად ანლაუტში *h* თანხმოვნის ჩამატების შესახებ თქვა მ. ქაშგარი. მ. შირალიევი მ. ქაშგარიზე დაყრდნობით მიიჩნევს, რომ ანლაუტში *h*-ს გამოყენება თურქულენოვან ტომებში ინდური ენის გავლენით არის გამოწვეული. მ. ქაშგარი აღნიშნავდა, რომ თანამედროვე თურქული ენებისათვის ხორხიდან წარმოქმნილი *h* ბგერა არ არის დამახასიათებელი. მისი აზრით, მიუხედავად იმისა, რომ ხოტანურსა და გენჯაკურ ენებში ანლაუტში *h* თანხმოვანი გამოიყენებოდა. ეს ხალხები ნამდვილი თურქები არ იყვნენ, არამედ ისინი თურქების ტერიტორიაზე შემდგომ მოსული ტომებია. მ. ქაშგარი ხოტანებისა და გენჯაკების ენიდან შემდეგ მაგალითებს გვთავაზობს: *hata* (შდრ. აზერბ. *ata*) - მამა, *hana* (შდრ. აზერბ. *ana*) - დედა.

თუმცა, ენობრივი ფაქტები ამტკიცებს, რომ *h* ზგერა ზოგიერთ თურქულ ენაში ბევრად უფრო ძველი პერიოდიდან არსებობს. ამასთანავე, ენის შედარებით ძველ ლექსიკურ ფენაში მიმართვის ფორმებში *h* ზგერა განსაკუთრებულ როლს ასრულებს [Şiraliyev, 2008:88]. მ. ქაშგარის ამ მოსაზრებასთან დაკავშირებით მ. შირალიევი წერს, „რა თქმა უნდა, მ. ქაშგარის ამ მოსაზრებაში გარკვეული სიმართლე ნამდვილად არსებობს. მართლაც, *h* თანხმოვნის ჩამატება თავს იჩენს იმ თურქულ ენებში, რომლებიც არაბული ენის გავლენას განიცდიან და მოქცეული არიან კავკასიურ-იბერიულ ენათა არეალში, რის გამოც, შესაძლებელია, ეს გავლენა სწორედ ამ ენებიდან მოდიოდეს“ [Şiraliyev, 2008:96]. არ ვიზიარებთ მ. შირალიევს ამ მოსაზრებას. მაგალითად, ზემომოყვანილი ნასესხი სიტყვებიდან, ავიღოთ ერთი სიტყვა - *älbättä* (არაბ. *al-battah*) - ალბათ, რომელიც ასევე გვაქვს ზოგიერთ იბერიულ-კავკასიურ ენაში, ქართულსა და მეგრულში - ალბათ
ლაზურში - ალბათა
სვანურში - ალბატ / ალბეტ
ინგუშურში (სალაპარაკო) - ალლაბა / ალბათ...

ყველა ამ ენაში იგივე „ალბათ“ იხმარება – *h* თანხმოვნის გარეშე. შესაბამისად, ვფიქრობთ, ეს მოვლენა არ უნდა იყოს დაკავშირებული იბერიულ-კავკასიურ არეალთან, მით უმეტეს, ამ თანხმოვნის ჩამატების პროცესი არ არის დამახასიათებელი იბერიულ-კავკასიურ ენებისათვის. ჩემი აზრით, ამ მაგალითებში *h*-ს ჩამატება **სიტყვაში**, უნდა იყოს გამოწვეული იმისათვის, რომ გაადვილდეს გამოთქმა და ასევე ენის სტრუქტურასთან შესაბამისი გახდეს.

IV. 3.2. ეპენტეზა

ეპენტეზა არის ფონეტიკური პროცესი, რომლის დროსაც სიტყვაში, კერძოდ, ინლაუტში, ემატება ხმოვანი ან თანხმოვანი ზგერა, რათა გაადვილდეს სიტყვის გამოთქმა და შეესაბამებოდეს ენის ფონოტაქტიკურ წესებს. აზერბაიჯანულ ენაში ეპენტეზა ძირითადად გამოიყენება მაშინ, როცა სიტყვაში გვაქვს თანხმოვნთა, ან ხმოვანთა კომპლექსი, რაც არ შეესაბამება ენის წარმოთქმის წესებს. აზერბაიჯანული

ენის დასავლური ჯგუფის ყაზახურ დიალექტში გვხვდება როგორც ხმოვნის, ასევე თანხმოვნის ეპენტეზა.

IV. 3.2.1. ხმოვნის ეპენტეზა

ხმოვნის ეპენტეზა აზერბაიჯანული ენის ყაზახურ დიალექტში არის ფონოლოგიური პროცესი, რომლის დროსაც ხდება ხმოვნის ჩართვა სიტყვაში. მაგალითებზე დაკვირვებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ აზერბაიჯანული ენის ყაზახურ დიალექტში ეპენტეზის პროცესი თავს იჩენს შემდეგ ვითარებებში:

- გამოთქმის გასამარტივებლად
- უცხოური სიტყვების ადაპტაციისასთვის
- ენის ფონოლოგიურ სტრუქტურასთან შესაბამისობაში მოსაყვანად.

აზერბაიჯანული ენის დასავლური ჯგუფის ყაზახურ დიალექტში გვხვდება შემდეგი ხმოვნების ეპენტეზა, კერძოდ, **i, ə, u, ü, ä**. სათითაოდ განვიხილოთ ყველა შემთხვევა.

➤ **i ხმოვნის** ჩამატება:

gäsd → gäsit - განზრახ

äsl → äsil - ნამდვილი

äm̄r → ämir - ბრძანება

äsr → äsir - საუკუნე

litr → litir - ლიტრი

plan → pilan - გეგმა

sädr → sädir - თავჯდომარე

film → filim - ფილმი

härf → härif - ასო

grip → girip - გრიპი

sämt → sämit - მიმართულება

➤ **u ხმოვნის** ჩამატება:

grup → gurup - ჯგუფი

turp → turup - ბოლოკი

gulp → gulup - სახელური

turş → turuş - მჟავე

gulplu → gulufu - სახელურიანი

gorxmag → goruxmag - შეშინება, შიში

jumşag → jumuşag - რბილი

zül̄m → zulum // zülüm - ტანჯვა.

➤ **ü ხმოვნის** ჩამატება:

G~ülšan → G~üllüşan // G~ülšan -

გულშანი

ötrü → ötürü // ötäri - -თვის

neft → nöjüt - ნავთი

hökm → höküm - ბრძანება

➤ **ä ხმოვანის ჩამატება:**

ötrü → ötäri // ötürü - -თვის

žürbäžür → žüräväžür - სხვადასხვა.

➤ **a ხმოვნის ჩამატება:**

gram → gəram - გრამი

dekabr → dekabər - დეკემბერი

gərx → gərəx - ორმოცი

galxdə → galəxdə - ადგა

G~ülzar → G~ülüzar //G~üllüzar -

გულზარი

zülüm → zülüm // zulum - ტანჯვა

kürk → kürük - ქურქი

sülh → sülüh - თავისუფლება.

säbr → savər - მოთმინება

brat → bərat - ძმა

Xram → Xəram - ხრამი (მდინარე)⁶⁰

IV. 3.2.2. თანხმოვნის ეპენტეზა

აზერბაიჯანული ენის დასავლური ჯგუფის ყაზახურ დიალექტში ინლაუტში გვხვდება **j, h, n, d** თანხმოვნების ეპენტეზა:

➤ **j თანხმოვანის ჩამატება** გვხვდება ძირითადად ნასესხებ სიტყვებში, როდესაც სესხების დროს ორი ხმოვანი ხვდება ერთმანეთს, ან გამოთქმის გასამარტივებლად, მაგალითად:

zäif → zäjif // zəjəf - სუსტი

ailä → ajilä - ოჯახი

binamus → bejnamus // bejnamıs -

უნამუსო

biqafil → bejqafəl -

მოულოდნელად

bixäbär → bejxavar - ცუდი ამბავი

aid → ajid // ajəd - კუთვნილი

biabər → bijavər - ურცხვი

baiskar → vajəskar - დამნაშავე

Zinät → Zinjät - ზინათი

segah → sejg'ah - სეიგაჰი

elänmək → ejlänmäx' - გართობა

faiz - fajəz - პროცენტი

⁶⁰ შემოსულია ქართულიდან

šöbä → šöjbä - განყოფილება

hesab → hejsaf - ანგარიში.

šair → šajir - პოეტი

➤ **h თანხმოვნის ჩამატება:**

žamaat → žamahat - ჯამაათი

məna → mahna - აზრი

länät → nählät - წყევლა

saat → sahat - საათი.

➤ **n თანხმოვნის ჩამატება:**

beläžä → belänžä // belänči - ასეთი

eläžä → elänžä // eläžä - ისე

balaža → balanža // balaža - პატარა

gäsdän → gäsdnän - განზრახული

söjüş → söünč // söjüş - გინება.

➤ **d თანხმოვნის ჩამატება:**

jumurta → jumurtda// murtta - კვერცხი

jumurtalamag → jumurtdamax - კვერცხის დება

jərtəg-jərtəg → jərtdəx- jərtdəx – ნახვრეტ-ნახვრეტი

basəṛəg → basdərəx – გადატენილი.

IV. 3.3. ეპითეზა

ეპითეზა ეს არის ფონეტიკური პროცესი, სადაც ხდება ზგერის დამატება აუსლაუტში. აზერბაიჯანულ ენაში ეს მოვლენა ხშირად აღინიშნება როგორც ფონეტიკური ჰარმონიის პროცესი, ასევე გამოიყენება გამოთქმის გასამარტივებლად. აზერბაიჯანული ენის ყაზახურ დიალექტში გვხვდება როგორც ხმოვნის, ასევე თანხმოვნის ეპითეზა.

IV. 3.3.1. ხმოვნის ეპითეზა

ხმოვნის ეპითეზა არის ფონეტიკური პროცესი, რომლის დროსაც ხმოვანი ზგერა ემატება სიტყვის ბოლოში. ეს პროცესი ხდება გამოთქმის გასამარტივებლად, ასევე მელოდიურობისა და ჰარმონიის შესანარჩუნებლად.

ხმოვნის ეპითეზა აზერბაიჯანული ენის დასავლური ჯგუფის ყაზახურ დიალექტში, როგორც ჩანს ემპირიული მასალიდან, იშვიათი მოვლენაა და აღნიშნულ დიალექტში ხმოვნის ეპითეზის დროს გვხვდება ორი ხმოვნის ჩამატება. ესენია **i**, **a** და **ä** ხმოვნები.

➤ **i ხმოვნის ჩამატება:**

häm → hämi - ასევე

äzäl → äzzäli - საწყისი

➤ **ä ხმოვნის ჩამატება:**

metr → meträ - მეტრი

litr → liträ - ლიტრი

ilkin → ilkinä - პირველადი

indijätän → indijätänä - აქამდე

kilometr → kilometrä - კილომეტრი.

IV. 3.3.2. თანხმოვნის ეპითეზა

თანხმოვნის ეპითეზა არის ფონეტიკური პროცესი, როცა თანხმოვანი ემატება აუსლაუტში, ენის დინამიკის, გამოთქმის გასაადვილებლად, ჰარმონიისა და მელოდიურობისათვის.

ემპირიული მალასიდან გამომდინარე, აზერბაიჯანული ენის დასავლური ჯგუფის ყაზახურ დიალექტში გვხვდება შემდეგი თანხმოვნების ეპითეზა: **n**, **m**, **t**, **j**, **h**, **x'**, **x**, **z**. სათითაოდ განვიხილოდ ყველა.

➤ **n თანხმოვნის ეპითეზა:**

ki (კავშირი) → kin//kin//kun//kün - რომ, რათა

palto → baldon - პალტო⁶¹
 ötrü → ötrün // ötärin - -თვის
 gabagça → gavaxdan - ადრე
 sürätlä → sürätnän - სიჩქარით
 bärkçä → bärkdän - მაგრად
 zorla → zornan - ძალით
 maragla → maraxnan - ინტერესით
 xalanla → xalannan // xalanhan - დეიდასთან ერთად
 çünki → çünkün - იმიტომ რომ
 kimi → kimin - -ვით
 üstünlä → üstünnän - ზემოდან
 çanla-başla → çannan-başnan - სიამოვნებით
 bažəmla⁶² → bažəmnan - დედაჩემთან ერთად
 xəbərlä → xavarnan - ამბით.

აუსლაუტში n თანხმოვნის ჩამატების პროცესი გვხვდება ასევე უზბეკური ენის დიალექტებშიც, მაგალითად, ketmäkçi → ketmäkčin („გამგზავრებელი“), bermäkçi → bermäkčin („გულუბვი“), bala-čaka → bala-čakan („პატარა ბავშვი“) [Решетов, Шоабдурахманов, 1953:307-308].

➤ **t თანხმოვნის** ეპითეზა გვხვდება სულ რამდენიმე მაგალითში:

asan → hasant - ადვილი
 heç nä → heşdat - არაფერი.

➤ **m თანხმოვნის** ეპითეზა:

sonra → sonram // soram // sonra // sora - შემდეგ მერე
 kärä → käräm // kärä - ჯერ, ხელ
 bälkä → bälkäm // bälkä - ალბათ
 joxsa → joxsam // joxsa - თუ
 hälä → häläm // hälä - ჯერჯერობით

⁶¹ ეს მაგალითი გვხვდება ყველა დიალექტში [Şirəliyev, 2008: 43].

⁶² გვხვდება შემთხვევები, როდესაც თანაობის თანდებული -la//lä ასიმილაციის შედეგად გადადის -na//nä- და ამავდროულად ინლაუტში იმატებს n თანხმოვანს.

keškä → keškäm // keškä – ნეტავ

bu gʻün → büjünnärim - დღეს

o gʻünläri – öjünnäri // öjünnärim - იმ დღეს

o gädär → ogäddäm // ogäddärän // ogäddärnäm // ogädär - იმდენი

bu saatža → bu sahatžam - ახლავე

srazu → srazəm - მაშინვე

baxdægža → baxdægžam - მისი შემხედვარე

➤ **z თანხმოვანის ჩამატება:**

kärtänkälä → **k**ärtänkäläz// **k**ältänkäläz// **k**ältänkälä // **k**ärtänkälä - ხვლიკი.

➤ **j თანხმოვნის ეპითეზის პროცესი მ. შირალიევს აზრით, გვხვდება რამდენიმე მაგალითში, მაგრამ ჩემ მიერ მოპოვებულ მასალაში ეს მაგალითები არ გვხვდება, მაგრამ გვხვდება ქართული ენიდან ნასესხებ სიტყვებში, ხოლო ერთ მაგალითში, წოდებით ფორმაში ⁶³, მაგ.:**

bižo → Aj, bižoj! // A, bižoj! - ბიჰო ან bizo → Aj, bizoj! A, bizoj! - ბიჰო.

➤ **x' თანხმოვნის ეპითეზა:**

käsdikžä → käsdix'cäx' - ჭრის პროცესში

kölg'ä → kölgöx' - ჩრდილი

ävvalžä → ävvälžäx' - ადრე

g'üržüžä → g'üržüžäx' - ქართულად

ing'ilisžä → ing'ilisžä - ინგლისურად.

➤ **x თანხმოვნის ეპენთეზა:**

daləŋža → daləŋžax // daləŋža - ზურგს უკან

gabagža → gavaxcax - ადრე

rusža → ružžax // uružžax - რუსულად.

მაგალითები x' და x თანხმოვნების ეპენთეზაზე ძირითადად ზმნიზებდებია, რომლებიც თანამედროვე აზერბაიჯანულ ენაში იწარმოება -ჰა//ჰა სუფიქსების მეშვეობით, ხოლო აზერბაიჯანული ენის ყაზახურ დიალექტში აღნიშნული სუფიქსს

⁶³ ძირითადად, როცა ქართველებს მიმართავენ (ჩემი შენ.).

აქვს -ჭäx //-ჭäx' ვარიანტი. თუ სიტყვაში ვხმარობთ მაგარ, ანუ -ჭä-ს ვარიანტს, მაშინ საქმე გვაქვს x თანხმოვნის ეპენტეზასთან, ანუ -ჭäx-თან, ხოლო თუ სიტყვის ბოლო ხმოვანი რბილია, მაშინ ვამატებთ x', ანუ -ჭäx. ამ სუფიქსებში კარგად ჩანს სინჰარმონიზმის კანონი ხმოვნებსა და თანხმოვნებს შორის. -ჭä//-ჭä სუფიქსის შესაბამისად, სალიტერატურო აზერბაიჯანული ენისა და აზერბაიჯანული ენის ყაზახური დიალექტის შედარებისას, შეგვიძლია, დავასკვნად, რომ აზერბაიჯანული ენის ყაზახურ დიალექტში საქმე გვაქვს თანხმოვნების ჩამატებასთან, ანუ ეპენტეზასთან. მაგრამ, მ. შირალიევი აღნიშნავს, რომ ისტორიულად ეს თანხმოვნები იყო დამოუკიდებელი ჯäx და ჯäx' სიტყვების აუსლაუტში მყოფი თანხმოვანი [Şirəliyev, 2008: 43].

IV. 4. ბგერის დაკარგვა

რედუქცია

ბგერის დაკარგვის პროცესი ეს არის ფონეტიკური მოვლენა, რომლის დროსაც სიტყვის სხვადასხვა პოზიციაში ან სიტყვათშორის რომელიმე ბგერა იკარგება, ანუ აღარ წარმოითქმის, მიუხედავად იმისა, რომ ისტორიულად ან წერილობითად არსებობდა.

სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს შემდეგი ბგერის დაკარგვის პროცესები:

- 1) **ელიზიას** - ბგერის გამოტოვება სიტყვათა შორის
- 2) **სინკოპას** - ბგერის დაკარგვა სიტყვის შუაში
- 3) **აპოკოპას** - ბგერის დაკარგვა სიტყვის ბოლოს
- 4) **აფერეზას** - ბგერის დაკარგვა სიტყვის დასაწყისში
- 5) **ჰაპლოლოგია** - ორი ერთნაირი, ან მსგავსი მარცვლების დაკარგვა და ა. შ.

ბგერის დაკარგვის ყველა ზემოაღნიშნული პროცესი განხილულია რედუქციაში, როგორც რედუქციის ქვეტიპები; ევროპულ სამეცნიერო ლიტერატურაში (ე. ზივერსი, ჰ. სუიტი, პ. პასი, დ. ჯონსი) ამ ტერმინში გულისხმობენ ხმოვანთა, ან თანხმოვანთა დამოკლებას და შესუსტებას, რაც იწვევს მათი გამოთქმის ჯერ ბუნდოვანებასა და არამკვეთრობას, ხოლო შემდეგ - საბოლოო გაქრობასაც.

რედუქცია (ლათ. *reductio* - „დაქვეითება“, „შემცირება“) - ეს არის ფონეტიკური პროცესი, რომლის დროსაც ბგერა სუსტდება, იცვლის თავის არტიკულაციურ თვისებებს ან სრულად იკარგება გარკვეულ პოზიციაში [ჩიქობავა, 2008:104].

რედუქციას აზერბაიჯანული ენის ყაზახურ დიალექტში ვყოფთ ორ ძირითად ჯგუფად - **სრული და ნაწილობრივი (რაოდენობრივი)**.

1. ნაწილობრივი ანუ რაოდენობრივი რედუქცია - ეს არის ფონეტიკური პროცესი, რომლის დროსაც ბგერა არ ქრება სრულად, არამედ განიცდის ზოგად დასუსტებას, რაც შეიძლება გამოიხატოს როგორც ხარისხობრივი ცვლილებით, ასევე ხანგრძლივობის შემცირებით, თუმცა ბგერა წარმოთქმაში მაინც რჩება (იხ. მოკლე ხმოვნები). აზერბაიჯანული ენის ყაზახურ დიალექტში მახვილი იწვევს ხმოვნის დასუსტებას; ხმოვანი მით უფრო სუსტდება, რაც უფრო დაშორებულია იგი სიტყვაში მახვილიან მარცვალს.

2. სრული რედუქცია გულისხმობს ბგერის ან მარცვლის სრულ გაქრობას სიტყვისა თუ ფრაზის გამოთქმისას. ეს ხდება სწრაფ მეტყველებაში, როცა გარკვეული ბგერები ან მარცვლები გამოტოვებულია.

აზერბაიჯანული ენის დასავლური ჯგუფის ყაზახურ დიალექტში ფართოდ გავრცელებული ფონეტიკური მოვლენებიდან ერთ-ერთი არის ბგერის რედუქცია. გვხვდება როგორც ხმოვნების, ასევე თანხმოვნების რედუქცია.

IV. 4.1. ხმოვნის რედუქცია

ხმოვნების დაკარგვა დამოკიდებულია როგორც მახვილზე, ასევე სიტყვათა შეთანხმებაზე. აზერბაიჯანული ენის ყაზახურ დიალექტში ხმოვანთა რედუქცია სახეობების მიხედვით ორ ტიპად იყოფა:

ა) რაოდენობრივი ანუ ნაწილობრივი რედუქცია

ბ) სრული რედუქცია.

IV. 4.1.1. ხმოვნების რაოდენობრივი ანუ ნაწილობრივი რედუქცია

აზერბაიჯანული ენის ყაზახური დიალექტისთვის დამახასიათებელია ხმოვანთა გარკვეული ფონეტიკური ცვლილებები. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ დახურული ხმოვნები რედუქციისადმი მეტად მიდრეკილია. ისინი ხშირად განიცდიან ნაწილობრივ რედუქციას, რაც შეიძლება გამოიხატოს მათი შესუსტებით, კუმშვით. ეს მოვლენა განხილული გვქონდა „მოკლე ხმოვნებში“ (იხ. „მოკლე ხმოვნებში“). უკვე თავისთავად ვიწრო ხმოვნები მომდევნო მარცვლის დინამიკური ტონის ზემოქმედებით კიდევ უფრო ვიწროვდებიან, რის შედეგადაც ფიქსირდება კომბინატორული ვარიანტები - **ი, ა, ი, ი.**

ცნობილია, აზერბაიჯანულ ენაში არსებობს ოთხი დახურული ხმოვანი, ესენია: **ა, ი, ა, ი.** როგორც აღმოჩნდა აზერბაიჯანული ენის ყაზახურ დიალექტში, ეს ხმოვნები განიცდის ნაწილობრივ რედუქციას.

ხმოვნების ნაწილობრივი რედუქცია ვლინდება როგორც სიტყვათა ფუძეში, სუფიქსებში, ასევე სიტყვა შეთანხმების დროს. განვიხილოთ ყველა დახურული ხმოვნის ნაწილობრივი რედუქციის პროცესი:

➤ **ი ხმოვნის ნაწილობრივი რედუქცია, მაგალითად:**

kışxı- კაცი	Säkíná - საქინა
xıjâr - კიტრი	xäzíná - ხაზინა
şitıl - შითილი	sälīgá - წესრიგი
sınsımáx' - წყენა	här ikisi → häríkisi – ყოველი მეორე
hämışá - ყოველთვის	biríná - ერთს.

➤ **ა ხმოვნის ნაწილობრივი რედუქცია, მაგ.:**

gəfəln - ბოქლომის	gapədan - კარებიდან
gəřəyn - გატეხილის	jarəşá – ნახევარი
gəzəllá - ოქროიანი	janəná - გვერდით

➤ **ი ხმოვნის ნაწილობრივი რედუქცია, მაგ.:**

dükan → tükán - დუკანი	hökümat → hökümat // hökmát -
tülkü - ძელია	ხელისუფლება
tüpnürux' - ნაფურთხი	düşman → tüşmán // çüşmán - მტერი
tüstülú - კვამლიანი	evini → öjünú – სახლი (ბრალ. ბრ.)

gʻōtūrüb → gʻōtūrūf – აულია

ñzñjñmñ – ჩემი ბეჭედი.

gʻōjññ – შენი მწვანელი

➤ **u ხმოვნის ნაწილობრივი რედუქცია, მაგ.:**

budág → pūtáx – ტოტი

tūrümžux – კოკორი

buzov → bñzój – ხბო

čoxñsú – უმეტესობა

gñtú – ყუთი

jñxñsú – მისი ძილი

sñlamá – მორწყმა

topññ – შენი ბურთი.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მახვილი ბოლოკიდურ პოზიციაში იწვევს წინამავალი ხმოვნების ნაწილობრივ რედუქციას.

IV. 4.1.2. ხმოვნების სრული რედუქცია

ხმოვანთა სრული რედუქცია წარმოადგენს იმ ფონეტიკურ მოვლენას, როდესაც ხმოვანი სუსტ პოზიციაში (უმთავრესად უმახვილო მარცვლებში) სრულად იკარგება და არ ფიქსირდება წარმოთქმაში. აღნიშნული მოვლენა ხშირია როგორც ძირში (დასაწყისში, შუასა და ბოლოში), ასევე მორფემთა გასაყარზე. გასაკვირია, მაგრამ დიალექტოლოგიის ადრინდელ გრამატიკებში ხმოვნების რედუქცია აღწერილი არ არის. ვ. ჯანგიძესა და იბრ. ბაირამოვს აქვთ ხმოვნის ნაწილობრივი და სრული რედუქციები. მხოლოდ, იბრ. ბაირამოვის ნაწილობრივ რედუქციას არ ვეთანხმები, ვინაიდან ამ პროცესის დროს ხმოვანი ნაწილობრივ იკარგება, ხოლო საილუსტრაციოდ მას მოყვანილი აქვს სრული რედუქციის მაგალითები.

➤ **i ხმოვნის სრული რედუქცია:**

- სიტყვის ფუძეში და სუფიქსებში, მაგ.:

inišil → nišil – შარშანწინ

İslam → Slam – ისლამი

İsmajəl → Smejil // Smeil –

märifät → märfät – მარიფატი

ისმაილი

ärizä → ärzä – განცხადება

irag → ray – შორს

gʻätirir → gʻättrer – მოაქვს

İbrahim → Rvaham – იბრაჰიმი

dilinin → dilinin – ენის

İsrafil → Srafil – ისრაფილი

ämisi → ämsi – ბიძამისი

ičäridän → čärdän - შიგნიდან

gʻeridän → gʻerdän - უკნიდან

seçilir → seçler - გამოირჩევა

işlājir → şdēr - მუშაობს

isti – sti - სიცხე

işəg → şəx - შუქი;

- კომპოზიტების დროს, მაგ.:

bir-iki → birki - ერთი-ორი

on iki → onki - თორმეტი

här ikisi → härkisi - ყოველი

მეორე.

Äli Abbas → Älabbas -

ალიაბასი

ämi oyłu → ämoylu -

ბიძაშვილი;

➤ **ə ხმოვნის რედუქცია:**

- სიტყვის ფუძესა და აფიქსებში, მაგ.:

garəşəg → garşəx - არეული

barəşəg → barşəx - შერიგება

jadəma → jadma - ჩემს მეხსიერებაში

tanəjəram → tanjeram//tanjəram - ვიცნობ

haməsa – hamsə - ყველა

dajəsonən → dajsonən - ბიძამისის

gapənən → gapnən - კარის

čaləşər → čalşer - მუშაობს

garəşər → garşer – ჩარევა

juxarədan → juxardan//oxardan - ზევიდან

jəylər → jəylər - სუფთავდება

- კომპოზიტების დროს, მაგ.:

başa aşayə → başşayə - თავდახრილი

başa ačəg → başačəx - თავშიშველა, თავსაბურავის გარეშე

bažə oyłu → bažoylu - დის შვილი (გოგო)

ayzə ačəg → ayzačəg - პირლია

dajə gəzə → dajgəzə - ბიძაშვილი (გოგო) დედის ხაზით; *მდრ.: ämi gəzə -*

ბიძაშვილი (გოგო) მამის ხაზით.

➤ **u ხმოვნის რედუქცია** სიტყვის ფუძესა და აფიქსებში, მაგ.:

oxujaram → oxjaram - წავიკითხავ

oxujur → oxjor - კითხულობს

tojuna → tojna - შენი ქორწილი

bojuna → bojna - კისერს

gujuja → gǔjja - ჭაში

oturar – otrar - დაჯდება

juxusu → jǔxsu - მისი სიზმარი

➤ **ü ხმოვნის რედუქცია:**

- სიყვის ფუძესა და აფიქსებში, მაგ.:

gʻötürür → gʻötrör – იღებს

ötürür → ötrör - აცილებს

özünün → öznün – თავისი

sözünü – söznü - შენი სიტყვა

böjǔjüb → böjjüf - გაიზარდა

günümä → gǔnmä - ჩემ დღეს

böjǔjä → böjjä - უფროსს

gʻörünür → gʻörnör - მესახება, წარმომიდგენია

- კომპოზიტების დროს, მაგ.:

gʻözǔ ačəg → gʻözačəx – თვალგახელილი

mānim ũčün → māmčün - ჩემთვის

sānin ũčün → sānčün - შენთვის.

➤ **a ხმოვნის რედუქცია:**

- სიტყვის ფუძეში, მაგ.:

samovar → samavar → samvar// sammar// səmvar// səmmar - სამოვარი

Saadät → Sädät - საადათი

buraja → burja - აქ (მიც.ბრ.)

burada → burda – აქ (ადგ. ბრ.)

orada → orda -იქ (ადგ. ბრ.)

oraja → orja - იქ (მიც. ბრ.)

harada → harda – სად (ადგ.ბრ.)

ištahalə → ištahlə - მადიანად

anarə → anrə - იქით.

- განუსაზღვრელი მომავალი დროის -ar სუფიქსის r- ფონემაზე დაბოლოებულ ზმნურ ფორმებში, ასევე l-ზე დაბოლოებულ ზმნურ ფუძეებში -ar სუფიქსის a ხმოვანი სრულად რედუცირდება, ამავდროულად r სრული პროგრესული ასიმილაციის შედეგად გადადის l-ში. ეს პროცესი გვხვდება პირველ პირის მხოლოდით რიცხვში, მაგ.:

gal+ar+am → gallam - დავრჩები

al+ar+am → allam - ვიყიდი

ol+ar+am → ollam - ვიქნები

ასევე r ფონემის შემცვლელ ზმნურ ფუძეზე -ar სუფიქსის დართვისას -ar სუფიქსის a ხმოვანი სრულად რედუცირდება, ხოლო შედეგად მივიღებთ იდენტურ თანხმოვანთ კომპლექსს rr, მაგ.:

dur+ar+am → durram – ავდგები

vur+ar+am → vurram - დავარტყამ

- კომპოზიტების დროს, მაგ.:

mama oylu → mamoylu - მამიდაშვილი (ბიჭი)

xala oylu → xaloylu - დეიდაშვილი (ბიჭი)

➤ ä ხმოვნის რედუქცია:

- არ გვხვდება ფუძეში, მაგრამ დასტურდება მომავალი დროის სუფიქსში -äžāk პირველი პირში, როგორც მხოლოდით, ასევე მრავლობით რიცხვში იხმარება რედუცირებულ ვარიანტში. პარალელურად სრულ რედუქციასთან ერთად ასევე აქ საქმე გვაქვს დეზაფრიკატიზაციის პროცესთან, ž → ž. ეტაპობრივად რომ წარმოვადგინოთ, ეს პროცესი ხდება შემდეგნაირად:

1. პირველი პირი მხოლოდით რიცხვში: -äžāk+äm → -äžāj+äm → -äžäm, მაგ.:

düş+äžāk+am → düş+äžāj+äm → düşäžäm - დავეცემი

ver+äžāk+am → ver+äžāj+äm → veräžäm - მივცევ

g'al+äžāk+am → g'al+äžāj+äm → g'aläžäm - მოვალ

sil+äžāk+am → sil+äžāj+äm → siläžäm - წავშლი

itir+äžāk+am → itir+äžāj+äm → iträžäm - დავკარგავ

2. პირველი პირის განსაზღვრული მომავალი დროის მრავლობითი რიცხვში -äžāk+ik სუფიქსის j-ს⁶⁴ სრული რედუცირების დროს i ხმოვანი გრძელდება: -äžāk+ik // -j-äžāj+ik → -äžijī // -jäžijī → -äžīī, მაგ.:

düş+äžāk+ik → düş+äžāj+ik → düş+äžij+ix' → düş+äžīx' - დავეცემით

ver+äžāk+ik → ver+äžāj+ik → ver+äžij+ix' → veräžīx' - მივცემთ

āk+äžāk+ik → āk+äžāj+ik → āk+äžij+ix' → ākäžīx' - დავთესავთ

g'āt+ir+äžāk-ik → g'āt+ir+äžāj+ik → g'āt+ir+äžij+ix' → g'ätträžīx' - მოვიტანთ

de+j+äžāk+ik → de+j+äžāj+ik → de+j+äžij+ix' → dāžīx' - ვიტყვით.

- განუსაზღვრელი მომავალი დროის -är სუფიქსის r- ფონემაზე დაბოლოებულ ზმნურ ფორმებში, ასევე l-ზე დაბოლოებულ ზმნურ ფუძეებში -ar სუფიქსის a ხმოვანი სრულად რედუცირდება, ამავდროულად, r სრული პროგრესული ასიმილაციის შედეგად გადადის l-ში. ეს პროცესი გვხვდება პირველ პირის მხოლოდით რიცხვში, მაგ.:

g'al+är+äm → g'alräm → g'alläm - მოვალ

bil+är+äm → bilräm → billäm - შევიტყობ

sil+är+äm → silräm → silläm - წავშლი

ასევე r ფონემის შემცვლელ ზმნურ ფუძეზე -är სუფიქსის დართვისას -är სუფიქსის ä ხმოვანი სრულად რედუცირდება, ხოლო შედეგად მივიღებთ იდენტურ თანხმოდანთ კომპლექსს rr, მაგ.:

g'ir+är+äm → g'irräm - შევალ

⁶⁴ ინტერვოკალურ პოზიციაში k → j

där+är+äm → där+är+äm - მოვწყვეტ.

IV. 4.2. თანხმოვნის რედუქცია

აზერბაიჯანულ ენის ყაზახურ დიალექტში გვაქვს თანხმოვნების ნაწილობრივი და სრული რედუქცია.

IV. 4.2.1. თანხმოვნების ნაწილობრივი რედუქცია

აზერბაიჯანული ენის დასავლური ჯგუფის ყაზახურ დიალექტში თანხმოვნების ნაწილობრივ რედუქცია შეგვიძლია განვიხილოთ მხოლოდ $k \rightarrow x'$ შემთხვევაში, რომელიც ფართოდ არის გავრცელებული. ეს მოვლენა გვხვდება ინლაუტსა და აუსლაუტში, მაგ.:

tökmäk → tömäx' - დასხმა

böjük → bö^ux'// böx' - უფროსი, დიდი

dik → tix' - ქედმაღალი

tüklü → tüx'lü - ბეწვინი

didik → didix' → გაწეწილი

täklämäk → täx'lämäx' - განმარტოება

diklik → tix'lix' - მაღლობი

dikmäk → tix'mäx' - მიშტერება

säksänmäk → säx'sänmäx' - შეკრთომა

diksinmäk → dix'sinmäx' - ზიზდი.

ვ. ჯანგიძეს ასევე აღნიშნული აქვს $r \rightarrow j$ გადასვლის პროცესი; ამ პროცესის ილუსტრაციისათვის მოყვანილი აქვს ორი მაგალითი, როგორც aršən → ajšin („არშინი“)⁶⁵, Minirä → Minijä („მინირა“) აღვნიშნავ [Джангидзе, 1965:45], რომ ეს მაგალითები ჩვენთვის უცნობია, არ დამიდასტურებია.

IV. 4.2.2. თანხმოვნის სრული რედუქცია

აზერბაიჯანულ ენის ყაზახურ დიალექტში თანხმოვნის სრული დაკარგვა გვხვდება როგორც სიტყვის ანლაუტში, ინლაუტსა და აუსლაუტში. უნდა აღვნიშნო, რომ

⁶⁵ მოძველებული ფორმაა

რედუქციასთან ერთად სიტყვაში პარალელურად შეხება გვაქვს სხვა მოვლენებთან, როგორიც არის ხმოვნის დაგრძელება, დიფთონგიზაცია და ა. შ.

IV. 4.2.2.1. თანხმოვნების სრული რედუქცია ანლაუტში

აზერბაიჯანული ენის ყაზახურ დიალექტში ანლაუტში ვლინდება **j, h, n, g, s** თანხმოვნების რედუქცია.

- **j** თანხმოვნის რედუქცია გვხვდება დახურული ბაგისმიერი, **u** და **ü**, ხმოვნების წინ. ვფიქრობ, რომ **j** თანხმოვნის რედუქციის გამომწვევია მომდევნო დახურული ბაგისმიერი **u** და **ü** ხმოვნები, მაგ.:

juxarə → oxarə // uxarə - ზემოთ

Jusif → Usuf - იუსუბი

jükländi → üx'ländi – დაიტვირთა

jumurta → murtta // jummurta - კვერცხი

j თანხმოვნის რედუქცია გვხვდება ასევე გაგაუზების ენაშიც. მაგ.: jüzüjü → üzü, jemäklär → imeklär, jedi → edi, jetmiş → etmiş [Рясенин, 1955:165].

- **h** თანხმოვნის რედუქცია ძირითადად გვხვდება პალატალური ბაგისმიერი **ö** და **ü** ხმოვნების წინ, მაგ.:

hörär → örär - მოქსოვს

hürür → ürjür // ürür - ყეფს

hörük → örük' - ნაწნავი

hürkdü → ürkdü - შეშინდა

hörümčäk → örümčäk' - ობობა

Hüsejn → Söjn - ჰუსეინი.

h თანხმოვნის სრული რედუქციის კიდევ ერთი შემთხვევა გვხვდება **ä** ხმოვნის წინ, მაგრამ წოდებით ფორმაში **aj** (“ეი”) შორისდებულთან ერთად. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ **h** თანხმოვნის რედუქცია პარალელურად იწვევს **ä** ხმოვნის დაგრძელებას, მაგალითად:

Aj Häsän! → Aäsän → Äsän! - ჰასან!

ჩემი აზრით, რედუქცია ზემოაღნიშნულ შემთხვევებში განპირობებული უნდა

იყოს მომდევნო პალატალიზებული ხმოვნით და ზოგადად ეს პროცესი მიდრეკილია პალატალიზაციისაკენ.

გვაქვს რედუცირების შემთხვევები ასევე დახურული ხმოვნების წინ, არაპალატალიზებულ ფონემებთანაც, მაგ.:

həʒgəɾəg → əʒgəɾəx - სლოკინი

Hidajät → İdajät - ჰიდაიათ.

ემპირიული მასალაში h თანხმოვნის სრული რედუქცია a ხმოვნის წინ გვხვდება მხოლოდ ერთ მაგალითში:

hajəl-majəl → ajəl-majəl - გაოცება.

➤ g- თანხმოვნის სრული რედუქცია გვხვდება მაშინ, თუ სიტყვაშეთანხმების დროს:

- პირველი სიტყვა ბოლოვდება ხმოვნით, ხოლო მეორე სიტყვა იწყება □ თანხმოვნით. g- თანხმოვნის რედუქციის დროს ორი ერთნაირი თანხმოვნის შეხვედრის დროს ხმოვანი გრძელდება, ხოლო სხვადასხვა ხმოვნების შეხვედრის დროს აქ სინჰარმონიზმის კანონი იღვევა და ვლებულობთ ორი ხმოვნის კომპლექსს, რომლებიც ერთად გამოითქმის. მაგ.:

bu gʻün → bün - დღეს

ona gʻörä → onörä - იმიტომ

nä gʻätirib → nätrif - რა მოიტანა?

bizä gʻäl! → bizäl! - მოდი ჩვენთან!

onu gʻördüm → onuördüm - ის ვნახე

hara gʻedir? → haraeder? - სად მდის?

ayləma gʻälir → ayləməälir - მახსენდება

onu gʻör! → onuör! // onujör! – შეხედე!

gara gʻünä → garaünä - შავი დღისთვის

başəna gʻälsin → başənälsin - შენც დაგემართოს

älä gʻälmir → älälmer - გაფუჭებული, გაწყალებული

nä gʻäzirsän → näzersän - რას დადიხარ? რას დაეძებ?

näjä g'älirdin → näjä g'älerdin → nälərdin - რისთვის მოხვედი?

- პირველი სიტყვა არის წოდებითი შორისდებული aj//ä, ხოლო მეორე სიტყვა - g'ädä („ბიჭუნა, ბიჭი“) ან kiši („კაცი“), მაგალითად:

Aj// Ä g'ädä → ädä! - ეი, ბიჭო! ბიჭოვ!

Aj //Ä kiši → äši! - ეი, კაცო! კაცო!

სიტყვაშეთანხმების დროს მეორე სიტყვის g თანხმოვნის სრული რედუქცია გვხდება ასევე თურქული ენის დიალექტებშიც: bugün → bön („დღეს“); kara göz → kara jöz → karɫz („შავთვალა“); kina-gežesi → kinežesi („ხნის ზეიმი“⁶⁶); bu gece → bǫže („ამა ღამ“); buraja geldi → buri jeldi („აქ მოვიდა“) [Gaz. I, 29].

- ანლაუტში ni- მარცვლის სრული რედუქცია იშვიათი პროცესია, გვხვდება ერთ სიყვამში nišan → šan - ნიშნობა და ყველა ამ ფუძესაგან ნაწარმოებ სიტყვებში, მაგ.: nišan → šan - ნიშნობა.

მ. შირალიევის აზრით, ეს პროცესი მეტ-ნაკლებად გვხვდება ყველა დიალექტსა

და თქმაში [Şirəliyev, 2008:102].

- ანლაუტში s თანხმოვნის სრული რედუქცია გვხვდება მხოლოდ ერთ რუსული ენიდან შემოსულ სიტყვაში - spička - ასანთი, რომელიც აზერბაიჯანული ენის ყაზახურ დიალექტში იხმარება როგორც paşga // paşga. ამ შემთხვევაში ანლაუტში s თანხმოვნის სრული რედუქცია გამოწვეულია სიტყვის დასაწყისში ორი ყრუ თანხმოვნის გვერდიგვერდ გამოყენების აკრძალვასთან - sp. sp- თანხმოვანთკომპლექსი შეზღუდულია ანლაუტში, ხოლო ნასესხებ სიტყვებში დადასტურებულ ამ კომპლექსს მოუდის რედუქცია აზერბაიჯანული ენის ფონოტაქტიკის შესაბამისად.

⁶⁶ ქორწილამდე (ადრე - წინა დღით) გოგოები იკრიბებიან დედოფალთან და იმართება ხნის დღესასწაული, რომლის დროსაც ხნით იხატავდნენ ხელის გულებს სხვადასხვა სურვილის ჩათქმით...

IV. 4.2.2.2. თანხმოვნების სრული რედუქცია ინლაუტში

ინლაუტში აზერბაიჯანული ენის ყაზახურ დიალექტში გვხვდება **j, v, h, t, r, l, n, f, ɣ** თანხმოვნების სრული რედუქცია:

- თანხმოვნის სრული რედუქცია მ. შირალიევის აზრით, მეტ-ნაკლებად გვხვდება ყველა დიალექტსა და თქმაში. „თუმცა, ეს მოვლენა დასავლურ დიალექტებსა და თქმებში უფრო ფართოდ იჩენს თავს. ამ ჯგუფის დიალექტებსა და თქმებში (განსაკუთრებით ყაზახურ დიალექტში) **j** ხმოვნებს შორის იკარგება“ [Şirəliyev, 2008:103]. ვიზიარებ ამ მოსაზრებას, როცა ამბობს, რომ **j** თანხმოვნის რედუქცია გვხვდება ძირითადად ინტერვოკალურ პოზიციაში, ასევე ერთ-ერთი მეზობელი არის სონორი თანხმოვნები - **r, l, m, n** და **k**. ჩემი აზრით, ეს გამოწვეულია იმით, რომ **k** თანხმოვანი მორფმათა მიჯნაზე ინტერვოკალურ პოზიციაში განიცდის პალატალიზაციის პროცესს და გადადის **j**-ში.

ინტერვოკალური პოზიციაში **j** თანხმოვნის სრული რედუქცია შეინიშნება შემდეგ შემთხვევებში სიტყვა შეთანხმების დროს:

- როცა პირველი სიტყვა ჩვენებითი ნაცვალსახელია - **o** („ის“) და **bu** („ეს“) (რომელიც ხმოვნით მთავრდება), ხოლო მეორე სიტყვა იწყება **j** თანხმოვნით, ამასობაში **j** ბგერა ხდება ინტერვოკალურ პოზიციაში და სრულად რედუცირდება, შედეგად კი ვღებულობთ დიფთონგებს, მაგ.:

o jana → **oana** - იქით

bu jana → **buana** - აქეთ

- თუ წოდებითი ფორმის შორისდებული **aj** იხმარება საკუთარ სახელებთან ან საზოგადო არსებით სახელთან, რომელიც იწყება **a** ხმოვნით, შედეგად ვღებულობთ შორისდებულისა და მეორე სიტყვის შერწყმას, ასევე **j** თანხმოვნის სრულ დაკარგვასა და ხმოვნის დაგრძელებას, მაგ.:

Aj ata! → **Aata! Āta!** - მამავ!

Aj ana! → **Aana! – Āna!** დედავ!

Aj Ajdən! → **AAjdən! → Ājdən!** - აიდიწ!

Aj Aslan! → Aj Aslan! → Āslan! - ასლან!

- იმ შემთხვევაშიც, როცა სიტყვა აღნიშნავს რთულ რიცხვით სახელს, სადაც პირველი სიტყვა მარტივი რიცხითი სახელია, ხოლო მეორე სიტყვა არის jüz („ასი“), მაგალითად:

üç jüz → üçüz - სამასი

dörd jüz → dördüz - ოთხასი

altə jüz → altəüz - ექვსასი

jeddi jüz → jetdiüz - შვიდასი

- j თანხმოვნის დაკარგვა ინტერვოკალურ პოზიციაში, რაც იწვევს მეზობელი ხმოვნის დაგრძელებასა და დიფთონგებს, მაგ.:

jejäžāk → jǎžǎx' - შეჭამს

döjürlär → döllär - სცემენ

ajag → āx - ფეხი

gajaja → gāja - კლდესთან

žüjür → žür - შველი

g'öjam → g'öäm - ღოღნოშო

läjän → län - თასი

düjün → dün - შენი ბრინჯი

bäjäm → bām - ნუთუ

jejärdim → järdim - შევჭამდი

düjü → dü - ბრინჯი

böjräk → böräx' - თირკმელა

maja → mā - დედალი

g'öjardi → g'öärdi - გამწვანდა

Sajalə → Sālə - საიალი

g'öjarcin → g'öärcin - მტრედი

jijäsi → jāsī - პატრონი

jüjüрдүм → jürdüm - ვრცეხვდი

hijläg'är → hiläg'är -

gojag → guax' // goax' - დავდოთ

მოხერხებული, ემშაკი

ojanmag → oanmax - გაღვიძება

küsājän → küsān - ბუტია

jüjän → jüän - მრეცხავი, სარეცხი

işläjir → işdīr - მუშაობს

čijäläm → čäläm // čālām - მარწყვი

dajan → dān - მოითმინე

ojatdə → oatə - გააღვიძა

- j თანხმოვნის რედუქცია ფუძესა და მორფემების გასაყარზე თანხმოვნებთან მეზობლობის დროს, როცა ერთ-ერთი მეზობელი თანხმოვანი სონორია, მაგ.:

ijirmi → ĩrmi - ოცი

düjmä → dümä - დილი

döjürlär → döllär - სცემენ

Tejmur → Temur – თემური

böjräk → böräx' - თირკმელი

dejändä → dändä - როცა თქვა

söjkändi → sökändi – მიეყუდა

ijlänän → ilänän – სურნელოვანი

zorlajan → zorrän – ვინც აიძულებს (კაუზატორი)

➤ **n** თანხმომავანის რედუქცია:

თუ სიტყვა ბოლოვდება u ხმოვანსა ან -un მარცვალზე, მაშინ ნათესაობით ბრუნვაში, ანუ -un, ან -(n)un სუფიქსის დართვისას მორფემების გასაყარზე მყოფი n თანხმომავანი რედუცირდება. შედეგად ვიღებთ გრძელ ü ხმოვანს, მაგ.:

guzu-n-un → guzu-un → guzūn - ბატკნის

oɣl-un-un → oɣlu-un → oɣlūn - შენი ვაჟის

burn-un-un → burnu-un → burnūn - შენი ცხვირის

➤ სიტყვის ფუძეში და ფუძესა და სუფიქსის გასაყარზე, მაგ.:

mänä → mā - მე

sonra → sōra - მერე

sänin → sān - შენი

on-lar → olar - ისინი

gaxəŋ → gaxə - საყვედური

bun-lar → bular - ესენი

manat → mā - მანათი

hansə → hasə - რომელი

gäšäng' → gäšäx' - ლამაზი

Tanrə → Tārə // Tanrə - ღმერთი ⁶⁷

mānim → mām - ჩემი

⁶⁷ მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ გვარი **ტარივერდიევი**, სადაც n არ იხმარება.

känddä → kätä - სოფელში

gaxəŋʃə → gaxəšdə - საყვედურიანი

gʻülünʃ-lü → gʻülüşdü//gʻülünʃ-lü - სამარცხვინოდ

gazanʃ-dan → gazaşdan// gazanʃ-dan - შემოსავლიდან

ზემოთ მოყვანილ მაგალითებში, რომლებიც ბოლოვდება ჯ-ზე და, ამავდროულად, მეზობლობს n-სთან, სუფიქსის დართვის დროს წარმოიქმება სამთანხმოვნიანი კომპლექსი, რაც არღვევს აზერბაიჯანული ენის კანონზომიერებას. შესაბამისად, ამ მაგალითებში ხდება n თანხმოვნის სრული რედუქცია.

n თანხმოვნის რედუქცია არის ასევე თურქული ოჯახის სხვა ენებშიც, მაგ., ყირგიზულ ენაში: *tilmeč, kələč* [Русско-киргизский словарь, 1944:557; 958]; ყაზახურ ენაში: *tilmaš, kələš* [Русско-казахский словарь, 1954:505; 900]; თურქმენულ ენაში: *gələč, dilmeč* [Türkmençe-rusca sözlük, 1940:113;126]. მ. ქაშგარისა და იბნუ-მუჰენასთანაც იხმარება *gələč* [Şirəliyev, 2008:103].

j-ს სრული რედუქცია გვხვდება თურქული ენის დიალექტებშიც, მაგ., *gāri, bōlä, sōlä, ölä, bēgir, dēnäk, hēbä, gēcäk, jāli* [Korkmaz, 1956:80], რის შედეგადაც მომდევნო ხმოვანი გრძელდება.

- **r თანხმოვანის სრული რედუქცია** ხშირი მოვლენაა და უნდა იყოს გამოწვეული ამ ბგერის ვიზრაციის დასუსტებით, სონორობის ხარისხის შემცირებით; გვხვდება **r** თანხმოვნის სრული რედუქციების შემდეგი შემთხვევები:
- **r** სრული დაკარგვა გვხვდება ძირითადად **r**-თანხმოვანზე დაბოლოებულ ზმნებსა და აფიქსების გასაყარზე, რომლებიც იწყება **d** და **m** თანხმოვნებზე, როგორც დადებით, ასევე უარყოფით ფორმებში, მაგ.:

gʻötürdü → gʻötdü - აიღო

oturmag → otumax - დაჯდომა

otur-du → otdu - დაჯდა

gʻötürmäsin → gʻötümäsin - არ აიღოს

gʻätirmäk → gʻätmäxʻ - მოტანა

oturmamag → otumamax - არ დაჯდომა

- ალვეოდენტალურ//წინანუნისმიერ ხმოვნებთან მეზობლობის შემთხვევაში, მაგ.:

biržä → bižä - მარტო

gurtar → gutar - მორჩი

bilärzik → bilāzik - სამაჯური

gurtarmag → gutarmax - მორჩენა

böjürtkän → böjütäkän - მაყვალი

როგორც მ. ისმაილოვი აღნიშნავს “...ფორმები gutul//gutar//gutaლ ძველი ფორმებია. ფინელი მეცნიერი თურქოლოგი მ. რიასენინი კი აღნიშნავს, რომ **r** თანხმოვანის სრული რედუქცია სიტყვებში gutar, gutul არის ძალიან ძველი პროცესი [İslamov, 1968:58].

ინლაუტში **r** თანხმოვანის სრული რედუქცია გვხვდება თურქული ენის დიალექტებშიც, ძირითადად, ეს მოვლენა გავრცელებულია ბულგარეთის ტერიტორიაზე გავრცელებულ თურქულ ენის დიალექტში, მაგ., vādim, ōtak, ētäsi, čandama, čašaf, süpügä [Korkmaz, 1956:79], samsak, sona, toparlak → topalak, juvalak, tekerlek → tekelek [Aksoy, 1945:58]; ბალყარეთში გავრცელებული თურქულ ენებში: kapuz, akadaš, āmut, āpa, gimizi, tušu, gašidan [Гаджиева, 1979:81].

➤ **v თანხმოვანი სრულად რედუცირდება:**

- ინტერვოკალურ პოზიციაში, რის შედეგადაც ვიღებთ დიფთონგებს ან დიფთონგოიდებს:

növbä → nö^ubä - რიგი

tovuz gušu → tous gušu // to^us gušu –

javaš → juaš - ნელა

ფარშავანგი

juva → jua - ბუდე

dövlät → döjlät // dö^lät → სახელმწიფო

čuval → čual - ტომარა

g^uävazä → g^uöäzä // g^uüäzä - ყბედი,

divar → duar - კედელი

მსუნაგი

ovuž → o^už - ხელის გული

dovšan → doššan // dö^ušan // dö^ušan –

nävä → nüä - შვილიშვილი

კურდღელი

govurma → gourma - ყაურმა

Mövlud → Mö^lüt // Mö^ulüt -

gərgovul → gərgoul – ხოხობი

ახალდაბადებული, მეკლუდი

g^uavalı → g^uöäli//g^uüäli -

duvag → duax - ფატა (პატარძლის სახის დასაფარად)

ქლიავი

jüvürmäk → jürmäx’ - სირბილი

Novruz → Nojruz // Nö^uruz //

Nouruz//No^uruz - ნოვრუზი

- სონორ და ნაპრალოვან (x, γ, v, h) თანხმოვნებთან მეზობლობაში, მაგ.:

ovxag → oxax - ნამცეცები

dövlät → dölät - სახელმწიფო

čovyun → čöyün - ქარბუქი

dövrän → döran - მიმოქცევა

ävväl → äväl - წინათ

kövräk → köräx' // köjräx' - მტკრევადი,

dovya → döyā - დავა

ფხვიერი

g'övhär → g'öhär - ძვირფასი

kösöv → kösöj - მუგუზალი

ქვა (ალმასი, ბრილიანტი ...)

ინლაუტში v თანხმოვნის რედუქცია გვხვდება თურქული ენის დიალექტებშიც, მაგ.: čajş, taug, haut, auşar, soug, goug, douşan, oulan, jauştur, jouglan [Korkmaz, 1956:27].

➤ **h თანხმოვნის რედუქცია:**

daha → dā - კიდე

Şahverdi → Şāverdi – შაჰვერდი

sähär → sār - დილა

şahid → šait – შაჰიდი

vähşi → vāşi - ველური

dähşätli → dāşätli - საშინელი

tähvil → tāfil – ანგარიში

möhtağ → mötağ – ვისაც

xahiş → xaiş - თხოვნა

სჭირდება

şähär → šār - ქალაქი

möhlät → mölät - დრო,

sähv → sāf - შეცდომა

გადავადება

mähsul → māsul – მოსავალი

seg'ah → seg'ā - სეიგაჰი.

möhkäm → mökām - მაგარი

➤ **d თანხმოვნის რედუქცია, მაგ.:**

g'ündüz → g'ünüz - დღისით

ämizdirmäk → ämzirmäk – აწოვინებს

g'ündüzläri → g'ünüzläri - ყოველდღიურად

d ბერის სრული რედუქციის შემთხვევები გვაქვს ასევე თურქული ენის დიალექტებშიც, მაგ., gündüz → günüz, hadižä → hajže [Aksoy, 1945:25].

➤ **š თანხმოვნის სრული რედუქცია** აღინიშნება აზერბაიჯანული ენის ირეალისის (უნახაობის კატეგორია) ნამყო დროის მეორე პირის, როგორც მხოლოდითი, ასევე მრავლობით რიცხვებში, -maş⁴ (-maş// -miş// -muş// -müş)

სუფიქსში. იგივე პროცესი გვხვდება ყუბის დიალექტშიც [Bayramov, 2022:153]; მაგ.:

- gojmuşsan → gojmusan - დადე baxmāşşənəz → baxməşəz - გინახავთ
 gʻālmışsiniz → gʻālmisiz - (თურმე)
 მოსულხართ baxmāşşan → baxməsan - გინახავს
 gʻālmışsān → gʻālmisān - (თურმე)
 მოსულხარ almāşşənəz → alməşəz - ნაყიდი გქონიათ
 gojmuşsunuz → gojmusuz - დადეთ almāşşan → alməsan - ნაყიდი გქონია

➤ **l** თანხმოვნის სრული რედუქცია შეგვიძლია დავყოთ ორ ჯგუფად:

- სიტყვაში ორი l ბგერის შეხვედრის დროს, მაგ.:

āllār → ālār - ხელები	pillākān → pilākān - კიბე
gʻüllār → gʻülār -	bālli → bāli - ცნობილი
ყვავილები	millāt → milāt - ხალხი

- ხმულ თანხმოვნებთან **p, t, g, k** თანხმოვნებთან მეზობლობის დროს, მაგ.:

saplag → sapax - ყუნწი	kilitlāmāk → kitdāmāxʻ - ჩაკეტვა
altda → atda - ქვეშ	bālkā → bākā// bājām // bām - შეიძლება.
xalg → xax - ხალხი	

l თანხმოვნის სრული რედუქცირება ასევე გვხვდება თურქული ენის დიალექტებშიც, მაგ., kalkmak → kakmak, abla → aba, ajɫmak → ajmak, kilitlemek → kitlemek, belki → beki [Aksoy, 1945:46]. ასევე ფიქსირდება ყარაყალფადურ ენის თურმეობით კილოში, bol და kal სიტყვებში, მაგ., bolsa → bosa, kalsa → kasa [Дмитриев, 1955:279].

➤ **f** თანხმოვნის რედუქცია იშვიათი მოვლენა და გვხვდება სულ ორიოდ სიტყვაში:

tüfängʻ → tuängʻ - თოფი
 šäftalə → šöjtäli - ატამი

➤ **m** თანხმოვნის სრული რედუქცია:

amma → ama - მაგრამ

čimmäk → čimäk - ბანაობა

➤ **ყ თანხმოვნის** სრული რედუქციის გვხვდება.

- **-dug+(პირის ნიშანი)** ზმნის საწყისი ფორმის სუფიქსის ხმარებისას ინტერვოკალურ პოზიციაში, **g** თანხმოვანი გადადის **ყ**-ში და რედუქციის შედეგად გრძელი **ū** ხმოვანი მიიღება, მაგ.:

gur-duყ-um → gurdūm - ჩემი დაარსებული

soj-duყ-um → sojdūm - ჩემი გაფცქვნილი

goj-duყ-um → gojdūm - ჩემი ჩა-//დადებული

- სიტყვის ფუძეში, მაგ.:

ašaya → ašā - ქვევით

sayləg → sāləx - სადღეგრძელო

čayər! → čār! - დამიდახე!

IV. 4.2.2.3. თანხმოვნის სრული რედუქცია აუსლაუტში

აზერბაიჯანულ ენის ყაზახურ დიალექტში აუსლაუტში გვხვდება თანხმოვნების **r, t, l, g, n, s** სრული რედუქცია.

- **r ბგერის რედუქცია** მ. შირალიევის აზრით, აზერბაიჯანული ენის დიალექტებსა და თქმებში ჩვეულებრივი მოვლენაა [Şirəliyev, 2008:104]. აუსლაუტში **r** ბგერის რედუქცია გვხვდება შემდეგ შემთხვევებში:

- **r** თანხმოვანზე დაბოლოებულ ზმნებში ბრძანებით კილოში, მაგ.:

bästir! → bästi! - გეყოფა!

g'ötür! → g'öt! - აიღე!

g'ätir! → g'äti! - მოიტანე!

jetir! → jet! - მიაღწიე!

otur! → otu! - დაჯექი!

- სიტყვაშეთანხმების დროს, როცა პირველი სიტყვა არის bir („ერთი“), ხოლო მეორე სიტყვა იწყება თანხმოვნით, მაგ.:

bir kārā → bi kārā -

bir dəfə → bi dəfə -

ერთხელ, ერთგზის

ერთხელ, ერთგზის

bir g'ün → bi g'ün - ერთი დღე

bir käs → bi käs - ვინმე

bir tāk → bi tāk - მარტო

- შემასმენლობითი კატეგორიის მე-3 პირის სუფიქსს -dər⁴ r თანხმოვანი სრულად რედუცირდება, მაგ.:

joxdur → joxdu - არ არის

uṣagdər → uṣaxdā - ბავშვია

budur → budu - ეს არის

täläbädür → täläbädi - სტუდენტია

beṣdir → beṣdi - ხუთია

goṣadər → goṣadā - მოხუცია.

r ბგერის რედუცირება გვხვდება ასევე თურქული ოჯახის ენების დიალექტებში. ამ ენებში აღნიშნული თანხმოვნის რედუცირება უფრო მეტად გვხვდება სუფიქსებში. მაგალითად, თურქმენული ენის თეკეს დიალექტში: boljar → bolja - იქნება; g'ezjār → g'ezjä - ივლის. ყუმიყურ ენაში მრავლობით რიცხვში არსებითი სახელი ნათესაობით, მიცემითა და ბრალდებით ბრუნვებში მრავლობითობის სუფიქსის r თანხმოვანი რედუცირდება: jol-lar → jol-la-na; til-ler → til-le-ni; jol-lar → jol-la-ga, til-ler → tillege. ყარაჩაულ-ბალყარულ ენაში კი ბრუნვის დროს მრავლობითობის რიცხვის სუფიქსის r თანხმოვანი რედუცირდება და la, -le ფორმით არის წარმოდგენილი [Дмитриев, 1955:279].

r თანხმოვნის რედუქცია ფიქსირდება ასევე თურქული ენის დიალექტებში როგორც სიტყვის ფუძეში, ასევე სუფიქსებშიც. ეს მოვლენა ფართოდ არის გავრცელებული ბულგარეთში გავრცელებული თურქული ენის დიალექტებში, მაგ., bazalək, kakalar, otururka, piṣidi [Bolqarıstandakı türk dialektleri], gidäkän, jetä, gidälä, sokäla [Korkmaz, 1956:79]. ამ დიალექტებში ისევე, როგორც ყარაჩაულ-ბალყარულ ენაში, მრავლობითობის სუფიქსის r თანხმოვანი რედუცირდება, მაგ.: bunlä, onlä, çoṣukla, kirläda, arkadaşla, çekmişle, bulgallä, istemellä [Şirəliyev, 2008:104].

- **t** თანხმოვნის რედუქცია - როგორ ჩანს ემპირიული მასალიდან ეს პროცესი იშვიათი მოვლენაა.

- სიტყვაში აუსლაუტში, **s** და **x** თანხმოვნებთან მეზობლობაში. ორი თანხმოვნის ერთად გამოთქმა რთულია და აუსლაუტში მყოფი **t** თანხმოვანი იკარგება, მაგ.:

- vaxt → vax - დრო

rast → ras - მართალი

dost → dos - მეგობარი

särbäst → särbäs - თავისუფალი

süst → sus - მოდუნებული

nä vaxt → nä vax → havax - როდის

üst-üstä → üs-üstä -

bädbäxt → bedbax// bedbaxt -

ზედიზედ

უბედური

rast g'äldi → ras g'äldi - შეხვდა

- სიტყვა შეთანხმების დროს:

როცა ორი სიტყვის გასაყარზე გვხვდება **t** თანხმოვანი (პირველი სიტყვა მთავრდება **t**-ზე, ხოლო მეორე სიტყვა იწყება **t** თანხმოვნით), მაგ.:

üst täräf → üs täräf - ზედა მხარე.

t-ს სრული რედუცირება გვხვდება ასევე უზბეკურ ენაში, მაგ., past → pas, dust → dus; gušt → guš; sust → sus; bardošt → bardoš [Кохонов, 1941:24].

ასევე გვხვდება თურქული ენის დიალექტებში, მაგ., dest → des, dost → dost, rast → iras [Caferoğlu, 1944: 227; 228; 247].

- **h** თანხმოვნის რედუქცია შეგვხვდა სულ რამდენიმე ნასესხებ სიტყვაში, მაგ.:

seg'ah → seg'a - სეიგაჰი (მუს.)

sähih → sahi - მართალი

inšallah → inšala - ინშალა (ღმერთმა ქნას)

mašallah → mašala - მაშალა (ღმერთმა ასე იწება)

- **l** თანხმოვანის სრული რედუცირება აზერბაიჯანული ენის დასავლური ჯგუფის ყაზახურ დიალექტში ფიქსირდება მხოლოდ სულ რამდენიმე სიტყვაში, მაგ.:

g'äl! → g'ä! - მოდი!

dejil → döj - არ არის

ortanžal → ortanžə - შუათანა

l თანხმოვანის სრული რედუცირება გვხვდება ასევე თურქული ენის დიალექტებში, მაგ., bir jol → bijo; nasəl → nasə; evvel → ävə [Korkmaz, 1956:78].

- **s** თანხმოვანის რედუქცია გვხვდება მხოლოდ ერთ სიტყვაში, მაგ., bäs → bə - აბა.

- **g** თანხმოვნის რედუცირება გვხვდება მხოლოდ ერთ სიტყვაში, მაგ., čərag → čəra // čərax - ლამპარი, სანათი.

IV. 4.2.3. მარცვლის რედუქცია

აზერბაიჯანულ ენაში რედუქციის პროცესს განიცდიან არა მხოლოდ ბგერები, არამედ მთლიანად მარცვლებიც. ეს მოვლენა განსაკუთრებით თვალსაჩინოა აზერბაიჯანული ენის ყაზახურ დიალექტში დიალექტურ ვარიაციებში. ვფიქრობთ, მარცვლოვანი რედუქცია, როგორც ფონეტიკური პროცესი, ასოცირდება მეტყველების ეკონომიასთან და სისწრაფესთან და ქმნის გამარტივებულ არტიკულაციურ ფორმებს, რის შედეგადაც ხდება მარცვლის შემადგენელი ბგერების შეკვეცა ან სრული გაქრობა.

მარცვლის რედუქცია გვხვდება ანლატში, ინლაუტსა და აუსლაუტში.

IV. 4.2.3.1. მარცვლის სრული რედუქცია ანლაუტში

მარცვლის სრული რედუქცია ანლაუტში არის ფონეტიკური პროცესი, რომლის დროსაც სიტყვაში არსებული საწყისი მარცვალი სრულად იკარგება⁶⁸, მაგ.:

Hüsejin → Söjün // Söün // Söün -

nišan → šan - ნიშნობა

ჰუსეინი

nišanla → šanla - დანიშნული

Jusif → Suf - იუსუბი

nišanlasa → šanasa - მისი დანიშნული

jumurta → murta - კვერცხი

(საცოლე/საქმრო).

jumurtajəb → murtəf//murtlf – კვერცხის

დადება

IV. 4.2.3.2. მარცვლის სრული რედუქცია ინლაუტში

მარცვლის სრული რედუქცია ინლაუტში არის ფონეტიკური პროცესი, რომლის დროსაც სიტყვის ფუძეში მყოფი მარცვალი, ან რამდენიმე ბგერა რედუცირდება, მაგ.:

islājārām → iṣdārām - ვიმუშავე

islājārsän → iṣdārsän - იმუშავე

⁶⁸ ნაწილობრივ ეს საკითხი განვიხილეთ სრული რედუქციის დროს, იხ. სრული რედუქცია.

başlajarsan → başdārsan - დაიწყებ

gʻätirdi → gʻät̄di - მოიტანა

aylajəram → aylēram - ვტირი

gʻözlājir̄ik → gʻözdör̄uxʻ - ველოდებით

mähällä → māj̄lā - უბანი

gʻözlāj̄arlār → gʻözdāllār - დაელოდებიან

garyədalə → gardalə - სიბინდი

şikajät → šikat - ჩივილი

gʻötürd̄ü → gʻöt̄d̄ü - აიღო

čijälām → čālām - მარწყვი.

როცა პირველი სიტყვა არის წოდებითი შორისდებული aj („ეი“), ხოლო მეორე სიტყვა kiši („კაცი“), მაგ.: Aj kiši → Ajkiši → āši! - ეი, კაცი!

IV. 4.2.3.3. მარცვლის სრული რედუქცია აუსლაუტში

მარცვლის სრული რედუქცია აუსლაუტში ვლინდება მაშინ, როდესაც სიტყვის ბოლო მარცვლის რამდენიმე ბგერა, ან მარცვალი მთლიანად იკარგება ფონეტიკური გამარტივების მიზნით, მაგ.,

daha → dā - კიდე

dejil → dōj - არ არის

daha da → dāda - კიდეც უფრო

ზოგიერთი ზმნა მესამე პირის ბრძანებით კილოში კარგავს აწმყოს სუფიქსს -ir⁴, მაგ., gʻätir! → gʻät - მოიტანე!

otur! → ot! - დაჯექი!

bäsd̄ir → bäsdi - გეყოფა!

gʻötür → gʻöt - აიღე!

IV. 5. მეტათეზისი

მეტათეზისი (ბერძნ. μετάθεσις – „გადანაცვლება“) ანუ **გადასმა** არის ფონეტიკური პროცესი, რომელიც ენათმეცნიერებაში აღნიშნავს სიტყვაში ბგერების ადგილის ცვლილებას [ჩიქოვაძე, 2008:104]. აზერბაიჯანული ენის ყაზახურ

დიალექტში მეტათეზისის პროცესი ფართოდ არის გავრცელებული. გვხვდება კონტაქტური და დისტანციური მეტათეზისი.

IV. 5.1. კონტაქტური მეტათეზისი

კონტაქტური მეტათეზისი არის მეტათეზისის ტიპი, რომლის დროსაც ადგილებს ცვლიან ერთმანეთის გვერდით მდგომი ფონემები ანუ გადაადგილება ხდება უშუალოდ ერთმანეთთან კონტაქტში მყოფ ბგერებს შორის. აზერბაიჯანული ენის დასავლური ჯგუფის ყაზახურ დიალექტში კონტაქტური მეტათეზისი გვხვდება როგორც თანხმოვნების, ასევე თანხმოვნებსა და ხმოვნებს შორის.

IV. 5.1.1. თანხმოვნების კონტაქტური მეტათეზისი

აზერბაიჯანული ენის ყაზახურ დიალექტში გვაქვს შემდეგი კონტაქტური მეტათეზისის შემთხვევები; მაგ.,

- **rh → hr:** Färhad → Fährät - ფარხადი;
- **rğ → ğr:** doyra! → dorya! // doyra! - დაჭერი!
doyrama → doryama - დოღრამა (შეჭამანდი).
- **gʳ → rgʻ:** öjrādir → öġʻrādir → örgʻāder // örgʻādir - ასწავლის
ijrānir → irġʻānir // irġʻāner – ეზიზდება

ზემომოყვანილ მაგალითებზე დაკვირვებით შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რომ აზერბაიჯანული ენის ყაზახური დიალექტი თავკიდურ პოზიციაში ორი პალატალური ფონემის თავმოყრას გაურბის, რის გამოც ახდენს ამ კომპლექსის გათიშვას სონორით, მაგ., öjrādir → öġʻrādir → örgʻāder // örgʻādir.

თანამედროვე აზერბაიჯანულ ენაში გამოყენებული öjrätmək ზმნა, აზერბაიჯანული ენის დიალექტებში წარმოდგენილია ფორმებში: örgʻādir, öġʻrādir, örgʻānir, öġʻrānir, ürgʻet [Bayramov, 2022:157]. ამ სიტყვებში - კერძოდ კი პირველ

მარცვალში - არსებული j ბგერა კილოკავებში *g* ბგერით გამოითქმის, რის გამოც მიღებულია ბგერათა ცვლილება *gʳ → rgʳ* სქემით. აქ მეტათეზისის პროცესთან ერთად გვაქვს ბგერათჩანაცვლების პროცესიც, რომელსაც *xʼ* ამ მოსაზრებას იზიარებს ენათმეცნიერი რ. რუსთამოვიც, რომელმაც ეს მოსაზრება ყუბის დიალექტთან დაკავშირებით გამოთქვა [Rüstəmov, 1961:102].

- **br → rb → rv:** İbrahim → İrbaham → İrvaham// Rvaham - იბრაჰიმი
- **šm → mš:** jašmag → jemšaxʼ // jamšax - რიდე
- **sk → ks → js:**
 ösküräk → ösküräk → öjsüräxʼ - ხველა
 äskik → äksik → äjsixʼ - დანაკლისი
 äski → äksi → äjsi - ჩვარი
 üskük → üksük → üjsüxʼ - სათითური;
- **rm → mr:** dərmağ → dəmrəx – ფოცხი;
- **yz → zg:** vaɣzal → vaɣzal → vazgal - სადგური. ვფიქრობ, *y* → *g* გადასვლა რუსული ენის გავლენაა.
- **jr → rj:** gejrätli → girjetdi - პატიოსანი;
- **dj → jd:** madyan (dişi at) → majdan – ფაშატი;
- **šh → hš:** mäšhur → mähşur - ცნობილი;
- **sg → xs:** asgərmag → axsərmax – ცემინება. *g* → *x* ასიმილაციის შედეგად მიღებული პროცესია.
- **lv (←lb) → vl:** gälɒ → gälɒ → gävl – გული, სული
- **fr → rf:** süfrä (sufra) → surfa // sürfä - სუფრა.

IV. 5.1.2. ხმოვნისა და თანხმოვნის კონტაქტური მეტათეზისი

ხმოვნისა და თანხმოვნის მეტათეზისის პროცესზე საუბრისას განვიხილავ იმ შემთხვევებს, როცა ხმოვანი და თანხმოვანი გვერდიგვერდ მდგომი ბგერები სიტყვაში ადგილებს უცვლიან ერთმანეთს. აქედან გამომდინარე, ეს მეტათეზისი არის

კონტაქტური. ეს პროცესი დაკავშირებულია ენის განვითარების ბუნებრივ პროცესებთან, მეტყველების ფონეტიკურ ადაპტაციასთან, ან დიალექტურ განსხვავებებთან.

- **rə → ər:** ayrədər → ayərdər – ტკენს
- **šü → üš:** šüšä → üššä - მინა, შუშა
- **əg → gə:** janəglə → jangələ - დამწვარი
- **ri → ir:** brigadir → birgadir - ბრიგადირი
- **ni → in// ən:** balnitsa → balinsa // balənsa - საავადმყოფო. მოცემულ მაგალითში აზერბაიჯანული ენის ყაზახური დიალექტი მეტათეზისით თავს არიდებს ორი სონორის თავმოყრას.

IV. 5.2. დისტანციური მეტათეზისი

დისტანციური მეტათეზისი არის მეტათეზისის ისეთი ფორმა, როდესაც ადგილებს ცვლიან ბგერები, რომლებიც ერთმანეთის გვერდით არ დგანან, ანუ არ არიან მეზობლად, მაგრამ მაინც ხდება მათი გადანაცვლება ერთი სიტყვის ფარგლებში. აზერბაიჯანული ენის ყაზახურ დიალექტში გვხვდება როგორც ხმოვნების დისტანციური მეტათეზა, ასევე თანხმოვნების დისტანციური მეტათეზა.

IV. 5.2.1. ხმოვნების დისტანციური მეტათეზისი

აზერბაიჯანული ენის დასავლური ჯგუფის ყაზახურ დიალექტში ხმოვნების დისტანციური მეტათეზისი დავადასტურე მხოლოდ ერთ შემთხვევაში, მაგ.:

- **ə-a → a-ə:** bayərsag → bayarsəx - ნაწლავი.

IV. 5.2.2. თანხმოვნების დისტანციური მეტათეზისი

აზერბაიჯანული ენის ყაზახურ დიალექტში გვხვდება შემდეგი თანხმოვნების დისტანციური მეტათეზისი, მაგ.:

- **l-n** → **n-l**: länät → nahlät - წყევლა
- **t-r** → **r-t**: göstər → görsət - აჩვენე
- **l-r** → **r-l**: šalvar → šarval - შარვალი
- **r-l** → **l-r**: iräli → iläri - წინ
- **m-h** → **h-m**: ğamaat → ğamahat → ğahamat - ჯამაათი
- **k-d** → **d-k** → **t-k**: xäkändaz → xätänkäz – აქანდაზი
- **r-n** → **n-r**: xurğun → xunğur - ხურჯინი
- **y-n** → **n-x**: jorğun → jornux. სიტყვის ბოლოში **y** → **x**, აქ საქმე გვაქვს დაყრუების პროცესთან.

IV. 6. ბგერათჩანაცვლება

ბგერათჩანაცვლება არის ენის ფონეტიკური პროცესი, რომლის დროსაც სიტყვაში ერთი ბგერა, ან ბგერათა ჯგუფი იცვლება სხვა ბგერით, გარკვეული ფონეტიკური, მორფოლოგიური, ან სემანტიკური მიზეზებით. ეს არის ბუნებრივი ენობრივი მექანიზმი, რომელიც აისახება სიტყვათა წარმოქმნაზე, ფორმობრივ-სემანტიკურ ცვლადობაზე და ა. შ.

აზერბაიჯანულ დიალექტებში ბგერების ჩანაცვლება ფართოდ გავრცელებული ფონეტიკური მოვლენაა. შიდა დიალექტურ სისტემაში ბგერების ჩანაცვლების შესწავლა დიალექტოლოგიის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას წარმოადგენს. აღნიშნული ფონეტიკური პროცესი განსაკუთრებული მნიშვნელობის მატარებელია არა მხოლოდ დიალექტოლოგიისთვის, არამედ აზერბაიჯანული ენის ისტორიული ფონეტიკისა და თურქული ენების ფონეტიკური თავისებურებების შესწავლისთვისაც [Bayramov, 2022:73].

ბგერების ჩანაცვლებასთან დაკავშირებით მ. შირალიევი წერს: „ჩვენს დიალექტებსა და თქმებში გავრცელებული მრავალი ბგერითი ჩანაცვლების შემთხვევა ფასდაუდებელ მასალას წარმოადგენს როგორც ცალკეულ დიალექტებსა და თქმებს შორის, ისე დიალექტებსა და აზერბაიჯანული სალიტერატურო ენას შორის არსებული განსხვავებების გამოსავლენად. გარდა ამისა, ამ პროცესის მეშვეობით შესაძლებელია ენის ძველი თვისებების გამოკვეთა და აზერბაიჯანულსა და სხვა თურქულ ენებს შორის საერთოსა და განმასხვავებლის დადგენა. შედეგად, ეს მნიშვნელოვანი მასალა არსებით როლს ასრულებს ჩვენი ენის წარმოშობისა და განვითარების გზების კვლევაში და ენის ისტორიისათვის დიდ სარგებელს იძლევა“ [Şirəliyev, 1967:39].

აზერბაიჯანული ენის ყაზახურ დიალექტში ბგერების ჩანაცვლება ორ ჯგუფად იყოფა:

1. ხმოვნების ჩანაცვლება;
2. თანხმოვნების ჩანაცვლება (სუბსტიტუცია).

IV. 6.1. ხმოვნების ჩანაცვლება

აზერბაიჯანული ენის დიალექტებში ხმოვანთა ჩანაცვლება ხშირად ისეთ ფონეტიკურ სახეს იძენს, რომელიც აშკარად განსხვავდება აზერბაიჯანული სალიტერატურო ენის ნორმებისგან. კერძოდ, დიალექტებში ხშირია შემთხვევები, როდესაც მაგარი ხმოვნები ანაცვლებენ რბილ ხმოვნებს, ბაგისმიერები - არაბაგისმიერებს, ხოლო ღია ხმოვნები - დახურულ ხმოვნებს. აღსანიშნავია, რომ ასეთ ჩანაცვლებას, როგორც წესი, არ მოაქვს ცვლილება სიტყვათა ლექსიკურ მნიშვნელობაში [Bayramov, 2022:73].

ეს ცვლილებები დიალექტის შიგნით ფონოლოგიური სისტემის თავისებურებებს ასახავს და ხშირად დაკავშირებულია როგორც არტიკულაციურ ადაპტაციასთან, ისე მეტყველების ბუნებრივ დინამიკასთან.

როგორც ე. აზიზოვი აღნიშნავს: „აზერბაიჯანული ენის დიალექტები და თქმები ხმოვანთა ჩანაცვლებით გამორჩეულად მდიდარია. აუცილებელია

გავითვალისწინოთ, რომ ჩანაცვლება გარკვეულწილად პირობითი ტერმინია, რადგან დიალექტებსა და თქმებში ხშირად საერთოდ არ ხდება რაიმე ჩანაცვლება. ამა თუ იმ ფონეტიკური მოვლენა დიალექტურ სისტემაში ისტორიულად არსებობს და არსებობას დღემდე განაგრძობს. შესაბამისად, სალიტერატურო ენასთან შედარებით დაფიქსირებულ მრავალგვარ ჩანაცვლებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს აგრეთვე ჰარმონიის კანონი“ [Əzizov, 1999:17].

აზერბაიჯანული ენის დასავლური ჯგუფის ყაზახურ დიალექტში დამახასიათებელია ხმოვნების მონაცვლეობის მრავალფეროვანი შემთხვევები, რომლებიც სისტემურ ხასიათს ატარებს. აღნიშნული ხმოვანთა ჩანაცვლების პროცესები რამდენიმე ჯგუფად შეიძლება დაიყოს:

1. უკანაენისმიერი (მაგარი) ხმოვნების წინაენისმიერ (რბილი) ხმოვნებით ჩანაცვლება;
2. წინაენისმიერი ხმოვნების უკანაენისმიერი ხმოვნებით ჩანაცვლება;
2. ბაგისმიერი ხმოვნების არაბაგისმიერი ხმოვნებით ჩანაცვლება;
3. არაბაგისმიერი ხმოვნების ბაგისმიერი ხმოვნებით ჩანაცვლება;
4. ღია ხმოვნების დახურული ხმოვნებით ჩანაცვლება;
5. დახურული ხმოვნების ღია ხმოვნებით ჩანაცვლება;
6. ღია ხმოვნების სხვა ღია ხმოვნებით ჩანაცვლება.

1. უკანაენისმიერი (მაგარი) ხმოვნების წინაენისმიერ (რბილი) ხმოვნებით ჩანაცვლება:

- **a → ä.** აღნიშნული პროცესი გვხვდება სიტყვის ყველა პოზიციაში, როცა მას ის მეზობლობს j, d ან სონორი თანხმოვანი, მაგ.:

ajag → äx // äjax - ფეხი

köša → köšä - ქოსა

adät → ädät - ადათი

žällad → žällät - სასტიკი

dünja → dünjä - მსოფლიო

xalat → xälät - ხალათი

bank → bänk - ბანკი

ajaz → äjaz - სუსხი

lampa → lämpä - ლამპა

jumag → jümäx' - რეცხვა

ganad → gänät - ფრთა

amma → ämbä - მაგრამ

däsmal → däsmäl - ხელსახოცი

jasämän → jäsämän - იასამანი

guruldada → gürüldädi //

güruldada - იღუღუნა

gajnana → gajnäna -

bajguš → bājguš // bājyuš - ბაიყუში

დედამთილი, სიდედრი

ა. ახუნდოვი ამ პროცესთან დაკავშირებით ამბობს, რომ $a \rightarrow \ddot{a}$, „გარე ენობრივ მოვლენებთან უნდა იყოს დაკავშირებული“ [Axundov, 1984:35].

$a \rightarrow \ddot{a}$ ბგერათჩანაცვლების პროცესი თურქულ ენებში გვხვდება შუა საუკუნეების ძეგლებში. „თანამედროვე დიალექტებში აღნიშნული ჩანაცვლება XIV საუკუნის გადმონაშთად ითვლება. დარბილების პროცესი აზერბაიჯანული ენის სამხრული და ჩრდილო-აღმოსავლური დიალექტების ფორმირებაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან მახასიათებლად იქცა“ [Əzizov, 1999:140].

$a \rightarrow \ddot{a}$ ხმოვნების მონაცვლეობა გვხვდება იმ. ნასიმისთან (garä, gära), ქიშავართან (jähši-jäman), „ასრარნამეში“ (bäyir, šähliq, gärintaş, gäjyu, jähši, jähši-jäman), მ. ფიზულისთან (gära, jägä, äjayä), „შუჰადანამეში“ (gožä, sonrä, gažär, jähši) [Əzizov, 1999:137-138].

$a \rightarrow e$ პროცესი არ არის ფართოდ გავრცელებული და გვხვდება სიტყვის ფუძეში, ძირითადად სიტყვის მე-2 და მე-3 მარცვლებში. მ. შირალიევი e ხმოვან მიიჩნევს დახურულ ხმოვნად, ხოლო იბ. ბაირამოვი e ხმოვნის შესახებ თვლის, რომ სამეცნიერო თვალსაზრისიდ არ არის სწორი, რომ e ხმოვანი დახურულია; ის თვლის რომ e ღია ხმოვანია [Bayramov, 2022:63]. არ ვეთანხმები ამ მეცნიერებს, ვინაიდან e ხმოვანი შუაენისმიერ, რბილ ხმოვნად მიმაჩნია. $a \rightarrow e$ პროცესი თავს იჩენს შემდეგ მაგალითებში:

haj-haraj → haj-harej - ხმაური, შდრ. ქართ. ჰარი-ჰარალი (მისამღერი)

başlajərlar → başlellar - იწყებენ

balalayırar → balalellar - დაყრა

aylajərlar → aylellar - ტირიან

mülajim → mileim // milēm - გულკეთილი, რბილი

ე. აზიზოვი ამ პროცესთან დაკავშირებით ($a \rightarrow e$) ისტორიული დიალექტოლოგიის თვალსაზრისით წერს: „ a ხმოვნის e ხმოვნით ჩანაცვლების

პროცესი გვხვდება ძირითადად სიტყვის შუა პოზიციაში, იშვიათად სიტყვის დასაწყისში j თანხმოვანთან მეზობლობაში, რომელიც განაპირობებს e-ში გადასვლას.“ აზერბაიჯანული ენისთვის დამახასიათებელი ეს პროცესი შუა საუკუნეების თურქულ ენებში გვხვდება [Əzizov, 1999:142].

- **u → ü:** ეს პროცესი არ არის ფართოდ გავრცელებული პროცესი, გვხვდება ინლაუტში, მაგ.:

jumag → jümäx' - რეცხვა

tojug → töüx' → tö^üx' - ქათამი

jujub → jüjüf // jñf - გარეცხა

ovug → öjüx - ფულურო

sükut → süküt - სიხუმე

sojug → sөjüx // sөx - სიცივე

hüžum → hüžüm - შეტევა

guruldada → gürüldädi // güruldada -

sütun → sütün - სვეტი

იღულუნა

huş → hüş - მეხსიერება

- **o → ö:** ეს პროცესი არ არის ფართოდ გავრცელებული პროცესი, გვხვდება სიტყვის პირველ პოზიციაში j თანხმოვნის წინ და გვხვდება სულ რამდენიმე სიტყვაში, მაგ., dovya → döjya // döjyä - დოვლა

tojug → tö^üx' // töjux - ქათამი

sojug → sөjüx' // sөx' - სიცივე

o g'ün → öjün // öün - იმ დღეს

o g'ünläri → öjünnäri // öünnäri - იმ დღეებში.

2. წინაენისმიერი ხმოვნების უკანაენისმიერი ხმოვნებით ჩანაცვლება:

ეს პროცესი ფართოდ არის გავრცელებული და ამ პროცესში ყველა წინაენისმიერი ხმოვანი იღებს მონაწილეობას.

- **ä → a** ბგერაჩანაცვლების პროცესს აზერბაიჯანულ სამეცნიერო წრეში ხშირად გამაგრების პროცესს უწოდებენ. ემპირიულ მასალაზე დაყრდნობით შემოიღია დავასკვნა, რომ ეს პროცესი ხშირი და დამახასიათებელია აზერბაიჯანული ენის დასავლური ჯგუფის ყაზახური დიალექტისათვის. ეს პროცესი გვხვდება ყველა პოზიციაში, მაგ.:

ანლაუტში: äzdaha → aždaha - გველეშაპი;

ინლაუტში:

täsdig → tasdax - დასტური

düşmān → tuşman → tüşman -

მტერი

žäza → žaza - სასჯელი

gärar → garar - გადაწყვეტილება

säbr → savər - მოთმინება

xärž → xarž - ხარჯი

gäbir → gavər - სამარე

jäni → jani // janə - ანუ

sifāt → sifāt - სახე

fürsāt → fərsāt - შესაძლებლობა

hāyāt → hayat - ეზო

bärabär → baravar - ერთად

აუსლაუტში: süfrä → surfa - სუფრა

žümä → žuma - პარასკევი

pijalä → pijala - ფიალა

ižazä → ižaza - ნებართვა.

- **e → a** პროცესი ხშირი მოვლენა არ არის. აზერბაიჯანული ენის დასავლური ჯგუფის ყაზახურ დიალექტში ეს პროცესი გვხდება **j** და **š** თანხმოვანებთან მეზობლობაში როგორც ანლაუტში, ასევე ინლაუტში.

ანლაუტში:

ejib → ajaf - სირცხვილი

Ejvaz → Ajvaz - აივაზი

ešg → ašk

ინლაუტში:

hejva → hajva - კომში

hejvan → hajvan - ცხოველი

xäbärlär → xavarrar - ამბები

zärär → zaral - ზარალი

Häsän → Hasan - ჰასანი

Zejnäb → Zejnaf - ზეინაბი

gijmät → gijmat - ფასი

güvvät → guvvat - ძალა

žijär → žijar - ფილტვები

mänä → mana // maŋa// maa - მე
(მიც. ბრ.)

sänä → sana // saŋa // saa - შენ (მიც.
ბრ.)

gässab → gassaf - გასაბი

hejf → hajəf - შურისძიება

- **i → ə:** ეს პროცესი შეიძლება ამ დიალექტისათვის დამახასიათებელ თვისებად ჩაითვალოს. გვხდება სიტყვის ყველა პოზიციაში:

ანლაუტში:

işəg → əşəx // şəx - შუქი

iləg → ələx - ნელ-თბილი

inilti → ənəltə - კრუსუნი

isərga → əsərya - გამონაყარი (ყელზე)

iştaha → əşdah - მადა

isit! → əsət - გააცხელე!

işəldamag → əşəldamax - განათება

irag - ərax // rax - შორს

ilxə → əlxə - ჯოგი

ინლაუტში:

bildirçin → bəldərçən - მწყერი

sifət → səfat - სახე

zalim → zaləm - დესპოტი

xəmir → xəmə - ცომი

təsdig → təsdəx - დამტკიცება

ejib → əjəf - სირცხვილი

gisim → gəsəm - ნაწილი

isit! → əsət - გააცხელე!

kafir → kafər - ურჯულო

faiz → fajəz - პროცენტი

xilas → xəlas - ხსნა

bais → vajəs - დამნაშავე

İbrahim → Ərvaham // Rvaham - იბრაჰიმი

- **ü → u:** ეს პროცესი გვხდება როგორც სიტყვის პირველ, ასევე მე-2 მარცვლებში. ვფიქრობ, ეს პროცესი უნდა იყოს განპირობებული მეზობელი ხმოვნების აკუსტიკურ მახასიათებელან. ეს პროცესი სიტყვაში გვხვდება სამივე პოზიციაში:

ანლაუტში: üsul → usul - პირობა

Ümüd → umut - უმუდი, იმედი

ინლაუტში:

jüngül → junul // juṅul - მსუბუქი

düşmanən → tuşmanən - შენი მტერი

güvvät → guvvat - ძალა

gürur → gurur - სიამაყე

süfrä → surfa - სუფრა

bürž → burž – თანავარსკვლავედი

hüžüm → hužum - შეტევა

žümä → žuma - პარასკევი.

- **ö → o:** ეს პროცესი აზერბაიჯანული ენის დასავლური ჯგუფის ყაზახური დიალექტისათვის არ არის ფართოდ გავრცელებული მოვლენა და გვხვდება სულ რამდენიმე სიტყვაში, მაგ.:

Ömār → Omar - ომარი

tövbä → tova – ფიცი

tövlä → tojlä – ბოსელი

möşöy → moşoy// meşoy - ტომარა.

3. ბაგისმიერი ხმოვნების არაბაგისმიერი ხმოვნებით მონაცვლეობა:

ამ პროცესში ბაგისმიერი უკანაენის ხმოვნები **o, u, ö, ü** გადადიან არაბაგისმიერ უკანაენისმიერ ხმოვნებში **a, ə, e, ä, i**.

- **u → a:** აზერბაიჯანული ენის ყაზახურ დიალექტში გვხვდება მხოლოდ **u → a** ხმოვნისჩაცვლება, რომელიც არ არის ფართოდ გავრცელებული. **u → a** მონაცვლეობა გვხვდება მხოლოდ ინლაუტში, მაგ.:

namus → naməs - ნამუსი

Abdulla → Avdəlla - აბდულა

Xatun → Xatən - ხათუნი

sabunun → savənən - საპნის

suvag → səvax – ბათქაში

Mahmud → Mahmət - მაჰმუდი

budag → pətax // pütax - ტოტი

შედარების თვალსაზრისით **u → a** პროცესი შეიძლება შევადარო აზერბაიჯანულსა და თურქული ენების მაგალითებზე:

თურ. karpuz შდრ. აზერ. garpəz - საზამთრო

თურქ. kabuk შდრ. აზერ. gabəx - ქურქი

თურქ. çamur შდრ. აზერ. çamər - ტალახი

4. არაბაგისმიერი ხმოვნების ბაგისმიერი ხმოვნებით ჩანაცვლება:

- **a → o:** მ. შირალიევის აზრით, ეს პროცესი დამახასიათებელია აღმოსავლური დიალექტისათვის [Širəliyev, 2008:45] და ამ პროცესს უწოდებს **o**-ში გადასვლის პროცესს. აზერბაიჯანული ენის დასავლური ჯგუფის ყაზახურ დიალექტში ეს პროცესი გვხვდება ძირითადად როცა სიტყვის პირველ მარცვალში გვაქვს ბაგისმიერი **o** ან **u** ხმოვნები და შემდგომ მარცვალში **a** ხმოვანი მეზობლობს **j**-სთან ან სონორ თანხმოვნებთან. ეს პროცესი გვხვდება სიტყვის ან ფუძეში, ან ფუძისა და მორფემის გასაყარზე, მაგ.:

ojna-j-ər → ojnoor → ojnōr - თამაშობს (შდრ. ქართ. ონავარი - ბავშვი, თამაშისმოყვარული)

oxša-j-ər → oxšoor // oxšujur → oxšōr - ჰგავს

bula-j-ər → buloor → bulōr // bulujur - აჭუჭყიანებს

tulla-j-ər → tulloor → tullōr // tullujur - აგდებს

olsa idi → olsa-jdə → olsojdu - რომ ყოფილიყო

boysa idi → boysajdə → boysojdu - თუ დაახრჩობდა

žaməš → žomuš - კამეჩი

სიტყვაშეთანხმების დროს:

burda idi → burdajdə → burdojdu - აქ იყო

o tajda → otojda - იმ მხარეს

orda idi → ordajdə → ordojdu - იქ იყო.

- **a → u:** ფუძეში ეს პროცესი გვხვდება სულ რამდენიმე სიტყვაში. ასევე გვხვდება მორფემებისა და სუფიქსების გასაყარზე **a** ხმოვანი მეზობლობს **j**-სთან ან სონორ თანხმოვნებთან, როცა ფუძეში გვაქვს ბაგისმიერი ხმოვნები **o** ან **u**, მაგ.,

javan → juan - მჭლე

javaš-javaš → juaš-juaš - ნელ-ნელა

burajla → burujnan - აქედან

buranə → buruju // burju - აქაურობა

guraləg → gurulux - სიმშრალე

oxšajər → oxšujur // oxšōr - ჰგავს

bula-j-ər → bulōr // bulujur - აჭუჭყიანებს

tulla-j-ər → tullor // tullujur - აგდებს

ojnajər → ojnujur // ojnör - თამაშობს

gojlajər → gojlujur // gojlör - გარეთ აგდებს

gožan+a → gožu+j+u - მოხუცს (მიც. ბრ.)

kosa+n+a → kosu+j+u - ქოსას (მიც. ბრ.)

kora+j+a → koru+j+u → korju - ლურსმანი.

ვფიქრობთ, აქ დიდი მნიშვნელობა სინჰარმონიზმის კანონსაც უკავია.

- ä → ö: ეს პროცესი არის a ხმოვნის o ხმოვანში გადასვლის (a → o) „რბილი ვარიანტი“. თუ სიტყვის პირველი მარცვალში შეიცავს წინაენისმიერ ბაგისმიერ ö ან ü ხმოვნებს, მაშინ სიტყვის მე-2 მარცვლის ä ხმოვანი, რომელიც მეზობლობს j ან სონორ თანხმოვნებთან, გადადის ö-ში, მაგ.,

g'özläjirdi → g'özdördü - ელოდებოდა

pörtläjirdi → pörtödördü - იშუშებოდა (ნამყო უსრული)

söjläjirdi → söjlördü - ყვებოდა

öpsä idi → öpsöjdü - რომ ეკოცნა

g'örsä idi → g'örsöjdü - თუ ნახავდა

näfsi → nöjsü // nöfsü - სურვილი

nävä → nöä // nüä - შეილიშვილი;

გვხდება გამონაკლისებიც: käfkir → kökür - ქაფქირი.

როგორც ჩანს მოყვანილი მაგალითებიდან⁶⁹, ყველა ეს ზმნა მე-2 მარცვალში შეიცავს ä ხმოვანს, მაგრამ პირველ მარცვალში გვაქვს ბაგისმიერი - ö, შესაბამისად, მე-3 ü მე-2 მარცვლის ხმოვანი ასიმილაციის შედეგად გადადის ბაგისსმიერ ü-ში.

- e → ö: მ. შირალიევის აზრით, ეს პროცესი ფართოდ არის გავრცელებული აღმოსავლურ და დასავლურ დიალექტებში [Şirəliyev, 2008:19]. ძირითად ეს პროცესი გვხვდება სიტყვის პირველ მარცვალში, v // f⁷⁰ და j თანხმოვნებთან მეზობლობაში სიტყვის დასაწყისსა და ფუძეში. სიტყვის დასაწყისში, მაგ.,
ev → öj - სახლი

⁶⁹ აქ იგულისხმება მხოლოდ ზმნები

⁷⁰ v // f გვხვდება მხოლოდ ერთ სიტყვაში - ვფიქრობთ, აქ საქმე გვაქვს v → f → j.

evli → öjlü - დაოჯახებული

evladəm → övladəm - ჩემი შვილი

evlāndi → öjlāndi - დაოჯახდა

evžilik → öjčülux' // öjžülux' - სახლობანა (საბავშვო თამაში)

ინლაუტში: dejil → døj // döjlü - არ არის

čevir! → čör! - გადააბრუნე!

čevirir → čöjrör - აბრუნებს

dev → døj - დევი

ževiz → žöž // žö^už (gož) - კაკალი

sevinir → söjnör - ხარობს

Hüsejn → Söjn // Söjün - ჰუსეინი

neft → nöjüt // nö^ut - ნავთი

Sülejman → Sülöjman - სულეიმანი.

- **ə → u:** ეს პროცესი არ არის აზერბაიჯანული ენის ყაზახური დიალექტისათვის დამახასიათებელი და გვხვდება სულ რამდენიმე სიტყვაში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არ გვხვდება ყველა აზერბაიჯანული ენის ყაზახური დიალექტის ყველა თქმაში, žaməš → žomuš - კამეჩი სიტყვის გარდა,

მაგ., bəčag → püčax - დანა

pambəg → pambux - ბამბა.

- **i → ü:** ეს პროცესი არ არის ფართოდ გავრცელებული პროცესი და გვხვდება სულ რამდენი სიტყვაში, მაგ.,

bibi → büvü - ბიცოლა

mixäk → müxäx' - მიხაკი

sevin → söjün - გაიხარე!

kəfkir → köykür - ქაფქირი

müdir → müdür - დირექტორი

mühit → mühüt - გარემო

čevir → čör // čö^ur - გადააბრუნე

čäkiž → čäküş // cäčiš - ჩაქუჩი

➤ **i → u:**

divar → duar // doxar // doar - კედელი

Junis → Junus - იუნისი

sifät (üz) → sufat - სახე;

➤ **i → e: viranä → veränä** - დაწყებული (შდრ. ქართ. მისამართი სიტყვა ვერანა - აი, შენ ვერანა!).

ხმოვნების კლასიფიკაციაში, სადაც კუბის აღწერის დროს ხმოვნების დაჯგუფებიდან გამომდინარე, სადაც „ხმოვნები, რომლებიც განსხვავდებიან ერთი მახასიათებლით, ხმოვნების მონაცვლეობის დროს ერთმანეთს ადვილად ცვლიან (მე-2 პუნქტში განხილული ხმოვნები). ხმოვნები, რომლებიც განსხვავდებიან 2 მახასიათებლით (მე-3 პუნქტის მიხედვით), ხმოვნების მონაცვლეობა ხდება საფეხურებრივად. თუ ხმოვნები განსხვავდებიან სამი მახასიათებლით, ამ ხმოვნებს შორის ხმოვანთა მონაცვლეობა არ დასტურდება [Calilov, 1983 : 53-54] .

a ↔ ü o ↔ i ə ↔ ö u ↔ ä

e ↔ u და e ↔ o - პირობითად წარმოადგენენ ოპოზიციურ დიაგონალებს.

აზერბაიჯანული ენის ყაზახური დიალექტი ზემოაღნიშნული ფონეტიკური ჩანაცვლების მიხედვით არსებითად არ განსხვავდება ჩვენ მიერ წარმოდგენილი კუბის ოპოზიციური დიაგონალების კანონზომიერებებისაგან, რაც ადასტურებს იმას, რომ ყაზახური დიალექტი როგორც დიასისტემა შეესაბამება აზერბაიჯანული სალიტერატურო ენის ფონემატურ სისტემა-სტრუქტურას ხმოვანთა მონაცვლეობის თვალსაზრისით.

ღია ხმოვნების დახურული ხმოვნებით ჩანაცვლება:

იბრაჰიმ ბაირამოვის აზრით, ღია ხმოვნების დახურული ხმოვნებით მონაცვლეობა ეს დაჯგუფება აზერბაიჯანული ენის ყველა დიალექტში ფართოდ არის გავრცელებული [Bayramov, 2022:86].

➤ **a → ʌ:** ეს მოვლენა გვხვდება სულ რამდენიმე სიტყვის ფუძეში დისიმილაციის პროცესის ფონზე, მაგ.:

samovar → səmmar // sımavar - სამოვარი

čarpəʃma → čərpəʃma - ბრძოლა.

აზერბაიჯანული ენის დასავლური ჯგუფის ყაზახურ დიალექტში **a** → **ə** გადასვლის პროცესი გვხვდება სუფიქსების დართვის დროს. ეს მოვლენა თავს იჩენს აკუზატივისა და ზმნის ბრძანებით კილოს სუფიქსების დართვის დროს. განვიხილოთ ორივე შემთხვევა:

1) თუ სიტყვა არის ხმოვანფუძიანი და ბოლოვდება **a** ხმოვანზე ბრალდებითი ბრუნვის -(j)**a** სუფიქსის დართვისას ფუძის ბოლო ხმოვანი ასიმილაციის პროცესის შედეგად გადადის **ə** ხმოვანში. ამ მაგალითებში თავს იჩენს პროგრესული ასიმილაციის პროცესი. სალიტერატურო აზერბაიჯანულ ენაში ბრალდებითი ბრუნვის ნიშანი არის -nə⁴ (-nə; -ni; -nu; -nü) სუფიქსი, რომელიც აღნიშნულ დიალექტში -(j)**a** გვაქვს წარმოდგენილი. შესაბამისად, ამ შემთხვევაში ჩვენ გვაქვს შემდეგი სურათი **a** → **ə** ბრალდებითი ბრუნვის ფორმებში; მაგ.:

baba+nə → babə+jə → bavə+jə - მამა

alma+nə → almə+jə - ვაშლი

bala+nə → balə+jə - შვილს

Ajna+nə → Ajnə+jə - აინა

Fatma+nə → Fatmə+jə - ფატიმა

gajnana+nə → qajnanə+jə - დედამთილი

dana+nə → danə+jə - ხბოს

2) ასევე ხმოვანფუძიანი ზმნები, რომლებიც ბოლოვდება -a ხმოვანზე, სუფიქსების, დართვისას, რომელიც ასევე ხმოვნით იწყება. სინჰარმონიზმის კანონის თანახმად ორ ხმოვანს შორის ვამატებთ j თანხმოვანს. შედეგად ფუძისეული a ხმოვანი გადადის ə ხმოვანში:

ა) კავშირებით კილოში -la მარცვალზე დაბოლოებული ზმნასა და მხოლოდითი და მრავლობითი რიცხვების პირველი პირების სუფიქსების დართვის დროს -jəm და -ag, მაგ.: bay+la+jəm → baylə+jəm → bayləjəm - დაკვეთო

bay+la+jag → baylə+jax → bayləjax - დაკვეთოთ

baş+la+jəm → başdə+jəm → başdəjəm - დავიწყო

baş+la+jag → başdə+jax → başdəjax - დავიწყოთ

baš+la+ja idim → bašdja+j+dəm → bašdjajdəm - დავიწყებდი

ga+la+j+əm → galə+j+əm → galəjəm - დავანთებ

ga+la+j+ag → galə+j+ax → galəjax - დავანთოთ

baɣ+la+j+əm → baɣlə+j+əm → baɣləm - დავკეტო

baɣlə+j+ag → baɣlə+j+ax → baɣləjax - დავკეტოთ.

ბ) **a** ხმოვანფუძიანი ზმნებსა და ახლანდელი დროის სუფიქს შორის (რომელიც **ა** ხმოვნით იწყება) ვამატებთ **j** თანხმოვანს. აქ **a** ხმოვანი პროგრესული ასიმილაციის პროცესის შედეგად გადადის **ა-ში**, მაგ.,

oxša+j+ər → oxšə+j+ər // → oxšəjər // oxšör - ჰგავს

gala+j+ər → galə+j+ər // galɒr → galəjər // galɒr - ანთებს

ojna+j+ər → ojnə+j+ər // ojnör - თამაშობს

bašla+j+ər → bašdə+j+ər → bašdər - იწყებს.

-la სუფიქსზე დაბოლოებულ ზმნებსა და აბსოლუტივის **-anda** სუფიქსების დართვისას ორ ხმოვან შორის ვხმარობთ **j** თანხმოვანს. ასეთ სიტყვებში თავს იჩენს დისიმილაციის პროცესი და **a** → **ə**, მაგ.:

baɣla+j+anda → baɣləjanda // baɣlənda - კეტვის დროს

bašla+j+ər → bašlə+j+ər // bašdər → bašlə+j+ər // bašdər - იწყებს

jaɣla+j+ər → jaɣlə+j+ər // jaɣlēr → jaɣləjər // jaɣlēr - ასმევს

jama+j+ər → jamə+j+ər // jamēr → jaməjər // jamēr - ზედ დაკერება

aɣla+j+anda → aɣləjanda // aɣlənda - ტირილის დროს

gala+j+anda → galəjanda // galānda - ცეცხლის ანთების დროს

bašla+j+anda → bašdəjanda // bašdānda - დაწყების დროს

დ) **a**-ფუძიანი სიტყვების რედუპლიკაციის დროს, მაგ.:

bašlaja-bašlaja → bašdəja-bašdəja - დაწყების პროცესში

gajnaja-gajnaja → gajnəja-gajnəja - დუღილისას

ojnaja-ojnaja → ojnəja-ojnəja - თამაშისას

jaɣlaja-jaɣlaja → jaɣləja-jaɣləja - ერბოს წაცხებისას

garɣaja-garɣaja → garɣəja-garɣəja - წყევლისას

- $a \rightarrow i$: ეს პროცესი არ არის ფართოდ გავრცელებული და სიტყვის ფუძეში გვხვდება სულ ერთ სიტყვაში, მაგ., *dajan!* → *dijan!* // *dajan!* - გაჩერდი!

ასევე გვხვდება ერთ ხმოვანფუძიან ზმნაში დროისა და პირობის კატეგორიების, ასევე პირის სუფიქსების დართვისას ფუძესა და სუფიქსებს შორის ემატება *j* თანხმოვანი, შესაბამისად, *j* თანხმოვანთან მეზობლობაში $a \rightarrow i$. ამ ხმოვანმონაცვლეობის პროცესებიდან ჩანს, რომ სინჰარმონიზმის კანონი ირლვევა. ვფიქრობ, ეს პროცესი გამოწვეული უნდა იყოს გამყოფი *j*-ს ჩართვით.

ამით ირლვევა სინჰარმონიზმის კანონი, მაგ.:

ojna+j+əb → *ojnijif* // *ojnəjəf* // *ojnōf* – უთამაშია

ojnəjəm → *ojnijim* // *ojnəjəm* // *ojnōm* – (მოდი) ვითამაშო.

- $\ddot{a} \rightarrow i$: მ. შირალიევის აზრით, $\ddot{a} \rightarrow i$ პროცესი დამახასიათებელია ყველა დიალექტისათვის [Şiraliyev, 2008:49]. ეს პროცესი გვხვდება როგორც სიტყვის ფუძეში, სუფიქსებში, ასევე თანდებულებში, რომლებიც ერთად იწერება⁷¹. ეს მოვლენა გვხვდება სულ რამდენიმე სიტყვის ფუძეში, მაგ.:

änžir → *änžil* → *inžil* - ლეღვი

zänžir → *zinžir* – ჯაჭვი

säbzä → *sävzi* // - *zäbzi* - საბზი (კერძი)

pählävan → *pählivan* – ფალავანი

käfän → *käfin* - სუდარა

ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდან პირველი ორი მაგალითი, *änžir* → *inžil* - ლეღვი და *zänžir* → *zinžir* – ჯაჭვი, მიღებულია ასიმილაციის, ხოლო დანარჩენი სიტყვები დისიმილაციის შედეგად.

$\ddot{a} \rightarrow i$, როგორც უკვე იყო ნათქვამი, პროცესი გვხვდება სუფიქსებსა და თანდებულებში, რომლებიც ერთად იწერება. ახლა განვიხილოთ ყველა შემთხვევა სათითაოდ:

1) მიცემითსა და ბრალდებით ბრუნვებში:

ა) თანამედროვე აზერბაიჯანულ სალიტერატურო ენაში მიცემითი ბრუნვის ნიშანია თანხმოვანფუძიანებში - $\ddot{a}^2$ (- $\ddot{a}$ //-*a*), ხოლო ხმოვანფუძიანებში - $(j)\ddot{a}^2$ (- $(j)\ddot{a}$ //-(*j*)*a*). თუ

⁷¹ აზერბაიჯანულ ენაში რამდენიმე თანდებული ერთად იწერება.

სიტყვა ხმოვანფუძიანი და ä ხმოვანზე არის დაბოლოებული, მაშინ მიცემით ბრუნვაში ბრუნვის ნიშნის -(j)ä მიღების დროს, დისიმილაციის შედეგად ფუძის ბოლო მარცვლის ä → i, მაგ.: dārä+j+ä → dāri+j+ä – ველს

kisä+j+ä → kisi+j+ä – ქისას

pänžärä+j+ä → pänžäri+j+ä – ფანჯარას

nänä+j+ä → nāni+j+ä – ბეზიას

kirvā+y+ä → kirvi+j+ä – ნათლიას

kilsä+j+ä → kilsijä – ეკლესიაში;

ბ) აზერბაიჯანულ ენაში აკუზატივი (ბრალდებითი) ბრუნვის ნიშანია თანხმოვანფუძიანებში -i⁴ (-i// -ə// -u// -ü), ხოლო ხმოვანფუძიანებში კი -(n)i⁴ (-(n)i// -(n)ə// -(n)u// -(n)ü), მაგრამ აზერბაიჯანული ენის ყაზახურ დიალექტში ხმოვანფუძიან სიტყვებში -i⁴ სუფიქსის მაგივრად იხმარება -(j)i⁴. თუ ხმოვანფუძიანი სიტყვა ბოლოვდება ä ხმოვანზე, ბრალდებით ბრუნვაში ფუძის ბოლო ხმოვანი რეგრესიული დისიმილაციის შედეგად გადადის i ხმოვანში, მაგ.:

kisä+n+i → kisi+j+i → kīsijī – ქისა

pänžärä+n+i → pänžäri+j+i → pänžārījī – ფანჯარა

nänä+n+i → nāni+j+i → nānījī – ბეზია

mešä+n+i → meši+j+i → mešījī – ტყე

2) ხმოვანფუძიან ზმნებში დროისა და კილოების (ბრძანებითი და ნატვრითი) სუფიქსებისა და პირის ნიშნების დამატების დროს:

ა) თუ ä ხმოვანზე დაბოლოებული ზმნა არის ახლანდელ დროში, მაშინ ფუძესა და -ir⁴ სუფიქს შორის ემატება დამხმარე თანხმოვანი j. აქ საქმე გვაქვს დისიმილაციის პროცესთან, მაგ.:

bälä+j+ir → bäljir – ახვევს (ბავშს)

išlā+j+ir+lär → išdi+j+il+lär → išdillär // // išdëllär – მუშაობენ

säpälä+j+ir → säpäli+j+ir → säpälir // säpälër – მიმოფანტავს

istä+j+ir+lär → isti+j+il+lär → istillär // istëllär – სურთ;

ბ) თუ ä ხმოვანზე დაბოლოებული ზმნა არის კავშირებით კილოს პირველ პირში, როგორც მხოლოდით, მაგ.:

bälä+j+im → bälī+j+im → bälījim // bäljim // bälēm – (იქნებ) შევახვო
 säpälä+j+im → säpäli+j+im → säpälim // säpälēm – (იქნებ) მიმოვფანტო
 säpälä+j+äk → säpäli+j+äx' → säpälijäx' // säpäläx' – (იქნებ) მიმოვფანტოთ
 istä+j+im → isti+j+im → istīm // istēm – (იქნებ) მომინდეს
 istä+j+äk → isti+j+äx' → istijäx' // istäx' – (იქნებ) მოგვინდეს
 išlä+j+im → išdi+j+im → išdīm // išdēm – (იქნებ) ვიძუშაო
 išlä+j+äk → išdi+j+äx' → išdijäx' // išdäx' – (იქნებ) ვიძუშაოთ.

როგორც მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, მხოლოდით რიცხვში **ä** → **i** გადასვლის პროცესში გვაქვს ასიმილაციის, ხოლო მრავლობითში - დისიმილაციის შედეგები.

3) თანამედროვე აზერბაიჯანულ ენაში გვაქვს თანაობის თანდებული **ilä** //-lā, რომელიც სიტყვასთან ხმარებისას იწერება როგორც ცალკე, ასევე ერთად. თუ სიტყვა ხმოვანფუძიანია და ბოლოვდება **ä** ხმოვანზე, მაშინ **ilä** თანდებული ასიმილაციის შედეგად გვხვდება როგორც **-(j)nän**, რომელიც გვხვდება კომპუტაციის ფორმებში, მაგ.,

nänä ilä → nänäjlä → nänijnän - ბეზიასთან ერთად

dävä ilä → döväjlä → dövijnän – ომთან

gajnänä ilä → gajnänäjlä → gajnänäjnän – დედამთილთან ერთად;

- **ä** → **e**: ეს პროცესი აზერბაიჯანული ენის ყაზახურ დიალექტში სიტყვის ფუძეში გვხვდება სულ რამდენიმე სიტყვაში და ასევე ეს სიტყვები იხმარება სხვა დიალექტებშიც, მაგ.:

pänžäk → penžäx' - პიჯაკი

mäsžit → mečit - მეჩეთი [Şirəliyev, 2008:21].

გვხვდება ასევე შემდეგი სუფიქსების მიღების დროს:

- თუ **a** → **i** ხმოვანჩანაცვლების დროს ვისაუბრეთ მიცემით ბრუნვაზე, აქ ვისაუბრებთ იმავე მაგალითების მიხედვით, ოღონდ ბრალდებით (აკუზაცივი) ბრუნვაში. როგორც უკვე აღვნიშნეთ, აკუზაცივის სუფიქსებია თანხმოვანფუძიანებში **-i⁴**, ხოლო ხმოვანფუძიანებში **-(j)i⁴**.

თუ ხმოვანფუძიანი სიტყვა ბოლოვდება ä ხმოვანზე, ბრალდებით ბრუნვაში ასიმილაციის შედეგად ვიღებთ e ხმოვანს, მაგ.:

därä+j+i → däreji // därji - ველი

kisä+j+i → kiseji // kisji - ქისა

pänžärä+j+ä → pänžäreji - ფანჯარა.

- ასევე ä → e გვხვდება წინაენისხმოვნიანზე დაბოლოებულ სიტყვებში ზმნის უარყოფით ფორმაში (უარყოფობის ნიშანია -ma//mä სუფიქსი) - ib⁴ ნამყო წარსულის სუფიქსებთან ხმარებისას, მაგ.:

säpälä+mä+j+ib → säpälämēf – არ მიმოუფანტავს

al+ma+j+əb → al+mē+f - არ უყიდია.

- ä → ü: ეს პროცესი სიტყვის ფუძეში გვხვდება სულ ერთ სიტყვაში v თანხმოვანთან მეზობლობაში, სადაც გადადის დიფთონგში, მაგ., nävä → nüä - შვილიშვილი.

ცნობილია, აზერბაიჯანულ ენაში მიცემითი ბრუნვის ნიშანია თანხმოვანფუძიანებში -ä², ხოლო ხმოვანფუძიანებში -(j)ä². თუ ორმარცვლიანი ხმოვანფუძიანი სიტყვა ბოლოვდება ä ხმოვანზე, ან თანხმოვანფუძიანია, სადაც ä, მეორე მარცვალშია, ხოლო პირველ მარცვალში გვაქვს ü (თანხმოვანფუძიანებში იგულისხმება k თანხმოვანზე დაბოლოებული ფუძეები, ვინაიდან k → j. ამ შემთხვევაში მხოლოდ ეს ერთი მაგალითი დავადასტურეთ, მაშინ მიცემით ბრუნვაში ბრუნვის ნიშნის დართვისას ფუძის ä → ü ხმოვანში ანუ პროგრესული დისტანციური ასიმილაციის შედეგად ვიღებთ ü ხმოვანს. მაგ.:

tütäk+j+ä → tütüjā - სალამურს შდრ. küläk+ä → külājā („ქარს“), küräk+ä → küräj+ä („ზურგს“)

büdžä+j+ä → büdžüjā - ბიუჯეტს

žüžä+j+ä → žüžüjā - წიწილას

küpä+j+ä → küpüjā - ქილას

küčä+j+ä → küčü+j+ä - ქუჩას.

- o → u: ეს პროცესი იშვიათი პროცესია აზერბაიჯანული ენის დასავლური ჯგუფის ყაზახური დიალექტისათვის და გვხვდება სულ რამდენიმე სიტყვაში,

რომლებიც ასევე იხმარება სხვა დიალექტებშიც. ეს სიტყვებში გვხვდება ასევე ნასესხებ ლექსიკაშიც, მაგ.:

postal → pustal – ფეხსაცმელი

lampočka → lampuška – ნათურა

telefon → telfun – ტელეფონი

doktor → doxdur – ექიმი

traktor → draxdur // traxtər – ტრაქტორი

pozyun → puzyun // pozyun – გარყვნილი

pozdu → puzdu – გააფუჭა

boxča → puxča – ბოხჩა

padnos → badnus // badnəs // bodnos // bodnis – სინი

ამ სიტყვებში ასევე გვაქვს სულ ორი სიტყვა, სადაც გვხვდება **o** → **ə** ხმოვანწანაცვლება. ვინაიდან ეს პროცესი არ არის დამახასიათებელი აზერბაიჯანული ენის ყაზახური დიალექტისათვის, შესაბამისად, არ გამოვყავი ცალკე ჯგუფად. გვხვდება რუსულის გზით შემოსულ სიტყვებში; მაგ.,

traktor → traxtər // draxdur – ტრაქტორი

padnos → badnəs // badnus // bodnos // bodnis – სინი

- **ö** → **ü**: ეს პროცესი **o** → **u** პროცესის რბილი, პალატალიზებული ვარიანტია და გვხვდება მხოლოდ რამდენიმე შემთხვევაში, მაგ.:

g'öjärčün → g'üärčün // g'öärčün – მტრედი

g'öjärmä → g'üärmä // g'öärmä – დალურჯება

g'öjärmäk → g'üärmäx' // g'öjärmäx' – მებოსტნეობა

g'öjäm → g'üäm – ღოდნოშო

g'öjarti → g'üarti – დალურჯებული ადგილი

g'öjözä (დიალექ.) // g'üözä – ხარბი

döjmänž (დიალექ.) // düjmänž ⁷² – საჭმელი (შეჭამანდი – დიალ.)

⁷² მთებში პურისა და დამდნარი კარაქით დამზადებული საჭმელი.

böjā → büə⁷³ - ჩრჩილი.

დახურული ხმოვნების ღია ხმოვნებით ჩანაცვლება

ამ ჯგუფში გვაქვს შემდეგი ხმოვანჩანაცვლების პროცესები **u → o**, **ə → a**, **e → ä**:

- **u → o**: ეს პროცესი არ არის აზერბაიჯანული ენის ყაზახურ დიალექტში ფართოდ გავრცელებული და გვხვდება მხოლოდ ერთ სიტყვაში: juxarə → oxarə - ზევით, ზედა (ეს სიტყვა ინტენსიურად გამოიყენება).

- **ə → a**: ეს პროცესი ძირითადად ასიმილაციის შედეგად მიღებული პროცესია, მაგ.: ʒahəl (gʻänʒ) → ʒahal - ახალგაზრდა (შდრ. ქართ. დიალ. ჯეელი - ახალგაზრდა კაცი)

sajəg → sajag - ფხიზელი

baɣərsag → baɣarsag - ნაწლავი

aʃayə → aʃaya - ქვევით

sijahə → sijaha - სია

baʃə aʃayə → baʃʃaya - თავდახრილი.

- **e → ä**: ეს პროცესი მხოლოდ ერთ მაგალითში შეგვხვდა, მაგ., haʒəlejläk → haʒələjläx' // haʒəlejläx' - ყარყატი.
- **i → ä**: hämišä → hämmäšä // hämäšä - ყოველთვის
hämin → hämän - ეგრევე.

⁷³ სალიტერატურო აზერბაიჯანულ ენაში სიტყვა bəyā (böjā) - ობობას მსგავს შხამიან მწერს აღნიშნავს, ხოლო აზერბაიჯანული ენის ყაზახურ დიალექტში ეს ლექსემა ჩრჩილის მნიშვნელობით არის ცნობილი. ჩემი აზრით, ამ სიტყვაში სემანტიკური გადაწევა გვაქვს.

IV. 6.2. სუბსტიტუცია

სუბსტიტუცია (ლათ. *Substitute* – "ჩანაცვლება") ენათმეცნიერებაში ნიშნავს ერთი ბგერის სხვა ბგერით ჩანაცვლებას, როდესაც ენობრივი ერთეული კონკრეტულ გარემოში ან ენობრივ სისტემაში იცვლება სხვა, განსხვავებული ერთეულით, რომელიც ფუნქციურად, ან ჟღერადობით მას შეესაბამება. „ლიტერატურულ ენასა და განსაკუთრებულ კილოებში დასტურდება როგორც არტიკულაციურად მონათესავე, ასევე არტიკულაციურად სრულიად განსხვავებულ ბგერათა სუბსტიტუცია ანუ ბგერათა ჩანაცვლება“ [ჟღენტი, 1956: 237].

ფონეტიკურ დონეზე, სუბსტიტუცია ხდება მაშინ, როცა:

- კონკრეტული ბგერა ვერ წარმოითქმის დიალექტში და იკარგება, ან იცვლება სხვა ბგერით.
- ან სესხების შემთხვევაში სიტყვა მოერგება მიმღები ენის ფონემატურ სისტემას. აზერბაიჯანული ენის ყაზახურ დიალექტში გვხვდება შემდეგი

ბგერათჩანაცვლების შემთხვევები:

➤ **b → m**: ეს მოვლენა გვხვდება სულ რამდენიმე სიტყვაში, მაგ.:

banlamag → manlamax – ყივილი (მამალი)

pamidor → mamador // bamidor // bamador – პომიდორი

baǰǰarǰa (დიალ.) → maǰǰarǰa – ამჟავდა

bāhanā → mahna – საბაზი

ასევე ჩვენებითი ნაცვალსახელი bu („ეს“) სახელობითი ბრუნვის გარდა, სხვა ბრუნვებში ხანდახან იხმარება როგორც:

სახელობითი - bu „ეს“

ნათესაობითი – munun „მისი“

მიცემითი - muna „მის“

ბრალდებითი - munu „ეს“

ადგილობითი - munda „ამაში“

დაწყებითი - munnan „ამიდან“.

პირველ ორ მაგალითსა და bu ნაცვალსახელს ვარიანტებში **b → m** ბგერათჩანაცვლება უნდა აიხსნას ასიმილაციის პროცესის გავლენით. ხოლო

ბოლო მაგალითში (bəžgardə → məžgardə) **ბ** კარგავს ბილაბიალობას და გადადის სონორ m-ში, ჰაერნაკადი ცხვირიდან გამოედინება.

მ. შირალიევი თვლის, რომ ეს პროცესი ყივჩაღური ენებისათვის არის დამახასიათებელი, ანუ ყივჩაღური ელემენტების ნარჩენებია [Şirəliyev, 2008:77]. მაგ.,

შდრ. სიტყვების სუბსტიტუციის მაგალითები თურქულ ენებში (აზერბაიჯანული – ყაზახური – ნოღაური)

აზერბაიჯანული	ყაზახური	ნოღაური	მნიშვნელობა
Bajram	mejram	—	დღესასწაული
Buz	müz	—	მარილი
Bojun	majən	Mojun	კისერი
Burada	münda	mənda	აქ
başmag	—	Maşmak	ფეხსაცმელი
Buynuz	müyiz	mojən, muyuz	რქა

[Махмудов, Мусабаяев, 1956:239-248; [Баскаков, 1940. 255].

აღვნიშნოთ, რომ აზერბაიჯანული ენის განვითარების ადრეულ პერიოდში მხოლოდითი რიცხვის პირველი პირის ნაცვალსახელი män „მე“ იხმარებოდა როგორც bän, ისევე როგორც დღემდე თურქულ ენაში იხმარება bän. მაგრამ უკვე იმადედიან ნასიმისთან (მე-14 საუკუნე) გვხვდება män ფორმით.

Б ბგერის m ბგერით ჩანაცვლების პროცესი "ოღუზნამეში" („Oğuznamə“) (XIII ს.) და ძველ უიღურულ წარწერებშიც გვხვდება: *moz* (შდრ. აზერბ. *boz*) - ნაცრისფერი, *müjüz* (შდრ. აზერბ. *buynuz*) - რქა [Древнетюркский словарь, 1969:346, 352].

ეს ფონეტიკური თავისებურება ასახულია აგრეთვე აზერბაიჯანული ენის წერილობით ძეგლებში: män//bän - მე, maqla//baqla - ჩემთან ერთად, miz//biz - ჩვენ („Kitabi Dədə Qorqud“) [Ergin, 1963:409–410], min//bin - ათასი, kimi//kibi - როგორც („Kitabi Dədə Qorqud“) [Dəmirçizadə, 1959:31]; მაგ.: *Munə dejinžə ox jajəna gojub, čäkmäjä durub dedi; ...mundan nə täbärrük hasil olur* („Şeyx səfi təzkirəsi“, XVI ს.).

„პაპა ქორქუთის წიგნის“ ენაში სიტყვა *män* გამოყენებულია 403-ჯერ, ხოლო *bän* - მხოლოდ 54-ჯერ” [Əzizov, 1999:104]. როგორც მ. ქაშგარი წერს, “ოღუზები, ყივჩაღები და სუვარები სიტყვების დასაწყისში *m*-ს *b*-ით ცვლიან, მაგ.: თურქები ამბობენ *män bardam*, ხოლო ისინი (ოღუზები, ყივჩაღები და სუვარები) ამბობენ *bän bardum*; თურქები *წენიანზე* ამბობენ *mün*, ისინი კი - *bün*” [Кошҟарий, I-III, 1960-1963:67].

ე. აზიზოვის აზრით, იმ პერიოდში, როცა ყალიბდებოდა „პაპა ქორქუთის წიგნი“ (ეპოსი), აზერბაიჯანულში ფორმა ***män*** უპირატესი იყო - რაც უნდა აიხსნას ძველი ადგილობრივი ტომებისთვის დამახასიათებელი ენობრივი ნიშნით, ხოლო ***bän*** - მოგვიანებით ჩამოსული ოღუზ-სელჩუკური ტომების ენობრივი თავისებურებით [Əzizov, 1999:105].

➤ ***b* → *v***: ეს პროცესი აზერბაიჯანული ენის ყაზახური დიალექტის ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისებაა [Şirəliyev, 2008:35]

- აუსლაუტში ეს ბგერათჩანაცვლების პროცესი გვხვდება მხოლოდ ერთ მაგალითში, მაგ., *bais* (*säbäbkar*) → *vajəs* // *vajis* - დამნაშავე;
- ინლაუტში ინტერვოკალურ პოზიციაში, ან ხმოვანსა და სონორს შორის, ჩვენს მაგალითებში, კერძოდ, ***r*** თანხმოვანთან, მაგ.:

<i>daban</i> → <i>davan</i> - ქუსლი	<i>gabərya</i> → <i>gavərya</i> - ნეკნი
<i>sabun</i> → <i>savən</i> - საპონი	<i>abərle</i> → <i>avərrə</i> - პატიოსანი
<i>baba</i> → <i>bava</i> - მამა	<i>säbir</i> → <i>savər</i> - მოთმენა
<i>xäbär</i> → <i>xavar</i> - ამბავი	<i>jaba</i> → <i>java</i> - ორკაპი
<i>bärabär</i> → <i>baravar</i> - ერთად	<i>čoban</i> → <i>čovan</i> - მწყემსი
<i>torba</i> → <i>torva</i> - ტომარა	<i>čibin</i> → <i>čivin</i> - ბუზი
<i>lobia</i> → <i>lojva</i> - ლობიო	<i>zibil</i> → <i>zivil</i> - ნაგავი
<i>gabag</i> → <i>gavax</i> - წინ	<i>İbrahim</i> → <i>Irvaham</i> // <i>Rvaham</i> - იბრაჰიმი
<i>gʻäbä</i> → <i>gʻävä</i> - ხალიჩა	<i>giblä</i> → <i>gəvla</i> - კიბლა (რელიგ.)

- აუსლაუტში ეს პროცესი გვხვდება ერთმარცვლიან სიტყვებში. ან იგივე სიტყვებში მორფემათა გასაყარზე ინლაუტში, მაგ.:

gab → gav - ჭურჭელი შდრ. gabən → gavən - ჭურჭლის
და gablar → gavlar - ჭურჭლები
žib → živ - ჭიბე შდრ. žibin → živin - ჯიბის
žiblär → živlär - ჭიბეები.

- p → f: ეს პროცესი არის b → v მჟღერი თანხმოვნების ბგერათმანათლებლობის ყრუ ვარიანტი. p და f ორივე თანხმოვანი არის ლაბიალური და ყრუ ფონემა. ამ პროცესში p თანხმოვანი იცვლის წარმოთქმის ადგილს ანუ წყვილბაგისმიერი თანხმოვანი გადადის კბილბაგისმიერ თანხმოვანში. ეს პროცესი გვხვდება როგორც ინლაუტში (ფუმესა და მორფემათა გასაყარზე), ასევე აუსლაუტში.

ინლაუტში, მაგ.:

tabšərdə → tapšərdə → tafšərdə - დაავალა

aptek → äftix' // häftäx' - აფთიაქი

šapka → šafga - ქუდი

tapdə → tafdə - იპოვა

gulplu → gulflu - სახელური

saplə → saflə - ძაფიანი.

მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს ინლაუტში საქმე გვაქვს ასიმილაციისა და დისიმილაციის პროცესებთან.

ასევე ეს პროცესი გვხვდება ზედსართავი სახელების უფროობით ხარისხში, რომელიც იწარმოება სიტყვის პირველი მარცვლის რედუპლიკაციით; ამ მარცვლებს შორის იხმარება ამ მაგალითებში გამყოფი p თანხმოვანი, მაგ.:

du+p+duru → dufduru – ძალიან სუფთა

gu+p+guru → gufguru - ძალიან მშრალი

ši+p+širin → šifširin - ძალიან ტკბილი

gə+p+gərməzə → gəfgərməzə - ძალიან წითელი

ga+p+gara → gafgara - ძალიან შავი.

აუსლაუტში p → f გვხვდება ერთმარცვლიან სიტყვებში, მაგ.:

lap → laf – ძალიან

kip → kif – მჭიდრო

sap → saf → ძაფი⁷⁴ შდრ. sapla! → safla! – (ძაფი) ააგე!// გაუყარე! (ნემსში)

sapla → safla – ძაფიანი.

p ბგერის **f** გარდაქმნის (p → f) პროცესი დადასტურებულია XI საუკუნეში თურქულ ენებში ინლაუტში: täfçitti (← täpçitdi „შეაკერინა“) (Кошҭарий, II, 1960-1963:381); kəfçaklar (← kəpçaklar „ყივჩალები“) (Кошҭарий, III, 1960-1963:363).

p → **f** თანხმოვანმონაცვლეობას ვხვდებით აგრეთვე შუა საუკუნეების აზერბაიჯანული ენის წერილობით ძეგლებშიც: tofray (← *torpay* „მიწა“), ...və izzät döşəgindän mäsällät tofrayəna düşdi (“Şeyx Səfi təzkirəsi”, XVI əsr) [Qəhrəmanov, 1976:51].

➤ **j** → **g**: ეს პროცესი გვხვდება ანლაუტსა და ინლაუტში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ **j** → **g** არ არის ფართოდ გავრცელებული, გვხვდება რამდენიმე სიტყვაში, ოღონდ ეს სიტყვები ინტენსიურად გამოიყენება სასაუბრო მეტყველებაში.

- ანლაუტში **j** → **g** გვხვდება მხოლოდ ერთ მაგალითში, მაგრამ ეს სიტყვა ყოველდღიურად ძალიან ხშირად იხმარება. მაგ., jenä → gʻänä – კიდეც;
- ინლაუტში, მაგ.:

öjranmäk → örgʻänmäxʻ // örgʻäšmäxʻ // öjrašmäxʻ – სწავლა

ijranmäk → irgʻänmäxʻ – ზიზღი.

➤ **v** → **j**: ეს პროცესი აზერბაიჯანული ენის დასავლური დიალექტისათვის ფართოდ არის გავრცელებული, გვხვდება როგორც ინლაუტსა, ასევე აუსლაუტში.

- ინლაუტში, მაგ.:

dövmäk → döjmäxʻ – ცემა

sövdü → söjdü – გინება

dovğa → döjya // döya – დოვლა

dövrän → döjran – ეპოქა, დრო

gʻövdäli → gʻöjdäli – მხარბეჭიანი

Novruz → Nojruz // Nöruz – ნოვრუზი

⁷⁴ შდრ. ქართ. ძაფი.

dövlät → döjlät // dölät → სახელმწიფო

nävā → nüjä // nüä // nōä - შვილიშვილი

govalamag → gojlamax – გაგდება

hövsälä → höjsälä – მოთმინება

g'üvärč'in → g'öjärč'in // g'öärč'in// g'üärč'in – მტრედი

ovužumda → ojžumda // ö^užumda - ჩემი ხელის გულში

govud → gojut – მოხალული და დაფქვილი ხორბალი, ფქვილი, ქუმელი.

- აუსლაუტში ეს პროცესი გვხვდება ღია ბაგისმიერ ხმოვნებთან, მაგ.:

ev → öj – სახლი

plov → ploj // pŭloj – ფლავი

girov → giroj – გირაო

buzov → buzoj – ხზო

kösöv → kösöj - მუგუზალი

bütöv → pŭtöj – მთელი (შდრ. ქართ. ფუთა)

tosov → tosoj – გვაჯი (ადამიანის ფიზიკური მახასიათებელი - დაბალი)

- **f → j**: ეს პროცესი გვხვდება სულ ორიოდ სიტყვაში, მაგ.:

šäftäli → šöjtäli - ატამი

käfkir → köjkür // kökür – ქაფქირი.

მაგალითებიდან ჩანს, რომ ღია ხმოვნებთან მეზობლობაში ეს ხმოვნები გადადის რბილ ბაგისმიერ ხმოვნებში.

- **r → d**: ეს პროცესი გვხვდება მხოლოდ ერთ მაგალითში, bajrag → bajdax// bajrax - დროშა, ბაირაღი.

- **l → j**: ეს პროცესი გვხვდება მხოლოდ ერთ სიტყვაში ანლაუტში, მაგ., lap → jap - ძალიან.

➤ **m → b**: **m** ნაზალურია, ბილაბიალური, **b** ბილაბიალურია. **m**-ს **b**-თ შეცვლა დიალექტებში ერთ-ერთი გავრცელებული მოვლენაა. ამ მოვლენის მიზეზად ცხვირის ღრუს დახშობისადმი განსაკუთრებული მიდრეკილება უნდა მივიჩნიოთ. მირზაზადე აღნიშნავს, რომ ასეთი ჩანაცვლება მხოლოდ აღმოსავლურ ჯგუფსა და სამხრეთ აზერბაიჯანის დიალექტებში გვხვდება [Mirzazada,1990:18]. ამ მოსაზრებას

არ ვეთანხმები, ვინაიდან ეს პროცესი ასევე აზერბაიჯანული ენის დასავლური ჯგუფის ყაზახურ დიალექტშიც არის წარმოდგენილი. ავტორები (მ. შირალიევი, რ. რუტამოვი, ე. აზიზოვი) აღნიშნავენ, რომ **b** → **m** ჩანაცვლება აზერბაიჯანული ენის დიალექტების უმეტესობაში შემონახულია.

b → **m** პროცესი გვხვდება სულ რამდენიმე სიტყვაში, მაგ.:

amma → amba - მაგრამ

tapmaža → tapbaža - გამოცანა

balaban → balaman - დუდუკი

mägʻār → bäjäm - განა.

პირველ სამ მაგალითში საქმე გვაქვს დისიმილაციას პროცესთან (პირველ ორ მაგალითში - კონტაქტური დისიმილაციაა, მესამე სიტყვაში (balaban → balaman) - დისტანციური), ხოლო ბოლო მაგალითში (mägʻār → bäjäm) ერთროულად თავს იჩენს რამდენიმე ფონეტიკური პროცესი ერთად - **m** → **b** (დისტანციური დისიმილაცია), **gʻ** → **j** (პალატალიზაციის პროცესი), **r** → **m** (სონორების მონაცვლეობა).

ამის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ციტატები სხვადასხვა კლასიკოსების ნაწარმოებებიდან, მაგალითად:

Didi, ey divanə həqq verdi **muni**,

Munca əsbab ilə munca karu bar (Ş.Əttar).

Səhra içində **muncaki**, ahu gəlür gedər,

Bu gün mən **munda**, yarım onda neylər (Xətai) [Mirzəzadə, 1990:19].

ისტორიულ მასალებში პირის ნაცვალსახელებში **m** → **b** პროცესი განსაკუთრებით ხშირად იჩენს თავს. მაგალითად, ნასიმის ნაწარმოებებში ნაცვალსახელები უმეტესად გვხვდება **b**-ით, როგორცაა bunca (munca), bän (män), bin (min). „პაპა ქორქუტის წიგნში“ **b** → **m** მონაცვლეობა უფრო მეტად **bu** ჩვენებითი ნაცვალსახელის ფორმებში ჩანს. ანუ, **bu** ბრუნვების სხვადასხვა ფორმაში წარმოდგენილია **m** თანხმოვნით, მაგ., *munuŋ* (Mərə qocalar munun ölümü nədəndir?), *munu* („...ekindü vəqti munı mənə çevirəsiz, yiyəm“) [Tanrıverdi, 2017:152].

ეს არის თვალსაჩინო მაგალითი, რომ აზერბაიჯანული ენა შეიცავს როგორც ოღლურ, ისე ყივჩაღურ ელემენტებს.

- **k → x'**: ეს პროცესი ფართოდ არის გავრცელებული. გვხვდება ინლაუტსა და აუსლაუტში. ინლაუტში **k → x'** პარალელურად **k → h** პროცესიც არის ფუძეში, ასევე გვხვდება მორფემების გასაყარზე, მაგ.:

täkʒä → täxʒä – მარტო

küläkli → küläxʼli – ქარიანი

mäktäb → mäxʼtäb // mähtäb – სკოლა

čäkmä → čäxʼmä // čähmä – ჩექმა

küräkli → küräxʼli – მხარბეჭიანი

čöpüklü → čöpüxʼlū – აბურძღვლი (ქსოვილი).

- **g → x'**: ეს პროცესი არის **k → x'** პროცესის მჟღერი ვარიანტია და გვხვდება სულ რამდენიმე სიტყვაში, რომელიც ბოლოვდება **ng** თანხმოვანთკომპლექსზე. ჩვენი აზრით, აქ **g** ჯერ გადადის **k**-ში, მერე კი - **x'**-ში, ხოლო **n** - სრულად რედუცირდება, მაგ.:

räng → räxʼ – ფერი

gʼäšäng → gʼäšäxʼ – ლამაზი

zäng → zäxʼ – ზარი.

- **d → z**: ეს პროცესი გვხვდება სულ რამდენიმე სიტყვაში, მაგ.:

Murad → Muraz // Murad – მურაზი // მურადი

xidmät → hizmät // xidmät – ღვაწლი

ramadan → ramazan – რამაზანი // რამადანი.

- **k → m**: ეს პროცესი თავს იჩენს მხოლოდ ერთ მაგალითში, მაგ.: čialäk → čijäläm // čäläm – მარწყვი.

- **l → t**: ეს პროცესი გვხვდება მხოლოდ ერთ მაგალითში, მაგ., Aslan → Astan – ასლანი.

- **g → v**: ეს პროცესი თავს იჩენს მხოლოდ ერთ სიტყვაში. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ფართოდ არ არის გავრცელებული და გვხვდება, ძირითადად, უფროსი თაობის მეტყველებებში, მაგ.: vagzal → vazgal → vayzal // vazgal – სადგური. ამ ლექსიკურ ერთეულში ასევე დასტურდება მეტათეზისი **gz → vz**.

- **ყ → გ:** მიუხედავად იმისა, რომ $g \rightarrow \gamma$ გვხვდება ერთ სიტყვაში $\gamma \rightarrow g$ პროცესი თავს იჩენს რამდენიმე სიტყვაში, მაგ.:

gajyanag $\rightarrow$ gajganax – ერბოკვერცხი

čalɣə $\rightarrow$ čalgə - ცოცხი (ეზოსი)

joryan $\rightarrow$ jorgan // joryan – საბანი

damya $\rightarrow$ damga – ნიშანი.

სონორი თანხმოვნების ჩანაცვლება

- **l → n:** ეს პროცესი გვხვდება სულ რამდენიმე სიტყვაში, რომლებსაც ხმარობს ძირითადად უფროსი თაობა, ახლაგაზრდა თაობაში ეს მოვლენა დაფიქსირებული არ გვაქვს, მაგ.:

närdivan $\rightarrow$ lärdivan - კიბე

nežni (რუს.) $\rightarrow$ ležni - ნაზი

nemes $\rightarrow$ lemsä⁷⁵ - გერმანელი

äjläš $\rightarrow$ äjnäš! // äjläš! - დაბრძანდით!

jorulmag $\rightarrow$ jorunmax - დადლილობა

ვფიქრობთ, ეს მონაცვლეობა დისიმილაციის შედეგად მიღებული პროცესია, სიტყვაში ორი ცხვირისმიერი თანხმოვნის ერთად ხმარების შედეგია, გარდა ბოლო მაგალითისა (jorulmag $\rightarrow$ jorunmax).

- **m → n:** ეს პროცესი არ არის ფართოდ გავრცელებული და გვხვდება სულ რამდენიმე სიტყვაში; მაგ.:

mejvā $\rightarrow$ nejvā - ხილი

meria $\rightarrow$ nerija - მერია

mersedes $\rightarrow$ nersedes - მერსედესი

šānbā $\rightarrow$ šāmbā – შაბათი

dimdik $\rightarrow$ dindix' - ნისკარტი (ხმაბამკითი)

⁷⁵ ეს ლექსემა ნელ-ნელა გამოდის ხმარებიდან, ვინაიდან მეორე მსოფლიო ომთან დაკავშირებული ლექსემა იყო, რომელსაც აქტიურად გამოიყენებდა უფროსი თაობა.

bomba → bonba - ბომბა

lampa → länpä//lampa - ლამპა.

➤ **n → m**: ეს პროცესი გვხვდება როგორც ფუძეში, ასევე აფიქსებში.

- ფუძეში, მაგ.:

kanfet → gamfet // ganfet - კანფეტი

gondu → gomdu – დაჯდა (ითქმის ფრინველის შესახებ)

žinžilim → žümžülüm // žimžilim - ქათმის კუჭეჭა (დენდრონიმი)

dändik → damdix' - სათესლე

sanballə → samballə - გავლენიანი.

- **n → m** პროცესი გვხვდება რიგობით რიცხვით სახელებში, -inži⁴ (-inži//
-ənžə// -unžu// -ünžü) სუფიქსის ხმარებისას, რომელიც იხმარება როგორც -
imži⁴ (-imži// -əmžə// -umžu// -ümžü), მაგ.:

birinži → birimži – პირველი

ikinži → ikimži – მეორე

üčünžü → üčümžü - მესამე

bešinži → bešimči - მეხუთე

➤ **r → l**: ბგერითი ჩანაცვლება აზერბაიჯანული ენის ყაზახურ დიალექტში გვხვდება სულ რამდენიმე სიტყვაში როგორც ინლაუტში, ასევე აუსლაუტში, მაგ.:

hörümčäk → ölümčäx'// hölümčäk// hörümčäk - ობობა

kärtänkälä → kältänkälä // kältänkäläs - ხვლიკი

zärär → zäräl - ზარალი

xänžär → xančal // xanžal - ხანჯალი

änžir → inžil - ლეღვი.

➤ **r → n**: ეს პროცესი გვხვდება მხოლოდ ერთ სიტყვაში, მაგ., murdar → mundar – ბინძური.

➤ **l → r**: ეს პროცესი გვხვდება ინლაუტში, მაგ.:

kälbätin → kärpätin - მარწუხი

čəlpag → čərpax – ტიტველი

silkälä → sirkälä // silkälä – შეანჯღრიე!

jalvarmag → jarvarmax // jalvarmax – ხვეწნა.

IV. 7. დაყრუება

დაყრუება – არის ისეთი ფონოლოგიური ცვლილება, როდესაც მჟღერი თანხმოვანი ზგერა კარგავს თავის მჟღერადობას და ყრუ თანხმოვნად გარდაიქმნება. აზერბაიჯანული ენის ყაზახურ დიალექტში დაყრუების პროცესი განსაკუთრებით ხშირია:

- ანლაუტში
- აუსლაუტში
- ინლაუტში - გარკვეულ კონტექსტში ასიმილაციის შედეგად
- დიალექტში ფონეტიკური ცვლილებების შედეგად.

b → p. ანლაუტში: აღ. ახუნდოვის აზრით, სიტყვის დასაწყისში b თანხმოვნის p-ში გადასვლის დროს მჟღერობა მთლიანად დაკარგული არა აქვს, ნაწილობრივ მჟღერია (mediae lenes) [Axundov, 1984:31]. **b → p** პროცესი სიტყვის დასაწყისში გვხვდება მარცვალში დახურულ მოკლე ხმოვნებთან ერთად [Širəliyev, 2008:31]; მაგ.:

bišib → pišif - მოხარშულია

bič'in → pič'in - თიბვა

bəçag → pəçax - დანა

bitişik → pitişix' - შეერთებული

bitib → pitif - დასრულებულა

bişi → pişi - გამომცხვარი პური

budag → putax - ტოტი

biş-düş → pişi-tüşü - მოხარშვა

bütün → pütün - მთლიანად

bitki → pitki - მცენარე

bükmäk → pñjmäx' - დაკეცვა

butəlka (რუს.) → pütülga // budulga - ბოთლი.

bükdü → pux'dü - დაკეცა

bit → pit - ტილი

bičmäk → pičmäh' - გათიბვა

balta → palta - ნაჯახი

bütöv → pütöj - ერთიანი, მთელი

აქვე უნდა დავამატო, რომ ეს პროცესი არ არის მარტო მოკლე ხმოვნით გამომწვევოლი, ეს ასევე დისტანციური ასიმილაციის პროცესით უნდა იყოს დაკავშირებული, ვინაიდან შემდეგ მარცვალში გვაქვს ყრუ თანხმოვანი.

შედარებისათვის შეგვიძლია მოვიყვანოთ მაგალითები, რომლებშიც ხ-სთან გვაქვს მოკლე დახურული ხმოვნები, მაგრამ შემდეგ მარცვალში - მჟღერი თანხმოვანი, მაგ.:

bəy → bəy - ულვაში (შდრ. ქართ. ულვაშ-ბილი - დ. გურამიშვილი)

bina → bina - ბინა

birbaša → birbaša - პირდაპირ

bilik → bilik - ცოდნა

bidon → bidon - ბიდონი, ჭინჭილა.

მ. შირალიევის თქმით, ეს პროცესი გვხვდება ასევე აზერბაიჯანული ენის სხვა დიალექტებსა და თქმებში [Şirəliyev, 2008:32].

სიტყვის დასაწყისში **b** → **p** დაყრუების პროცესი ასევე დამახასიათებელია ყივჩაღური ტიპის თურქულ ენებშიც, მაგ.:

ჩუვაშურ ენაში: *për* (შდრ. აზერბ. *bir* „ერთი“), *puçla* (შდრ. აზერბ. *başlamag* „დაწყება“) [Русско-чувавашский словарь, 1951:111, 347, 391];

ბაკასურ ენაში: *palam* (შდრ. აზერბ. *balam* „ჩემი შვილი“), *paləxçə* (შდრ. აზერბ. *baləğçə* „მეთევზე“), *pir* (შდრ. აზერბ. *bir* „ერთი“), *balta* (შდრ. აზერბ. *palta* „ნაჯახი“), *pas* (შდრ. აზერბ. *baş* „თავი“) [Баскаков, Инкижекова, 1954:355-375];

თათრულ ენაში: *pəçak* (შდრ. აზერბ. *bəçag* „დანა“); *pičän* (შდრ. აზერბ. *biçän* „მთიბავი“), *pəčkə* (შდრ. აზერბ. *pəşgə* // *bəşgə* (← *spička*) [Дмитриев, 1948:30-31].

გვხვდება ასევე ოღუზური ტიპის თურქულ ენებში და მათ დიალექტებშიც, მაგ.:

თურქმენულ ენაში: *palta* (შდრ. აზერბ. *balta* „ნაჯახი“), *pudak* (შდრ. აზერბ. *budak* „ტოტი“), *pəçak* (შდრ. აზერბ. *bəçag* „დანა“) [Bayliyev, Karıyev, 1940:231; 238; 240];

თურქულ სალიტერატურო ენაში: *parmak* (შდრ. აზერბ. *barmag* „თითი“), *pazar* (შდრ. აზერბ. *bazar* „კვირა“), *pekmez* (შდრ. აზერბ. *bähmüz* „ბაქმეზი“), *pişmāk* (შდრ. აზერბ. *bişmä*) „მოხარშვა“;

თურქული ენის დიალექტებში: *pir* (შდრ. აზერბ. *bir* „ერთი“), *pitirmek* (შდრ. აზერბ. *bitirmä*) „დამთავრება“, *pu* (შდრ. აზერბ. *bu* „ეს“), *putah* (შდრ. აზერბ. *budag* „ტოტი“) [Caferoğlu, 1944:258].

აუსლაუტში $b \rightarrow p$ პროცესი გვხვდება მხოლოდ ერთ სიტყვაში, მაგ., $\dot{a}zab \rightarrow \dot{a}zap$ - ტანჯვა.

- $b \rightarrow f$ დაყრუების პროცესი აზერბაიჯანული ენის ყაზახური დიალექტის ორ ან მეტმარცვლიან სიტყვებში სიტყვის ბოლოს ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისებაა. ეს პროცესი ხდება როგორც ფუძეში, ასევე სუფიქსებში. b -ს f ზგერით ჩანაცვლება ვლინდება აზერბაიჯანული ენის დასავლური ჯგუფის ყაზახურ დიალექტში, აგრეთვე დასავლეთ აზერბაიჯანის ჩემბერეკისა და მეღრის თემებში, ასევე ერაყულ-თურქმენულ კილოში.

$b \rightarrow f$ პროცესი თავს იჩენს აუსლაუტში. ინლაუტში აღნიშნული დაყრუების პროცესი შეგვიძლია დავყოთ ორ ეტაპად, სადაც b ჯერ გადადის v -ში, ხოლო მერე ხდება v -ს დაყრუება ანუ $b \rightarrow v \rightarrow f$, მაგ.:

$xarab \rightarrow xarab \rightarrow xaraf$ – გაფუჭებული

$\dot{z}avab \rightarrow \dot{z}avab \rightarrow \dot{z}avaf$ – პასუხი

$m\ddot{a}kt\ddot{a}b \rightarrow m\ddot{a}kt\ddot{a}v \rightarrow m\ddot{a}x't\ddot{a}f$ – სკოლა

$s\ddot{a}vab \rightarrow s\ddot{a}vav \rightarrow suaf$ – სამადლო

$g\ddot{a}rib \rightarrow gar\ddot{a}v \rightarrow gar\ddot{a}f$ – უცხოელი

$g'edib \rightarrow g'ediv \rightarrow g'edif$ – წასულა

$kitab \rightarrow kitav \rightarrow kitaf$ – წიგნი

$kas\ddot{a}b \rightarrow kas\ddot{a}v \rightarrow kas\ddot{a}f$ – ღარიბი

$oturub \rightarrow oturuv \rightarrow oturuf$ – მჯდარა

$gal\ddot{a}b \rightarrow gal\ddot{a}v \rightarrow gal\ddot{a}f$ – დარჩენილა

$soru\ddot{s}ub \rightarrow soru\ddot{s}uv \rightarrow soru\ddot{s}uf$ – უკითხავს

$g'örüb \rightarrow g'örüv \rightarrow g'örüf$ – უნახია

$al\ddot{a}b \rightarrow al\ddot{a}v \rightarrow al\ddot{a}f$ – უყიდა.

სახელები, რომელიც ბოლოვდება b თანხმოვანზე სუფიქსის მიღების დროს ინტერვოკალურ პოზიციაში გადადის v -ში, ანუ $b \rightarrow v$, მაგ.:

$kitab+\ddot{a}n \rightarrow kitav+\ddot{a}n \rightarrow$ წიგნის ან $Kitab+a \rightarrow kitava$ - წიგნს

$Jusub+un \rightarrow Usuv+un \rightarrow Usuvun$ - იუსუბის ან $Usuv+u \rightarrow Usuvu$ - იუსუბს

$m\ddot{a}kt\ddot{a}b+in \rightarrow m\ddot{a}x't\ddot{a}v+in \rightarrow m\ddot{a}x't\ddot{a}vin$ - სკოლის ან $m\ddot{a}kt\ddot{a}b+\ddot{a} \rightarrow m\ddot{a}x't\ddot{a}v\ddot{a}$ - სკოლას.

- $d \rightarrow t$ დაყრუების პროცესი აზერბაიჯანული ენის ყაზახურ დიალექტში ფართოდ არის გავრცელებული. ეს პროცესი გვხვდება ძირითადად დახურულ ხმოვნებთან ყველა პოზიციაში.

- ანლაუტში, მაგ.:

$dustag \rightarrow tustax'$ - პატიმარი (შდრ. ქართ. ტუსადი)

$düş \rightarrow tüş // \check{c}üş$ - ჩამოდი

düşman → tüşman // çüşman - მტერი

diş → tiş // çiş - კბილი

divar → tifar // tufar - კედელი

düsdü → tüstü - კვამლი

dik → tix' - მაღლობი

dükan → tükan - დუქანი

dikmäk → tikmäx' - მიშტერება

bu saat → pusāt // pusām - ახლა (შდრ. ქართ. ამ საათში - ახლავე, ქალაქურ მეტყველებაში).

ამ პროცესში, **b** → **p** პროცესების მსგავსად, არ არის მარტო მოკლე ხმოვნით გამოწვეული, ეს ასევე დისტანციური პროგრესიულ ასიმილაციის პროცესთან უნდა იყოს დაკავშირებული, ვინაიდან შემდეგ მარცვალში გვაქვს ყრუ თანხმოვანი.

- **ინლაუტში** ეს პროცესი, ჩემი აზრით, თავს იჩენს ასიმილაციისა და დისიმილაციის პროცესებთან (სადაც გვაქვს dd გემინატი), მაგ.:

budag → putax - ტოტი

jeddi → jetdi// jedti - შვიდი.

- **აუსლაუტში**, მაგ.:

bulud → bulut - ღრუბელი

Ümid → Umut - უმუდი

noxud → noxut - მუხუდო

kilid → kilit - ბოქლომი, კლიტე (შდრ.

jurd → jurt - მხარე

ქართ. კლიტე).

inad → inat - სიჯიუტე

ganad → ganat //gänät - ფრთა

söjüd → söüt - ვერხვი

känd → kánt // kät - სოფელი

3. მირზაზადე d → t ბგერათა მონაცვლეობის შესახებ წერს, რომ დასტანში „პაპა ქორქუტის წიგნის“ ენაში სიტყვის დასაწყისში d გვხვდება ორი მაგალითი: *daş-taş* („ქვა“), *damu-tamu* („რკინა“); სიტყვის შუაში კი - ერთი მაგალითი: *uduzmaq-utuzmaq* („წაგება“) და სხვ. აქედან გამომდინარე, ასკვნის, რომ d ბგერის t-დ გარდაქმნა აზერბაიჯანული ენის განვითარების პროცესში არ იყო აქტიურად გავრცელებული პროცესი [Mirzazade, 1990:22].

$d \rightarrow t$ პროცესი გვხვდება ყივჩაღური ტიპის თურქულ ენებში, მაგალითად, ყაზახურში: *taban* (შდრ. აზერბ. *daban* „ქუსლი“), *talak* (შდრ. აზერბ. *dalag* „ელენთა“), *tarnak* (შდრ. აზერბ. *darnag* „ფრჩხილი“);

თათრულში: *taban* (შდრ. აზერბ. *daban* „ქუსლი“), *talaşu* (შდრ. აზერბ. *dalaşda* „იჩხუბა“), *tiz* (შდრ. აზერბ. *diz* „მუხლი“), *til* (შდრ. აზერბ. *dil* „ენა“) [Şirəliyev, 2008:32].

ასევე ეს პროცესი გვხვდება ასევე ოღუზური ტიპის თურქულ სალიტერატურო ენაშიც, *taban* (შდრ. აზერბ. *daban* „ქუსლი“), *taş* (შდრ. აზერბ. *daş* „ქვა“), *turna* (შდრ. აზერბ. *durna*) [Турецко-русский словарь, 1945:575-629]; თურქული ენის დიალექტებში: *tiş* (შდრ. აზერბ. *diş* „კბილი“), *tevire* (შდრ. აზერბ. *devir* „ეპოქა“), *tolu* (შდრ. აზერბ. *dolu* „სავსე“), *tiş* (შდრ. აზერბ. *diş* „კბილი“), *terhal* (შდრ. აზერბ. *derhal* „სასწრაფოდ“) [Caferoglu, 1944:263-264].

ეს პროცესი გვხვდება XI-XIV სს. მ. ქაშგარის თურქული ენების ლექსიკონებში: *tiş*, *tiken*, *tiz*, *toğdı*, *toş*, *tul*, *tüşdi*, *tüz* [Şirəliyev, 2008:78]; *teniz*, *tiri* (*dəri*), *tiş*, *tizmek*, *toğmak*, *toksan*, *töş*, *töşek*, *tüz*, *tükme* [İbnü-Muhennâ lügâti, 1934:71-77].

აუსლაუტში, მაგ.:

känd → *känt* - სოფელი

jurd → *jurt* - მხარე (კუთხე)

armud → *armut* - მსხალი

Mähämmäd → *Mähämmät* - მუხამედი

dörd → *dört* - ოთხი

kürd → *kürt* - ქურთი.

თუ აზერბაიჯანულ ენაში სიტყვის ბოლოში იხმარება მჟღერი თანხმოვანი, თურქულ ენაში - ყრუ თანხმოვანი, მაგ.: აზერბ. *dörd* შდრ. აზერბ. *tört* („ოთხი“), აზერბ. *ganad* შდრ. თურქ. *kanat* („ფრთა“); აზერბ. *gurd* შდრ. თურქ. *kurt* („მგელი“).

აზერბაიჯანულ ენაში სიტყვები, რომლებიც დღეს ბოლოვდებიან *d*-ზე XI-XIV სს. თურქული ენების ისტორიულ ლექსიკონებში *t* თანხმოვნით არის მოცემული:

მ. ქაშგარი: *tört*, *kurt*, *yurt*, *bulut* [Kaşğari, 1939:341, 342; 1941:7, 391];

იბნი-მუჰენნადა: *tört*, *kurt*, *öt* (*og*), *yikit* [İbnü-Mühennâ, 1934:75; 48; 56; 89];

აბუ ჰაიანდა: *bulut*, *qurt*, *tört*, *yurt* [Abu-Hayyan, 23;82;106;129] [Şirəliyev, 2008: 39].

➤ $z \rightarrow s$: ეს ფონეტიკური მოვლენა აღინიშნება აზერბაიჯანული ენის დიალექტების უმეტესობაში [Əzizov, 1999:107]. როგორც ცნობილია, სიტყვის ბოლო პოზიციაში ხდება მჟღერი თანხმოვნის დაყრუება. ეს დაყრუება არსებობდა ძველ თურქულ

ენაშიც [Məmmədli, 2019:50] და, ძირითადად, გვხვდება სიტყვების ბოლო პოზიციაში.

z → **s** დაყრუების პროცესი გვხვდება ორ- ან მეტმარცვლიან სიტყვებში, რომელიც **z** თანხმოვანზე არის დაბოლოებული, მაგ.:

garpəz → garpəs - საზამთრო

xoruz → xorus - მამალი

palaz → palas - ფარდაგი

otuz → otus - ოცდაათი

olmaz → olmas – არ შეიძლება

almaz → almas – ალმასი

gammaz → gammas – შტერი

tovuz guşu → tous guşu – ფარშევანგი.

აუსლაუტში აზერბაიჯანული ენის **z**-ს ყოვალური ჯგუფის თურქული ენებისათვის შეესაბამება **s** თანხმოვანი, მაგ., თათრულში: almas, palas [Tatarca-rusca süzlek, 1950:37, 196]; ხაკასურში: xas (gaz), xəs (gəz), sös (söz); იაკუთურში: xaas (gaz), kūs (gəz), süüz (söz) [Дмитриев, 1955:272].

ინლაუტში **z** → **s** პროცესი გვხვდება საკუთარ სახელებში, კომპოზიტებში რეგრესული ასიმილაციის შედეგად, მაგ.:

Gəzخانəm → Gəsxanəm - გიზხანუმი

Nazخانəm → Nasxanəm - ნაზხანუმი.

➤ **g** → **x**: ეს პროცესი აზერბაიჯანული ენის ყაზახურ დიალექტში გვხვდება ინლაუტსა და აუსლაუტში, მაგრამ სიტყვის შუა პოზიციაში გვხვდება ძალიან იშვიათად, მაგ.:

- ინლაუტში, მაგ.:

Hagverdi → Haxverdi – ჰაგვერდი

tägsir → taxsər – ბრალი (შდრ. ქართ. თახსირი ← თურქ.ენ.)

asgərmag → axsərməx - დაცემინება.

- აუსლაუტში **g** → **x** ფართოდ იხმარება, მაგ.:

otag → otax - ოთახი

jamag → jamax – საკერებელი

gonag → gonax - სტუმარი

papag → papax - ქუდი

gapag → gapax - თავსახური

bulag → bulax - წყარო

gabəg → gavəx - ქურქი

garmag → garmax - კავი

jazəg → jazəx - საცოდავი

gabag → gavax - წინ

budag → būdax//pūtax - ტოტი

baləg → baləx - თევზი

jarpag → jarpax - ფოთოლი

gatəg → gatəx - მაწონი.

gulag → gulax - ყური

- v → h: ეს პროცესი გვხვდება მხოლოდ ერთ მაგალითში ინლაუტში, მაგ., divar → dohar // duar // doxar // doar // tūfar - კედელი.

IV.8. აფრიკატიზაცია

აფრიკატიზაცია არის ბგერათშერწყმის ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა, რაც მდგომარეობს მარტივი ხშულის შეცვლაში რთულ ხშულად. აფრიკატიზაციაში იგულისხმება მარტივი ხშულის რთულად ქცევის პროცესი, რის შედეგადაც გვაქვს აფრიკატი [ახვლედიანი, 1938:128]. აზერბაიჯანული ენის ყაზახურ დიალექტში აფრიკატებს ვიღებთ შემდეგი თანხმოვნების ტრანსფორმაციის დროს, მაგ.,

d → ო

ო → c

k → ო

c → ო

š → ო

ჭ → ო

g → ჯ

ჭ → ჯ

ზემოაღნიშნული პროცესებიდან, ჩემი აზრით, აფრიკატიზაციის შედეგად გვაქვს მხოლოდ **k → ო**, **š → ო**, ხოლო **d → ო**, **g → ჯ** მივაკუთნებ პალატალიზაციის პროცესს, **ო → c** და **ჭ → ჯ** - გასისინების პროცესს, **c → ო**, **ჭ → ო** - გამოშინების პროცესს.

ვეთანხმებით გ. ახვლედიანის მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც „აფრიკატიზაციას გენეზისური კავშირი აქვს, როგორც ჩანს, პალატალიზაციასთან: როგორც იქ ეცვლება დამმართვა პალატალიზებულ თანხმოვანს, ისე აქ ამა თუ იმ ხშულის დამმართვის პროცესში ჰომორგანული სპირანტული ხასიათის გარდამავალი ბგერა“. [ახვლედიანი, 1949:128]. როგორც პალატალიზაციისას ბგერა იცვლის არტიკულაციის ზონას და პალატალურ ელემენტს იძენს, ანალოგიურად,

აფრიკატიზაციის პროცესში ზოგიერთი ხშულმსკდომი თანხმოვანი ბგერის ტრანსფორმაციისას წარმოიქმნება მისთანავე ორგანული სპირანტული შრე, რაც საბოლოოდ იძლევა აფრიკატულ ბგერას. შედეგად, აფრიკატული თანხმოვანი გაერთიანებულად მოიცავს ხშულისა და სპირანტის კომპონენტებს. „ყოველი აფრიკატის შემადგენელია ხშული პლუს სპირანტი, ე.ი. აფრიკატს ხშული დაწყება აქვს და სპირანტული დაბოლოება. ამიტომ აფრიკატს ფრანგულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში ნახევრად ხშულს უწოდებენ“ [ქლენტი, 1956:146].

როგორც უკვე ცნობილია, სალიტერატურო აზერბაიჯანულ ენას ორი აფრიკატი მოეპოვება: **ჭ** და **ჯ**, მაგრამ აზერბაიჯანული ენის ყაზახური დიალექტის ზოგ თქმაში გვხვდება ოთხი აფრიკატი: **ჭ, ჯ, ჯ, ც**. „საერთოდ მიღებულია, რომ, მაგ., რუს. აფრიკატები **ц** და **ч** მიღებულია **tc**-სა და **th**-ს შერწყმით (ბგერათმონაცვლეობა როგორიცაა მხედველობაში არ გვაქვს).“ [ახვლედიანი, 1938:130]. „ამ აფრიკატთა შემადგენელ კომპონენტებად იგულისხმება მარტივი თანხმოვნები: **ძ=დზ**, **ც=თს**, **წ=ტს**, **ჯ=დჟ**, **ჩ=თშ**, **ჭ=ტშ**. ყოველი აფრიკატი ჩვეულებრივი მარტივი თანხმოვნისაგან განსხვავდება თავისი რთული არტიკულაციური მოძრაობებით“ [ქლენტი, 1956:145]. ამის მიხედვით აზერბაიჯანული აფრიკატების შედგენილობას (შერწყმის თვალსაზრისით) ჩვეულებრივ ასე წარმოვადგენთ:

$$\begin{array}{ll} \text{ჯ} = dj & \text{ჯ} = tz \\ \text{ჭ} = t\text{š} & \text{ც} = ts \end{array}$$

ემპირიული მასალის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ აზერბაიჯანული ენის ყაზახურ დიალექტში აფრიკატიზაციის პროცესი - **k** → **ჭ** ფართოდ არის გავრცელებული. განვიხილოთ ეს პროცესი:

- **k** → **ჭ**: **k** - შუაენისმიერი ხშული ყრუ თანხმოვანია. იგი იხმარება როგორც წინა- და შუა რიგის (i, ü, ö, e, ä), ასევე უკანარიგის ხმოვნებთანაც (a, o, u). მაგრამ აღამუსა ახუნდოვის აზრით, „ეს პროცესი აზერბაიჯანული ენის ისტორიულ ძეგლებში არ გვხვდება“ და **k**-ს **ჭ**-ში გადასვლა დაკავშირებულია მომდევნო ხმოვნის ზეგავლენასთან (**k** თანხმოვნის წარმოთქმა იწევს წინ და ემსგავსება **ჭ**-ს). ვფიქრობ, ეს მოსაზრება მისაღები იქნებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, **k** რომ იხმარებოდა, როგორც **ჭ** მხოლოდ პალატალურ ხმოვნებთან მეზობლობაში,

მაგრამ ეს პროცესი გვხვდება არა მხოლოდ პალატალური (რბილი) ხმოვნების ხმარების დროს, არამედ არაპალატალურ ანუ მაგარ ხმოვნებთანაც. ზუსტად ამიტომ ვფიქრობ, რომ k-ს წ-ში გადასვლის პროცესი აფრიკატიზაციის პროცესს უნდა მიეკუთვნოს, ვინაიდან წ თავს იჩენს, როგორც უკვე ითქვა, არა მხოლოდ პალატალურ, ასევე უკანარიგის ხმოვნებთანაც.

k → **č** პროცესი წინა- და შუაენისმიერ ხმოვნებთან ანლაუტსა და ინლაუტში (i, ü, ö, e, ä), მაგ.:

käbin → čäbin – ქორწინება

(რელ.მუსლ.)

keči → čēči – თხა

küčä → čüčä – ქუჩა

käläm → čäläm – კომბოსტო

kilid → čilit – კლიტე

kilim → čilim – უხავსო ხალიჩა

kälmä → čälmä – სიტყვა

käf → čäf → ქაფი

kiftä → čiftä – გუფთა

kečä → čēčä – ქეჩა

kef → čef – გუნება

külfät → čülfät – ოჯახი

äkin → äčīn – მიწათმოქმედი

häkīm → häčīm – ექიმი

čäkiž → čäčiš // čäküş – ჩაქუჩი

Könül → Čönül – ქონული

könüllü → čönüllü –

ნებაყოფლობით

ikižä → ičizä – ორიღა

k → **č** უკანაენისმიერ ხმოვნებთან (o და a გარდა ə, u ხმოვნისა), მაგ.:

kaɣəz → čaɣəz – ქაღალდი

kalayajə → čalayaj – ქალაღაი

kar → čar – ყრუ

Kamran → Čamran – ქამრანი

Kanan → Čanan – ქანანი

kol → čol – ბუჩქი

kom → čom – შეკვრა

kosa → čosa – ქოსა (შდრ. ქართ. ქოსა)

მ. შირალიევის აზრით, ეს პროცესები თურქულ ენებში იშვიათი მოვლენაა [Şirəliyev, 2008].

k → **č** და **g** → **ž** პროცესები ასევე ვრცლად არის გავრცელებული ანატოლიის, ტრაპიზონისა და ერზურუმის დიალექტებში; მაგ., četirdi (შდრ. getirdi „მოიტანა“), žetdi (gitdi „წავიდა“), čöpek (köpek „მაღლი“), čim (kim „ვინ“), čişi (kişi „კაცი“) [Caferoğlu “DT” 183-195].

- § → Ⴃ პროცესი იშვიათი პროცესია, გვხვდება სულ ორ სიტყვაში, მაგ.:

garanguṣ → garanguṣ - მერცხალი

šüjüd → Ⴃüt// šüjüt - კამა (დენდრ.).

IV.9. პალატალიზაცია

პალატალიზაცია ანუ დარბილება, არის ბგერათშეერთება, რომელშიც ადგილი აქვს წინაენის შუანაწილის არტიკულაციას მაგარი სასის მიმართ. ეს არტიკულაცია შეიძლება გამოიხატოს, როგორც სასასთან შეხებაში, ისე მასთან მიახლოებაში [ახვლედიანი, 1949:125]. პალატალიზაცია არის ბგერათა ასიმილაციის ერთ-ერთი ტიპი, რომლის დროსაც ხმოვნის დარბილება ხდება მახლობლად მდგომი რბილი თანხმოვნის, და, პირიქით, თანხმოვანი განიცდის პალატალიზაციას პალატალური ხმოვნის გავლენით. პალატალიზაცია აზერბაიჯანულ ენაში გვხვდება როგორც ხმოვნებში, ასევე თანხმოვნებში. პალატალიზაციის პროცესი ხმოვნებში განხილული გვაქვს ხმოვნების ჩანაცვლებაში. განვიხილოთ თანხმოვნების პალატალიზაცია.

აზერბაიჯანული ენის ყაზახურ დიალექტში შეგვიძლია გამოვყოთ პალატალიზაციის შემდეგი პროცესები:

$d \rightarrow t \rightarrow Ⴃ$

$k \rightarrow j$

$g \rightarrow Ⴃ$

ანუ აზერბაიჯანული ენის ყაზახურ დიალექტში პალატალიზაციის პროცესს განიცდის თანხმოვნები, რომლებიც ისედაც პალატალურია: $d (\rightarrow t)$, k , g . აღნიშნული თანხმოვნები პალატალურ ხმოვნებთან მეზობლობაში (წინმდგომი თუ მომდევნო) კიდევ უფრო განიცდიან დარბილების პროცესს. პალატალური ანუ რბილი ეწოდება ისეთ ხმოვნებს, რომლებიც პალატალიზაციას განაპირობებენ. აზერბაიჯანულ ენაში ასეთებია, წინა- და შუაენისმიერი ხმოვნები. „აკუსტიკურად რბილ და დარბილებულ ბგერებს ახასიათებს მაღალი სატემბრო ტონები“ [ახვლედიანი, 1949: 126].

ყველა ეს პროცესი სათითაოდ განვიხილოთ.

- $d \rightarrow t \rightarrow \text{ჩ}$: მ. შირალიევის მიხედვით, „ $d \rightarrow \text{ჩ}$ პროცესი ფიქსირდება მხოლოდ აზერბაიჯანული ენის ყაზახურ დიალექტში და რამდენიმე სიტყვაში დახურული ხმოვნების წინ” [Şiraliyev, 2008:78]. d -ს ჩ -ში გადასვლა თანამედროვე აზერბაიჯანული ენის არც ერთ დიალექტში არ გვხვდება, გარდა აზერბაიჯანული ენის დასავლური ჯგუფის ყაზახური დიალექტისა [Axundov, 2007:194]. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ეს პროცესი აზერბაიჯანული ენის დასავლური დიალექტისათვის ერთ-ერთი დამახასიათებელი პროცესია.

$d \rightarrow t \rightarrow \text{ჩ}$ ბგერათჩანაცვლება გვხვდება სიტყვის დასაწყისში - პირველ მარცვალში, როდესაც დახურული, წინაენისმიერი პალატალური ხმოვანი (i და $ü$), რომელთა შემმართვის მომენტი მდგომარეობს წინაენის აწევაში მაგარი სასისკენ, დგას d -სა და ჩ თანხმოვნებს შორის. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სანამ d გადავა ჩ -ში, მანამდე ის გადის რამდენიმე საფეხურს: თავიდან - დაყრუების პროცესს, $d \rightarrow t$, შემდგომ პალატალიზაციის პროცესს ანუ $t \rightarrow \text{ჩ}$:

$$d \rightarrow t + \text{პალატალური ხმოვანი} + \text{ჩ} = \text{ჩ}$$

როგორც ვხედავთ, t -ს პალატალიზაციას იწვევს მომდევნო i ან $ü$, რომელთა შემმართვის მომენტი მდგომარეობს წინაენის აწევაში მაგარი სასისკენ; ამავე დროს ხდება ამ ხმოვანთა წინ მდგომი დაყრუებული თანხმოვნის დამმართვაც, რომელიც ცვლის მეზობელი ბგერის ძირითად ხასიათს, გადადის პირდაპირ მომდევნო რბილი ხმოვნის არტიკულაციაზე.

აქედან გამომდინარე, აზერბაიჯანული ენის ყაზახურ დიალექტში ბგერათშერთვა - di , $dü$ და d +არაპალატალური დახურული ხმოვანი (მაგ., du , $da...$), გვამღევს ორ სხვადასხვა სურათს, სადაც ორი სხვადასხვა d გვაქვს, ამიტომ აქ ბგერათშერწყმაა, რის შედეგადაც გვაქვს პალატალიზაციის პროცესი, მაგ.:

$düşmāk \rightarrow tüşmāx' \rightarrow \text{čüşmāx'}$ – (და $düşmāk$ ფუძისაგან ნაწარმოები ყველა ზმნური ფორმა) – ვარდნა

$diş \rightarrow tiş \rightarrow \text{čiş}$ – კბილი

$dişi \rightarrow tişi \rightarrow \text{čişi}$ – ძუ

düşman → tüşman → čüşman – მტერი

dişlāmā → tişlāmā → čišdāmā – კბენა

düşpārā → tüşpārā → čüşpārā – დუმფარა

düşkün → tüşkün → čüşgün – სულმიხდილი

düşük → tüşük → čüşüx – ჩამოშვებული

dişlāk → tişdāx' → čišdāx' – ნაკბეჩი

düşünsän → tüşünsän → čüşünsän – იფიქრე!

d → č პროცესი სხვა თურქულ ენებში იშვიათი პროცესია. თანამედროვე თურქული ენებიდან ეს პროცესი დღემდე შენარჩუნებულია უილურულ ენაში [Şirəliyev, 2008:83]. საინტერესო აღმოჩენა იყო ის, რომ ეს პროცესი თავს იჩენს იმავე მაგალითებში, რომლებიც ზემოთ გვქონდა მოყვანილი, მაგ., diş → čiş (შდრ. აზერბ. diş → tiş → čiş); dişi → čisi (შდრ. აზერბ. dişi → tişi → čiši); düşmāk – čüşmāk (შდრ. აზერბ. düşmāk → tüşmāx' → čüşmāx') (Русско-уйгурский словарь, 1956:411, 807, 1138).

„მაგრამ ესაა მხოლოდ ბგერათშერთვის ის სახე, რომელსაც ჩვენ ბგერათშერთვას ვეძახით“, რადგანაც აზერბაიჯანულ ენაში „ახალი ბგერა, ფონემა არ წარმოქმნილა“ [[Şirəliyev, 2008:83]. ანუ თამამად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ აზერბაიჯანულისათვის ეს ბგერათშერთვაა.

- **k→j**: ეს პროცესი ასევე დამახასიათებელია აზერბაიჯანული სალიტერატურო ენისათვის. ეს პროცესი გვხვდება ინლაუტსა და მორფემების გასაყარზე. პალატალიზაციის ეს პროცესი პოზიციურია.

ინლაუტში, მაგ.: säksän → säjsän – ოთხმოცი

säksänmāk → säjsänmāx' – შეერთომა

äskik → äjsix' – დანაკლისი

tikmāk → dijmāx' – აშენება.

k-ფუძიანი სიტყვისა და ხმოვნით დაწყებულ სუფიქსის დართვისას k ხვდება ინტერვოკალურ პოზიციაში და გადადის j-ში, k → j, V_k + V > V_jV, მაგ.:

čöräk → čörāx' – პური შდრ.

čöräk+i → čöräji – პური (ბრალდ. ბრ.) და čöräk+dä → čörāx'+dä – პურში (ადგ. ბრ.)

üräk → ürāx' – გული შდრ.

üräk+i → üräj+i - გული (ბრალდ. ბრ.) და üräk+dä → üräx'dä - გულზე (ადგ. ბრ).

- გ → j: არ არის ფართოდ გავრცელებული პროცესი და გვხვდება სულ რამდენიმე სიტყვაში, სადაც მეზობლად არის პალატალური ხმოვანი. აქაც d → č პროცესის მსგავსად პალატალიზაციას ვლელულობთ ბგერათშერთვის შედეგად, მაგ.:

kölğ'ä → köljöj - ჩრდილი (შდრ.

nig'aran → nijaran - მღელვარე

ქართ. ქოლგა)

äg'är → äjär - თუ

sürg'ün → sürjün - გადასახლება

ig'id → ijit - მამაცი

zärg'är → zärjär - ოქრომჭედელი

ög'ej → öjej - გერი

jadig'ar → jadig'ar - სახსოვარი

mäg'är → mäjär - განა.

Nig'ar → Nijar - ნიგარი

- გ → ჯ: გ თანხმოვანი k-სგან თითქმის არ განსხვავდება. განსხვავებას ქმნის ის, რომ გ-ს წარმოთქმისას სასუნთქი მილი დაჭიმულ მდგომარეობაშია და იგი მჟღერია. ნ. გაჯიევის აზრით, პალატალურია და წინაენისმიერ ხმოვნებთან გ რბილდება და გადადის ჯ-ში. ამასობაში ჯ → ჯ, ვინაიდან ჯ ასრულებს გ ფუნქციას [Гаджиева, 1978:50], მაგრამ არ ფიქსირდება ყველა თქმაში.

აზერბაიჯანული ენის ყაზახურ დიალექტში გ → ჯ პალატალიზაციის პროცესი დამოკიდებულია ბგერათშერთვაზე (გ+პალატალური ხმოვანი და გ+არაპალატალური ხმოვანი), გვამლევს ორ სხვადასხვა სურათს, სადაც ორი სხვადასხვა გ გვაქვს, ამიტომ აქ საქმე გვაქვს ბგერათშერწყმასთან ანუ პალატალიზაციასთან, მაგ.:

g'ežä → žežä - ღამე

g'ün → žün - მზე, დღე

g'et! → žet! - წადი!

g'ördüm → žördüm - დავინახე

g'äl! → žäl! - მოდი!

g'üman → žuman - ეჭვი (შდრ. ქართ.

g'ül → žül - ყვავილი

გუმანი).

G'ünel → žünel - გუნელი

➤ $g \rightarrow j$: ბოლო პერიოდში შესამჩნევი გახდა g -ს j -ში გადასვლის პროცესი. ეს პროცესი შეგვხვდა მასდარის, ასევე ბრუნვიან ფორმებში. ეს პროცესი გვხვდება აუსლაუტსა და მორფემების გასაყარზე

- აუსლაუტში, მაგ.:
 $oxumag \rightarrow oxumaj$ - კითხვა
 $jatmag \rightarrow jatmaj$ - ძილი
 $ojnamag \rightarrow ojnamaj$ – თამაში
 $baxmag \rightarrow baxmaj$ - ყურება.
- მორფემების გასაყარზე, მაგ.:
 $oxumag+ən+ \rightarrow oxumajən$ - კითხვის
 $jatmag+ən \rightarrow jatmajən$ - ძილის
 $ojnamag+a \rightarrow ojnamaja$ – თამაშს
 $baxmag+a \rightarrow baxmaja$ - ყურებას.

აზერბაიჯანული ენის სალიტერატურო ენის ნორმების მიხედვით, ამ მაგალითებში სიტყვის ბოლოს მჟღერი g ყრუვდება და გადადის x , ხოლო მორფემების გასაყარზე g ინტერვოკალურ პოზიციაში გადადის $ç$ -ში. ამასთან დაკავშირებით, მაქვს შემდეგი მოსაზრება: მასდარში პალატალურ ხმოვნებთან გვაქვს $-mäk$ დაბოლოება, რომელიც სიტყვის ბოლოში, ინტერვოკალურ პოზიციაში პალატალიზდება და გადადის j -ში; ხოლო $-mag$ დაბოლოების დროს უნდა გადავიდეს x -ში, მაგრამ გადადის j -ში. უკანა რიგის ხმოვნებთან ეს პროცესი არის დაუშვებელი, აქ სინჰარმონიზმის კანონი ხმოვნებსა და თანხმოვნების შორის ირღვევა.

რაც შეეხება k ბგერას, ვინაიდან ის $ç$ -ში გადადის არა მხოლოდ პალატალურ ხმოვნებთან, არამედ დანარჩენ უკანა რიგის ხმოვნებთანაც, შესაბამისად, პროცესი $k \rightarrow ç$ აფრიკატიზაციის პროცესს მივაკუთვნე. აქედან გამომდინარეობს დასკვნა, რომ პალატალიზაცია ხდება მხოლოდ ბგერათა უშუალო მეზობლობის გამო, ასე ვთქვათ, არტიკულაციურად, ფიზიოლოგიური თავსებადობის გამო.

IV. 10. გასისინებისა და გაშიშინების პროცესები

აზერბაიჯანული ენის ყაზახურ დიალექტში გამოვყოფ შემდეგ გასისინებისა და გაშიშინების პროცესებს:

გასისინების პროცესი: $\check{c} \rightarrow c$ და $c \rightarrow \check{c}$

გაშიშინების პროცესი: $\check{z} \rightarrow \check{c}$ და $\check{z} \rightarrow \check{z}$.

მ. შირალიევის აზრით, აღნიშნული ბგერათჩანაცვლების პროცესები დამახასიათებელია არა მხოლოდ ნახიჩევანის, შამახის, ყაზახის დიალექტებისა და ისმაილის და დმანისის თქმებში [Şiraliyev, 2008:78]. ემპირიული მასალაზე დაყრდნობით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ზემოთ მოყვანილი პროცესები გავრცელებულია არა მხოლოდ დმანისის, არამედ საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში, სადაც აზერბაიჯანელები კომპაქტურად ცხოვრობენ და ფართოდ არის გავრცელებული. ესენია: ბოლნისი, კახეთი, გარდაბანი, მაგრამ მარნეულში შერეული ვითარება გვაქვს.

$\check{c} \rightarrow c$: ამ პროცესში ორივე თანხმოვანი ბგერა სისინა ყრუ თანხმოვანია, რომელიც იცვლის მხოლოდ არტიკულაციის ადგილს, ანუ ალვეოპალატალური (სასა-ნუნისმიერი) $\check{c}$ გადადის ალვეოდენტალურ (წინანუნისმიერ) c -ში, ერთი რიგით იცვლის ადგილს - შიშინა აფრიკატი გადადის სისინა აფრიკატში.

$\check{c} \rightarrow c$ ბგერათჩანაცვლების პროცესი გვხდება იმ თქმებში, სადაც $k \rightarrow \check{c}$, ვინაიდან ხდება k -ს ჩანაცვლება $\check{c}$ -თი, $\check{c} \rightarrow c$ ზოგიერთ თქმაში. მ. შირალიევის აზრით, ეს ბგერათჩანაცვლების პროცესი პოზიციურად გვხდება როგორც ანლაუტში, ასევე ინლუტში, მაგ.:

ანლაუტში, მაგ.: $\check{c}aj \rightarrow caj$ - ჩაი

$\check{c}öräk \rightarrow cöräx'$ - პური

$\check{c}ičäk \rightarrow cicex'$ - ყვავილი

$\check{c}immäk \rightarrow cimmäx'$ - ბანაობა.

ინლაუტში, მაგ.: $ga\check{c}gən \rightarrow gacgən$ – ლტოლვილი

$xal\check{c}a \rightarrow xalca$ – ხალიჩა

$jalan\check{c}ə \rightarrow jalanceə$ – მატყუარა

g'õlmäčä → g'õlmäcä – პატარა გუბე

dilänci → dilānci – მათხოვარი.

აღსანიშნავია, რომ **c** თანხმოვნის ხმარება ძალიან ფართოდ არის გავრცელებული აზერბაიჯანული ენის დასავლური ჯგუფის ყაზახურ დიალექტში.

მიუხედავად იმისა, რომ თურქული ენებიდან არც ერთ სალიტერატურო თურქულ ენაში **c** თანხმოვანი არ იხმარება, იგი თურქული ენების დიალექტებსა და თქმებში ვრცლად არის გამოხატული ყველა პოზიციაში. ფართოდ იხმარება თანამედროვე თათრული ენის მიშარსა და თიუმენის თქმებშიც, აქაც **č** → **c**, მაგალითად: cäjnek („ჩაიდანი“) [Шакирова, 1997:115]; köcek („პატარა“), cumatan („ჩემოდანი“) [Д. Г. Тумашева, 1968:163].

- **c** → **č**-ში გადასვლის პროცესი **č** → **c** პროცესის უკუპროცესია. სიტყვები, რომლებიც უცხოა აზერბაიჯანული ენისათვის და რომელთაც შემადგენლობაში აქვს **c**, აზერბაიჯანელების მეტყველებაში გვხვდება როგორც **č**. ასეთი მაგალითები გვხვდება ანლაუტში, იშვიათად ანლაუტში თანხმოვანთკომპლექსში, მაგ.:

Tsira → čira – ცირა

Tsiala → čiala – ციალა

sirk → cirk → čirk – ცირკი

Mtsxeta → Mčxeta – მცხთა.

- **ž** → **z**. ამ პროცესში **ž** ბგერის მაგივრად იხმარება **z** – წინაენისმიერი, მჟღერი სისინა აფრიკატი. ამ ბგერათხანაცვლების დროსაც შიშინა აფრიკატი **ž** გადადის სისინა **z** აფრიკატში. იმ თქმაში სადაც **č** → **c**, მაშინ იქ აუცილებლად **ž** → **z**. **z** გარდა აზერბაიჯანული ენის დასავლური დიალექტისა, ასევე გვხვდება აზერბაიჯანული ენის სხვა დიალექტებშიც, კერძოდ, ნახიჩევანის, აირუმის, ისმაილისა და ჯეზრაილის დიალექტებში, მაგ.:

bažə → baʒə – და

žəžə → zəzə – წიწილა

gežə → geʒə – ღამე

žomuš – zomuš – კამეჩი.

z ფონემა არ გვხვდება ძველ ძეგლებში, ეს ფონემა გვხვდება „პაპა ქორქუთის წიგნსა“ და ნასიმის პოეზიაში სულ რამდენიმე სიტყვაში. ე. დემირჩიზადესა და ა. ახუნდოვის აზრით, ეს ფონემა შეცდომით არის დაფიქსირებული და ფიქრობენ, რომ

ეს შეცდომა იყო დაშვებული გადაწერის დროს [Dəmirçizadə, 1959:43; Axundov, 2023:194].

➤ **ჭ → ც:** ეს პროცესი არ არის ფართოდ გავრცელებული. გვხვდება სიტყვის დასაწყისში, შუასა და ბოლო პოზიციებში.

- ანლაუტში გვხვდება მხოლოდ ერთ სიტყვაში, რომელიც დისტანციური რეგრესიული ასიმილაციით უნდა იყოს გამოწვეული, მაგ., *ჭüt* → *čüt* - წყვილი; ეს პროცესი შემონახულია *ჭüt* ძირისაგან ნაწარმოებ სიტყვა-ფორმებში:

- ინლაუტში ასევე გვაქვს დისტანციური ასიმილაციის შედეგად მიღებული, მაგ.:

mäsʒid → *mečit* - მეჩეთი

xänʒär → *xančal* // *xanʒal* - ხანჯალი

- აუსლაუტში ეს პროცესი უნდა იყოს დაყრუების პროცესის შედეგად მიღებული, მაგ.:

kärpiʒ → *kärpič* - აგური

ayaʒ → *ayač* - ხე

borʒ → *borč* - ვალი

gazanʒ → *gazanč* // *gazanš* - შემოსავალი

- რეგრესიული დისიმილაციის შედეგად, მაგ.,

rus+ʒa → *rusʒa* → *ruʒʒa* → *ručʒa* → *ručʒa* - რუსულად

iš+ʒi → *išʒi* → *iʒʒi* → *ičʒi* → *ičʒi* - მუშაკი

javaš+ʒa → *javašʒa* → *javaʒʒa* → *javačʒa* // *juačʒa* → *javačʒa* // *juačʒa* - ნელ-ნელა

jaš+ʒa → *jašʒa* → *jaʒʒa* → *jačʒa* → *jačʒa* - ასაკობრივად

jaxšə+ʒa → *jaxšʒa* → *yaxʒʒa* → *yaxčʒa* → *yaxčʒa* - ლაზათიანად

tez+ʒä → *tezʒä* → *teʒʒä* → *tecʒä* → *tečʒä* - სსსრფოდ

az+ʒa → *azʒa* → *aʒʒa* → *ačʒa* → *ačʒa* - ცოტათი

jüz+ʒä → *jüzʒä* → *jüʒʒä* → *jüčʒä* → *jüčʒä* - ასობით

pad+šah → *pačʒax* → *pačʒax* - პადიშახი

känd+či → *känt+či* → *känčʒi* → *känčʒi* - სოფელი

növbät+či → *nöbätči* → *nöbäčʒi* → *nöbäčʒi* - მორიგე

sänät+či → sänät+či → sänäčži → sänäčži - ხელოვნების მოღვაწე

hörmät+žil → hörmätžil → hörmäžžil → hörmäčžil → hörmäčžil -

გულისხმიერი

xälvät+žä → xälvätžä → xälväžžä → xälväčžä → xälväčžä - მალულად.

- **ჰ → ც:** აზერბაიჯანული ენის დასავლური ჯგუფის ყაზახური დიალექტის ზოგიერთ თქმას ახასიათებს **ჰ, ც** თანხმოვნები, რომლებიც იხმარება **ჰ** და **ც** თანხმოვნების ნაცვლად, ანუ **ჰ**-ს ნაცვლად იხმარება **ჰ**, რომელიც შემდგომ კონტაქტური რეგრესული დისიმილაციის შედეგად გადადის **ც-ში**, აქედან გამომდინარე, **ჰჰ → ცჰ → ჰ**, მაგ.:

rus+ჰa → rusჰa → ruჰჰa → ruცჰa → ruცჰa - რუსულად

javaš+ჰa → javašჰa → javaჰჰa → javაცჰa → javaჰჰa → javaცჰa - ნელ-ნელა

jaxša+ჰa → jaxšჰa → yaxჰჰa → yaxცჰa → yaxცჰa - ლაზათიანად.

IV.11. დეზაფრიკატიზაცია

დეზაფრიკატიზაცია აფრიკატიზაციის საპირისპირო პროცესია. „დასტურდება საწინააღმდეგო პროცესიც, როდესაც აფრიკატი იქცევა მარტივ ხშულად, ან სპირანტად“ [ჟღენტი, 1956:146]. თუ აფრიკატიზაციაში მარტივი ხშული რთულად იქცეოდა და შედეგად ვიღებდით აფრიკატს, დეზაფრიკატიზაციის დროს რთული ხშული აფრიკატი მარტივდება და შედეგად გვაქვს სპირანტი ბგერა. ვეთანხმებით ს. ჟღენტის აზრს, როცა ამბობს, რომ აფრიკატებში ხშვის მომენტი შემმართვის დროს ბევრად უფრო სუსტია, ვიდრე ცალკე წარმოდგენილი მისი შემადგენელი კომპონენტი ხშულ თანხმოვნებში“ [ჟღენტი, 1956:147]. აზერბაიჯანულ ენის ყაზახურ დიალექტში დეზაფრიკატიზაციის დროს აფრიკატების წარმოთქმისას ხშვის მომენტის შედეგად პირველი კომპონენტი (**ჰ=dჰ**) რედუცირდება, მეორე ფონემა (**ჰ**) უცვლელი რჩება. ამ კანონზომიერებას ადასტურებს ყველა აფრიკატის დეზაფრიკარიზაციის პროცესი. აზერბაიჯანული ენის ყაზახურ დიალექტში გვხვდება შემდეგი დეზაფრიკატიზაციის პროცესები: **ჰ → ჰ, ჰ → ჰ, ც → ჰ**.

- **ჭ → ჯ:** ეს პროცესი აზერბაიჯანული ენის დასავლური ჯგუფის ყაზახური დიალექტისათვის ერთ-ერთი დამახასიათებელი მოვლენაა და გვხდება როგორც სიტყვის ფუძეში (ერთმარცვლიანი და ერთზე მეტმარცვლიანი სიტყვის შუასა და ბოლო პოზიციებში), ასევე სუფიქსებში; მაგ.:

g'ežä - g'ejä - ღამე

g'äläžäk - g'äläžäx' - მოვა

bažə - bažə - და

gajražayam - gajražam - გავაკეთებ

ažə - ažə - მწარე

mažal → mažal - საშუალება

balaža - balaža - პატარა

goža → goža - მოხუცი.

ეს პროცესი გვხდება ასევე თურქული ენის დიალექტებშიც, მაგ., sežde - საჯდე (რელ. ტერმ.), mažal - საშუალება, haža - ჰაჯი (რელ. ტერმ.), verežik - მოგვცემთ [Korkmaz, 1956:69].

დეზაფრიკატიზაციის პროცესები **ჭ → ჯ, ჭ → ჭ** აზერბაიჯანული ენის ყაზახურ დიალექტში გვხდება რამდენიმე სიტყვაში. ეს პროცესი დასავლური დიალექტისათვის ერთ-ერთ დამახასიათებელ მოვლენად შეიძლება ჩაითვალოს.

- დეზაფრიკატიზაციის პროცესი **ჭ → ჭ** შეიძლება დავყოთ 2 ეტაპად:

ჭ → ჯ → ჭ - პირველი ეტაპი არის მჟღერი შიშინა აფრიკატის **ჭ** გადასვლა მჟღერ შიშინა სპირანტში, ხოლო შემდგომ ეს მჟღერი შიშინა სპირანტი **ჯ** ყრუვდება და გადადის ამავე რიგის შიშინა ყრუ სპირანტში **ჭ**. ემპირიული მასალის მიხედვით ეს პროცესი დასტურდება აუსლაუტში, სადაც დაყრუება ჩვეულებრივი მოვლენაა, მაგ.:

gazanč → gazanč // gazanč - შემოსავალი

ülgüč → ülgüč // ülgüč - სამართებელი

kärpič → kärpič // kärpiš - აგური.

- **ჭ → ჭ → ჭ // ჭ → ჭ:** ვინაიდან **ჭ → ჭ → ჭ** პროცესის დროს **ჭ → ჭ** პროცესი მეორდება **ჭ → ჭ → ჭ** პროცესის მეორე ეტაპზე, შესაბამისად, ეს ორი პროცესი გავაერთიანე და ერთად მაქვს წარმოდგენილი. **ჭ → ჭ → ჭ** დეზაფრიკატიზაციის დროს ჩვენ გვაქვს ჯერ დაყრუების პროცესი ანუ **ჭ → ჭ** - tš. შემდეგ პროცესი გვაქვს დეზაფრიკატიზაციის პროცესთან **ჭ → ჭ**. ამ პროცესის დროს **t** თანხმოვანი რედუცირდება და გვრჩება მხოლოდ **ჭ** თანხმოვანი.

- $\check{z} \rightarrow \check{c} \rightarrow \check{s}$, მაგ.:

$g'äläžäksänmi \rightarrow g'äläštänmi //$

$g'älištänmi$ - მოხვალ?

$gazanždan \rightarrow gazanšdan -$

შემოსავლიდან

$čäkiž \rightarrow čäküş$ - ჩაქუჩი

- $\check{c} \rightarrow \check{s}$: $sač \rightarrow saš$ - თმა

$üč \rightarrow üš$ - სამი

$kečsän \rightarrow kešsän$ - გაიარე!

$seč \rightarrow seš$ - აირჩიე!

$kärpiž \rightarrow kärpiš$ - აგური

$bažasə \rightarrow bašda$ - მისი და

$aḡaždan \rightarrow aḡašdan$ - ხიდან

$biläžäksänmi \rightarrow biläštänmi$ - გაიგებ?

$gačdänmə \rightarrow gašdänmə$ - გაიქეცი?

$galažagsanmə \rightarrow galašdan$ - დარჩები

$heč nä \rightarrow hešdat$ - არაფერი.

ეს პროცესი არის აღნიშნული ასევე რუსულიდან შემოსულ ნასესხებ სიტყვებშიც:

$k \rightarrow g$ და $\check{c} \rightarrow \check{s}$:

$spička \rightarrow pəšga //$ ხაშგა - ასანთი

$pačka - bašga$ - კოლოფი

$lampočka \rightarrow lampušga$ - ნათურა.

აღნიშნულ მაგალითებში დეზაფრიკატიზაცია შეგვიძლია ასე ავხსნათ: სიტყვებში, სადაც გვაქვს $\check{c}k$ კომპლექსი, k განიცდის გამჟღერებას, ანუ $k \rightarrow g$, ხოლო $\check{c}$ თანხმოვნის დისიმილაციის შედეგად განიცდის დეზაფრიკატიზაციის პროცესს და $\check{c} \rightarrow \check{s}$.

თურქულ ენებში ეს პროცესი ახასიათებს ყივჩაღური შტოს ენებს, ხოლო აზერბაიჯანული ენის ყაზახურ დიალექტში უნდა განვიხილოთ როგორც ყივჩაღური ელემენტი.

IV.12. გამჟღერება

გამჟღერება არის ფონეტიკური პროცესი, როდესაც ყრუ თანხმოვანი გარდაიქმნება მჟღერ თანხმოვნად. ეს პროცესი დაყრუების საპირისპირო პროცესია. ეს ცვლილება ხდება კონკრეტულ ფონეტიკურ გარემოში, ხშირად ასიმილაციის

შედეგად. აზერბაიჯანული ენის ყაზახურ დიალექტში გვხვდება შემდეგი გამჟღერების პროცესი:

- **p → b:** გამჟღერების პროცესი გვხვდება ანლაუტში, ძირითადად, ნასესხებ სიტყვებში, ბარბარიზმებში. მაგრამ აქ უნდა ვთქვათ, რომ ეს ნასესხი ლექსიკა მიიჩნევა საკუთრივ ლექსემებად. ამ პროცესში გვხვდება სიტყვები, რომლებიც შემოვიდა ძირითადად რუსული (ან რუსული ენის მეშვეობით) და ქართული ენებიდან. ეს პროცესი გვხვდება როგორც ანლაუტში, ასევე ინლაუტში.

- **ანლაუტში:** მაგ., patrul → badrul - პატრული

polis → bolis - პოლიცია

palto → baldo// baldon - პალტო

petruška → bedrušga - ოხრახუმი

pamidor → bamador // bamidor // mamador - პომიდორი

pasport → basbord // bašbord // basburd - პასპორტი

padnos → badnos - სინი

pol → bol - იატაკი

plan → blan // bəlan – გეგმა

poezd → boez - მატარებელი

pačka → bačga - პაჩკა, შეკვრა

parki → bargg - პარკი

patron → badron – მასრა

patrul → badrul - პატრული.

ბოლო სამი სიტყვა შესულია აზერბაიჯანული ენის ყაზახურ დიალექტში ქართული ენის გავლით.

- **ინლაუტში:**

pasport → basbord // bašbord //

stul – sdul - სკამი

basburd - პასპორტი

stolba → sdolba - ბოძი

ašpaz → ašbaz - მზარეული

kontrol – gandrol - კონტროლი.

stol → sdol - მაგიდა

- **t → d:** აქვე აღვნიშნავთ, რომ სიტყვებში: patrul → badrul - პატრული; pasport → basbord // bašbord // basburd - პასპორტი; petruška → bedrušga - ოხრახუში, p → b გამჟღერების პროცესთან ერთად პარალელურად გვაქვს t → d პროცესიც. ეს პროცესი, როგორც წინა გამჟღერების პროცესი გვხვდება ნასესხებ სიტყვებში, მაგრამ მისგან განსხვავებით ინლაუტში, მაგ.:

Nato → Nado - ნატო

petruška → bedrušga - ოხრახუში

Nataša → Nadaša - ნატაშა

direktor – direxdor - დირექტორი.

patrul → badrul - პატრული

t → d ბგერათჩანაცვლების პროცესი მ. შირალიევის აზრით, აზერბაიჯანული ენისათვის არ არის დამახასიათებელი მოვლენა, მაგრამ ახასიათებს აზერბაიჯანული ენის ყაზახურ დიალექტს: tüşdü → düşdü - წაიყცა, tökmäk → dök-mäx' – ჩასხმა, tikmäk → dikmäk' - აშენება [Şirəliyev, 2008:78].

ა. მ. შჩერბაკის აზრით, აზერბაიჯანულში, ტუვურ და თოფის ენებში ფონოლოგიური თვალსაზრისით t ბგერას განუვითარდა სუსტი სიმჟღერე [Щербак, 1970:164]. ჰ. მირზაზადეს მიხედვით, d მსკდომი მჟღერი თანხმოვანია, სიტყვის დასაწყისში ძალიან სუსტად, ხოლო ბოლოში ძალიან ყრუვდება [Mirzəzadə, 1962:44].

- **h → j** პროცესი გვხვდება ინლაუტში, მაგ.:

žahil → žajil - ახლაგაზრდა

šahid → šejit // šäjit - შეჰიდი

Tehran → Tejrān - თეირანი

žavahir → žavajir - ჯავაჰირი

söhbät → söjbät - საუბარი

šöhrät → šöjrat - დიდება

vähši → väjši // vāši - ველური

Mehdi → Mejti - მეჰდი

köhnä → köjnä - ძველი

mähällä → mäjlä // mählä - უბანი

näsihät → näsijät - დარიგება

mahnə → majnə - სიმღერა.

xahiš → xajiš // xaiš - თხოვნა

- **f → j:** ეს პროცესი გვხვდება სულ ორ სიტყვაში, მაგ., šaftal → šöjtäli – ატამი, käfkir → köjkür - ქაფქირი.

- **k → g:** ეს პროცესი გვხვდება რუსული ენიდან ნასესხებ სიტყვებში, მაგრამ იმდენად არის შემოსული, რომ საკუთარ ლექსემებად აღიქვამენ, მაგ.:

škaf → šgaf – შკაფი

butalka → botulga // butulga //	kartov → gartof - კარტოფილი
botlu - ბოთლი	balkon → balgon - აივანი
spička → pašga // bašga - ასანთი	akoška → agušga - ფანჯარა
lampočka → lampušga - ნათურა	kontrol – gandrol - კონტროლი
karobka → garobga - ყუთი	kartəm → gardəm - ჩემი ბარათი
karton → gardon – მუყაო	koxta → goxda - კოხტა (შდრ. ქართ. კოხტა).
kabinet → gabinet – კაბინეტი	
kanfet → gamfet // ganfet - კონფეტი	

IV.13. სინჰარმონიზმის კანონი

სინჰარმონიზმის კანონი ანუ ზგერათა ჰარმონიის კანონი - არის ფონეტიკური წესი, რომელიც განსაკუთრებით ტიპიურია თურქულ ენებში. აგლუტინაციურობა მჭიდრო კავშირშია ჰარმონიის კანონთან. ეს არის ასიმილაციის კანონზომიერი, სისტემური ფორმა, სადაც ხმოვნები ერთმანეთს ერგებიან და წარმოთქმისას სიტყვა ერთიან და ჰარმონიულ ჟღერადობას იძენს. ე. აზიზოვის მიხედვით: „სინჰარმონიზმის კანონი არის ასიმილაციის არაეპიზოდური, მუდმივი და კანონზომიერი სახე, რომელიც აგლუტინაციურ ენებში ენობრივ კანონად იქცა“ [Əzizov, 1972:51]. ასევე, მისი აზრით, *ყაზახურ დიალექტში, ჰარმონიის კანონი განსაკუთრებით ძლიერია* [Əzizov, 1972:54]. თუმცა არსებობს აგლუტინაციური ენები, რომელთათვისაც სინჰარმონიზმი არ არის დამახასიათებელი.

მ. შირალიევის აზრით, აზერბაიჯანული ენის ყაზახური დიალექტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი ხმოვანთა ჰარმონიაა. როგორც ჩანს, დასავლური ჯგუფის დიალექტებსა და კილოკავებში ღია უკანა ხმოვანთა ერთმანეთის თანამიმდევრობა თვალსაჩინო ნიშანია, რაც სხვა ჯგუფის დიალექტებსა და კილოკავებს არ ახასიათებთ. აზერბაიჯანული ენის ხმოვანთა ჰარმონიას მ. შირალიევი სამ ჯგუფად ყოფს:

1. დიალექტები და თქმები, სადაც სინჰარმონიზმი მეტწილად დარღვეულია
2. დიალექტები და თქმები, სადაც სინჰარმონიზმი დარღვეულია

3. დიალექტები და თქმები, სადაც სინჰარმონიზმი მეტწილად შენარჩუნებულია [Şiraliyev, 1967:58].

მ. მამედლი, თავის მხრივ, აზერბაიჯანული ენის დიალექტებში ხმოვანთა ჰარმონიის შენარჩუნებისა და დარღვევის შემთხვევებს ორ ძირითად ჯგუფად ყოფს:

1. დიალექტები, სადაც ჰარმონიის კანონი დაცულია
2. დიალექტები, სადაც ჰარმონიის კანონი დარღვეულია [Məmmədli, 2019 : 77-78].

იბ. ბაირამოვი აზერბაიჯანული მეტყველების ფორმებში ხმოვანთა ჰარმონიის დარღვევას ორ ძირითად ტიპად ყოფს:

1. სინჰარმონიზმი ენის სასისადმი მიმართულებისა და პოზიციის დარღვევით
2. სინჰარმონიზმი ბაგისმიერი//ლაბიალური ჰარმონიის დარღვევით [Bayramov, 2022:124].

შემოჩამოთვლილი ავტორები სინჰარმონიზმის საკითხს განიხილავენ სხვადასხვა კრიტერიუმებით: გავრცელების პრინციპითა და ფონეტიკური პრინციპით. გავრცელების პრინციპის მიხედვით ავტორი არ განიხილავს სინჰარმონიზმის ქონა-არქონის ფონეტიკურ საფუძვლებს, ხოლო ფონეტიკური პრინციპით სინჰარმონიზმის საკითხის განხილვას ნაკლებად აინტერესებს გავრცელების არეალი.

მივიჩნევ, რომ აზერბაიჯანული ენის ყაზახურ დიალექტში სინჰარმონიზმს დავყოფ ორ ჯგუფად, დაყოფილ პრინციპად კი ვიღებ არა გავრცელების ანუ ტერიტორიულ პრინციპს, არამედ ფონეტიკურს:

1. სინჰარმონიზმის კანონი მოქმედებს სრულად
2. სინჰარმონიზმის კანონი დარღვეულია.

IV.13.1. სინჰარმონიზმი აზერბაიჯანული ენის ყაზახურ დიალექტში

სინჰარმონიზმს აზერბაიჯანული ენის ყაზახურ დიალექტში ვყოფ შემდეგ ქვეჯგუფებად:

1) **ბაგისმიერობის სინჰარმონიზმი** - ვინაიდან აზერბაიჯანულ ენაში სუფიქსაციაა გაბატონებული, შესაბამისად, აზერბაიჯანულ ენაში სუფიქსების

დართვისას მოქმედებს სინჰარმონიზმის კანონი. ეს კანონი ძირითადად კარგად იჩენს თავს ზმნებში გრამატიკული კატეგორიების ცვლილებების დროს. მაგალითად, სალიტერატურო აზერბაიჯანულ ენაში ახლანდელი დროის მაწარმოებელია -ir⁴ (-ir// -er// -ur// -ür), ხოლო აზერბაიჯანული ენის ყაზახურ დიალექტში ახლანდელი დროის სუფიქსი ბაგისმიერ შემთხვევაში არის -or// -ör// -ür// -ör, ხოლო არაბაგისმიერ შემთხვევაში იხმარება -er// -ēr სუფიქსები. შესაბამისად, აზერბაიჯანული ენის ყაზახურ დიალექტში ახლანდელ დროში გვაქვს, მ. შირალიევის აზრით, სამვარიანტიანი სუფიქსი -or// -ör// -ür// -ör// -er// -ēr [Şiraliyev, 2008:116]. ამ სუფიქსებთან ერთად ახლანდელი დროის სუფიქსად ასევე გამოვყოფ დახურულ ბაგისმიერ სუფიქსს -ür// -ur. ჩემი აზრით, აზერბაიჯანული ენის ყაზახურ დიალექტში ახლანდელი დროის ერთ სუფიქსს აქვს ხუთი ვარიანტი.

ცნობილია, აზერბაიჯანულ ენას გააჩნია 4 ბაგისმიერი ხმოვანი - 1. აქედან ორი ღია - o, ö და ორი დახურულია - u, ü. შესაბამისად, ბაგისმიერობის სინჰარმონიზმი შეიძლება დავყოთ შემდეგ ჯგუფებად:

1) ბაგისმიერობის სინჰარმონიზმი ღიაობის მიხედვით - როცა სიტყვაში ყველა ღია ბაგისმიერი ხმოვანია. ეს პროცესი გვხდება ძირითადად, როცა სიტყვის პირველ მარცვალში გვაქვს ბაგისმიერი o ან ö ხმოვნები და შემდგომ მარცვალში a, ან ä ხმოვანი, რომელიც მეზობლობს j-სთან, ან სონორ თანხმოვნებთან. ეს პროცესი გვხვდება სიტყვის ფუძეში, ან ფუძისა და მორფემის გასაყარზე:

- როცა ორზემეტმარცვლიან ხმოვანფუძიან ზმნას ახლანდელ დროში დაერთვის სუფიქსი -(j)ir//-(j)er, მაშინ მეორე მარცვლის ხმოვანი ჯერ სინჰარმონიზმის კანონის მიხედვით იცვლება ბაგისმიერობის მიხედვით და ამავე დროს გამყოფი თანხმოვანი j სრულიად რედუცირდება და სუფიქსის ხმოვანი ბაგისმიერდება და გრძელდება. ანუ -(j)ir//-(j)er → -(j)or// -(j)ör → -ör// -ör: მაგ.:

joxlajər → joxlojor → joxlör - ამოწმებს

dolajər → dolojor → dolör - ახვევს

ojnajər → ojnojor → ojnör - თამაშობს

g'örmäjib → g'örmöjör → g'örmöf - არ უნახავს

söjläjir → söjlöjör → söjlör - ყვება

bulajər → bulojor → bulör - სვრის

govalajəb → gojlojob → gojlöf - გაუგდია

g'özlājir → g'özlōjör → gözdör - ელოდება

თურქულ ენებში სინჰარმონიზმი ღიაობის მიხედვით დასტურდება ყირღიზულ ენაში, მაგ.: *torgoy* (← *turagay*), *tokoj* (← *mešä*), *orto* (← *orta*), *očok* (← *očak*), *tozon* (← *toz*), *koldor* (← *gollar*) [Исхаков, 1955:138-150].

- ერთმარცვლიან ზმნებში, რომლის ხმოვანიც არის ბაგისმიერი ღია ხმოვანი და მას დაერთვის ახლანდელი დროის სუფიქსები *-ür//ur*, მაშინ ეს სუფიქსი სინჰარმონიზმის კანონის მიხედვით განიცდის ასიმილაციას ანუ *-ür//ur* → *-or//ör*, მაგ.:

olur → *olor* - ხდება

köçür → *köçör* - გადადის

g'örür → *g'örör* - ხედავს

bölür → *bölör* - ყოფს.

döjür → *döjör* → *dör* - სცემს

2) ახლანდელი დროის მაჩვენებლებს წარსული დროის სუფიქსების (წარსული კატეგორიული დროის სუფიქსი *-di//da//du//dü*; წარსული უნახაობის სუფიქსი *-miš//maš//muš//müš* და *idi*-ს დამატების დროს) დართვისას აზერბაიჯანულში იწარმოება წარსული განგრძობითობის დრო. „1“ პუნქტში მოყვანილ მაგალითებისაგან, რომ ვაწარმოთ წარსული განგრძობითობას დრო, მაგ დროს სინჰარმონიზმის კანონი ბაგისმიერობის მიხედვით შენარჩუნებულია, ოღონდ ამ შემთხვევაში ყველა ხმოვანი არ არის ღია; ასევე სახელების ბრუნვების დროს; მაგ.:

joxlajər + də → *joxlojör + du* → *joxlördü* - ამოწმებდა

ojnajər + də → *ojnojör + du* → *ojnördü* - თამაშობდა

ojnajər + məš → *ojnojör + muš* → *ojnörmuš* - თურმე თამაშობდა

söjlājir + di → *söjlōjör + dü* → *söjlördü* - ყვებოდა

g'özlājir + di → *g'özlōjör + dü* → *gözdördü* - ელოდებოდა

olor + du → *olordu* - ხდებოდა

g'örür + dü → *g'örör + dü* - ხედავდა

döjür + dü → *döjör + dü* → *dör + dü* - სცემდა

bölür + dü → *bölördü* - ყოფდა.

- რთულ შედგენილ ზმნებში, რომელიც იწარმოება *idi*-ს მეშვეობით კავშირებით ფორმებში:

olsa idi → olsa-jdә → olsojdu - რომ ყოფილიყო

boysa idi → boyşajdә → boysojdu - თუ დაახჩობდა

döjsäidi → döjsöjdü // döjsäjdi – თუ სცემდა

ölsä idi → ölsöjdü // ölsäjdi - თუ მოკვდებოდა.

- სახელების ბრუნვისას, როცა სიტყვის პირველ მარცვალში გვაქვს ბაგისმიერი o ხმოვანი და შემდგომ მარცვალში a ხმოვანი, რომელიც მეზობლობს j-სთან, ან სონორ თანხმოვნებთან:

goṣa+n+ә → goṣu+j+u – მოხუცს (მიც. ბრ.)

kosa+n+ә → kosu+j+u – ქოსას (მიც. ბრ.)

kora+j+ә → koru+j+u → korju - ლურსმანი.

2) ბაგისმიერობის სინჰარმონიზმი, სადაც პირველი ხმოვანი ღიაა, ხოლო დანარჩენი ხმოვნები დახურული ბაგისმიერი ხმოვნებია

- ყველა იმ სიტყვას, რომელიც განხილული იყო „1)“ პუნქტის პირველ ქვეჯგუფში აქვს გამოთქმის მეორე ვარიანტიც, ანუ სადაც პირველი მარცვალი ახდენს შემდგომ ხმოვნებზე სრულ ასიმილაციას და პარალელურად სხვა ფონეტიკური პროცესების შედეგად პირველი მარცვლის გარდა ვიღებთ დახურულ ბაგისმიერ ხმოვნებს. შედეგად ყველა ხმოვანი ასიმილირდება ბაგისმიერობის მიხედვით, მაგ.:

ojnajerdә → ojnujurdu - თამაშობდა

g'ormäjib → g'ormäjüf - არ უნახავს

söjläjib → söjläjüf – მოუყოლია

govalajәb – gojlujuf - გაუგდია

g'özläjirdi → g'özdäjürdü - ელოდებოდა.

- სიტყვათშეთანხმების დროს შედგენილ შემასმენელში:

g'özü idi → g'özüjdü – მისი თვალი იყო

sözü idi → sözüjdü - მისი სიტყვა იყო

toju idi → tojujdu - მისი ქორწილი იყო

3) როცა ზმნის ფუძეში ყველა დახურული ბაგისმიერი ხმოვანია, მაშინ ახლანდელი დროის სუფიქსის დართვისას -ür// -ur → -or// -ör. ასეთ მაგალითებში გვაქვს დისიმილაციის პროცესი, მაგ.:

gülür → gñlör - იცინის

gurur → gñror – რთავს

durur → dñror - გდას

čürüjür → čürüjör → čürjör - ლპება.

düşür → dñšör – ვარდება

4) როცა ორმარცვლიან ზმნის ფუძეში, სადაც პირველი მარცვალში გვაქვს ღია ბაგისმიერი, ხოლო მეორეში - დახურული ბაგისმიერი ხმოვანი, ახლანდელი დროის სუფიქსის დართვისას -ür// -ur სუფიქსი გადადის -or// -ör; მაგ.:

otur+ur → otñror – ზის

öldür+ür → öldñrör - კლავს

doldur+ur → doldñror - ავსებს

dojdur+ur → dojdñror – ანაყრებს

5) ბაგისმიერობის სინჰარმონიზმი დახურულობის მიხედვით - როცა სიტყვაში ყველა დახურული ბაგისმიერი ხმოვანია. ეს პუნქტი შეიძლება დავყოთ შემდეგ ქვეჯგუფად:

- როცა ორზემეტმარცვლიან ხმოვანფუძიან ზმნას, რომლის პირველი მარცვლის ხმოვანი დახურული ბაგისმიერი ხმოვანია, ახლანდელი დროში მას დაერთვის სუფიქსი -(j)ür//-(j)ur ანუ -(j)ñr//-(j)ur. ზოგ ზმნას აქვს ასევე გამოთქმის მეორე, პარალელური ვარიანტიც, მაგ.,

ütülä+jir+di → ñtlñjürdñ // ñtlñrdñ // ñtlñrdñ – აუთავებდა

sulajørðə → sñljñrdu // sñlñrdu - არწყავდა

bulajør → bñljñur – აჭუჭყიანებს, სვრის

žütlä+jir → žütlñjür // žütlñr - აწყვილებს

- თავს იჩენს სახელებში სუფიქსების გასაყარზე, სადაც **a, ä** ხმოვნები მეზობლობლადაა სონორ **n** თანხმოვანთან, როცა ფუძეში პირველ მარცვალში გვაქვს ბაგისმიერი ხმოვნები **ü** ან **u**, მაგ.:

düjmä+ni → dñjmñjü // dñjmöjü - დილი (ბრალდ. ბრ.)

bura+nə → bñrju // bñroju - აქ (ბრალდ. ბრ.)

sürmä+ni → sñrmñjü // sñrmöjü - უჯრა (ბრალდ. ბრ.)

buça+nə → bñçñju // bñçju - ბუდა (ბრალდ.ბრ.)

gʻullāni → gʻullōjū // gʻullūjū – ტყვია (ბრ. ბრ.).

- ასევე სიტყვის ფუძეში სხვადასხვა პოზიციაში, მაგ.:

Jusif → Jusus // Usuf // Suf - იუსუბი	müdir → müdür - დირექტორი
Junis → Junus - იუნისი	mühit → mühüt - გარემო
bibi → büvü – ბიცოლა	guraləg → gurulux - სიმშრალე.

სინჰარმონიზმი არაბაგისმიერობის მიხედვით

(სინჰარმონიზმი ენის სასისადმი მიმართულებისა და პოზიციის მიხედვით)

1) სინჰარმონიზმი უკანაენისმიერობის მიხედვით:

- როცა სიტყვაში ყველა ხმოვანი უკანაენისმიერი ღია ხმოვანია - თუ სიტყვაში გვაქვს ერთ-ერთი უკანაენისმიერი ღია არაბაგისმიერი **a** ხმოვანი, მაშინ ის იმსგავსებს სიტყვაში მყოფ დანარჩენ ხმოვნებს, მაგ.:

bärabär → baravar - ერთად	žäza → žaza - სასჯელი
sajəg → sajag - ფხიზელი	gässab → gassaf - ყასაბი
ašayə → ašaya - ქვევით	häyat → hayat - ეზო
Ejvaz → Ajvaz - აივაზი	žahəl (gʻānž) → žahal - ახალგაზრდა
gärar → garar - გადაწყვეტილება	äždaha → aždaha - გველეშაპი
bašə ašayə → baššaya -	

თავდახრილი

- როცა სიტყვაში ყველა ხმოვანი გვაქვს უკანაენისმიერი დახურული ხმოვანი - თუ ორმარცვლიან ლექსემურ ერთეულს პირველი მარცვალი წინაენისმიერი დახურული - **i** ხმოვანი რეგრესიული სრული ასიმილაციის შედეგად გადადის უკანაენისმიერ დახურულ - **ə** ხმოვანში; მაგ.:

išəg → əšəx // šəx - შუქი	iləgləg → ələxləx - სითბო
ilxə → əlxə - ჯოგი	išəltə → əšəltə // šəltə - ციალი
iləg → ələx - ნელ-თბილი	

- როცა სიტყვაში გვაქვს როგორც უკანაენისმიერი დახურული **ə** და ღია **a** ხმოვნები.

- თუ სიტყვაში პირველი მარცვალ წინაენისმიერი დახურული - i ხმოვანი რეგრესიული სრული ასიმილაციის შედეგად გადადის უკანაენისმიერ დახურულ - ə ხმოვანში, ხოლო დანარჩენ მარცვლებში გვაქვს ღია უკანაენისმიერი a ან//და ə ხმოვნები; მაგ.:

isərga → əsəryə - გამონაყარი (ყელზე)

ištaha → əʃdah // əʃdah - მადა (შდრ. ქართ. დიალ. იშტა)

irag - ərax // rax - შორს

iʃəldamag → əʃəldamax - განათება

biabər → bəjavər - ურცხვი

a და ə ხმოვნები. თუ სიტყვაში პირველი მარცვალ გვაქვს უკანარიგის ღია a ხმოვანი, ხოლო მეორე მარცვლის დახურული ბაგისმიერი u ხმოვანი ნაწილობრივი პროგრესული ასიმილაციის შედეგად გადადის უკანაენისმიერ დახურულ ə ხმოვანში; მაგ.:

namus → naməs - ნამუსი

sabunčə → savənčə - საპნის მხარშავი

Abdulla → Avdəlla - აბდულა

tabut → tavət - კუბო.

sabun → savən - საპონი

2) სინჰარმონიზმი პალატალიზაციის მიხედვით - თუ ზმნას დგას ახლანდელი დროის ფორმაში მოსალოდნელი -ir სუფიქსით, ის გადადის -er// -ēr -ში. -ir სუფიქსის ხმარებისათვის ზმნის ფუძის ბოლო ხმოვანი უნდა იყოს წინაენისმიერი ä ან შუაენისმიერი - e ხმოვნები, მაგ.:

gʻāz+ir+din → gʻāzerdin - სეირნობდი

gʻed+ir → gʻeder - მიდის

gʻāl+ir → gʻāler - მოდის

je+j+ir → je+j+er → jēr - ჭამს

seč+ir → sečer - ირჩევს

de+j+ir → de+j+er → dēr → ამბობს

istājir → istēr - უნდა

dinžāl+ir → dinžāler - ისვენებს

ზმნები, რომელთა ფუძეში მორფემების გასაყარზე ერთმანეთს ხვდება ფუძე-მარცვალ i ხმოვნის შემადგენლობით და წინაენისმიერი i ხმოვანი, დისიმილაციის პროცესით შედეგად სუფიქსისეული i გადადის e-ში. მიუხედავად ამისა, ვფიქრობ, ამ ტიპის მაგალითები მაინც უნდა იყოს შეტანილი ამ ჯგუფში, ვინაიდან, სინჰარმონიზმი წინაენისმიერობის მიხედვით არ არის დარღვეული, მაგ:

ič+ir+din → ičerdin - სვამდი

sil+ir → siler - წმენდს

bil+ir → biler - იცის

min+ir → miner - ადის.

g'ir+ir → g'irer - შემოდის

სინჰარმონიზმის დარღვევა

მიუხედავად იმისა, რომ აზერბაიჯანული ენის ყაზახურ დიალექტში სინჰარმონიზმის კანონი კარგად არის გავრცელებული, გვხვდება რამდენიმე პოზიცია, სადაც ეს პროცესი ირღვევა. ეს დარღვევები გვხვდება შემდეგ შემთხვევებში:

1) როცა ზმნის ფუძეს, რომელიც ბოლოვდება უკანაენისმიერი *ა* და *a* ხმოვნებზე, ემატება ახლანდელი დროის სუფიქსი -er// -ēr (-ər), მაგ.:

gala+jər → galēr - რჩება

daral+ər → daraler - ვიწროვდება

jat+ər → jater - სძინავს

gazan+ər → gazaner - შემოსავალს

jaşajəş → jaşēš // jaşeiš - ცხოვრება

პოულობს

al+ər → aler - ყიდულობს

danəş+ər → danəşer - ლაპარაკობს

sat+ər → sater - ყიდის

2) თუ ერთმარცვლიან ზმნას უკანაენისმიერი დახურული *ა* ხმოვნით, ემატება ახლანდელი დროის -ər სუფიქსი და ის გადადის -er// -ēr -ში, მაგ.:

gərxər → gərxer - პარსავს

səx+ər → səxer - წურავს

čəx+ər → čəxer - გამოდის

žər+ər → žərer - ხეცს

gəz+ər → gəzer - თბება

žəz+ər → žəzer - კაწრავს

gərm+ər → gərmer - არ ტეხავს

3) თუ სიტყვაში გვაქვს ორი ღია უკანაენისმიერი ხმოვანი (ერთ-ერთი არის ბაგისმიერი *o* ხმოვანი), რომლებიც მეზობლობენ *v* და *j* თანხმოვნებთან და სინჰარმონიზმის კანონი უკანაენიემიერობის მიხედვით დაცულია, დისიმილაციის შედეგად რბილდებიან და გადადიან წინაენის ხმოვნებში, ემპირიული მასალიდან გამომდინარე უკანაენისმიერი ღია ბაგისნიერი ხმოვანი *o* გადადის წინაენისმიერ რბილ *ö* ხმოვანში; ეს პროცესი უნდა ჩაითვალოს სინჰარმონიზმის ნაწილობრივ შენარჩუნებად, ვინაიდან *j* და *v* არბილებს წინამდგომ ხმოვანს. რადგანაც სიტყვის

ბოლო ხმოვანი რჩება არ განიცდის პალატალიზაციას, ეს შემთხვევები მივიჩნიე სინჰარმონიზმის ნაწილობრივ დარღვევად, მაგ.:

dovya → dōjya // dōya // dōyā - დოვლა

tojug → tōjux // tōx - ქათამი

sojug → sōjux // sōx - სიცივე

čovyun → čōjyun // čōyun - ქარბუქი.

ზემომოყვანილი მაგალითებიდან გამომდინარე ვხედავთ, რომ სინჰარმონიზმის დარღვევა ხდება ძირითადად დისიმილაციის პროცესი, რომელიც აისახება პალატალიზაციაში.

IV.14. მახვილი

თანამედროვე აზერბაიჯანული სალიტერატურო ენისათვის დამახასიათებელია სტაბილური მახვილი, რომელიც მოდის სიტყვის ბოლო მარცვალზე, მაგრამ გვაქვს გამონაკლისებიც. ამავე პრინციპით აზერბაიჯანული ენის ყაზახურ დიალექტში მახვილი ძირითადად, როგორც წესი, მოდის ბოლო მარცვალზე. თუმცა, ემპირიულ მასალაზე დაყრდნობით შეიძლება ვთქვათ, რომ სალიტერატურო ენისაგან განსხვავებით მახვილი სიტყვაში შეიძლება იყო სხვადასხვა მარცვალზე გადანაცვლებული. განვიხილოთ ის შემთხვევები, როდესაც აზერბაიჯანული ენის ყაზახურ დიალექტში მახვილი მოდის იმ სუფიქსებზე, რომლებზეც არ მოდის სალიტერატურო აზერბაიჯანულ ენაში:

1. –ჯა// –ჯა ზმნიზედის მაწარმოებელ სუფიქსზე, მაგ.:

jax^{ჯა} –კარგად

java^{ჯა} // jua^{ჯა} – ნელ-ნელა

körpāžā – ქორფად (შდრ. ქართ. ქორფა)

2. ზოგიერთ ლექსემურ ერთეულს მახვილი მოუდის პირველ მარცვალზე, მაგ.:

dōjlū - არ არის

gājnata - მამამთილი

hāmmāšā - ყოველთვის

təsvayā // tósveyā - კუ

būra // bürja - აქ (მიც. ბრ.)

gúrvayā – ბაყაყი

bājax - წელან

gānā - კიდე

gājnana - დედამთილი

Hāsān – ჰასანი

Gʻüllüşan - გულშანი

sóra // sóram - მერე

dünän - გუშინ

oxarə - ზევით

ǵǵʻār - თუ

3. ზოგიერთ ორმარცვლიან ზმნებში ბრძანებით კილოში მარცვალი მოდის სიტყვის პირველ მარცვალზე, მაგ.:

ótur - დაჯექი!

ǵʻáti! - მოიტანე!

ǵʻótü! - აიღე!

4. კომპოზიტებში, რომლებიც შეცვლილია ზოგიერთი ფონეტიკური პროცესის შედეგად, მაგ.:

o ǵʻünläri – ójünnäri // ójünnärim - იმ

bu ǵʻün → bñjünnärim - დღეს

დღეს

o saat → ósahat – იმ წუთას

bu il → bñl // bñjl – ამ წელს

nä isä → nñjsä – მოკლედ

bu ǵʻün → bñn – დღეს

o başdan → óbaştan - უთენია, ადრე.

başə aşayə → bñşşayə - თავდახრილი

5. მიმართვის ფორმაში (წოდებითის ნაცვლად გამოიყენება) მახვილი გადადის პირველ მარცვალზე, მაგ.:

Aná – ღელა ზღრ. Ána! - ღელა!

Aslán – ასლანი ზღრ. Áslan! - ასლან!

Elvíra – ელვირა ზღრ. Élvira! - ელვირა!

დასკვნა

ნაშრომი სტრუქტურულად შედგება შესავალი ნაწილის, ოთხი თავისა და დასკვნისაგან. ნაშრომს ერთვის გამოყენებული ლიტერატურის სია და დანართები.

შესავალი მოიცავს კვლევის საგანს, მიზანსა და ამოცანებს, აგრეთვე განმარტავს გამოყენებულ მეთოდოლოგიურ მიდგომებს და კვლევის ეპისტემურ საფუძველს.

ნაშრომის I თავი წარმოადგენს აზერბაიჯანული ენის დასავლური ჯგუფის ყაზახური დიალექტის ფონემატური სისტემის აღწერას. აქ განხილულია დიალექტის თავისებურებანი, მისი განსხვავებები სალიტერატურო აზერბაიჯანულთან და სხვა თურქულ ენებთან, ასევე კვლევის ემპირიული მონაცემები.

ხმოვანთა სისტემაში ნათლად გამოყოფილია სამი ძირითადი რიგი, ბაგისმიერი/არაბაგისმიერი ფონემები, ასევე მოკლე, გრძელი და ნაზალიზებული ხმოვნები. დიფთონგები წარმოადგენენ ხმოვანთა კომბინაციას, რომლებიც ფორმირდება პოზიციურად და თანხმოვანთა ფონეტიკური ცვლის შედეგად.

II თავი ფოკუსირდება ხმოვანთა სისტემაზე. განხილულია წინა, შუა და უკანა რიგის ხმოვნები, ბაგისმიერი და არაბაგისმიერი კატეგორიები, მოკლე, გრძელი და ნაზალიზებული ხმოვნები, დიფთონგები და მათი ფუნქციები. ნაჩვენებია, რომ დიალექტი ჰარმონიულ, სტრუქტურულად განწყობილ ხმოვანთა სისტემას ფლობს, რომელიც აერთიანებს სალიტერატურო აზერბაიჯანულში არსებული ხმოვნებისა და ადგილობრივი დიალექტური ხმოვნების თავისებურებებს.

ნაშრომის III თავი წარმოადგენს თანხმოვანთა სისტემის ანალიზს. აქ აღწერილია სალიტერატურო აზერბაიჯანული ენისაგან განსხვავებულ, დამატებითი ფონემებს: $\dot{z}$, x' , η , k' , c , z , მათი კლასიფიკაცია რაგვარობის, წარმოების ადგილისა და მჟღერობის მიხედვით, ასევე სონორების მრავალფეროვნება.

თანხმოვანთა სისტემაში დიალექტი აერთიანებს როგორც სალიტერატურო ენაში არსებულ ბგერებს, ისე უშუალოდ ამ დიალექტისათვის დამახასიათებელ ფონემებს ($\dot{z}$, x' , η , k' , c , z), რომლებიც განსაზღვრავენ აზერბაიჯანული ენის ყაზახური დიალექტის თავისებურებას.

IV თავი განიხილავს ფონეტიკურ პროცესებს, რომლებიც განსაზღვრავენ აზერბაიჯანული ენის ყაზახური დიალექტის თავისებურებებს: ასიმილაცია,

დისიმილაცია, რედუქცია, პროთეზა, ეპენტეზა, ეპითეზა, აფრიკატიზაცია, პალატალიზაცია, გამჟღერება და სინჰარმონიზმი. გარდა ამისა, განხილულია მახვილის პოზიცია, რომელიც ძირითადად ბოლოს, თუმცა ზოგჯერ პირველ ან შუა მარცვალზეა, რაც ასახავს დიალექტის განსხვავებას სალიტერატურო ენასთან შედარებით; შემდგომში ეს საკითხი უნდა გახდეს პროსოდის შესწავლის საგანიც.

ფონეტიკური პროცესები – ასიმილაცია, დისიმილაცია, ბგერათჩანაცვლება, რედუქცია, პროთეზა, ეპენტეზა, ეპითეზა, აფრიკატიზაცია, პალატალიზაცია, გამჟღერება – უზრუნველყოფენ სიტყვების წარმოთქმას, მარტივად აწყობენ კონსონანტურ კომბინაციებს და ქმნიან აზერბაიჯანული ენის ყაზახური დიალექტის სტაბილურ, გამორჩეულ პროფილს; სინჰარმონიზმი კი უზრუნველყოფს ხმოვანთა ჰარმონიულ თანხმობას.

მახვილი ძირითადად მოდის ბოლო მარცვალზე, თუმცა შესაძლებელია გადასვლა პირველ ან შუა მარცვალზე, რაც ასახავს დიალექტის ფონოლოგიურ მოქნილობას.

აზერბაიჯანული ენის დასავლური ჯგუფის ყაზახური დიალექტი წარმოადგენს სტრუქტურულად ჩამოყალიბებულ, მდგრად და მრავალფეროვან ენობრივ სისტემას. მისი ფონემატური, ფონეტიკური და მორფოფონოლოგიური თავისებურებები ასახავს როგორც სალიტერატურო ენის გავლენას, ისე ადგილობრივ, ისტორიულ-კულტურულ ფაქტორებს.

საბოლოოდ, კვლევის შედეგები ადასტურებს, რომ აზერბაიჯანული ენის ყაზახური დიალექტი წარმოადგენს დამოუკიდებელ, სტრუქტურულად სტაბილურ, მრავალფეროვან და მორფოფონოლოგიურად მდიდარ ენობრივ სისტემას - დიასისტემას, რომელიც ინარჩუნებს ინდივიდუალურობას სალიტერატურო აზერბაიჯანულის ფონზე; ყაზახური დიალექტის შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს აზერბაიჯანული დიალექტოლოგიის ფარგლებში, ისევე, როგორც მთლიანად აზერბაიჯანული ენის სისტემა-სტრუქტურის შესწავლისათვის. ჩვენი მიდგომით, აზერბაიჯანული ენის სისტემა-სტრუქტურის შესწავლა მოიაზრებს: 1. სალიტერატურო აზერბაიჯანული ენისა და 2. აზერბაიჯანული ენის დიალექტების სისტემა-სტრუქტურის ერთობლივ შესწავლას.

აზერბაიჯანული ენის ყაზახური დიალექტის ფონემატური სისტემა-სტრუქტურის, ფონეტიკის, როგორც ენის იერარქიული დონის, კვლევის შედეგები მნიშვნელოვანია როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით. კვლევა საფუძველს დაუდებს ამავე დიალექტის მორფონოლოგიისა და მორფოსინტაქსის ენობრივი იერარქიული დონეების შესწავლას; ასევე კვლევის შედეგები გათვალისწინებული იქნება სემანტიკურ-ეტიმოლოგიური ლექსიკონების, დიალექტური ლექსიკონებისა და სასწავლო სახელმძღვანელოების შესაქმნელად.

გ ა მ ო ყ ე ნ ე ბ უ ლ ი ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა

- ასლანოვი, ე. (2023). *რამდენიმე ფონეტიკური პროცესის შესახებ აზერბაიჯანული ენის ყაზახურ დიალექტში* (ინგლის.). ახალგაზრდა მეცნიერთა IV საერთაშორისო სიმპოზიუმი ჰუმანიტარულ მეცნიერებებში. სიმპოზიუმის მოხსენებათა კრებული. თბილისი
- გამყრელიძე, თ., კიკნაძე, ზ. შადური, ი. შენგელაია, ნ. (2008). *თეორიული ენათმეცნიერების კურსი*. თბილისი. უნივერსიტეტის გამომცემლობა
- იბერიულ-კავკასიური წელიწლეული. (1975). თბილისი. II ტომი.
- ქლენტი, ს. (1956). *ქართული ენის ფონეტიკა*. თბილისი: სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- სახელმწიფო ენის დეპარტამენტი. (2021-2022). *ბიულეტენი III*. თბილისი: გამომცემლობა გრიფონი. ISBN 978-9941-499-49-4
- ჩიქობავა, არნ. (2008). *ენათმეცნიერების შესავალი*. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
- ხალილი, ა. (2015). *აზერბაიჯანულ-ქართული ლექსიკონი*. ბაქო: შერგ-გერბი
- Abbasova, R. (2006). “Azərbaycan dilinin Qubadlı şivələri”. Bakı: Çinar-Çap.
- Ağayev, Ə. (1975). *Azərbaycan dilinin Cəlilabad rayonu şivələri*. Bakı. (ხელნაწერი).
- Ağayev, P.A. (1954). *Azərbaycan dilinin Qarabağ dialekti (Ağdam rayonu şivələri)*. Moskva. (ხელნაწერი)
- Axundov, A. (1984). *Azərbaycan dilinin fonetikasi*. Bakı: Maarif.
- Axundov, Ağ. (2007). *Azərbaycan ədəbi dilinin tarixi*. Bakı: Şərq-Qərb.
- Aşmarin, N.İ. (1924). *Lügət üçün Azərbaycan türk şivələrinin toplanmasına dair*. № 1. Bakı: Maarif və mədəniyyət.
- Azərbaycan dilinin Muğan qrupu şivələri*. (1955). Bakı: Az-n SSR Elmlər Akademiyası Nəşriyyatı
- Azərbaycan dilinin Naxçıvan qrupu dialekt və şivələri*. (1962). Bakı: Azərbaycan SSR Elmlər Akademiyası Nəşriyyatı
- Azərbaycan dilinin qərb qrupu dialekt və şivələri*. (1967). Bakı: Azərb. SSR EA nəşriyyatı.
- Azərbaycan dilinin dialektoloji lüğəti*. (2007). Bakı: Şərq-Qərb.
- Azərbaycan dilinin dialektoloji lüğəti*. (1964). Bakı: Elm.

- Azərbaycan dilinin Dərbənd dialekti.* (2009). Bakı: Elm.
- Azərbaycan dilinin dialektoloji atlası.* (1990). Bakı: Elm.
- Bağirov, Q.Ə** (1966). Ermənistan SSR-nin Sisyan rayonu Azərbaycan şivələri. Bakı. (ხელნაწერი)
- Bayramov, İ.** (2022). *Azərbaycan dialektologiyası*. Ankara: Grafiker Yayınları.
- Bayramov İb.** (2016). *Azərbaycan dili şivələrinin fonetikasi*. Bakı: Elm və təhsil.
- Bayramov, İb.** (2011). *Qərbi Azərbaycan şivələrinin leksikasi*. Bakı: Elm və təhsil.
- Behbudov, S.M.** (1966). *Azərbaycan dilinin Zəngilan şivəsi*. Bakı. (ხელნაწერი).
- Cəfərli, Ə.** (1961). *Azərbaycan dilinin Qazax dialekti*. Bakı. (ხელნაწერი).
- Cəlilov, Ə.Ə.** (1983). *Azərbaycan dilinin səs quruluşu*. Bakı: Maarif.
- Cəfərov, H.Q.** (1952). *Tavus rayonu şivələri*. Moskva. (ხელნაწერი).
- Cəfərzadə, M.M.** (1969). *Azərbaycan dilinin İmişli rayonu şivələri* Bakı. (ხელნაწერი).
- Çobanov, M.Ş.** (1997). *Bolnisi rayon şivələrinin leksikasi*. Bakı: Təhsil.
- Əhmədov, B.B.** (1967). *Mingəçevir ətrafı şivələri*. Bakı. (ხელნაწერი).
- Əliyev, Ə.** (2003). *Azərbaycan dilinin Məğri şivələri*. Bakı: Elm.
- Əhmədov, V.** (1987). *Azərbaycan dili şivələrində söz yaradıcılığı*. Bakı: Elm.
- Əsədova, S.** (2014). *Azərbaycan dilinin Borçalı şivələri (fonetik və grammatik xüsusiyyətləri)* (Dissertasiya). Bakı.
- Əzizov, E.** (1999)-2016. *Azərbaycan dilinin tarixi dialektologiyası*. Bakı: Bakı universiteti.
- Əzizov, Ə.** (1995). Azərbaycan dilinin şivələrinin yeni təsnifatı // *Türkologiya*. № 1-6
- Dəmirçizadə, Ə.M.** (1947). *Azərbaycan dilçiliyi inqilab meyvəsidir* // *Azərbaycan SSR EA-nın xəbərləri*, №10
- Dəmirçizadə, Ə. M.** (1959). *“Kitabi-Dədə Qorqud” dastanlarının dili*. Bakı: API.
- Dəmirçizadə, Ə. M.** (2007). *Müasir Azərbaycan dili. I hissə. Fonetika, orfoqrafiya, orfoepiya*. Bakı: Şərq-Qərb.
- Göyüşov, R.** (1975). *Amaras – Ağoğlan*. Bakı: Elm.
- Hacıyev, İ.** (1948). *İsmayilli rayonu şivələri*. Bakı. (ხელნაწერი).
- Hacıyev, T. İ.** (1961). *Azərbaycan dilinin Cəbrayıl şivəsi* (Kandidatlıq dissertasiyası). Bakı.
- Həmzəyev, T.** (1959). *Ordubad rayonu şivələri*. Bakı. (ხელნაწერი).
- Həsənov, İ.** (1928). *Azərbaycan-türk dili dialektləri haqqında*, Bakı: Azərbaycan Tədqiq və Təəbbüb Cəmiyyəti.
- Hüseynov, A.** (1952). *Vartaşen rayonu şivələri*. Moskva. (ხელნაწერი).

- Hüseynov, A.** (1958). *Azərbaycan dialektologiyası*. Bakı: API nəşriyyatı
- Hüseynov, A.** (1979). *Azərbaycan dilinin dialektoloqiası*. Bakı: API nəşriyyatı.
- Xəlilov, B.** (2007). *Müasir Azərbaycan dili: Fonetika, yazı, əlifba, qrafika, orfoqrafiya, orfoepiya*. Bakı: Bakı Çap Evi
- İbnü-Muhennä lüğəti*. (1934). Aptullah Battal. İstanbul.
- İbrahimov, B.** (1949). *Mərzə rayonu şivələri*. Bakı. (ბელნაწერი)
- İraq-türkman ləhcəsi*. (2004). Bakı: Elm.
- İslamov, M.** (1968). *Azərbaycan dilinin Nuxa dialekti*. Bakı: Azərbaycan SSR Elmlər Akademiyası Nəşriyyatı
- İslamov, M.İ.** (1973). *Azərbaycan dalekt və şivələrində əvəzliliklər*. Bakı. (ბელნაწერი).
- Kazımov, İ.** (2014). *Mahmud Kaşğari "Divan"ı və çağdaş türk dilləri*. Bakı: Elm və təhsil.
- Kaşğari, M.** (1939). *Divanü Lüğat-it-türk tercümesi, ceviren Besim Atalay*, cilt I. Ankara: Türk Dil Kurumu Yayınları
- Kaşğari, M.** (1940). *Divanü Lüğat-it-türk tercümesi, ceviren Besim Atalay*, cilt II. Ankara: Türk Dil Kurumu Yayınları
- Kaşğari, M.** (1941). *Divanü Lüğat-it-türk tercümesi, ceviren Besim Atalay*, cilt III. Ankara: Türk Dil Kurumu Yayınları
- Kərimov, Ş.** (1972). *Ermənistan SSR-nin Krasnosel və İcevan rayonu Azərbaycan şivələri*. Bakı. (ბელნაწერი)
- Kərimov Ş.M.** (2004). *Azərbaycan dilinin Çənbərək və Karvansaray şivələri*. Bakı: Nurlan.
- Köçərli, F. B.** (2005). *Azərbaycan ədəbiyyatı*. Bakı: Avrasiya press. I cild.
- Qasımov, Ə.** (1957). *Azərbaycan dilinin dialektlərinin öyrənilməsi tarixinə dair*. Bakı: Azərbaycan SSR Elmlər Akademiyası Nəşriyyatı.
- Qəhrəmanov, C.** (1976). *Kişvərinin bir əlyazma "Divan"ı haqqında // Əl-yazmalar xəzinəsində*. Bakı: Elm.
- Qukasyan V.L.** (1983). *Azərbaycan dilinin təşəkkül tarixinə dair qeydlər*. Azərbaycan filologiyası məsələləri. Bakı: Elm
- Məcidova, A.B.** (1970). *Azərbaycan dilinin Lənkaran şivəsi*. Bakı. (ბელნაწერი).
- Məmmədli, M.** (2019). *Azərbaycan dialektologiyası*. Bakı: Elm və təhsil.
- Məmmədli, M.** (2007). *Azərbaycan dilinin Təbriz dialekti*. Bakı: Zərdabi.
- Mirzəzadə H.** (1962). *Azərbaycan dilinin tarixi morfolojiyası*. Bakı. Azərtədrisnəşr.
- Mirzəzadə, H.** (1990). *Azərbaycan dilinin tarixi qrammatikası*. Bakı. Azərbaycan universitetin nəşriyyatı.

- Mollazadə, S.M.** (1966). *Azərbaycan SSR-in Qax rayonu şivələri*. Bakı. (ბელნაწერი).
- Paşayev, Q.** (1969). *Kərkük dialektinin fonetikasi*. Bakı. (ბელნაწერი).
- Ramazanov, K.** (1956). *Azərbaycan dilinin Salyan dialekti*. Bakı. (ბელნაწერი)
- Rüstəmov, R.** (1961). *Quba dialekti*. Bakı: Azərbaycan SSR Elmlər Akademiyası Nəşriyyatı.
- Rüstəmov, R.** (1965). *Azərbaycan dili dalekt və şivələrində fel*. Bakı: Elm.
- Sadiqov, B.** (1964). *Azərbaycan dilinin Gədəbəy rayonu şivələri*. Bakı. (ბელნაწერი).
- Sadiqov, V.** (1977). *Azərbaycan dilinin tarixi grammatikasıdan xüsusi kurs*. Bakı: Azərbaycan Dövlət Universiteti
- Şirəliyev, M.** (1949). *Naxçıvan dialekti*. Bakı: Azərbaycan SSR Elmlər Akademiyası Nəşriyyatı.
- Şirəliyev, M. Ş.** (1949). *Bakı dialkti*. Bakı: Azərbaycan SSR Elmlər Akademiyası Nəşriyyatı.
- Şirəliyev, M.** (1957). *Şahbuz şivələrinin fonetikasi*. Bakı: Azərbaycan SSR EA əsərləri. VIII cild.
- Şirəliyev, M.** (2008). *Azərbaycan dialektologiyasının əsasları*. Bakı: Şərq-Qərb.
- Şirəliyev, M.** (1967). *Azərbaycan dilinin qərb qrupu dialekt və şivələri*. Bakı: Elm.
- Tanrıverdi, Ə.** (2017). *Azərbaycan dilinin tarixi grammatikası*. Bakı: Elm və təhsil.
- Tatarca-rusca süzlek.* (1950). Kazan: Татарсиздат.
- Vəliyev, A.** (1952). *Apşeron yarımadasının qərb rayonu şivələri*. Bakı. (ბელნაწერი)
- Vəliyev, A. N.** (1975). *Azərbaycan dialektologiyası*. Bakı: Maarif.
- Vəliyev, A.** (1975). *Azərbaycan dilinin keçid şivələri*. Bakı. (ბელნაწერი).
- Vəliyev, A.** (1960). *Azərbaycan dialektologiyasına aid materiallar*. Bakı: Azərtədrisnəşr.
- Vəliyev, S. A. Hacıyev, T. İ.** (1966). *O iki dialekt faktı haqqında*. Вопросы диалектологии тюркских языков. IV. Bakı: Elm.
- Vəliyev, Z. M.** (1955). *Ermənistan SSR-nin Basarkeçər rayonu Azərbaycan şivələri*. Yerevan (ბელნაწერი).
- Yusifov, M.** (2012). *Azərbaycan dili fonetikasının əsasları*. Bakı: Nurlan.
- Акбаев, Ш.Х.** (1971). *Сравнительно-исторической метод в тюркологии и генезис балкарского цоканья* // Сов. тюркология, №2
- Алекберли, Г.** (1946). *Азербайджанское и русское ударение*. Москва. (Дисс.).
- Алиев, У.Б.** (1963). *Диалектное членение языка карачаевцев и балкарцев* // Вопросы диалектологии тюркских языков. Т. III. Баку: Изд-во АН Азерб. ССР.
- Асланов В.И.** (1981). *О трех источников исторической диалектологии* // Лингвистическая география и проблемы истории языка. том 2. Нальчик: Эльбрус.
- Ахмедов, Б.** (1990). *Вопросы лексики азербайджанского языка*. Баку: Маариф.

- Ашмарин, Н.И.** (1926). *Общий обзор народных тюркских говоров гор. Нухи*. Баку: Издание об-ва обследования и изучения Азербайджана
- Баскаков, Н.А.** (1940). *Ногайский язык и его диалекты /грамматика, тексты и словарь*. Москва-Ленинград. Издательство АН СССР.
- Баскаков, Н.А. Инкижекова, А.Н.** (1954). *Фонетические особенности хакасского языка*. Труды Института языкознания. том IV. Москва.
- Баскаков, Н. А.** (1960). *Тюркские языки*. Москва. Вост. лит.
- Боргояков, М. И.** (1973). *О переходе с в с в качинском диалекте хакасского языка*. Баку.
- Велиев С.А., Гаджиев Т.И.** (1966). *О двух диалектных фактах* // Вопросы диалектологии тюркских языков. Т.IV. Баку: Изд-во АН Азерб. ССР
- Гаджиева, Н. З.** (1966). *Азербайджанский язык*. // *Языки народов СССР*. Том 2. Тюркские языки. Москва: Наука
- Гаджиева, Н.Я.** (1966). *Вопросы диалектологии тюркских языков*. Баку: Элм.
- Гаджиева, С. Ш.** (1990). *Дагестанские туркменцы XIX–XX вв.* Москва: Наука.
- Гаджиева Н. З.** (1990). *Тюркские языки* // *Лингвистический энциклопедический словарь*. Москва: Наука.
- Гаджиева Н. З.** (1979). *Тюркоязычные ареалы Кавказа*. Москва: Наука.
- Гараев, Т.А.** (1981). *Историко-лингвистический анализ древнетюркского лингвистического пласта в Азербайджанских говорах Грузинской ССР*. Автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата филологических наук. Баку: Азербайджанский государственный университет им. С. М. Кирова
- Гарипов, Т. М.** (1979). *Кыпчакские языки Урало-Поволжья*. Москва: Наука.
- Гукасян, В. Л.** (1978). *Значение Закавказских источников в изучении истории азербайджанского языка дописьменного периода*. Советская тюркология, №2.
- Гусейнов, А. А.** (1952). *Говоры Варташенского района*. Москва. (автореферат).
- Джангидзе, В.** (1965). *Дманисский говор казахского диалекта азербайджанского языка*. Тбилиси: Мецниереба.
- Дмитриев, Н.К.** (1955). *Неустойчивое положение согласных р, л, н в тюркских языках. Исследования по срьельной грамматике тюркских языков. I часть. Фонетика*. Москва: Издательство Академии наук СССР
- Дмитриев, Н.К.** (1955). *Фонетические закономерности начала и конца тюркского слова. Исследования по сравнительной грамматике тюркских языков. I часть*. Москва: Издательство Академии наук СССР

- Дмитриев, Н.К.** (1948). *Грамматика башкирского языка*. Москва: Издательство Академии наук СССР
- Дыренкова, Н. П.** (1941). *Грамматика шорского языка*. Москва: Издательство Академии наук СССР.
- Древнетюркский словарь.* (1969). Ленинград. Наука.
- Исламов, М. И.** (1968). *Нухинский диалект азербайджанского языка*. Баку: Издательство Академии наук Азербайджанской ССР
- Исламов, М. И.** (1979). *Роль диалектных данных в изучении истории азербайджанского языка*. В Собрание по общим вопросам диалектологии и истории языка. Тез. докл. и сообщ. Москва: Институт языкознания АН СССР.
- Исхаков, Ф.Г.** (1955). *Гармония гласных в тюркских языках. Исследования по сравнительной грамматике тюркских языков. I часть*. Москва: Издательство Академии наук СССР
- Кабардино-Балкарский научно-исследовательский институт.* (1962). Материалы и исследования по балкарской диалектологии, лексике и фольклору: Тексты. Переводы. Комментарии. Словарь (А. Ю. Бозиев, Ред.). Нальчик: Кабардино-Балкарское книжное издательство.
- Казем-Бек, М.** (1839). *Общая грамматика турецко-татарского языка*. Казань: Университетская типография.
- Кязимов, Ф.** (1952). *Система гласных фонем азербайджанского языка // Известия Академии наук СССР. Отдел языков и литературы*, т. XI, вып. 4
- Карахан, Л.** (1999). *О диалектологическом атласе азербайджанского языка. Türk Dili ve Edebiyat Dergisi*. İstanbul: İstanbul Üniversitesi Edebiyat Fakültesi Yayınları
- Кашгари, М.** (1969–1970). *Divanü Lügat-it-Türk*. Казань.
- Кошғарий, М.** (1960-1963). Туркий сўзлар девону (Девону луғотит турк). Т. I-III. Тошкент: Узбек. ССР Фанлар Академиясы Нашриёти.
- Кононов, А.Н.** (1941). *Грамматика узбекского языка*. Ташкент: Госиздат УзССР.
- Маммедли, А. Соловьева, Л.Т.** (под ред.). (2017). *Азербайджанцы*. Москва.
- Мамедов, И.** (1958). *Карягинские говоры азербайджанского языка*. Москва. (автореферат).
- Махмутова, Л. П.** (1978). *Опыт исследования тюркских диалектов. Мишарский диалект татарского языка*. Москва: Наука.
- Махмудов, Х. Мусабаев, Г.** (1956). *Казахша-орышша сөздик*. Алматы: Издательство Академии наук Казахской ССР

- Номинханов, Д.** (1959). *Термины животноводства в тюркских и монгольских языках.*
// Труды сектора востоковедения Академии наук Казахской ССР. Том. I. Алма-Ата:
Издательство АН Казахской ССР
- Поливанов, Д.** (1957). *К вопросу о долгих гласных в общетурецком языке.* Москва:
ДАН СССР.
- Решетов, В. Шоабдурахманов, Ш.** (1953). *Фонетика. Узбек тили фонетикасига доир
базы мисаллар.* Ташкент: Учпедгиз УзССР
- Реформатский, А. А.** (1955). *Введение в языковедение.* Москва: Учпедгиз.
- Рясянен, М.** (1955). *Материалы по исторической фонетике тюркских языков.* Москва:
Изд-во иностр. лит.
- Русско-казахский словарь.* (1954). Москва
- Русско-киргизский словарь.* (1944). Москва
- Русско-чувашицкий словарь.* (1951). Москва
- Русско-уйгурский словарь.* (1956). Москва
- Серебренников, Б. А., & Гаджиева, Н. З.** (1979). *Сравнительно-историческая
грамматика тюркских языков.* Баку: Маариф.
- Серебренников, Б. А. Харькова, С. С.** (1983). *О некоторых эффективных методах
исследования проблемы родства тюркских и монгольских языков.* Советская
тюркология. Баку: №5.
- Теймурлу, З.** (2012). *Диалектная система Азербайджанского языка.* Ученые записки
Таврического национального университета им. В. И. Вернадского. Серия «Филология.
Социальные коммуникации». Том 25 (64). № 2, ч. 2.
- Тенишев, Э. Р.** (1980). *Сергей Ефимович Малов (К столетию со дня рождения).* Советская
тюркология, №6
- Тумашева, Г.Д.** (1955). *Некоторые фонетические особенности тюменского диалекта
татарского языка.* Материалы по диалектологии. Казань.
- Тушмалишвили, Г.В.** (1972). *Особенности говора азербайджанцев Гардабанского
района.* Тбилиси: Издательство Тбилисского Университета.
- Турецко-русский словарь.* (1945). Москва: Государственное издательство иностранных и
национальных словарей
- Чикабова, А.С.** (1953). *Введение в языковедение.* часть I. Москва
- Шакирова, Р.Ф.** (1995). *Фонетические особенности говора татар Краснооктябрьского
района Горьковской обл.* Материалы по диалектологии. Казань.

- Ширалиев, М.Ш.** (1960). *Азербайджанская диалектология на новом этапе* // Вопросы диалектологии тюркских языков: материалы Второго регионального совещания по диалектологии тюркских языков, состоявшегося 11–15 ноября 1958 г. в г. Казани. Казань: АН СССР.
- Ширалиев, М.Ш.** (1965). *Кыпчакские элементы в азербайджанском языке* // Исследования по грамматике и лексике тюркских языков. Ташкент: Наука
- Ширалиев, М.Ш.** (1983). *Диалекты и говоры азербайджанского языка*. Баку.
- Ширалиев, М.Ш.** (1947). *Предводительные итоги диалектологической экспедиции в Закатальский и Кахский районы, экспедиции Академии наук Азербайджанской ССР в 1945 г.* Баку
- Ширалиев М. Ш., Севортян Э. В.** (1971). *Грамматика азербайджанского языка (фонетика, морфология и синтаксис)*. Баку: Элм.
- Щербак, А. М.** (1962). *Историческая фонетика тюркских языков*. Москва: Издательство Академии наук СССР.
- Щербак, А.М.** (1970). *Сравнительная фонетика тюркских языков*. Ленинград: Наука
- Юлдашев, А. А. (ред.)** (1981). *Грамматика современного башкирского литературного языка*. Москва: Наука
- Языки Российской Федерации и соседних государств. Энциклопедия в 3-х томах.* Москва: Наука, 1997. Т. 1.
- Aksoy, Ö.A.** (1945). *Gaziantep ağzı*. I h. İstanbul: İbrahim Horoz Basımevi.
- Bayatlı, H.K.** (1996). *Irak Türkmen Türkçesi*. Ankara: Türk Dil Kurumu / Atatürk Kültür, Dil ve Tarih Yüksek Kurumu.
- Baylyyev, X. Karriyev, K.** (1940). *Türkmençe-rusca sözlük*. Aşxabad: Туркменгосиздат.
- Caferoğlu, A.** (1944). *Sivas ve Tokat illeri ağızlarından toplamalar*. İstanbul: İstanbul Üniversitesi Yayınları.
- Çağatay, S.** (1954). *Eski Türk Lehçeleri Üzerine Araştırmalar*. İstanbul: İstanbul Üniversitesi Yayınları.
- Çağatay, S.** (1972). *Türk Lehçeleri Örnekleri. Yaşayan Ağız ve Lehçeler*. Ankara: Üniversitesi Dil ve Tarih-Coğrafya Fakültesi Yayınları.
- Ergin, M.** (1971). *Azeri Türkçesi*. İstanbul: İstanbul Üniversitesi Edebiyat Fakültesi Yayınları
- Ergin, M.** (1963). *Dede Korkut Kitabı: II. İndeks–Gramer*. Ankara: Türk Dil Kurumu Yayınları.
- Gabain A.** (1979). *Eski Türkçe // Tarihi Türk şiveleri*. Ankara: Ankara Üniversitesi Dil ve Tarih-Coğrafya Fakültesi Yayınları.

- Gabain, M. L.** (1950). *Türk Dili Grameri ve Fonetik Problemleri*. İstanbul: İstanbul Üniversitesi Yayınları.
- Korkmaz, Z.** (1956). *Güney-Batı Anadolu ağızları, ses bilgisi*. Ankara: Ankara Üniversitesi Basımevi.
- Aliyeva, N.** (2021). Classification problems of the Azerbaijani dialects. *Manas Sosyal Araştırmalar Dergisi*,
- Doerfer, G.** (1989). Azeri Turkish // *Encyclopaedia Iranica*. Volume III: *Atas-Bayhaqi, Zahir-Al-Din*. Edited by Ehsan Yarshater. New York: Bibliotheca Persica Press.
- Johanson, L.** (2006). *The Turkic languages*. London & New York: Routledge.
- Johanson, L.** (2009). *Azerbaijani* // *Concise Encyclopedia of Languages of the World*. Oxford, United Kingdom: Elsevier Ltd.
- Knüppel, M.** (2013). Turkic languages of Persia: An overview. *Encyclopaedia Iranica*. <http://www.iranicaonline.org/articles/turkic-languages-overview/>.
- Ladefoged, P., Johanson, K.** (2006). *A Course in Phonetics* (5th ed.). Boston: Thomson Wadsworth.
- Oljay, S. Erjilasun, A. B. Aslan, E.** (1998). *Compositions from the villages of Arpachay*. Ankara: TDK

<https://www.geostat.ge/ka>

<https://www.geostat.ge/media/20679/2014-wlis-aRweris-ZiriTadi-Sedegebi.pdf>

ტექნიკური რესურსები:


Praat (version 6.4.27)

Adobe Audition (Version 22.6 beta)

Sis v3.3.1.791


დანართი 1

აზერბაიჯანული ენის დიალექტების რუკა (თურქოლოგი გერჰარდ დიორფერის მიხედვით):



Praat-ის პროგრამაში შესრულებული აკუსტიკური ანალიზი

წარმოდგენილი სურათები ასახავს Praat-ის პროგრამაში შესრულებულ აკუსტიკურ ანალიზს სხვადასხვა სიტყვების მაგალითზე. ვიზუალიზაცია მოიცავს ოსცილოგრამას (ზედა ნაწილი), სპექტროგრამას (შუა ნაწილი), TextGrid-ის სეგმენტაციას (ქვედა ნაწილი), რაც საშუალებას იძლევა დეტალურად იქნეს შესწავლილი ბგერათა აკუსტიკური და არტიკულაციური თავისებურებები.



წარმოდგენილი სურათი ასახავს Praat-ის პროგრამაში შესრულებულ აკუსტიკურ ანალიზს სიტყვა **badmizanj**-ის (აზერბ. **badmizanj**) მაგალითზე.

წარმოდგენილი სურათი ასახავს Praat-ის პროგრამაში შესრულებულ სიტყვის **badmizanj** აკუსტიკურ-ფონეტიკურ ანალიზს, რომელიც მოიცავს ოსცილოგრამას, სპექტროგრამასა და სეგმენტაციას (TextGrid), სადაც ერთიანადაა წარმოდგენილი სიგნალის დროითი, სიხშირული და სეგმენტური მახასიათებლები.

1. ოსცილოგრამის ანალიზი

სურათის ზედა ნაწილში წარმოდგენილია ხმოვანი სიგნალის ოსცილოგრამა, რომელიც ასახავს ამპლიტუდის ცვლილებას დროის განმავლობაში. სიტყვის საწყის

მონაკვეთში შეინიშნება შედარებით დაბალი ამპლიტუდა, რაც შეესაბამება ბილაბიალურ თანხმოვანს **b**. შემდგომ ხმოვან და სონორულ სეგმენტებში (**a**, **m**, **i**) ამპლიტუდა იზრდება და ტალღები უფრო რეგულარული ხდება. ვარდისფრად მონიშნულ მონაკვეთში აღინიშნება ამპლიტუდის მკვეთრი შემცირება და არაპერიოდული რხევები, რაც შეესაბამება თანხმოვანს **ჟ**-ს, სისინა აფრიკატს. სიტყვის საბოლოო ნაწილში ინტენსიობა კვლავ იზრდება **a**-სა ხმოვნისა და ნაზალური **ჟ**-ის წარმოთქმისას.

2. სპექტროგრამის ანალიზი

შუა ნაწილში წარმოდგენილია სპექტროგრამა, რომელიც ასახავს სიგნალის სიხშირულ სტრუქტურას დროის ჭრილში. ვერტიკალურ ღერძზე მითითებულია სიხშირის დიაპაზონი **0–5000 Hz**. ხმოვან სეგმენტებში (**a**, **i**) მკაფიოდ ჩანს ფორმანტური ზოლები, რაც მიუთითებს მათ ვოკალურ ბუნებაზე. ვარდისფრად გამოყოფილ მონაკვეთში, რომელიც შეესაბამება ბგერას **ჟ**, ფორმანტური სტრუქტურა პრაქტიკულად არ შეინიშნება; ინტენსიობა კონცენტრირებულია საშუალო და მაღალი სიხშირის დიაპაზონში და წარმოდგენილია დიფუზური ხმაურის სახით - რაც ტიპური აკუსტიკური ნიშანია მჟღერი აფრიკატისათვის.

3. სეგმენტაცია

ქვედა ნაწილში მოთავსებულია **TextGrid**-ი, სადაც სეგმენტებად წარმოდგენილია სიტყვა **badmizan**, რომელიც დაყოფილია ცალკეულ ფონემებად შემდეგი თანმიმდევრობით:


b – a – d – m – i – ჟ – a – ჟ

ყვითლად გამოყოფილია ბგერა **ჟ**, რაც მიუთითებს აქტიურ/არჩეულ სეგმენტზე მიმდინარე ანალიზის დროს. სეგმენტი მკაფიოდ არის გამიჯნული დროითი საზღვრებით, რაც შესაძლებელს ხდის მისი ხანგრძლივობისა და აკუსტიკური თავისებურებების ზუსტ შეფასებას.

4. დროითი მახასიათებლები

სურათზე წარმოდგენილია დროითი მაჩვენებლები, რომელთა მიხედვითაც ბგერა **ჟ** დაახლოებით **0.07 წამს** გრძელდება. მთლიანად სიტყვის ხანგრძლივობა

შეადგენს დაახლოებით **0.85 წამს**. ეს მონაცემები ადასტურებს აფრიკატი თანხმოვნის მოკლე, მაგრამ აკუსტიკურად ინტენსიურ ხასიათს.



წარმოდგენილი სურათი ასახავს Praat-ის პროგრამაში შესრულებულ აკუსტიკურ ანალიზს სიტყვა **pširmäx'**-ის (აზერბ. **biširmäk** -) მაგალითზე.

1. ოსცილოგრამის ანალიზი - ოსცილოგრამის ზედა ნაწილში ასახულია ხმოვანი სიგნალის ამპლიტუდა მნიშვნელოვნად მცირდება, რაც იძლევა ბგერათა დროითი სტრუქტურის შეფასების საშუალებას. მთლიანი სეგმენტის ხანგრძლივობა შეადგენს დაახლოებით **0.536 წამს**. შეინიშნება ინტენსიობის არათანაბარი განაწილება, რაც მიუთითებს ნაპრალოვანი ყრუ ბგერის რეალიზაციაზე. გამოყოფილი საბოლოო მონაკვეთის (ვარდისფერი ზონა) ხანგრძლივობაა დაახლოებით **0.063 წამი**. ვარდისფრად მონიშნულ მონაკვეთში მკვეთრად ირღვევა პერიოდულობა, ფიქსირდება არარეგულარული, ქაოტური რხევები, რაც შეესაბამება ყრუ თანხმოვანს **x'**-ს.

2. სპექტროგრამის ანალიზი

სპექტროგრამაზე შეინიშნება სიგნალის სიხშირული სტრუქტურა დროის ჭრილში. ხმოვან სეგმენტებში (**i**, **ä**) მკაფიოდ ვლინდება ფორმანტური ზოლები, ხოლო თანხმოვნებში - განსაკუთრებით ბოლო სეგმენტში - ფორმანტური სტრუქტურა პრაქტიკულად არ ფიქსირდება. ვარდისფრად გამოყოფილ მონაკვეთში ინტენსიობა

წარმოდგენილია დიფუზური ხმაურის სახით, რაც ტიპური აკუსტიკური ნიშანია ყრუ სპირანტი თანხმოვნისათვის x' .

3. სეგმენტაცია


ქვედა ნაწილში წარმოდგენილია **TextGrid**-ი, სადაც სეგმენტებად წარმოდგენილია სიტყვა **pširmäx'**, ხოლო ქვედა სვეტზე იგი დაყოფილია ცალკეულ ფონემებად შემდეგი თანმიმდევრობით:

p – š – i – r – m – ä – x'

ყვითლად გამოყოფილია ბგერა x' , რაც მიუთითებს აქტიურ/არჩეულ ბგერაზე მიმდინარე ანალიზის დროს. სეგმენტი მკაფიოდ არის გამიჯნული დროითი საზღვრებით, აკუსტიკური და არტიკულაციური ნიშნების გათვალისწინებით.

4. დროითი მახასიათებლები

დროითი მაჩვენებლების მიხედვით, x' ბგერის ხანგრძლივობა მოკლეა და შეადგენს დაახლოებით **0.063 წამს**, რაც შეესაბამება მის პოზიციურ და არტიკულაციურ სპეციფიკას სიტყვის აუსლაუტში.



წარმოდგენილი სურათი ასახავს Praat-ის პროგრამაში წარმოდგენილია სიტყვა čälersaŋ-ის (შდრ. სალიტ. აზერბ. čälersan - უკრავ) აკუსტიკურ ანალიზს.

1. ოსცილოგრამის ანალიზი

ოსცილოგრამის ზედა ნაწილში ასახულია სიტყვა čälersaŋ-ის ხმოვანი სიგნალის ამპლიტუდური ცვლილებები დროის განმავლობაში. მთლიან სეგმენტში შეინიშნება ინტენსიობის თანდათანობრივი კლება, რაც განსაკუთრებით თვალსაჩინოა ბოლო მონაკვეთში. მთლიანი სიტყვის ხანგრძლივობა შეადგენს დაახლოებით **0.598 წამს**. ვარდისფრად გამოყოფილ ზონაში ფიქსირდება მკვეთრი ამპლიტუდური შემცირება და პერიოდულობის დარღვევა. აღნიშნულ მონაკვეთში აღინიშნება არარეგულარული, ქაოტური რხევები, რაც შეესაბამება ველარული ყრუ **ŋ** თანხმოვნის სიტყვის ბოლო პოზიციაში გამოთქმისათვის. გამოყოფილი სეგმენტის ხანგრძლივობაა დაახლოებით **0.085 წამი**.

2. სპექტროგრამის ანალიზი

სპექტროგრამაზე წარმოდგენილია სიგნალის სიხშირული სტრუქტურა დროის ჭრილში. ხმოვან სეგმენტებში (ä, e, a) მკაფიოდ იკვეთება ფორმანტური ზოლები, რაც მიუთითებს ხმოვანთა სტაბილურ არტიკულაციას. თანხმოვან სეგმენტებში, განსაკუთრებით ბოლო მონაკვეთში, ფორმანტური სტრუქტურა პრაქტიკულად არ ფიქსირდება, რაც უნდა იყოს განპირობებული ნაზალური **ŋ** თანხმოვნის გავლენით. ვარდისფრად მონიშნულ არეში ინტენსიობა წარმოდგენილია დიფუზური ხმაურის სახით, რაც ტიპური აკუსტიკური ნიშანია ველარული ყრუ **ŋ** თანხმოვნისათვის.

3. სეგმენტაცია


სურათის ქვედა ნაწილში წარმოდგენილია TextGrid-ი, სადაც სიტყვა čälersaŋ დაყოფილია ცალკეულ ფონემებად შემდეგი თანმიმდევრობით:

č – ä – l – e – r – s – a – ŋ.

ყვითლად გამოყოფილია ბგერა **ŋ**, რაც მიუთითებს მიმდინარე აკუსტიკური ანალიზზე. სეგმენტები მკაფიოდ არის გამიჯნული დროითი საზღვრებით, აკუსტიკური და არტიკულაციური მახასიათებლების გათვალისწინებით.

4. დროითი მახასიათებლები

დროითი პარამეტრების მიხედვით, η ბგერის ხანგრძლივობა შეადგენს დაახლოებით **0.085 წამს**, რაც შეესაბამება მის პოზიციურ თავისებურებას სიტყვის ბოლო პოზიციაში და ველარული თანხმოვნებისთვის დამახასიათებელ მოკლე რეალიზაციას.



წარმოდგენილი სურათი ასახავს Praat-ის პროგრამაში შესრულებულ სიტყვის **zäng'eläžäm** (**zäng' edäžajäm** - დაგირეკავ, სიტყვ. ზარს გავაკეთებ) აკუსტიკურ-ფონეტიკურ ანალიზს, რომელიც მოიცავს ოსცილოგრამას, სპექტროგრამას და სეგმენტაციას, სადაც თანმიმდევრულადაა წარმოდგენილი ხმოვანი სიგნალის დროითი, სიხშირული და სეგმენტური მახასიათებლები.

1. ოსცილოგრამის ანალიზი

სურათის ზედა ნაწილში წარმოდგენილია ხმოვანი სიგნალის ოსცილოგრამა, რომელიც ასახავს ამპლიტუდის ცვლილებას დროის განმავლობაში. სიტყვის საწყის მონაკვეთში შეინიშნება რეგულარული, პერიოდული რხევები, რაც მიუთითებს ხმოვანი ბგერების დომინირებაზე. შემდგომ მონაკვეთებში ამპლიტუდა ეტაპობრივად იცვლება, ხოლო ვარდისფრად მონიშნულ მონაკვეთში აღინიშნება

ინტენსიობის შედარებით შემცირება და არარეგულარული რხევები, რაც შეესაბამება ზ მჟღერ თანხმოვანს.

2. სპექტროგრამის ანალიზი

შუა ნაწილში წარმოდგენილია სპექტროგრამა, რომელიც ასახავს სიგნალის სიხშირულ სტრუქტურას დროის ჭრილში.

სპექტოგრამის ვერტიკალურ ღერძზე მითითებულია სიხშირის დიაპაზონი **0–4895 Hz**. ასევე აქვე შეინიშნება მკაფიო ფორმანტური ზოლები ხმოვან სეგმენტებში (**ა**, **ე**), რაც მიუთითებს მათ ვოკალურ ბუნებაზე. ვარდისფრად გამოყოფილ მონაკვეთში, რომელიც შეესაბამება ბგერას **ჟ**, ფორმანტური სტრუქტურა მკვეთრად შესუსტებულია და ადგილი უკავია დიფუზურ ხმაურს, ინტენსიობა კონცენტრაციის მიხედვით გამოირჩევა საშუალო და შედარებით მაღალი სიხშირით.

3. სეგმენტაცია


ქვედა ნაწილში მოთავსებულია **TextGrid-ი**, სადაც სეგმენტებად წარმოდგენილია სიტყვა **zänläläžām**, ხოლო ქვედა სვეტზე იგი დაყოფილია ცალკეულ ფონემებად შემდეგი თანმიმდევრობით:

z – ä – n – g – e – l – ä – ž – ä – m

ყვითლად გამოყოფილია ბგერა **ჟ**, რაც მიუთითებს აქტიურ/არჩეულ ბგერაზე მიმდინარე ანალიზის დროს. სეგმენტი მკაფიოდ არის გამიჯნული დროითი საზღვრებით, აკუსტიკური და არტიკულაციური ნიშნების გათვალისწინებით.

4. დროითი მახასიათებლები

სურათზე წარმოდგენილია დროითი მონიშვნები, რომლებიც აჩვენებს როგორც ცალკეული ბგერების, ისე სიტყვის საერთო ხანგრძლივობას. განსაკუთრებით თვალსაჩინოა **ჟ**-ის მონაკვეთი, რომლის ხანგრძლივობა შედარებით მცირეა, თუმცა აკუსტიკურად მკვეთრად განსხვავდება მეზობელი ხმოვანი სეგმენტებისგან.



წარმოდგენილი სურათი ასახავს Praat-ის პროგრამაში შესრულებულ სიტყვის **cäčirsänj** (**čäkirsän** - ქაჩავ შენ) აკუსტიკურ ანალიზს, რომელიც მოიცავს ოსცილოგრამას, სპექტროგრამას და სეგმენტაციას, სადაც ერთიანად არის წარმოდგენილი სიგნალის დროითი, სიხშირული და სეგმენტური მახასიათებლები.

1. ოსცილოგრამის ანალიზი

სურათის ზედა ნაწილში წარმოდგენილია ხმოვანი სიგნალის ოსცილოგრამა, სადაც ნათლად ჩანს ამპლიტუდის ცვლილება დროის განმავლობაში. სიტყვის საწყის მონაკვეთში ამპლიტუდა შედარებით დაბალია, რაც შეესაბამება აფრიკატ **c**-ის წარმოთქმას. შემდგომ, ხმოვან სეგმენტებში შეინიშნება ამპლიტუდის მკვეთრი ზრდა, ხოლო სიტყვის საბოლოო ნაწილში ენერგია თანდათან კლებულობს.

2. სპექტროგრამის ანალიზი

სურათის შუა ნაწილში წარმოდგენილია სპექტროგრამა, რომელიც ასახავს სიხშირის განაწილებას დროის ჭრილში. ვერტიკალურ ღერძზე მითითებულია სიხშირის დიაპაზონი **0–5000 Hz**. სპექტროგრამაზე დატანილი წითელი წყვეტილი ჰორიზონტალური ხაზი მიუთითებს დაახლოებით 586.4 Hz-ს, რაც გამოყენებულია აკუსტიკური ორიენტირის სახით. ხმოვან სეგმენტებში შეინიშნება მკაფიო

ფორმანტური ზოლები, რაც მიუთითებს მათ ვოკალურ ბუნებაზე, ხოლო თანხმოვნებში - განსაკუთრებით აფრიკატსა და სიბილანტში - აღინიშნება დიფუზური ხმაური და ფორმანტური სტრუქტურის არარსებობა.

3. სეგმენტაცია

ქვედა ნაწილში მოთავსებულია **TextGrid**-ი, სადაც სეგმენტირებულია სიტყვა *cäčirsän* (ფონეტიკური ტრანსკრიფციით):

c – ä – č – i – r – s – ä – ŋ


ყვითლად გამოყოფილია საწყისი სეგმენტი **c**, რაც მიუთითებს მიმდინარე ანალიზის ფოკუსზე. თითოეული სეგმენტი მკაფიოდ არის გამიჯნული დროითი საზღვრებით, რაც საშუალებას იძლევა ზუსტად განისაზღვროს მათი ხანგრძლივობა და აკუსტიკური თავისებურებები.

4. დროითი მახასიათებლები

წარმოდგენილი *cäčirsän* სიტყვის მთლიანი ხანგრძლივობა შეადგენს დაახლოებით **0.774 წამს**. საწყის პოზიციაში სისინა აფრიკატული თანხმოვანი **c** ხასიათდება მოკლე, მაგრამ მკვეთრად გამოხატული დროით, რომლის ხანგრძლივობაა დაახლოებით **0.080 წამი**. აღნიშნული სეგმენტი მოიცავს აფრიკატის დახშულ და შემდგომ ფრიკაციულ ფაზებს, რაც დროით პარამეტრებში ნათლად აისახება.

ხმოვანი სეგმენტები (**ä, i, ä**) წარმოდგენილია შედარებით სტაბილური და გახანგრძლივებული რეალიზაციით, რაც ქმნის სიტყვის დროით ბირთვს. თანხმოვნები **č, r, s** გამოირჩევა განსხვავებული დროითი მნიშვნელობებით: აფრიკატი **č** შედარებით მოკლეა, ვიზრანტი **r** ხასიათდება შეკუმშული დროითი რეალიზაციით, ხოლო ნაპრალოვანი **s** ავლენს უფრო ხანგრძლივ ფრიკაციულ ფაზას.

სიტყვის ბოლო პოზიციაში მდებარე ცხვირისმიერი თანხმოვანი **ŋ** გამოირჩევა მოკლე ხანგრძლივობით და წარმოადგენს სეგმენტის დროით დასრულებას. მთლიანობაში, დროითი განაწილება ასახავს აზერბაიჯანული ენისთვის დამახასიათებელ რიტმულობას, სადაც ხმოვანები დომინირებენ ხანგრძლივობის მხრივ, ხოლო თანხმოვნები იკავებენ შედარებით შეკუმშულ დროით პოზიციებს.



წარმოდგენილი სურათი ასახავს Praat-ის პროგრამაში შესრულებულ აკუსტიკურ ანალიზს ლექსემის **k'əʃ** (აზერბ. **gəʃ** - ზამთარი) მაგალითზე.

1. ოსცილოგრამის ანალიზი - ზედა ნაწილში ნაჩვენებია მეტყველების სიგნალის ამპლიტუდური ცვლილებები დროის მიმართებაში. მთლიანი აკუსტიკური სეგმენტის ხანგრძლივობა შეადგენს დაახლოებით **0.78–0.80 წამს**. ვარდისფრად მონიშნული საწყისი მონაკვეთის ხანგრძლივობაა დაახლოებით **0.15 წამია**, რაც მიუთითებს არტიკულაციური დაჭიმულობის მაღალ დონეზე. მონიშნულ მონაკვეთში სიგნალი პრაქტიკულად არაპერიოდულია; ამპლიტუდა უკიდურესად დაბალია; არ ფიქსირდება მჟღერისათვის დამახასიათებელი რეგულარული რხევები. აღნიშნული ნიშნები მიუთითებს **დახშულ ფშვინვიერ თანხმოვანზე**, კერძოდ, გლოტალიზებულ ველარულ **k'**-ს სკდომის შემდეგ მკვეთრად იზრდება ამპლიტუდა, რაც ასახავს ხმოვან სეგმენტზე გადასვლას.

2. სპექტროგრამის ანალიზი

სპექტროგრამაზე საწყისი მონაკვეთში შეინიშნება: დაბალი, სუსტად გამოხატული ინტენსიობა; ფორმანტული სტრუქტურის სრული არარსებობა; აფეთქების მომენტში ენერგიის მოკლე, მაგრამ მკვეთრი მატება. **k'**-დან **ə**-ზე ხმოვანზე გადასვლა მიმდინარეობს შედარებით მკვეთრად, რაც განპირობებულია გლოტალიზებული აფეთქებითი ბუნებით. ხმოვნის შემდეგ შიშინა **ʃ**-ზე გადასვლა კი

ხდება უწყვეტად, მკვეთრი აკუსტიკური წყვეტის გარეშე, რაც ასახავს კოარტიკულაციის ნორმალურ დონეს.

3. სეგმენტაცია

ქვედა ნაწილში მოთავსებულია **TextGrid**-ი, სადაც სეგმენტირებულია სიტყვა **k'əʃ**:

k' - ə - ʃ

ყვითლად გამოყოფილია საწყისი სეგმენტი **k'**, რაც მიუთითებს მიმდინარე ანალიზის ფოკუსზე. თითოეული სეგმენტი მკაფიოდ არის გამოჩენილი დროითი საზღვრებით, რაც საშუალებას იძლევა ზუსტად განისაზღვროს მათი ხანგრძლივობა და აკუსტიკური თავისებურებები.

4. დროითი მახასიათებლები

წარმოდგენილი სიტყვა **k'əʃ**-ის მთლიანი ხანგრძლივობა შეადგენს დაახლოებით **0.637** წამს. საწყის პოზიციაში განლაგებული თანხმოვანი **ქ** გამოირჩევა შედარებით ხანგრძლივი გამოთქმით, რომლის დროითი მონაკვეთი შეადგენს დაახლოებით **0.150** წამს. აღნიშნული სეგმენტი მოიცავს როგორც ხშულ ფაზას, ისე შემდგომ ფშვინვიერ კომპონენტს, რაც აისახება დროის გაზრდილ მნიშვნელობაზე. ხმოვანი **ə** განლაგებულია ცენტრალურ ნაწილს და ხასიათდება შედარებით სტაბილური ხანგრძლივობით, რაც უზრუნველყოფს სიტყვის დროით ბირთვს. ბოლო პოზიციაში მდებარე ნაპრალოვანი ყრუ თანხმოვანი **ჭ** გამოირჩევა მოკლე ხანგრძლივობით და დროით პარამეტრებში ჩამორჩება როგორც სიტყვის თავში ყრუ ფშვინვიერ **k'**-ს, ისე ხმოვან **ə** სეგმენტს.

დროითი განაწილება მთლიანობაში ასახავს აზერბაიჯანული ენისთვის დამახასიათებელ რიტმულ სტრუქტურას, სადაც ანლაუტში ფშვინვიერი თანხმოვანი ხასიათდება გაზრდილი ხანგრძლივობით, ხოლო საბოლოო ნაპრალოვანი თანხმოვანი — შეკუმშული დროითი რეალიზაციით.

დასკვნა: მოყვანილი სურათები წარმოადგენს სხვადასხვა სიტყვების აკუსტიკურ-ფონეტიკური ანალიზის სრულყოფილ მაგალითებს, Praat-ის პროგრამაში შესრულებული ამგვარი ანალიზი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ექსპერიმენტული ფონეტიკისა და დიალექტოლოგიური კვლევებისათვის, მათ შორის აზერბაიჯანული ენის საქართველოში გავრცელებული დიალექტისა და თქმების

შესწავლისას. ოსცილოგრამა გვაძლევს შესაძლებლობას დავინახოთ ბგერის დროითი მიმდინარეობა, ამპლიტუდის ცვლილებები და პერიოდულობის არსებობა, ან დარღვევა, რაც აუცილებელია ხმოვანთა და ყრუ თანხმოვანთა გარჩევისათვის. სპექტროგრამა ავლენს სიხშირულ სტრუქტურას და ენერგიის განაწილებას, რაც საშუალებას იძლევა ზუსტად განისაზღვროს ბგერის ფონეტიკური ტიპი, მისი ნაპრალოვანი, აფრიკატული თვისება, ან სიმჟღერე. TextGrid-ის საშუალებით განხორციელებული სეგმენტაცია კი უზრუნველყოფს ფონემების მკაფიო გამიჯვნას დროით საზღვრებში და ქმნის საფუძველს რაოდენობრივი ანალიზისთვის.

ამგვარი დასურათება აუცილებელია იმის საჩვენებლად, რომ განხილული ბგერები რეალურად ფლობენ იმ არტიკულაციურ და აკუსტიკურ ნიშნებს, რომლებიც მათ თეორიულად მიეწერებათ. იგი ამყარებს კვლევის სამეცნიერო სანდოობას, იძლევა შედარებითი ანალიზის ჩატარების შესაძლებლობას და ქმნის მყარ საფუძველს როგორც ფონეტიკური აღწერისთვის, ისე შემდგომი ექსპერიმენტული კვლევებისათვის, ასევე ქმნის საფუძველს აზერბაიჯანული ენის ფონოტაქტიკისა და მორფონოლოგიის შესასწავლად.

დანართი 3

„წელიწლეულში“ გამოყენებული ტრანსკრიფცია
აზერბაიჯანულ-ლათინურ-ქართული ტრანსკრიფცია
ხმოვნები

აზერბაიჯანული სალიტერატურო ენა	ლათინურად	ქართულად
A a	A a	ა
	Ā ā	ჰ
Ə ə	Ä ä	ჲ
	Ā ā	ჳ
E e	E e	ე
	Ē ē	ქ
İ i	I i	ი
	Ī ī	რ
	İ ĩ	ი
O o	O o	ო
	Ō ō	რ
Ö ö	Ö ö	რ
	Ö ö	რ
U u	U u	უ
	Ū ū	ჟ
	Ū ū	ჟ
Ü ü	Ü ü	ჟ
	Ū ū	ჟ
	Ū ū	ჟ
I ı	Ə ə	ღ
	Ė ė	ჯ

**აზერბაიჯანულ-ლათინურ-ქართული ტრანსკრიფცია
თანხმოვნები**

აზერბაიჯანული სალიტერატურო ენა	ლათინურად	ქართულად
B b	B b	ბ
C c	Ç ç	ჯ
	3 3	ძ
Ç ç	č č	ჩ
	C c	ც
D d	D d	დ
F f	F f	(f)
G g	G' g'	გ
Ğ ğ	ğ	ღ
H h	H h	ჰ
X x	X x	ხ
J j	Ž ž	ჟ
K k	K k	(k)
	k'	ქ
	x'	ყ
Q q	G g	ზ
L l	L l	ლ
M m	M m	მ
N n	N n	ნ
	ŋ	ნ°
P p	P p	ფ
R r	R r	რ
S s	S s	ს
Ş ş	Š š	შ
T t	T t	თ
V v	V v	ვ
Y y	J j	ყ
Z z	Z z	ზ
	ž	(ძ; თ)

დანართი 4

აზერბაიჯანულ სალიტერატურო ენისა და
აზერბაიჯანული ენის ყაზახური დიალექტის ტრანსკრიფცია

აზერბაიჯანული სალიტერატურო ენის ანბანი	აზერბაიჯანული ენის ყაზახური დიალექტის ანბანი
A a	A a
	Ā ā
B b	B b
C c	Џ ѓ
	А п
Ç ç	Č č
	C c
D d	D d
E e	E e
	Ē ē
Ə ə	Ä ä
	Ā ā
F f	F f
G g	G g
Ğ ğ	Ү ү
H h	H h
X x	X x
I ı	Ә ә
	İ i
İ i	Ī ī
	İ ĭ
	İ ĭ
J j	Ž ž
K k	K k
	x'
Q q	G g
	k'

L l	L l
M m	M m
N n	N n
O o	O o
	Ō ō
Ö ö	Ö ö
	Ȫ ȫ
P p	P p
R r	R r
S s	S s
Ş ş	Š š
T t	T t
U u	U u
	Ů ů
	Ȫ ȫ
Ů ů	Ů ů
	Ȫ ȫ
	Ȫ ȫ
V v	V v
Y y	J j
Z z	Z z
	Ž ž

შენიშვნა: თანხმოვნებისა და ხმოვნების ცხრილში ფერადი მარკერით აღნიშნულია ბგერები, რომლებიც აზერბაიჯანული ენის სალიტერატურო ვარიანტში არ ფიქსირდება.

დანართი 5

საქართველო მრავალეთნიკური ქვეყანაა, სადაც ეროვნულ უმცირესობათა შორის აზერბაიჯანელები ყველაზე მრავლად არიან წარმოდგენილი. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2014 წლის მოსახლეობის აღწერის მონაცემების მიხედვით, საქართველოში 233 024 ეთნიკური აზერბაიჯანელი ცხოვრობს, რაც მოსახლეობის საერთო რაოდენობის 6.3%-ს შეადგენს.

საქართველოში აზერბაიჯანელთა აბსოლუტური უმრავლესობა მუსლიმია. ოფიციალური და არაოფიციალური წყაროების მიხედვით, არა უმეტეს 70% შიიტია, დანარჩენი სუნიტები. გარდა ამისა, ქვეყნის მასშტაბით, მცირე რიცხვი სალაფიტი აზერბაიჯანელიც გვხვდება.

თანამედროვე აზერბაიჯანელები ძირითადად საკუთარ თავს აზერბაიჯანელს უწოდებენ, რაც ნიშნავს, რომ მათი თვითსახელწოდება დიდი ისტორიის მატარებელია და ქვეყნის სახელთანაც ემთხვევა. ეთნიკური იდენტობის ჩამოყალიბებაში რელიგიურმა იდენტობამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა, ხოლო მუსულმანური თვითსახელწოდება ფართოდ იყო გავრცელებული. თუმცა, ბოლო ხანებში, ხშირად მიმდინარეობს თვითსახელწოდების "თურქი" აზერბაიჯანელის მაგივრად გამოყენება. მიუხედავად იმისა, რომ აზერბაიჯანელი ენდოეთნონიმი უმეტესობაა, მოსახლეობის ნაწილი კვლავაც იყენებს თვითსახელწოდებებს "თურქი," "აზერბაიჯანელი თურქი," და "ყარაფაფალი."

მე-19 საუკუნის ბოლოს და მე-20 საუკუნის დასაწყისში აზერბაიჯანულ საზოგადოებაში თვითსახელწოდების შესახებ ფართო დისკუსია მიმდინარეობდა, „აზერბაიჯანელებისა“ და „აზერბაიჯანული ენის“ შესახებ. 1890-იანი წლებიდან ეთნიკური იდენტობის ძიების კონტექსტში ეთნონიმი "აზერბაიჯანელი" საკმაოდ გავრცელებული იყო. ცნობილი საზოგადო მოღვაწე - მამედალა შახტახტინსკი, 1891 წელს იყო "აზერბაიჯანული ენის" გამოყენების მომხრე. მ.ე. რასულზადემ თავის სტატიაში "ერთი ტრაგედიის გაკვეთილი," რომელიც სტამბოლში 1920-იანი წლების ბოლოს გამოქვეყნდა ჟურნალ "ოდლარ იურდუმი," რამდენჯერმე გამოიყენა ეთნონიმი "აზერბაიჯანელები" [Азербайджанцы, 2017 : 7].

აზერბაიჯანული ენა არის აზერბაიჯანის რესპუბლიკისა და დაღესტნის ავტონომიური რესპუბლიკის (რფ) ერთ-ერთი სახელმწიფო ენა. ეს ენა გავრცელებულია როგორც სამხრეთ, ისე ჩრდილო აზერბაიჯანში. აზერბაიჯანული ენა მიეკუთვნება ალთაური ენების ოჯახის თურქული ენების სამხრეთ-დასავლურ ოლუზურ შტოს. ამ შტოში შედის თურქული, თურქმენული, თათრული-ყირიმულის სამხრული სანაპიროს დიალექტი, სალარული და გაგაუზური ენები. თურქული ენა ითვლება აზერბაიჯანულთან ყველაზე ახლო მდგომ ენად. ცნობილია, რომ აზერბაიჯანული ენა ჩამოყალიბდა ოლუზური და ყივჩაღური ტომობრივი ენების კონტაქტის საფუძველზე ["Вопросы диалектологии тюркских языков," 1960]. სალაპარაკო აზერბაიჯანული ენა, ისევე როგორც სხვა ენები, გამოირჩევა მნიშვნელოვანი დიალექტური განშტოებებით, რაც განპირობებულია როგორც აზერბაიჯანელი ხალხის რთული ეთნოგენეზით, ასევე ბოლო საუკუნეების გეოპოლიტიკური მოვლენებით. ამ პროცესებმა ხელი შეუწყო აზერბაიჯანელების ადგილმდებარეობას და გავლენა მოახდინა აზერბაიჯანული ენის სტრუქტურაზე.

აზერბაიჯანელები კომპაქტურად ცხოვრობენ, ძირითადად, ოთხ რეგიონში: ქვემო ქართლში (ბოლნისის, დმანისის, გარდაბნისა და წალკას მუნიციპალიტეტები), კახეთში, შიდა ქართლში და მცხეთა-მთიანეთში. აგრეთვე, არაკომპაქტურად აზერბაიჯანელები სახლობენ რუსთავსა და თბილისში.

აზერბაიჯანელთა ყველაზე დიდი რაოდენობა გვხვდება ქვემო ქართლში, სადაც მათი პროცენტული მაჩვენებელი საქართველოში მცხოვრებ აზერბაიჯანელთა 41.75%-ს შეადგენს. მუნიციპალიტეტების მიხედვით ყველაზე მაღალი მაჩვენებელი არის მარნეულში (83.77%). სხვადასხვა მუნიციპალიტეტების მიხედვით აღსანიშნავია შემდეგი ციფრები: დმანისი (65.46%), ბოლნისი (63.38%), გარდაბანი (43.53%), წალკა (6.98%) და თეთრიწყარო (7.33%).

ქვემო ქართლის რეგიონი საქართველოს ერთ-ერთი პოლიტიკური და ადმინისტრაციული რეგიონია, რომელიც შედის იმ თვითმმართველი ქალაქების და მუნიციპალიტეტების კომპლექსში, რომლებიც ასახავენ ქვეყნის ეთნიკური მრავალფეროვნების სურათს. 2014 წლის საყოველთაო აღწერის მონაცემების მიხედვით, ქვემო ქართლში მოსახლეობის განაწილება ეროვნული ნიშნით

შემდეგნაირია: ქართველები - 51.3%, აზერბაიჯანელები - 41.8%, სომხები - 5.1%, სხვა ეთნიკური ჯგუფები - 1.8%.

ქვემო-ქართლის მუნიციპალიტეტების მიერ განსაზღვრული ეთნიკური შედარებები (2014)

ქვემო ქართლის მუნიციპალიტეტების ეთნიკური შემადგენლობა				
მუნიციპალიტეტი	ქართველები	აზერბაიჯანელები	სომხები	სხვა ეთნიკური ჯგუფები
ბოლნისი	30.9%	63.4%	5.0%	0.7%
გარდაბანი	54.2%	43.5%	0.7%	1.6%
დმანისი	33.1%	65.5%	—	1.4% (ბერძნები 0.5%)
	82.5%	7.3%	7.3%	2.9%
მარნეული	8.6%	83.8%	7.0%	0.6%
წალკა	46.7%	7.0%	38.8%	7.5%

წარმოდგენილი ცხრილი ასახავს ქვემო ქართლის მუნიციპალიტეტების ეთნიკურ შემადგენლობას, რაც მკაფიოდ წარმოაჩენს რეგიონის მრავალეთნიკურ ხასიათს და ეთნიკური ჯგუფების არათანაბარ განაწილებას. განსაკუთრებით თვალშისაცემია აზერბაიჯანული მოსახლეობის მაღალი წილი რიგ მუნიციპალიტეტებში, რაც ქვემო ქართლს აზერბაიჯანელთა კომპაქტური დასახლების ერთ-ერთ მთავარ არეალად წარმოაჩენს საქართველოში.

აზერბაიჯანელები აბსოლუტურ უმრავლესობას წარმოადგენენ მარნეულის მუნიციპალიტეტში, სადაც მათი წილი შეადგენს 83.8%-ს, რაც მუნიციპალიტეტის ეთნიკურ სტრუქტურაში მათ დომინანტურ პოზიციაზე მიუთითებს. მაღალი მაჩვენებელი ფიქსირდება ასევე დმანისში (65.5%) და ბოლნისში (63.4%), სადაც აზერბაიჯანული მოსახლეობა წარმოადგენს წამყვან ეთნიკურ ჯგუფს. აღნიშნული მუნიციპალიტეტები ხასიათდება აზერბაიჯანელთა კომპაქტური და ისტორიულად სტაბილური დასახლებით.

გარდაბანში აზერბაიჯანელები რაოდენობრივად მნიშვნელოვნად არიან წარმოდგენილი (43.5%), თუმცა აქ ეთნიკური ბალანსი შედარებით უფრო თანაბარია, ქართველების უმრავლესობის ფონზე (54.2%). განსხვავებული სურათი იკვეთება


წალკის მუნიციპალიტეტში, სადაც აზერბაიჯანელები შეადგენენ მხოლოდ 7.0%-ს, ხოლო ეთნიკური სტრუქტურა მნიშვნელოვნად არის განსაზღვრული სომხური მოსახლეობის მაღალი წილით (38.8%) და სხვა ეთნიკური ჯგუფების შედარებით მაღალი კონცენტრაციით.

მთლიანობაში, მონაცემები ცხადყოფს, რომ ქვემო ქართლში აზერბაიჯანული მოსახლეობა სივრცობრივად არათანაბრადაა განაწილებული და რეგიონის დემოგრაფიულ პროფილში მნიშვნელოვან როლს ასრულებს. ეს გარემოება არსებითია როგორც სოციალური და კულტურული პროცესების, ისე ეთნოლინგვისტური ვითარების ანალიზისთვის.

რეგიონი / მუნიციპალიტეტი	აზერბაიჯანელთა რაოდენობა	წილი მოსახლეობაში (~%)
ქვემო ქართლი (ჯამში)	177 032	~41.8 %
მარნეული	87 371	~83.7 %
დმანისი	12 530	~65.5 %
ბოლნისი	33 964	~63.4 %
გარდაბანი	35 642	~43.5 %
თეთრიწყარო	1 548	~7.3 %
წალკა	1 316	~7.0 %
რუსთავი	4 661	~3.7 %

მოწოდებული მონაცემების საფუძველზე, წარმოგიდგენთ ჰორიზონტალურ გრაფიკს, რომელიც ასახავს აზერბაიჯანული მოსახლეობის წილს მუნიციპალიტეტებში. წყაროების თანახმად, ეს მუნიციპალიტეტები წარმოადგენს აზერბაიჯანელთა კომპაქტური განსახლების ძირითად არეალებს საქართველოში

აზერბაიჯანული მოსახლეობა ქვემო ქართლში მუნიციპალიტეტების მიხედვით



კახეთის რეგიონში მოსახლეობის განაწილება ეროვნების მიხედვით 2014

წლის საყოველთაო აღწერის მონაცემების მიხედვით:

მუნიციპალიტეტი	სულ მოსახლეობა	ქართველები %	აზერბაიჯანელები %	სხვა %
ახმეტა	318 583	85.0	10.1	4.9
თელავი	38 721	86.5	12.8	0.7
ლაგოდეხი	41 678	71.5	23.0	5.5
საგარეჯო	51 761	65.9	33.1	0.7
სიღნაღი	29 948	97.7	0.3	2.2
ყვარელი	29 827	93.3	0.1	6.1
გურჯაანი	94 573	94.5	2.4	3.1
დედოფლისწყარო	47 711	91.3	4.8	3.9

აზერბაიჯანული მოსახლეობის პროცენტულ წილს კახეთის რეგიონის მუნიციპალიტეტებში

წყაროების მიხედვით, აზერბაიჯანული მოსახლეობა კახეთში ყველაზე მეტად კონცენტრირებულია საგარეჯოს, ლაგოდეხისა და თელავის რაიონებში. ამ ტერიტორიებზე ჩამოყალიბებულია აზერბაიჯანული ენის ყაზახური დიალექტის სპეციფიკური კახური თქმა, რომელიც მოიცავს ისეთ სოფლებსა და ქვევებს, როგორიცაა იორმულანლო, კაბალი, თელავი და სხვა.


მუნიციპალიტეტი	აზერბაიჯანელები (%)
----------------	---------------------

საგარეჯო	33.1%
ლაგოდეხი	23.0%
თელავი	12.8%
ახმეტა	10.1%
დედოფლისწყარო	4.8%
გურჯაანი	2.4%
სიღნაღი	0.3%
ყვარელი	0.1%

მოწოდებული მონაცემების საფუძველზე, წარმოგიდგენთ ჰორიზონტალურ გრაფიკს, რომელიც ასახავს აზერბაიჯანული მოსახლეობის წილს კახეთის მუნიციპალიტეტებში. წყაროების თანახმად, ეს მუნიციპალიტეტები წარმოადგენს აზერბაიჯანელთა კომპაქტური განსახლების ძირითად არეალებს კახეთში:

აზერბაიჯანული მოსახლეობის წილი კახეთის მუნიციპალიტეტებში (2014)

კახეთში აზერბაიჯანული მოსახლეობის წილი



წყაროების მიხედვით, კახეთის რეგიონში (კერძოდ საგარეჯოს, ლაგოდეხისა და თელავის მუნიციპალიტეტებში) აზერბაიჯანული ენის ფუნქციონირება ისტორიულად დასტურდება და აქ ჩამოყალიბებულია აზერბაიჯანული ენის ყაზახური დიალექტის ერთ-ერთი განშტოება - **კახური თქმა**. მიუხედავად იმისა, რომ ადრეულ კლასიფიკაციებში (მაგ. მ. შირალიევის) კახეთის რეგიონი ნაკლებად იყო ასახული, თანამედროვე კვლევები ადასტურებს ადგილობრივი თქმებისა და

ქვეყნის (იორმულანლო, კაბალი, თელავი და სხვ.) მჭიდრო კავშირს აზერბაიჯანული ენის ყაზახურ დიალექტთან.

შიდა ქართლის ეთნიკური შემადგენლობა (2014 წელი)

მუნიციპალიტეტი	საერთო მოსახლეობა	ქართველები (რიცხვით, პროცენტით)	აზერბაიჯანელები (რიცხვით, პროცენტით)	სხვა (რიცხვით, პროცენტით)
გორი	125 692	121 204 (~96.4%)	525 (~0.4%)	3 963 (~3.2%)
ქარელი	41 316	5 474 (~83.6%)	756 (~1.8%)	404 (~14.6%)
კასპი	43 771	37 877 (~86.6%)	3 846 (~8.8%)	2 048 (~4.7%)
ხაშური	52 603	51 714 (~98.3%)	6 (~0.0%)	883 (~1.7%)

ცხრილი ასახავს შიდა ქართლის მუნიციპალიტეტების ეთნიკურ შემადგენლობას, განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია აზერბაიჯანული მოსახლეობის რაოდენობრივ და პროცენტულ მაჩვენებლებზე. მონაცემები ნათლად აჩვენებს, რომ აზერბაიჯანელები რეგიონში არათანაბრად არიან განაწილებული და მათი წილი მუნიციპალიტეტების მიხედვით მნიშვნელოვნად განსხვავდება.

ყველაზე მაღალი კონცენტრაცია აზერბაიჯანული მოსახლეობის ფიქსირდება **კასპის მუნიციპალიტეტში**, სადაც ისინი შეადგენენ **3 846 ადამიანს** ანუ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის დაახლოებით **8.8%-ს**. ეს მაჩვენებელი კასპს გამოარჩევს როგორც აზერბაიჯანელთა ყველაზე მნიშვნელოვან საცხოვრებელ არეალს შიდა ქართლში. შედარებით მცირე, თუმცა შესამჩნევი რაოდენობით აზერბაიჯანელები წარმოდგენილი არიან **ქარელის მუნიციპალიტეტშიც - 756 ადამიანი** (დაახლოებით **1.8%**), რაც მიუთითებს მათ სტაბილურ, თუმცა არა დომინანტურ არსებობაზე.

გორის მუნიციპალიტეტში აზერბაიჯანული მოსახლეობა რაოდენობრივად მცირეა და შეადგენს მხოლოდ **525 ადამიანს** (დაახლოებით **0.4%**), რაც ეთნიკურად მკვეთრად ჰომოგენური სტრუქტურის არსებობაზე მიუთითებს. განსაკუთრებით დაბალია აზერბაიჯანელთა წილი **ხაშურის მუნიციპალიტეტში**, სადაც

დაფიქსირებულია მხოლოდ 6 ადამიანი, რაც სტატისტიკურად უმნიშვნელო მაჩვენებელია.

მთლიანობაში, წარმოდგენილი მონაცემები აჩვენებს, რომ აზერბაიჯანული მოსახლეობა შიდა ქართლში კონცენტრირებულია ცალკეულ მუნიციპალიტეტებში, ხოლო სხვა ტერიტორიებზე მათი არსებობა ფრაგმენტული და მინიმალურია. აღნიშნული სურათი მნიშვნელოვანია რეგიონული დემოგრაფიული პროცესებისა და ეთნოლინგვისტური გარემოს ანალიზისთვის.

აზერბაიჯანელების პროცენტი შიდა ქართლის მუნიციპალიტეტებში (2014)

მუნიციპალიტეტი	აზერბაიჯანელების რაოდენობა	პროცენტი (%)
გორი	525	~0.42 %
კასპი	782	~5.83 %
ქარელი	1 124	~2.72 %
ხაშური	(აზერბაიჯანელთა ცალკე გამოყოფილი მონაცემი არ ფიქსირდება, რაც მიუთითებს ძალიან მცირე რაოდენობაზე ~0.0 %)	~0.0 % (ზღვრული/ან კატეგორიაში „სხვა“)

აზერბაიჯანული მოსახლეობის წილი შიდა ქართლის მუნიციპალიტეტებში (%) მუნიციპალიტეტი პროცენტი ჰორიზონტალური გრაფიკი (ვიზუალიზაცია)

კასპი	8.8%	
ქარელი	1.8%	
გორი	0.4%	
ხაშური	0.0%	-

მცხეთა-მთიანეთის ეთნიკური შემადგენლობა (2014)

რეგიონი	სულ	ქართველები %	აზერბაიჯანელები %	სხვა %
მცხეთა-მთიანეთი	94 573	94.5	2.4	2.8

წარმოდგენილი ცხრილი ასახავს მცხეთა-მთიანეთის რეგიონის ეთნიკურ შემადგენლობას 2014 წლის მოსახლეობის აღწერის მონაცემების მიხედვით. რეგიონის მოსახლეობის საერთო რაოდენობა შეადგენს **94 573 ადამიანს**, რომელთა აბსოლუტურ უმრავლესობას ქართველები წარმოადგენენ. მათი წილი რეგიონის მთლიან მოსახლეობაში შეადგენს **94.5%-ს**, რაც მიუთითებს მცხეთა-მთიანეთის მკვეთრად ჰომოგენურ ეთნიკურ სტრუქტურაზე.

აზერბაიჯანული მოსახლეობა რეგიონში რაოდენობრივად მცირეა და შეადგენს **2.4%-ს**, რაც მათ რეგიონში მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობათა შორის ერთ-ერთ, თუმცა არა დომინანტურ ჯგუფად წარმოგვიდგენს. სხვა ეთნიკური ჯგუფების საერთო წილი შეადგენს **2.8%-ს**, რაც მოიცავს სხვადასხვა მცირე რაოდენობის ეთნიკურ ერთეულს.

მოცემული მონაცემები ნათლად აჩვენებს, რომ მცხეთა-მთიანეთში ეთნიკური თვალსაზრისით ძირითადად ერთი ეროვნება არის წარმოდგენილი, სადაც ეთნიკური უმცირესობები შედარებით ცოტაა. ეს გარემოება მნიშვნელოვანია როგორც დემოგრაფიული, ისე სოციალურ-ენობრივი პროცესების ანალიზისათვის, განსაკუთრებით რეგიონული ენობრივი პოლიტიკისა და ეთნოლინგვისტური ვითარების კვლევის კონტექსტში.

დანართი 6

“ბიულეტენი” III გამოყენებული

აზერბაიჯანული ენის ზგერითი სისტემის ქართულად
ტრანსკრიფცია – ტრანსლიტერაციის სახელმძღვანელო წესები

№	აზერბაიჯანული	IPA	ქართული შესატყვისი	მაგალითები	გამონაკლისი
1.	Aa	/a/	ა	ანთროპონიმები: Bayramov – ბაირამოვ-ი, Abbas – აბას-ი ტოპონიმი: Araflı – არაფლო	
2.	Bb	/b/	ბ	ანთროპონიმები: Rahib – რაჰიბ-ი, Babayev – ბაბაევ-ი ტოპონიმი: Bağçalar – ბაღჩალარ-ი	
3.	Cc	/dʒ/	ჯ	ანთროპონიმები: Cəfərli – ჯაფარლი, Ceyhun – ჯეიჰუნ-ი, Cəmilə – ჯამილა ტოპონიმი: Azərbaycan – აზერბაიჯან-ი	ტოპონიმი: Lecbəddin – ლეჟბადინი
4.	Çç	/tʃ/	ჩ	ანთროპონიმები: Çingiz – ჩინგიზ-ი, Çinarə – ჩინარა, Çobanov – ჩობანოვ-ი, ტოპონიმი: Çənlibel – ჩანლიბელი	
5.	Dd	/d/	დ	ანთროპონიმები: Dilərə – დილარა, Dursunov – დურსუნოვ-ი ტოპონიმი: Daştəpə – დაშთაფა // დამტაფა	
6.	Ee	/e/	ე	ანთროპონიმები:	

				Elxan - ელხან-ი, Veysalova - ვეისალოვა, Elman - ელმან-ი	
7.	ჲ	/æ/	ა	სიტყვის დასაწყისში: ანთროპონიმები: Ələkbər - ალაქბარ-ი Əliyev - ალიევი-ი Əskərov - ასქეროვი-ი Əlimərdan - ალიმარდან-ი სხვა პოზიციებში, ვინაიდან სხვადასხვა მაგალითი გვაქვს მოყვანილი ანთროპონიმები: Zərifə - ზარიფა, Zəfər - ზაფერ-ი, Lalə - ლალა, Güləvər - გულავარ-ი, Cəfərli - ჯაფარლი-ი Nərgiz - ნარგიზ-ი Səfər - საფარ-ი Bəşir - ბაშირ-ი Bəhram - ბაჰრამ-ი Mənzər - მანზარ-ი Sina - სინა ... ტოპონიმები: Tüllər - თულარ-ი, Dəllər - დალარ-ი, Kəpənəkçi - კაფანაქი-ი, Kəngərli - კანგარლი-ი Ləmbəli - ლამბალი Nəzərli - ნაზარლი	ანთროპონიმი: Ləman - ლემანი//ლიამანი; ტოპონიმი: Lənkəran - ლენქორანი-ი, Ləmbəli - ლამბალი, Nəzərli - ნაზარლი
	ჲ	/æ/	ე	ანთროპონიმები: Babək - ბაბექ-ი//ბაბაქ-ი, Bəhrüz - ბეჰრუზ-ი // ბაჰრუზ-ი, Şahənə - შაჰანე, Nənə - ნანე ტოპონიმი: Təzəkəndi - თაზაქენდი-ი	
8.	Ff	/f/	ფ	ანთროპონიმები: Cəfərli - ჯაფარლი, Fatimə - ფატიმა, Fərhad - ფარჰად-ი	

9.	Gg	/ɟ/	გ	ანთროპონიმი: Güləvər – გულავარ-ი, Gözal – გოზალ-ი, Gülçöhrə – გულჩოჰრა	
10.	Ğğ	/ɣ/	ღ	ანთროპონიმი: Koroğlu – ქოროღლი ტოპონიმები: Gödəkdağ – გოდაქდაღ-ი, Ağammədli – აღამედლი-ო, Bağdati – ბაღდათი	
11.	Hh	/h/	ჰ	ანთროპონიმები: Səhət – საჰათ-ი, Hüseynov – ჰუსეინოვ-ი, Həsən – ჰასან-ი, Təhminə – თაჰმინა ტოპონიმი: Hamamlı – ჰამამლო	ანთროპონიმი: Şahniyar – შახნიარ, Şahanə – შახანე, Rəhşan – რაჰშანი; Rəhim – რაგიმი, Şahmarlı – შახმარლო რეკომენდაცია: უნდა იყოს ჰ და არა ხ ან გ
12.	Xx	/x/	ხ	ანთროპონიმები: Xəlil – ხალილ-ი, Bəxtiyar – ბახთიარ-ი, Ataxəlilova – ათახალილოვა, Xanzadayeva – ხანზადაევა	
13.	İi	/ɯ/	ი	ანთროპონიმები: Aydın – აიდინ-ი Bağırzadə – ბაღირზადე Babaşlı – ბაბაშლი; Hacı – ჰაჯილი; Eyvazlı – ეივაზლი; Dargallı – დარღალი	ანთროპონიმები: Kazımov – კაზუმოვი Qasımov – გასუმოვი ტოპონიმები: Qasımlı – კასუმლო; Qızılhacı – ყიზილჰაჯილო, Bakı – ბაქო, Şamaxı – შამახა სუფიქსი – İ ტოპონიმებში

					ი გადმოსულია და ტრადიციით დამკვიდრებულიაროგორც -ლო: Qasımlı - გასუმლო Şahmarlı - შახმარლო; Hamamlı - ჰამომლო Qızılacılı - ყიზილაჯლო Sadaxlı - სადახლო Kosalı - ქესალო Şahmarlı - შახმარლო Faxralı - ფახრალი Baytallı - ბაითალი Qırıxlı - კირიხლო Kirəc-Muğanlı - ქირაჩ-მუღანლო Ulaşlı - ულაშლო Ağməmmədli - აღმამედლო
14.	İi	/i/	ი	ანთროპონიმები: İlqar - ილგარ-ი İlhamə - ილჰამა Vasif - ვასიფ-ი İsmayilov - ისმაილოვ-ი Asif - ასიფ-ი İskəndərli -ისკანდარლი ტოპონიმი: Təkəli - თექალი	ტოპონიმი: Şəmkir – შამქორ-ი სუფიქსი - li ტოპონიმებში ი გადმოსულია როგორც: -ლო: Ləmbəli - ლამბალი Keşəli - ქეშალი Nəzərli – ნაზარლი
15.	Jj	/j/	ჟ	ანთროპონიმი:	

				Ja - ჟალე Jasmin - ჟასმინ-ი	
16.	Kk	/k/	ქ	ანთროპონიმები: Kamran - ჯამრან-ი Kamal - ჯამალე ტოპონიმები: Kosali - ქესალო; Keşeli - ქეშალო; Kəpənəkçi - ქაფანაქჩი	
17.	Qq	/g/	გ	ანთროპონიმები: Qasimov - გასუმოვ-ი Qənirə - განირა Quliyev - გულიევ-ი Qasanov - გასანოვ-ი Yaqub - იაგუბ-ი İlqar - ილგარ-ი Dilqam - დილგამ-ი	კ - რუსულის გავლენით შენარჩუნებულ ი ტრადიციული ფორმები: ანთროპონიმი: Qasimov - კასუმოვი Qara Qarayev - კარა კარაევი Quliyev - კულიევი ტოპონიმები: Qəmərli - კამარლო Qazlar - კაზლარ-ი; Qasimli - კასუმლო, Qırıxlı - კირიხლო, Qaşçu - კუშჩი
	Qq	/g/	ყ	სიტყვის დასწყისში ტოპონიმები: Dağlıq Qarabağ - მთიანი ყარაბაღი Qaracalar - ყარაჯალარი Qarapilə - ყარაფილა Quba - ყუბა Qəçəğan - ყაჩაღან-ი ტოპონიმი: Yaqublu - იაგუბლო	

18.	Ll	/l/	ლ	ანთროპონიმები: Adıgözəlov – ადიგოზალოვ-ი Şamil – შამილ-ი ტოპონიმები: Lökcandar – ლოქჯანდარ-ი Ləmbəli – ლამბალო	
19.	Mm	/m/	მ	ანთროპონიმები: Məsmə – მასმა Mustafa – მუსტაფა Mamedov // Məmmədov – მამედოვ-ი Məhərrəmov – მაჰარამოვ-ი	
20.	Nn	/n/	ნ	ანთროპონიმი: Nərgiz – ნარგიზ-ი Nurlana – ნურლანა Ayşən – აიშენ-ი // აიშან-ი Novruzova – ნოვრუზოვა	
21.	Oo	/o/	ო	ანთროპონიმი: Orxan – ორხან-ი Osman – ოსმან-ი ტოპონიმები: Novxanı – ნოვხანი Ordubad – ორდუბად-ი	ტოპონიმი: Kosalı – ქესალო
22.	Öö	/œ/	ო	ანთროპონიმები: Adıgözəlov – ადიგოზალოვ-ი Gözəl – გოზალ-ი ტოპონიმები: Lökcandar – ლოქჯანდარ-ი Gödəkdağ – გოდაქდალ-ი Göygöl – გოიგოლ-ი (ტბა)	
23.	Pp	/p/	ფ	ანთროპონიმები: Topçubaşov – თოფჩუბაშოვ-ი Pərviz – ფარვიზ-ი Pənəh – ფანახ-ი Piriyeva – ფირიევა Pəri – ფარი Pərvanə – ფარვანა	ტრადიციით: Pəri – პარი Pərvanə – პარვანა
24.	Rr	/r/	რ	ანთროპონიმები:	

				Rəna - რენა Rüstəm - რუსტამ-ი Orxan - ორხან-ი Ramazanov - რამაზანოვ-ი	
25.	Ss	/s/	ს	ანთროპონიმები: Səbinə - საბინა Sevda - სევდა Səməd - სამედ-ი ტოპონიმი: Sumqayıt - სუმგაით-ი	
26.	Şş	/ʃ/	შ	ანთროპონიმები: Şamil - შამილ-ი Şərifov - შარიფოვ-ი Şalalə - შალალე ტოპონიმები: Şamaxı - შამახა Şəki - შაკი	
27.	Tt	/t/	თ	ანთროპონიმები: Təhminə - თაჰმინა Tanrıverdiyev - თანრივერდიევ-ი Tofiq - თოფიგ-ი, Aytən - აითან-ი ტოპონიმები: Təzəkənd - თაზაქენდ-ი, Tüllər - თულარ-ი	ტ - რუსულის გავლენით შენარჩუნებულ ი ტრადიციული ფორმები: Tanrıverdiyev - ტანრივერდიევ-ი Tofiq - ტოფიკ Aytən - აიტან
28.	Uu	/u/	უ	ანთროპონიმები: Uğur - უღურ-ი Ulduz - ულდუზ-ი Umnisə - უმნისე ტოპონიმი: Ulaşlı - ულაშლო	ტოპონიმები: Yaqublū - იაგუბლო Mollaoğlu - მოლაოღლი Xocornu - ხოჯორნი Qaşçı - კუშჩი
29.	Üü	/y/	უ	ანთროპონიმები: Füzuli - ფუზულ-ი Şilviyə - შილვია ტოპონიმი: Tüllər - თულარ-ი	ანთროპონიმი: Füzuli - ფიზული იუ - რუსულის გავლენით

					შენარჩუნებულ ო ტრადიციული ფორმები: საკუთარ სახელებში პირვ ელ მარცვალში ძირითადად G- ს შემდეგ პოზიციაში: ანთროპონიმი: Günay - გიუნაი Gülşan - გიულშანი Gümürü - გიუმური
30.	Vv	/v/	ვ	ანთროპონიმები: Vəfa - ვაფა Sevil – სევილ-ი Sevinc - სევინჯ-ი	
31.	Yy	/j/	ი	სიტყვის თავში, ხმოვანსა და თანხმოვანს შორის: ანთროპონიმები: Aydın – აიდინ-ი Aytəkin - აითეკინ-ი Aynaz – აინაზ-ი Aysel – აისელ-ი Bəylər - ბაილარ-ი სიტყვის თავში, თანხმოვანს და ხმოვანს შორის: ანთროპონიმები: Yasəmən - იასამან-ი Yetər - იეტარ-ი	
	Yy	/j/	Ø	სიტყვის შუაში ორ ხმოვანს შორის: ანთროპონიმები: Bəxtiyar - ბახთიარ-ი Niyaməddin - ნიამედინ-ი // ნიამადინ-ი	
32.	Zz	/z/	ზ	ანთროპონიმები:	

				Zərifə - ზარიფა Zairə - ზაირა Zülfüqar - ზულფუგარ-ი Almaz - ალმაზ-ი Züleyxa - ზულეიხა	
--	--	--	--	---	--